

K 215-773  
3

საქართველოს  
საბავშვო ბიბლიოთეკა

**მოკლეს**

**პალანკაძეუახი**

**ადვანთა ქვეყნის ისტორია**

**შიქსეს**

**ყარაყარაყარაყარა**

**ყარაყარაყარა**

**არაყარაყარა**

**არაყარაყარა**




საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია  
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ



საქართველოს ისტორიის წყაროები

37





ИНОСТРАННЫЕ ИСТОЧНИКИ ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ  
XVIII

МОВСЕС КАЛАНКАТУАЦИ

ИСТОРИЯ СТРАНЫ АЛУАНК

*перевод с древнеармянского, предисловие,  
примечания и указатели*  
Л. С. Давлианидзе-Татишвили

ТБИЛИСИ  
«МЕЦНИЕРЕБА»  
1985





მოგვს კალანკატუაცი

## ალვანთა ქვეყნის ისტორია

ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი,  
შენიშვნები და საძიებლები დაურთო  
ლიანა დავლიანი ძე-ტატიშვილი



63.3. (2 Ap)  
9(47.925)  
კ 181

მოგეს კალანკატუაცის თხზულება „აღვანთა ქვეყნის ისტორია“ მოიცავს როგორც საკუთრივ ძველი აღვანეთის (კავკასიის ალბანეთის) ისტორიას უძველესი დროიდან X საუკუნემდე, ასევე მისი მეზობელი ხალხების პოლიტიკური, რელიგიური და სოციალური ისტორიის საკითხებს.

აქვე ყურადღებას იმსახურებს ავტორის მიერ გადმოცემული აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელი ვითარების ცალკეული მომენტები. არაერთი გვერდი ეძღვნება ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობის ასახვასაც.

„აღვანთა ქვეყნის ისტორიის“ ქართული თარგმანი პირველად ქვეყნდება.

Сочинение Мовсеса Каланкатуаци „История страны Алуанк“ содержит вопросы истории как собственно Алуанка (Кавказской Албании) с древнейших времен до X века, так и сопредельных ей стран. Вместе с политической и церковной историей в нем значительное место уделено социальным вопросам, мировоззрениям.


Привлекают внимание описанные автором отдельные моменты из жизни Грузии, а также взаимоотношений народов стран Закавказья.

„История страны Алуанк“ впервые публикуется на грузинском языке.

რეცენზენტები: ისტ. მეც. დოქტორი, პროფ. თ. პაპუაშვილი  
ისტ. მეცნ. კანდიდატი ლ. ტუხაშვილი

0505010000  
M 607(06)—85 137—85

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985





**მთავარი სარედაქციო კოლეგია**

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე;  
ვ. გაბაშვილი, რ. კიკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე, გ. მელიქიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია,  
გ. ჯიბლაძე.

სერიის რედაქტორი **თ. შაუხრიშვილი**  
ტომის რედაქტორი **ზ. ალექსიძე**

**ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ**

Ш. В. Дзидзури (Главный редактор), М. Д. Абашидзе, З. Н. Алексидзе,  
В. И. Габашвили, Г. Н. Джигладзе, В. И. Дзидзури, Т. С. Каухчишвили,  
Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. Л. Меликишвили,  
Э. В. Хоштария

Редактор серии **Т. С. Каухчишвили**  
Редактор тома **З. Н. Алексидзе**

3

К



## საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.
2. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.
6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
7. ტბეთის სულთა მატინე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.
8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდლაძემ, თბ., 1978.
9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.
10. ქათბი ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.
11. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Н. Алексидзе, Тбилиси, 1978.



12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Қакабадзе, Тбилиси, 1979.
13. С у м б ა ტ დ ა ვ ი თ ი ს - დ ზ ე. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тбилиси, 1979.
14. მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979.
15. ზ ა ქ ა რ ი ა ა გ უ ლ ე ც ი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.
16. ჩილდირის ემალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.
17. ა რ ს ე ნ ი ს ა ფ ა რ ე ლ ი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.
18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1980.
19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.
21. ცხოვრება საქართველომსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе, Тбилиси, 1980.
23. კ. კ ო ხ ი ს ა დ ა ო. ს პ ე ნ ს ე რ ი ს ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.
24. ი ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.
25. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი



- დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცავარეიშვილმა, თბ., 1981.
26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981.
  27. გ. ოთხმეზური, XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
  28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1983.
  29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тбилиси, 1982.
  30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
  31. გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., 1983.
  32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილიეებითა და საძიებლებით მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1982.
  33. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.
  34. Источниковедческие разыскания, 1979, Тбилиси, 1984.
  35. ზ. სხირტლაძე, საბერებების ფრესკული წარწერები, თბ., 1985.
  36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაუომია, წარმოებაშია.
  37. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა.
  38. დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1985.
  39. Жизнь Царицы Цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа, исследование и примечания М. М. Бердзنيшвили, Тбилиси, 1985.
  40. Источниковедческие разыскания, 1982, Тбилиси, 1985.



შინაარსი

შესავალი . . . . .	10
ალვანთა ქვეყნის ისტორია . . . . .	23
შენიშვნები . . . . .	171
Резюме . . . . .	184
საძიებლები . . . . .	186



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული წარსულის შესწავლა მეცნიერული კვლევის აქტუალური პრობლემაა. ასეთი კვლევისათვის სხვა პირველწყაროთა გვერდით მეტად საყურადღებოა ნარატიული ხასიათის ძეგლები, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი ადგილი განეკუთვნება სომხურ საისტორიო თხზულებებს მათი მრავალმხრივ საგულისხმო შინაარსის გამო.

„ალვანთა ქვეყნის ისტორია“ რომლის ავტორობა ტრადიციულად მიეწერება მოვსეს კალანკატუაცის, ძველ სომხურ ენაზე დაწერილი საისტორიო თხზულებაა. შეიცავს ძირითადად რელიგიურ და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს უძველესი დროიდან X ს-ის მიწურულამდე. ნაწარმოები შედგება სამი ნაწილისაგან, პირველი ორი იწყება უძველესი დროიდან და მიყვანილია VII საუკუნემდე, მესამე ნაწილში აღწერილია VIII—X საუკუნეების მოვლენები. მასალის მრავალსახეობითა და სიუხვით „ალვანეთის ისტორიამ“ თავიდანვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, მისი ცნობები მრავალგზის გამოუყენებიათ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის ისტორიის სხვადასხვა საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს. მაგრამ გარდა შინაარსისა, იმის შემდეგ, რაც ცნობილი გახდა თხზულების არსებობა, ინტერესის სფეროში მოექცა აგრეთვე მისი ავტორის, თუ ავტორთა ვინაობისა და დაწერის დროის საკითხებიც. მათთვის გვერდი არ აუვლია XIX თუ XX საუკუნეთა თითქმის არც ერთ მკვლევარს, ვინც დაინტერესებულა ნაწარმოებით.

„ალვანთა ქვეყნის ისტორია“ ადრევე იხსენიება ძველ მოღვაწეთა შორისაც. არის ვარაუდი, რომ მას იცნობდა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში მაქენელთა მონასტრის წინამძღვარი სოლომონი, ხოლო IX ს-ში სომეხთა კათალიკოსი მაშტოცი<sup>1</sup>. თუმცა ესენი ნაწარმოებს არ

<sup>1</sup> შ ი ლ ი ს ხ ა კ ა ღ ა ნ კ ა თ ი ა ვ ი. მოთმარეონ სეკანჩე აქსარჩი ქარე., აოჯაყან ხ დანიოაგრიოკონსერი ჯარაყ მოამქეხანსი. ტრეკ 1969, ტ. III.



ასახელებენ. X ს-ის სომეხთა კათალიკოსი ანანია მოკაცი (943—967) უკვე ნიშანდობლივ ლაპარაკობს „აღვანთა ქვეყნის ისტორიაზე“ თავის წერილებში. ასევე, მისი თანამედროვე აღვანეთის კათალიკოსი გაგიკი (948—967) ამბობს, რომ ხელდასხმულია წმინდა გრიგორის სახელით, რაც „აღვანეთის ისტორიის“ მიხედვით, დასაბამიდანვე ყოფილა მიღებული<sup>2</sup>. X ს-ის დასაწყისის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი იოვანეს ღრასხანაკერტეცი იყენებს ამ ნაწარმოებს, რაც ჩანს მისი ტექსტის მიხედვით, თუმცა წყაროზე არ მიუთითებს. ამავე საუკუნის მიწურულის ავტორი უხტანესიკ არაერთხელ ეყრდნობა მოვსეს კალანკატუაცის ნაშრომს. ეს მომენტი თვალსაჩინოდ არის ასახული უხტანესის ქართულ გამოცემაში<sup>3</sup>.

XII ს-ში მხითარ ანეციმ თავის „ისტორიაში“ ქრონოლოგიური წესით დაალაგა მისთვის ცნობილი საისტორიო წყაროები. „აღვანეთის ისტორია“ ავტორის დაუსახელებლად მოათავსა სებეოსსა (VII ს.) და ლეონდს (VIII ს.) შორის<sup>4</sup>. ეტყობა, ანეცი იცნობდა ნაწარმოების მხოლოდ პირველ ორ ნაწილს, სადაც თხრობა მიყვანილია VII ს-ის ბოლომდე. XII—XIII სს-ის ცნობილი მწერალი მხითარ გოში „აღვანეთის ქრონიკაში“ ეხება „აღვანთა ქვეყნის ისტორიას“ და ამბობს, აღვანეთის ამბები სრულად არის გადმოცემული მოვსეს დასხურანეცის მიერო, ე. ი. ნაწარმოებს მიაწერს არა მ. კალანკატუაცის არამედ მ. დასხურანეცის<sup>5</sup>. ამავე აზრისაა მისი მოწაფე და კირაკოს განძაკეცის მასწავლებელი ვანაკან ვარდაპეტიც, რომლის სიტყვით, მოვსესი არის აღვანეთის ისტორიკოსი სოფელ დასხურანიდან<sup>6</sup>. XIII ს-ის მოღვაწენი კირაკოს განძაკეცი და მხითარ აირივანეცი პირველნი არიან, რომლებიც „აღვანთა ქვეყნის ისტორიას“ აკუთვნებენ მოვსეს კალანკატუაცის. ამასთანავე, განძაკეცი მას X ს-ში მცხოვრებად მიიჩნევს, რადგანაც ათავსებს იოვანე კათალიკოსსა (X ს-ის დასაწყისი) და ეპისკოპოს უხტანესს (X ს-ის ბოლო) შორის<sup>7</sup> ზედწოდება „კალანკატუაცი“ ტექსტის იმ ცნობასთან უნდა იყოს დაკავშირებული

<sup>2</sup> სუაქიქ վարդապետ (Մադեան), Նիսքեր ուսումնասիրութեան Ալուանից պատմութեան, «Արարատ»: Վարդապետ: 1896, էջ 22—26.

<sup>3</sup> უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომეხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 359—382.

<sup>4</sup> Մխիթարայ Անեցոյ Պատմութիւն, Պետոբք. 1879 էջ 15.

<sup>5</sup> ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „აღვანეთის ქრონიკა“, ქართული წყაროთმცოდნეობა II, თბ., 1968, გვ. 34.

<sup>6</sup> Գ. Ալիշան, Հայկապատում, Վենետիկ, 1901, էջ 175.

<sup>7</sup> Մխրական Փանձակեցոյ Պատմութիւն Հայոց, Նիսք, 1961, էջ 7



სადაც ავტორი ლაპარაკობს, კალანკატუიქი არის დიდი სოფელი იმ-ვე უტის გავარში, საიდანაც მე ვარო (ნაწ. II, თ. XI), რაც შეეხება სახელ „მოვსესს“, მიუხედავად ვარაუდებისა, არ არის საბოლოოდ დადგენილი, თუ რის საფუძველზე მიეკუთვნა ის ავტორს. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიდან პირველად ეს სახელი გვხვდება 1761 წელს კათალიკოს ჰაკობ შემახეცის დაკვეთით ლუნჯიანოსის მიერ გადაწერილ ნუსხაში<sup>8</sup>.

XIII ს-ის ისტორიკოსმა სტეფანოს ორბელიანმა „სისაკანის ისტორიის“ წერისას ოცდამეხუთე და ოცდამეექვსე თავებისათვის თითქმის მთლიანად გამოიყენა „ალვანეთის ისტორია“, თუმცა არ უხსენებია არც მ. კალანკატუაცი და არც მ. დასხურანეცი. ალბათ, ჯერ კიდევ ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში ამ ნაწარმოების შესახებ ერთი გარკვეული აზრი არ არსებულა.

„ალვანთა ქვეყნის ისტორია“ საგანგებოდ შესწავლის საგანი გახდა XIX ს-ში, როდესაც დაიბეჭდა მისი ტექსტი: თხზულების გამოცემის ცდა XVIII ს-შიც იყო, როცა ალვანეთის კათალიკოსმა ნერსესმა კონსტანტინოპოლის სომეხ პატრიარქს გაუგზავნა ხელნაწერი გამოსაქვეყნებლად, მაგრამ მაშინ ამ საქმეს შედეგი არ მოჰყოლია. 1766 წელს სომეხთა კათალიკოსის სიმეონის თხოვნით ხელნაწერი უკანვე დააბრუნეს<sup>9</sup>. გაცილებით გვიან, 1841 წელს, გამოქვეყნდა ეჩმიადინის არქივებისკოპიის იოვანე შაჰატუნის ნაშრომი, სადაც აღნიშნული იყო ეჩმიადინის ბიბლიოთეკაში „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ორი ხელნაწერის არსებობა<sup>10</sup>. ამათგან ერთ-ერთის პირის საფუძველზე ნაწარმოები ფრანგულად თარგმნა და 1840 წელს პარიზში გამოსცა ევგენი ბორემ<sup>11</sup>. მისი აზრით, მ. კალანკატუაცი VII ს-ში მცხოვრები მწერალია, რადგანაც ამ პერიოდის ამბები ნაშრომში გადმოცემულია დაწვრილებით და თვითმხილველის შთაბეჭდილებას ტოვებს.

1851 წელს მარი ბროსემ ფრანგულ ენაზე დაბეჭდა ნაწყვეტები „ალვანეთის ისტორიიდან“<sup>12</sup>. მან გამოიყენა ე. წ. პეტერბურგის ხელნაწერი, რასაც საფუძველად დაედო შაჰატუნის ხელით შესრულებული პირი ეჩმიადინის უძველესი 1289 წლის ნუსხიდან.

<sup>8</sup> C. J. F. Dowsett, *The History of the Caucasiens Albanians by Movses Dasxuranci*, London, 1961, p. XVIII.

<sup>9</sup> Գ. Աղ ա ն ե ա ն, *Դիվան Հայոց Պատմութեան*, Տիֆ 1894, էջ 376.

<sup>10</sup> ვიმოწმებთ წიგნიდან: *История агван Моисея Каганкатваци*, пер. К. Патканиана, СПб, 1861, с. IV.

<sup>11</sup> E. Bore, *Nouvelles annales de voyges t. II, Histoire des Aghovanes par M. Calkantouni, extrait et traduite du manuscrit Armenien*, Paris, 1848.

<sup>12</sup> M. Brosset, *Extrait de l'histoire des Aghovans*, p. 468—494.



1869 წელს განხორციელდა „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ძველი სომხური ტექსტის ორი გამოცემა, მოსკოვში — ნ. ემინისა<sup>13</sup>, ხოლო პარიზში — კ. შაპნაზარიანის<sup>14</sup>, რომელიც წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ მ. კალანკატუაცი არის ალვანეთის კათალიკოსის ვიზროსა და ალვანეთის მთავრის ჯუანშირის თანამედროვე. ამის მიხედვით შაპნაზარიანს ნაწარმოები VII ს-ის ძველად მიუჩნევია.

პირველი სერიოზული გამოკვლევა, მიძღვნილი მ. კალანკატუაციასა და მისი ნაშრომისადმი, ქ. პატკანიანის გამოცემული რუსული თარგმანის წინასიტყვაობაა<sup>15</sup>. პატკანიანი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ორ საკითხზე, პირველი ეხება ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდს, ხოლო მეორე — „ისტორიის“ წყაროებს. მკვლევარის აზრით, ამ ნაწარმოების სამივე ნაწილის ავტორია უტის ოლქის მკვიდრი მ. კალანკატუაცი, რომელსაც უცხოვრია X ს-ში. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ მასში VII ს-ის მოვლენები გადმოცემულია ზედმიწევნითი სიზუსტით და, ამდენად, მეორე ნაწილის X—L თავები უთუოდ თვითმხილველის მიერ უნდა იყოს შექმნილი. ამის მიხედვით ასკვნის: მ. კალანკატუაციმ დამოუკიდებლად დაწერა სწორედ მესამე ნაწილი, ხოლო პირველი და მეორე ნაწილების წერისას გამოიყენა ალვანეთის წარსულთან დაკავშირებული ლეგენდები, აგრეთვე წერილები და აღწერილობები დაცული სამონასტრო ბიბლიოთეკებში, ისე, რომ არ შეუცვლია დედნის ენა.

„ალვანთა ქვეყნის ისტორიაზე“ აავი თავისი სადოქტორო დისერტაცია ცნობილმა მკვლევარმა ჰ. მანანდიანმა. მისი აზრით, „კალანკატუაცი“ გვიანი ხანის მწერალთაგან გამოგონილი ზედწოდებაა. ისინი შეცდომაში შეიყვანა ტექსტის არასწორმა გაგებამ, ხოლო ნაწარმოების ავტორად მანანდიანს მიაჩნია X ს-ში მცხოვრები მოვსეს უტიელი<sup>16</sup>. გარკვეული ინტერესი აღუძრავს ნაშრომს ნიკო მარისათვისაც, რომელმაც ძირითადად გაიზიარა ჰ. მანანდიანის შეხედულება. ამასთანავე საგანგებოდ განიხილა და რუსულ ენაზე თარგმნა „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“ წარმოდგენილი ხაზართა ტრაპეზობა (ალვანეთში მათი ლაშქრობისას VII ს-ში) და შენიშნა, რომ ჩვეულების ასეთი ზუსტი აღწერა შეეძლო მხოლოდ თანამედროვესა და თვითმ-

<sup>13</sup> Մովսեսի Կաղանկատուացույ Պատմութիւն Տղուանից աշխարհի, Մոսկվա. 1860.

<sup>14</sup> Պատմութիւն Տղուանից, արարեսլ Մովսեսի Կաղանկատուացույ Պարիս, 1860.

<sup>15</sup> История агван Моисея Каганкатваци, пер. К. Патканяна, СПб, 1861.

<sup>16</sup> J. Manandian, Beitrage zur albanischen Geschichte, Untersuchungen über Moses den Utier (Kalankatuaci), Leipzig, 1897, s. 22.



ხილველს<sup>17</sup>. ავტორის ვინაობაზე გამახვილა ყურადღება ლენინგრადელმა მეცნიერმა მ. არტამონოვმაც. მან 1936 წელს გამოაქვეყნა შრომა ხაზართა უძველესი ისტორიის შესახებ, 1962 წელს კი იგივე საკითხი უფრო გაფართოებული და გადამუშავებული სახით მიაწოდა მკითხველს. რამდენადაც „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“ არაერთხელ დაწვრილებით არის მოთხრობილი ამიერკავკასიის ქვეყნებში ხაზართა ლაშქრობის ამბები, არტამონოვი ორივე წიგნში შეეხო მის ავტორს. თვითონ ნაწარმოები მიიჩნია კომპილაციურ კრებულად, რომლის პირველი და მეორე ნაწილების შედგენა მიაწერა VII ს-ში მცხოვრებ მოვსეს კალანკატუაცის, ხოლო არსებული გადამუშავა და X ს-მდე შეავსო ამ დროის მოღვაწე უცნობმა პირმა<sup>18</sup>.

ამავე თემაზე ვრცელი ნარკვევი დაწერა ბაქოელმა მკვლევარმა ტ. ტერ-გრიგორიანმა. მისი შეხედულებითაც მ. კალანკატუაცი VII ს-ის ავტორია, რომელსაც ეკუთვნის „ისტორიის“ ორი ნაწილი, ხოლო გააგრძელა ის მეორე პირმა, კერძოდ, მოვსეს დასხურანეციმ<sup>19</sup>. იგივე მოსაზრება გაიზიარა ლ. მელიქსეთ-ბეგმა და თავის მხრივ აღნიშნა, რომ დასხურანეციმ საერთო რედაქციაც გაუქვთა მთელ ნაწარმოებს<sup>20</sup>.

ძველი სომხური ლიტერატურის მკვლევარი მ. აბელიანიც კომპილაციურ კრებულად თვლის „ალვანთა ქვეყნის ისტორიას“, სადაც მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ენის არაერთგვაროვნება (ხან გაუგებარი და მაღალფარდოვანი, ხან ნათელი და ცოცხალი) აიხსნება იმ წყაროს თავისებურებით, საიდანაც სარგებლობს ავტორი და ხშირად იმდენად მექანიკურად უდგება მას, რომ შენახულია დედნის ფორმები, რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თვითონ იყოს აღწერილი ამბების თანამედროვე. ავტორად მიაჩნია ის მოვსესი, რომელიც იყო უტის ოლქში მდებარე სოფელ კალანკატუაქიდან<sup>21</sup>.

ამავე საკითხზე განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს ნ. აკინიანი. ის უპირატესობას ანიჭებს მხითარ გოშისა და ვანაკან ვარდაპეტის

<sup>17</sup> Н. Я. Марр, По поводу русского слова „сало“, Изб. работы, т. V, Л., 1935, с. 70-72.

<sup>18</sup> М. И. Артамонов, История хазар, Л., 1962, с. 18.

<sup>19</sup> Т. И. Тер-Григорян, Критический очерк „К истории стран Алванской М. Каланкатуиского“, Баку, 1939, с. 90 (ხელნაწერი დაცულია აზერბ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქივში, ინვენტ. 991; მეორე ხელნაწ. — ქ. ქველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, Ros. 563).

<sup>20</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 87.

<sup>21</sup> М. Абеян, История древнеармянской литературы, т. I, Ереван, 1948, с. 391.







მ. კალანკატუაცის, და მის ნაწარმოებს, გათვალისწინა წინა შეხედულებანი, მაღალი შეფასება მისცა ტ. ტერ-გრიგორიანის კრიტიკულ ნარკვევს და ძირითადად გაიზიარა მისი დასკვნები<sup>27</sup>.

სამიოდე წლის შემდეგ „ალვანეთის ისტორიის“ წყაროებსა და ლიტერატურაზე გამოქვეყნებულ სტატიაში კ. ალიევმა „ალვანეთის ისტორიის“ ავტორად მიიჩნია VII ს-ის მოღვაწე მოვსეს კალანკატუაცი და, კ. შაჰნაზარიანის მსგავსად, ჩათვალა ის კათალიკოს ვიროსა და მთავრის ჯუანშირის თანამედროვედ<sup>28</sup>. სპეციალურად შეჩერდა ამავე საკითხზე 1965 წელს დაბეჭდილ წიგნში ზ. ბუნიათოვი. ის არ მიემხრო მათ, ვინც ნაწარმოები აღიარა სხვადასხვა მასალის კრებულად, არამედ გაიზიარა აზრი ორი ავტორის შესახებ (მ. კალანკატუაცი, მ. დასხურანეცი). აქვე ადგილი დაუთმო „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ იმ ნაწყვეტს, რომელიც ადრე დაკარგულად იყო მიღებული. ნაწყვეტი შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ალვანეთის მთავრის საჰლ იბნ სუმბატის გენეალოგია, ბაბექის დატყვევების გარემოება და თარიღი, სრულიად ახალი მასალა ბაილაკანელთა აჯანყებაზე და სხვ. ეს ცნობები კარგად ეთანხმებიან არაბულ-ბიზანტიურ წყაროთა მონაცემებს და სიახლესაც შეიცავენ<sup>29</sup>.

1969 წელს დაიბეჭდა „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ტექსტის თარგმანი თანამედროვე სომხურ სალიტერატურო ენაზე. მას ახლავს მთარგმნელის ვ. არაქელიანის წინასიტყვაობა, სადაც მიმოხილულია ნაწარმოების შესახებ არსებული ცნობები ძველ ავტორთა შრომებში, ლაპარაკია წყაროების საკითხზე და შეფასებულია ცალკეული თავები. არაქელიანი პირველი და მეორე ნაწილების ავტორად მიიჩნევს მ. კალანკატუაცის, ხოლო მესამეს — სხვა პირს მიაწერს<sup>30</sup>.

1977 წელს მკითხველმა მიიღო ბაქოელი მკვლევრის ფ. მამედოვას მონოგრაფია — „მოვსეს კალანკატუაცის „ალვანეთის ქვეყნის ისტორია“, როგორც წყარო ადრეშუასაუკუნეების ალვანეთის საზოგადოებრივი წყობილებისათვის“. ნაშრომის დასაწყისში მამედოვა დაწვრილებით იხილავს სხვათა შეხედულებებს ამ ნაწარმოებზე, საუბარი აქვს ხელნაწერზე, გამოცემებზე, ავტორის ვინაობაზე, დაწერის დროზე, ცალკეულ ნაწილებზე და გაკეთებული აქვს დასკვნა, რომლის მიხედვით პირველი, მეორე მთლიანად და მესამე ნაწილის დასაწყისი

<sup>27</sup> К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, Л., 1959, с. 12—15.

<sup>28</sup> К. Г. Алиев. К вопросу об источниках и литературе по истории древней Кавказской Албании, сб. „Вопросы истории Кавказской Албании“, Баку, 1962, с. 17.

<sup>29</sup> З. М. Бунятов, Азербайджан в VII—IX вв, Баку, 1965, с. 6—11.

<sup>30</sup> Մովսես Կալանկատուացի, Պատմություն Աղվանից աշխարհի. Կապանի Կ. Արաքելյանի, Նրբխան, 1969.



თავები შექმნა VII—VIII სს-ში იმ ავტორმა, რომელმაც გამოიყენა პირველ პირში დაწერილი წყაროები. მასვე მიეკუთვნება „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“ არსებული ფრაზა „კალანკატუიქი იმავე უტის გავარშია (ოლქში), საიდანაც მე ვარ“. მეორე ნაწილის მეცხრე თავიდან ბოლომდე და მესამე ნაწილის მომდევნო თავებში აღწერილი ამბები უთუოდ თანამედროვეთა და თვითმხილველის მიერ უნდა იყოს დაწერილი. 710 წლის მომდევნო მოვლენების თხრობას კი მამედოვამ მიაწერს სხვა პირს, მასავე მიიჩნევს საერთო რედაქტორად, რომელსაც თავისი შეხედულებისამებრ ისეთი ფურცლები ჩაურთავს ნაწარმოებში, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონია მასთან. მაგალითისათვის გამოდგებაო დამამთავრებელი თავი, რომელიც შეიცავს ალვანელ კათალიკოსთა სიას 999 წლამდე<sup>31</sup>.

ზემოთქმულის საფუძველზე აშკარაა „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ არაერთგვაროვნება. ის უფრო კომპილაციური კრებულის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე რომელიმე ერთი მწერლის მიერ გარკვეულ წყაროებზე დაფუძნებული ნაშრომისას. ნიშანდობლივია, რომ XII ს-ის ზოგიერთი მოღვაწე მას იხსენიებს ავტორის დაუსახელებლად და ადგილს უთმობს VII—VIII სს-თა ისტორიკოსებს (სებეოსი, ლევონდი) შორის. ხომ არ მიუთითებს ეს გარემოება იმაზე, რომ XII ს-მდე „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ბოლო, მესამე ნაწილი, ფართოდ არ იყო ცნობილი. ანდა, იქნება, ამდროის ახლო ხანებში დაიწერა. ავტორმა, გარდა იმისა, რომ მთლიანად გამოიყენა პირველი ორი ნაწილი, თავი მოუყარა მასალას მომდევნო ხანებისათვის, ხოლო რაც ვერ აღმოაჩინა, შესაბამის პერიოდზე საერთოდ არაფერი თქვა (მაგ., არ აუხსახავს ის ამბები, სადაც გამოჩნდებოდა ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ), ამ წესით თხრობა დაასრულა X ს-ის მიწურულით. მთელ მასალას გაუყეტა საერთო რედაქციას, მხოლოდ ისე, რომ არ შეუცვლია ცალკეულ მონაკვეთთა ენა. შესაძლებელია, სწორ ინფორმაციას იძლევიან მხითარ გოში და ვანაკან ვარდაპეტი, როდესაც „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ სრულ ტექსტს მოვსეს დასხურანეცის აკუთვნებენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ტრადიციის და ნაწარმოების ავტორად კვლავ მოვსეს კალანკატუაის ვასახელებთ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი „ისტორიის“ ხელნაწერებზე ცნობა გამოაქვეყნა ი. შაჰატუნიმ. ეჩმიადინის ბიბლიოთეკაში დაცული ორი ხელნაწერიდან პირველს ათარიღებდა 1279—1311 წლებით, რადგა-

— 31 Ф. Мамедова, „История Албан“ Моисея Каланкатуйского как источник по общественному строю раннесредневековой Албании, Баку, 1977, с. 14—49.

საქართველოს  
მეცნიერებათა  
ბიბლიოთეკა

17



ნაც ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით ის დაუკვეთია ვინმე ამაზასპ მა-  
მიკონიანს, რომელიც, მწერალ ზაქარია დიაკონის ცნობით, სწორედ  
ამ პერიოდში უნდა ყოფილიყო ოპანავანქის მონასტრის წინამძღვრად.  
ამავე ხელნაწერს აღმოაჩნდა სხვა მინაწერიც. მას ყურადღება მიაქ-  
ცია პირველად და გამოაქვეყნა ხ. დადეანმა<sup>32</sup>. მინაწერის მიხედვით  
ნუსხა შესრულებულია სომხური წელთაღრიცხვით 738 (1289) წელს,  
რაც საყოველთაოდ არის მიღებული. ეჩმიადინის მეორე ხელნაწერში  
აღვანელ კათალიკოსთა სია მიყვანილია 1675 წლამდე, ამდენად, ის  
XVII ს-ს განეკუთვნება. ამჟამად ცნობილი ყველა ხელნაწერი მომდინ-  
არეობს ეჩმიადინის ამ ორი ნუსხიდან. 1829 წელს თვითონ შაპატუ-  
ნიმ შექმნა ასლი ერთ-ერთი მათგანიდან. მისგან წარმოიშვა ე. წ. პე-  
ტერბურგის ნუსხა გადაწერილი ივან ნაზაროვის მიერ 1841 წელს.  
1838 წელს ე. ბორეს ასლმა საფუძველი დაუდო ორ თავრიზულ ხელ-  
ნაწერს, მათგან წარმოიშვნენ პარიზული ნუსხებიც.

1939 წელს ტ. ტერ-გრიგორიანმა ერთმანეთს შეუდარა მატენა-  
დარანში არსებული რვა ხელნაწერი. მათ შორის უძველესი 1289 წლი-  
საა (№ 1531), შემდეგი ორი XVII ს-ს განეკუთვნება, აქედან ერთი  
ზუსტი თარიღის გარეშეა (№ 1725), ხოლო მეორე დათარიღებულია  
1664 წლით (№ 2561). მომდევნო ხელნაწერები XIX ს-ისაა, კერძოდ,  
გადაწერილი ჩანან 1761 (№ 2646), 1829 (№ 2866), 1839 (№ 3043),  
1848 (№ 668) და 1855 (№ 667) წლებში.

ვ. არაქელიანს „აღვანთა ქვეყნის ისტორიის“ ახალ სომხურ ენა-  
ზე თარგმნისას, როგორც თვითონ აღნიშნავს, გამოუყენებია მატენა-  
დარანის ყველა ხელნაწერი და ცნობილი გამოცემები. ასევე ჩ. დვსე-  
ტის ინგლისური თარგმანი ითვალისწინებს დასავლეთის საცავებში  
არსებულ ნუსხებს, რომელთაგან ხუთი პარიზის ნაციონალურ ბიბლიო-  
თეკაშია (P<sub>1</sub> № 217, P<sub>2</sub> № 218, P<sub>3</sub> № 219, P<sub>4</sub> № 220, P<sub>5</sub> № 221),  
ერთი ბრიტანეთის მუზეუმში, ორი ვენეციელ მხითარანთა კოლექციაში  
და ოთხი—ვენის მხითარანთა ფონდში. ასევე გამოუყენებია ნორჯულისა  
და კონსტანტინოპოლის ხელნაწერები<sup>33</sup>.

აქვე აღნიშვნის ღირსია ერთი ფაქტი, 1676 წ. ზაქარია დიაკონმა  
განაახლა 1289 წლის ეჩმიადინის ხელნაწერი. მან ვერ შენიშნა, რომ  
ერთ-ერთი რვეული ათფურცლიანი იყო და არა თორმეტიანი, როგორც  
ყველა დანარჩენი. დაკარგული ორი ფურცელი შეიცავდა „აღვანთა  
ქვეყნის ისტორიის“ მესამე ნაწილის XX თავის ნაწყვეტს. ქრონოლო-

<sup>32</sup> სიაჯქჳ ქარդაყხო (Մադեան) Նիւքեր ուսումնասիրութեան Ազգանից  
պատմութեան „Արարատ“, Վաղարշապատ, 1896, էջ 22—26.

<sup>33</sup> ხელნაწერებზე საუბარი აქვს დაწვრილებით ფ. მამედოვას ზემოთ მითითე-  
ბულ წიგნში, გვ. 14—32.



გიურად მასში ასახულია 835—842 წწ-ის ამბები. დაკარგული ფურცლები აღმოაჩინა ხ. დადენმა და გამოსცა უჟურნალ „არარატში“. 1940 წელს ტერ-გრიგორიანმა თარგმნა ის რუსულ ენაზე, ხოლო დოკუმენტმა შეიტანა თავის ინგლისურ თარგმანში. წინამდებარე ქართული გამოცემაც შეიცავს მას.

ცალკე უნდა გამოიყოს „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ წყაროთა საკითხი. მის შესასწავლად რამდენიმეჯერ იქნა ჩატარებული სპეციალური კვლევა (ქ. პატკანიანი, ტ. ტერ-გრიგორიანი, ნ. აკინიანი, ვ. არაქელიანი). სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ნაწარმოები იშვიათად უთითებს თავის წყაროს. თუმცა გვხვდება ზოგიერთი მინიშნებანი, მაგალითად, პირველი ნაწილის IV თავში ასეთი ფრაზა მოიპოვება, „ამბობენ, არანის სახელოვან და მამაც შთამომავალთაგან ვალარშაკმა დანიშნა ათიათასიანი ჯარის წინამძღოლი“. რაზეა დაფუძნებული სიტყვა „ამბობენ“ ზეპირგადმოცემაზე თუ რომელიმე წინამორბედი მემატანის მიერ აღნიშნულ ფაქტზე, — ტექსტის მიხედვით არ ჩანს. მოყვანილი ადგილის შედარებამ მოგვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ ტექსტთან, ქ. პატკანიანი დაარწმუნა, რომ ამ შემთხვევაში კალანკატუაცის წყარო ხორენაცის თხზულება უნდა ყოფილიყო. პირველივე ნაწილის XIII თავში უფრო თვალსაჩინო მითითება მოიპოვება. აქ პირდაპირ არის ნათქვამი, ალვანეთში არანის გამეფების შემდეგ დროინდელი ამბების გარკვევაში „გვშველის ბრძენთა მამა მოვსესი“, ე. ი. — მ. ხორენაცი. მსგავსი აღნიშვნები „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ტექსტში იშვიათია, ამიტომ საჭირო გახდა საფუძვლიანი კვლევის ჩატარება. ასეთი სამუშაოს შემდეგაც, ბევრი რამ მაინც დასაზუსტებელი დარჩა.

სპეციალურად იმუშავა წყაროთა საკითხებზე ზემოთ მოხსენიებულმა ტ. ტერ-გრიგორიანმა. კვლევის შედეგად მან ასეთი ზოგადი სურათი წარმოადგინა: VII ს-ის ავტორის მოვსეს კალანკატუაცის გაუთვალისწინებია ხალხური თქმულებები და გადმოცემები. მას ხშირად მოჰყავს ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც, მკვლევართა ვარაუდით, მეტად ადრეულ ხანაში იხმარებოდა ხალხში. ბევრია ადგილობრივი წარმომობის საკუთარი სახელებიც. „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ავტორს გამოუყენებია სხვადასხვა სამოქალაქო თუ სასულიერო პირთა ოფიციალური მიმოწერა, რაც დაცული უნდა ყოფილიყო მონასტრებსა და სასახლეებში. ნაწარმოებში ხშირად ჩანს იმ მწერალთა შრომის კვალი, რომელთა შორის ზოგმა ნაწილობრივ მოაღწია ჩვენამდე, ხოლო ზოგი სავსებით დაიკარგა. მაგალითად, მეორე ნაწილის XV თავი სათაურით „შიმშილისა და ტყვეობის გაძლიერება“ — კათალიკოს ვიროს ეკუთვნის, რაც დადასტურებულია ტექსტით. შესაძლებელია, ეს თავი მხოლოდ ნაწილია ჩვენამდე მოუღწეველი



ნაწარმოებისა, რომელიც დაუწერია კათალიკოს ვიროს. ასეთივე გარაუდია მეორე ნაწილის V თავის მიმართ. აქ ვინძე ვეზიკი თავის თავზე ლაპარაკობს პირველ პირში, მისი სრული ნაშრომი კი ცნობილი არ არის. დაკარგულად ითვლება ასევე, VI ს-ის მოღვაწის პეტროს სიგნეცის ნაწარმოები. მასზე ცნობას იძლევა სტეფანოს ორბელიანი, საიდანაც აღებულია მეორე ნაწილის პირველ თავში მოთხრობილი ანდოკის აჯანყების ისტორია.

ამასთანავე, „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ავტორი უთუოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ მოვლენებს, რასაც აღგილი ჰქონდა ალვანეთის ტერიტორიაზე მის სიცოცხლეში. ის, როგორც თვითმხილველი ან უშუალო მონაწილეთაგან ინფორმირებული, ავსებდა მათით თავის მასალას. კალანკატუაციმ უხვად გამოიყენა აგრეთვე წინამორბედ ავტორთა შრომები. განსაკუთრებით მოვსეს ხორენაცისა და ელიშეს ნაწარმოებები. მაგ., პირველი ნაწილის X თავში აღწერილი ალვანეთის მეფის ვაჩეს გაქრისტიანების ამბავი ანალოგიურ თხრობას პოულობს ელიშე ვარდაპეტის „ვარდანიათა ომების ისტორიაში“, ამავე ნაწილის XI თავი შეიცავს ეპისკოპოს გიუტის წერილს, რაც დამოუკიდებლად არის შემორჩენილი და „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“ უცვლელადაა ჩართული. XIV თავი ეძღვნება სომხეთის განმანათლებელის გრიგორის მოღვაწეობას. შესატყვისი ამბები უფრო ვრცლად მოიპოვება აგათანგელოსისა და მოვსეს ხორენაცის შრომებში.

თუ შევადარებთ ქ. პატკანიანისა და ტ. ტერ-გრიგორიანის დასკვნებს, აღმოჩნდება, რომ მათი კვლევის შედეგები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. რაც შეეხება ნ. აკინიანს, მისი აზრით, ნაწარმოების რედაქტორი, რომელსაც ის პირობითად მოვსეს დასხურანეცის უწოდებს, საკმაოდ დაუდევარი უნდა ყოფილიყო. მას, თუმცა შიგადაშიგ ჩართული აქვს უშუალოდ თავის მიერ დაწერილი თავები, მაგრამ ხშირად იჩენს არასერიოზულ დამოკიდებულებას მასალისადმი. მაგ., პირველი ნაწილის VIII თავში ლაპარაკია ნაშრომის ხარვეზზე, რასაც აღმოსავლეთში არსებული მღელვარებების გამო საბუთთა დაკარგვით ხსნის. მკვლევრის მიხედვით მოვსეს დასხურანეცის შექმლო მასალის მოძებნა იმ დროს არსებულ სხვადასხვა წარწერიდან, ალვანური და სომხური არქივებიდან, სადაც ის ნახავდა თუნდაც 768 წლის პარტავის კრების ოქმებს, ასევე, შექმლო უფრო ფართოდ ესარგებლა სომეხი ისტორიკოსების კორიუნის, აგათანგელოსის, ფავსტოს ბუზანდის, ლაზარ ფარბეცის, სებეოსის, ლევონდის, თომა არწრუნის და სხვათა თხზულებებით. ამ მასალის უცოდინარობით ხსნის აკინიანი იმ დანაკლისს, რომელიც შეინიშნება „ალვანთა ქვეყნის ისტორიაში“. მიუხედავად ამისა, ის, რაც შევიდა ნაწარმოებში სავსებით სამართ-



ლიანად ანიჭებს მას საუკეთესო პირველწყაროდ მიჩნევის უფლებას.

წინამდებარე ქართული თარგმანი ძირითადად შესრულებულია 1913 წ. თბილისში დასტამბული გამოცემიდან. თუმცა ამასთანავე ითვალისწინებს როგორც ვ. არაქელიანის მიერ ახალ სომხურ ენაზე თარგმნილ ტექსტს, შეჯერებულს მატენადარანში არსებულ ხელნაწერებთან, ასევე ნაწილობრივ ჩ. დოვსეტის ინგლისურ გამოცემას, დაფუძნებულს დასავლეთ ევროპის საცავებში არსებულ ნუსხებზე. ქართული თარგმანი უკვე წარმოებაში იყო, როდესაც ისევ ვ. არაქელიანმა გამოსცა „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი<sup>34</sup>. მისი რამდენადმე გათვალისწინება მაინც მოხერხდა\*.

სამწუხაროდ, მთარგმნელისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ქართული თარგმანი სრული არ არის. გამოტოვებულია ნაწარმოების პირველსა და მეორე ნაწილებში რამდენიმე რელიგიური შინაარსის შემცველი თავი, ზოგიც არასრულადაა წარმოდგენილი. ნაკლები ადგილები მრავალწერტილითაა აღნიშნული. ასევე შემოკლებულია შესავალი და შენიშვნები.

თარგმნისას წამოჭრილი არაერთი სირთულე ძირითადად დაკავშირებული იყო ტერმინებისა და საკუთარი სახელების გადმოცემასთან. საყოველთაოდ გავრცელებული სახელები ითარგმნა საერთოდ მიღებული ფორმით. მაგ. „პავლე მოციქული“ და არა ტექსტის „პოლოს მოციქული“. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია საკუთრივ სომხურ-ალვანურ სამყაროსათვის დამახასიათებელ საკუთარ სახელებსა და ტერმინებზე, უმეტესად დედნის ფორმითაა წარმოდგენილი ისინი, მაგ. ძველ სომხურ ენაში გავრცელებული სოციალური ტერმინი „იშხანი“ ფართო მნიშვნელობით იხმარება (მთავარი, დიდებული, მმართველი და სხვ.), ამიტომ ბევრ შემთხვევაში იგი არ ითარგმნა, ზოლო თუ ტექსტის მიხედვით კონკრეტულად გარკვეულია ვისზეა ლაპარაკი, მაშინ მოტანილია მისი ქართული შესატყვისი. მაგ., „მთავარი ჯუანშირი“ და არა „იშხანი ჯუანშირი“. ასევე დედნის ფორმითაა მოტანილი უმეტესად ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ნახარარი“, „ზორავარი“, „სპარაპეტი“, „აზგაპეტი“ და სხვ., მხოლოდ იქვე მოცემულია მათი განმარტება.

ძველ სომხურ ენაში XI ს-მდე უცხო სიტყვების „ლ“ ჩვეულებრივ ასო „ლ“-თი აღინიშნებოდა. ამიტომ საკუთარ და ზოგად სახელებ-

<sup>34</sup> შიქსხეანიანი, ს. მ., *„ისტორია საქართველოს“*, ტ. 1, გვ. 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 323, 324, 325, 326, 327, 328, 329, 330, 331, 332, 333, 334, 335, 336, 337, 338, 339, 340, 341, 342, 343, 344, 345, 346, 347, 348, 349, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 357, 358, 359, 360, 361, 362, 363, 364, 365, 366, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375, 376, 377, 378, 379, 380, 381, 382, 383, 384, 385, 386, 387, 388, 389, 390, 391, 392, 393, 394, 395, 396, 397, 398, 399, 400, 401, 402, 403, 404, 405, 406, 407, 408, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 435, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 460, 461, 462, 463, 464, 465, 466, 467, 468, 469, 470, 471, 472, 473, 474, 475, 476, 477, 478, 479, 480, 481, 482, 483, 484, 485, 486, 487, 488, 489, 490, 491, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 501, 502, 503, 504, 505, 506, 507, 508, 509, 510, 511, 512, 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524, 525, 526, 527, 528, 529, 530, 531, 532, 533, 534, 535, 536, 537, 538, 539, 540, 541, 542, 543, 544, 545, 546, 547, 548, 549, 550, 551, 552, 553, 554, 555, 556, 557, 558, 559, 560, 561, 562, 563, 564, 565, 566, 567, 568, 569, 570, 571, 572, 573, 574, 575, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 598, 599, 600, 601, 602, 603, 604, 605, 606, 607, 608, 609, 610, 611, 612, 613, 614, 615, 616, 617, 618, 619, 620, 621, 622, 623, 624, 625, 626, 627, 628, 629, 630, 631, 632, 633, 634, 635, 636, 637, 638, 639, 640, 641, 642, 643, 644, 645, 646, 647, 648, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 668, 669, 670, 671, 672, 673, 674, 675, 676, 677, 678, 679, 680, 681, 682, 683, 684, 685, 686, 687, 688, 689, 690, 691, 692, 693, 694, 695, 696, 697, 698, 699, 700, 701, 702, 703, 704, 705, 706, 707, 708, 709, 710, 711, 712, 713, 714, 715, 716, 717, 718, 719, 720, 721, 722, 723, 724, 725, 726, 727, 728, 729, 730, 731, 732, 733, 734, 735, 736, 737, 738, 739, 740, 741, 742, 743, 744, 745, 746, 747, 748, 749, 750, 751, 752, 753, 754, 755, 756, 757, 758, 759, 760, 761, 762, 763, 764, 765, 766, 767, 768, 769, 770, 771, 772, 773, 774, 775, 776, 777, 778, 779, 780, 781, 782, 783, 784, 785, 786, 787, 788, 789, 790, 791, 792, 793, 794, 795, 796, 797, 798, 799, 800, 801, 802, 803, 804, 805, 806, 807, 808, 809, 810, 811, 812, 813, 814, 815, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 825, 826, 827, 828, 829, 830, 831, 832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849, 850, 851, 852, 853, 854, 855, 856, 857, 858, 859, 860, 861, 862, 863, 864, 865, 866, 867, 868, 869, 870, 871, 872, 873, 874, 875, 876, 877, 878, 879, 880, 881, 882, 883, 884, 885, 886, 887, 888, 889, 890, 891, 892, 893, 894, 895, 896, 897, 898, 899, 900, 901, 902, 903, 904, 905, 906, 907, 908, 909, 910, 911, 912, 913, 914, 915, 916, 917, 918, 919, 920, 921, 922, 923, 924, 925, 926, 927, 928, 929, 930, 931, 932, 933, 934, 935, 936, 937, 938, 939, 940, 941, 942, 943, 944, 945, 946, 947, 948, 949, 950, 951, 952, 953, 954, 955, 956, 957, 958, 959, 960, 961, 962, 963, 964, 965, 966, 967, 968, 969, 970, 971, 972, 973, 974, 975, 976, 977, 978, 979, 980, 981, 982, 983, 984, 985, 986, 987, 988, 989, 990, 991, 992, 993, 994, 995, 996, 997, 998, 999, 1000.

\* 1984 წ. ერევანში დაისტამბა „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ რუსული თარგმანი შესრულებული შ. სმბატიანის მიერ.



ში „ღ“ უფრო ხშირად ქართულ თარგმანში „ლ“-დ არის წარმოდგენილი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის სახელი სომხურ ენაში დღესაც არსებობს და გამოითქმის სწორედ „ღ“ ბგერით, მაშინ ქართულშიც „ღ“ არის დატოვებული. მაგ., იგივე „პოლოსი“, თუ ლაზარაკია ადგილობრივ პირზე.

„ალვანეთის ისტორიის“ ტექსტს ასევე მრავალი სირთულე ახლავს სტილისა და ენობრივი არაერთგვაროვნების გამო. ეს უფრო საგრძნობია რელიგიური შინაარსის შემცველ თავებში. ასეთი ადგილების გარკვევისას და, საერთოდ, წინამდებარე წიგნზე გაწეული შრომისათვის რედაქტორს უმადლის მთარგმნელი.



## აღვანთა ქვეყნის ისტორია

### წიგნი I

#### თავი I

#### შთამომავლობა ადამიდან ნოემდე

ღვთის მიერ შექმნილმა პირველმა ადამიანმა, ჩვენმა მამამ ადამმა იცოცხლა ორას ოცდაათი წელი და შვა სეთი. სეთმა იცოცხლა ፊრას ზუთი წელი და შვა ენოვი. ენოვმა იცოცხლა ას ოთხმოცდაათი წელი და შვა კაინანი. კაინანმა იცოცხლა ას სამოცდაათი წელი და შვა იაბეთი. იაბეთმა იცოცხლა ას სამოცდაორი წელი და შვა ენოქი. ენოქმა იცოცხლა ას სამოცდაზუთი წელი და შვა მათუსალა. მათუსალამ იცოცხლა ას შვიდი წელი და შვა ლამექი. ლამექმა იცოცხლა ას ოთხმოცი წელი და შვა ნოე. ნოემ იცოცხლა ზუთასი წელი და შვა სამი შვილი: სემი, ქამი და იაბეთი. სემის დაბადებიდან ასი წლის შემდეგ მოვიდა წარღვნა. ეს იყო ნოეს დაბადების მეექვსე წელს. ადამიდან წარღვნამდე იყო ორი ათას ፊრას ፊრმოცდაორი წელი და ათი მოღმა.

#### თავი II

#### იაბეთისა და მის შთამომავალთა გვარტომობის აღწერილობა

აქ მოცემულია იაბეთის საზღვრებისა და მისი გვარტომობის ზუსტი აღწერილობა.

იაბეთის საზღვრებია ის, რომელიც მიაკუთვნა მას ნოემ და ფიცს შოითხოვდა ქმათაგან, რათა არ ეწყენინებინათ ერთმანეთისათვის. ეს [საზღვრებია] მარებიდან<sup>1</sup> გადირონის ჩრდილო მხარემდე და მდინარე დკლათამდე, რომელიც მარებს ჰყოფს ბაბილონისაგან.

იაბეთის შვილები არიან: გამერი, რომლისაგან წარმოიშვნენ გომირები, მაგოგი, მისგან — კელტები და გალატელები, მადა, მისგან —



მარები, იავანი, მისგან — ჰელინები და იონები, თობელი, მისგან — თეტალქები, მოსოქი, მისგან — ლურიკიელები, თირასი, მისგან — თრაკიელები, ქეტინი, მისგან — მაკედონელები. თირასის შვილები არიან: ასქანაზი, მისგან მოდიან სარმატები, რიფათი, მისგან — სავრომატები და თორგომი, რომლისაგანაც წარმოიშვნენ ჰაიები.

იავანის შვილებია: ელისა, — მისგან სიკილიელები და ათენელები, თარშიში, მისგან — ვირქები და ტიურინელები, კიტრისი, მისგან — რომაელები, ლათინელები და ჰროდოსელები — სულ თხუთმეტი ტომი.

ამათგან გამოვიდნენ და გამოეყვნენ წარმართთა კუნძულები, როგორც მაგალითად, კვიპროსელები. კიტიაცელთაგან არიან იაბეთის შვილები. ხოლო ვინც ჩრდილოეთის მხარეებში ცხოვრობენ თანამეტომენი არიან იმ კიტიაცელებისა, რომელთაგანაც წარმოიშვნენ ავღანელები. ჰელასის ქვეყანაში ცხოვრობენ ის ხალხები, ვინც შემდეგაა იქ მოსული, როგორც აიეტელები. ადრე ესენი სახლობდნენ ათენში, ბერძენთა და თებელთა ამ შესანიშნავ ქალაქში. ის სიდოვნელები, რომლებიც კადმენის შვილის აგენოვრასაგან არიან წარმოშობილნი და კარგედოვნელები ტივროსიდან წამოვიდნენ და [სხვა ადგილას] გადაინაცვლეს.

ენათა აღრევის დროს იაბეთისაგან წარმოიშვა თხუთმეტი ხალხი. ესენი სახლობდნენ მართა ქვეყნიდან [დაწყებული] სპარიონამდე, რაც ოკეანემდე ვრცელდება და ჩრდილოეთისკენაა მიმართული. მათი ქვეყნებია: ატრპატაკანი, ალუანქი, ამაზონია, დიდი და მცირე ჰაიქი, კაბადოკია, გალატია, კოლქისი, ჰნდიკი, ბოსფორია, მეოვტისი, დერისი, სარმატია, ტავრინისი, სავრომატესი, სკიუთია, თრაკია, მაკედონია, დალმატია, მოვლისი, თესალია, ლოკრისი, ბიოვტია, ჰეტალია, ატტიკე, აქაი, პელენისი, აკარნესი, ჰუბირისტიმი, ლიურაა, ლიქნიტისი, ადრიაკე — აქედან ადრიაკიის ზღვა, გალია, სპანიის გალია, იბერია, დიდი სპანია. აქ სრულდება იაბეთის საზღვრები მიმართული ბრიტანელთა კუნძულებისაკენ და, საერთოდ, ჩრდილოეთისაკენ.

### თ ა ვ ი III

#### ხალხები, რომლებსაც მოეპოვებათ დამწერლობა

მათ შორის ვისაც დამწერლობა აქვს, არიან ებრაელები, ლათინელები, რომელთა ანბანს რომაელებიც იყენებენ, ესპანელები, ბერძენები, მარები, სომხები, ალვანელები\*. მარებიდან ჩრდილოეთით გა-

\* რა მოსაზრებით არ ახსენებს ქართველებს, გაუგებარია



დრონამდე საზღვარი გადაჭიმულია მდინარე პარგამიდოსიდან<sup>2</sup> მატუსიამდე, რაც იგივე ილიონია<sup>3</sup>. კუნძულები სიკილია, ევბია, როდოსი, ქიოსი, ლესბოსი, კითერა<sup>4</sup>, ზაკიუნთოსი, კეფალენია, ითაკე, კორონი<sup>5</sup> რია და კიულადესი<sup>5</sup>, აგრეთვე აზიის ერთი ნაწილი, წოდებული იონიად და მდინარე დკლათი, რაც ბაბილონს ჰყოფს მარებისაგან, — ეს არის იაბათის საზღვარი.

სემმა დაიკავა ქვეყნის აღმოსავლეთი მხარე, ქამმა — სამხრეთისა, ხოლო იაბეთმა — დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეები, სადაც ცხოვრობენ ალვანელები და მდებარეობს კასპიის ზღვა, — ქვეყნის დასასრული აღმოსავლეთით. ეს ხალხები დასავლეთისაკენ გაეშურნენ და მიადწიეს ტრაპიზონამდე<sup>6</sup>.

ხოლო იაბეთიდან ტიგრანამდე ორმოცდაოთხი მეფე იყო. სპარსეთის მხარეებში კი არშაკიდან არტავანამდე თოთხმეტი მეფე ითვლება და ოთხას ორმოცდაათი წელი. არტავანი მოკლა სასანიანმა არტაშირ სტაპრელმა, ამით შეწყდა მეფობა პართეველთა<sup>7</sup>, რომლებმაც სპარსეთსა და ასურეთში ბატონობა დაიწყეს ორას ორმოცდაოთხი წლით ადრე ჩვენი ცხოველმყოფელი ქრისტეს მოსვლამდე, ხოლო ბაბილონის ტყვეობიდან ებრაელების დაბრუნების შემდეგ გასული იყო ორას სამოცდაათი წელი. იგივე პართეველნი ვალარშაკიდან ვრამშაპუჰის შვილ არტაშირამდე სომხეთშიც მეფობდნენ. სულ ოცდაექვსი [მეფე იყო] ექვსას ოცი წლის მანძილზე. აქ შეწყდა არშაკუნიანთა მეფობა და წმინდა გრიგორის ტომიდან მამამთავრობა.

ხოლო თუ გსურს იცოდე ბაგრატიუნიანთა შესახებ, — სკაიორდის შვილმა პარტირმა, ჰრაჩიად წოდებულმა სომეხმა მეფემ, ჰაიკის შთამომავალმა, სთხოვა ბაბილონის მეფეს ერთი ვინმე ტყვე ებრაელთაგანი, სახელად შამბათი. ის გაეშურა და დიდი პატივით დამკვიდრდა სომეხთა ქვეყანაში. დიდებული იაბეთური საგვარეულო რომ შეწყდა, მისგან წარმოიშვა ბაგრატიუნიანთა გვარი<sup>8</sup>.

#### თ ა ვ ი I V

### ვალარშაკის მიერ ალვანთა სამთავროს დაარსება

აქ იწყება თხრობა [ალვანთა] სამთავროზე. ქვეყნისა და კაცობრიობის შექმნის დასაბამიდან მათ შესახებ, ვინც კავკასიის დიდი ქედის შემოგარენში მოსახლეობს, ნამდვილი არაფერი ვიცით მსმენელს რომ გამოადგეს. შემდეგ კი ვალარშაკ სომეხთა მეფემ, ჩრდილოეთში რომ დადგენილიყო, მოუწოდა ველურ უცხო ტომებს ჩრდილოეთის ველებიდან და კავკასიონის მისადგომებიდან, ასევე იმათ, ვინც სამხრეთის ხეობებსა და ხევებში დაბლობის დასაწყისამდე ბინადრობდა



და უბრძანა მიეტოვებინათ ავაზაკობა, კაცისკვლა და სამეფო ხარკს დამორჩილებოდნენ. შემდეგ დაუდგინა მათ წინამძღოლი და მმართველი: ვალარშაკის ბრძანებით დანიშნული მეთაური იყო ვინმე სისიანთა ტომიდან იაბეთის მოდგმისა, სახელად არანი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ალვანების მინდვრები და მთები მდინარე ერასხიდან ჰნარაკერტის<sup>9</sup> სიმაგრემდე. ამ ქვეყანას მისი სასიამოვნო ბუნების გამო ეწოდა „ალუანქი“, რამდენადაც „ალუ“ მიუთითებს სააშურზე.

ამ არანის სახელოვან და მამაც შთამომავლებიდან, ამბობენ, პართელმა ვალარშაკმა [ერთ-ერთი] ათიათასის თავი მხარის მმართველად დაადგინა ხოლო მისი ნაშიერებიდან, ამბობენ ასევე, წარმოიშვნენ უტიელთა<sup>10</sup>, გარდმანელთა<sup>11</sup>, წავდეელთა<sup>12</sup> და გარგარელთა<sup>13</sup> სამთავროს ხალხები.

ასე აღიწერა დღემდე [ალვანელთა] გვარტომობა.

## თ ა ვ ი V

ალვანეთის საზღვრებში არსებული სიუხვენი და ნაყოფიერებანი, რაც მას აქვს ადამიანის საჭიროებისათვის

უხვი და ნაყოფიერია ალვანთა ქვეყანა ყოველგვარი სიკეთით და კავკასიის უმაღლესი მასივებით. მდორედ მომდინარე მტკვარს თან მოაქვს დიდი და პატარა თევზი. [შემდეგ] მიედინება და ერთვის კასპიის ზღვას. გარშემო მდებარეობენ ნაყოფიერი მინდვრები, რომლებიც იძლევიან პურსა და ბევრ ღვინოს, ნავთსა და მარილს, აბრეშუმსა და ბამბას, ასევე უთვალავ ზეთისხილს. ხოლო მთებიდან იღებენ ოქროს, ვერცხლს, სპილენძსა და ყვითელ საკმელს, გარეული ცხოველებიდან აქ [გვხვდება] ლომი, ვეფხვი, ავაზა, კანჯარი. დიდი სიმრავლეა ფრინველთა: არწივი, შვეარდენი და მათი მსგავსნი. [ალვანეთის] დედაქალაქია დიდ პარტავი.

## თ ა ვ ი VI

იმაზე, თუ როგორ გამოგვიცხადა ჩვენ ღმერთი აღმოსავლელეგს

გარდა იმისა, რომ ვალარშაკმა ალვანეთის ტახტზე არანი დასვა, არავითარი ჭეშმარიტი ცნობა არ მოგვეპოვება მამაც ვაჩაგანამდე, რომელიც ერთიანად გაბატონდა ალვანთა მხარეებზე.



როდესაც მოაღწია სიმართლის მზის ამობრწყინების უამმა, მოგვიანლოვდა ჩვენი ხსნის შეუცნობელი არსი, დიდების შუქი და არსობის მამა მოგვევლინა, ყოველი მცნება მისი მთლიანად შესრულდა. მაშინ არსობის დიდება დაბრძანდა [ტახტზე], საიდანაც აღარ გადმოსულა\*. გააგზავნა მან ქვეყნად მქადაგებლებად თავისი წმინდა და სასურველი მოწაფეები, რომელთაგანაც ჩვენ, აღმოსავლელებს, წილად გვხვდა მოციქული თადეოსი. ის მივიდა სომხეთში, გავარ\*\* არტაზში<sup>14</sup> და იქ მიიღო მოწამებობრივი აღსასრული სომეხთა მეფე სანატრუქისაგან. [თადეოსის] მოწაფე წმინდა ელიშა დაბრუნდა იერუსალიმს და მოუთხრო თანამოციქულთ სანატრელი მოწამეობა მისი. იქ, სულიწმინდას ზემთაგონებით ეკურთხა ელიშა უფლის ძმის—წმინდა იაკობის ხელით, რომელიც იერუსალიმის პირველი მღვდელმთავარი იყო. ელიშას წილად ხვდა აღმოსავლეთი და გზას დაადგა იერუსალიმიდან სპარსეთისაკენ. შევიდა მასქუთში<sup>15</sup>, გვერდი აუარა სომხეთს და დაიწყო ქადაგება ჩორში\*\*\*<sup>16</sup>. სხვადასხვა ადგილებში მრავალი დაიმოწაფა და აზიარა საუკუნო ნეტარებას. იქიდან წავიდა უტის გავარში, ქალაქ სრაპარში<sup>17</sup> სამი მოწაფითურთ, რომლებსაც ვინმე ურჯულონი უკან დაედევნენ. ერთმა მოწაფეთაგანმა მიიღო მოწამებობრივი აღსასრული, ორმა [გადარჩენილმა] კი დატოვა ნეტარი ელიშა და უკან დაედევნა მკვლელებს. ხოლო წმინდა მამამთავარი მივიდა გისში<sup>18</sup>, ააგო ეკლესია და შესწირა უსისხლო მსხვერპლი. იქიდან წავიდა ძერგუნის ველზე<sup>19</sup> ურწმუნო კერპთაყვანისმცემელთა სამსხვერპლო ადგილას და იქ მიიღო მოწამეობის გვირგვინი. ვერავინ შეიტყო, ვინ იყო ამ საქმის ჩამდენი. იქვე, სიკვდილისჯილთა ორმოში ჩაასვენეს [ელიშას] პატიოსანი ნეშტი და დიდი ხნით დაფლეს იმ ადგილას, რომელსაც ჰომენქს უწოდებენ.

## თავი VII

აღმოსავლეთის განმანათლებლის წმინდა ელიშას ნეშტთა მოკოვება

## თავი VIII

არანიდან ალვანთა მიფე ურნაირამდე და სომეხთა მიფე თრდატამდე, რიგინად მონათხრობი ვერაფერი ვიკოვებით, ამიტომ ზერაფელ დავწერეთ ის, რისი ცოდნაც საჭირო იყო

\* ლაპარაკია ქრისტეზე და მის მოძღვრებაზე.

\*\* გავარი ოლქი, მხარე.

\*\*\* ჩორი, ტექსტში გვხვდება „ჩოლა“ ფორმითაც.



მეტად სასურველი იყო რიგიანად გვეცოდნოდა ისტორია არანის მმართველობიდან ამ ამბებამდე, მაგრამ აღმოსავლეთის მღელვარებებმა და საბუთების განადგურებამ გამოიწვია [ცნობათა ნაკლებობა], თუმცა ამ ადგილას ჩვენ გვეხმარება ქერდოლთა მამა მოვსესი\*, რომელმაც აღწერა არტავაზის ომი რომაელებთან. როდესაც [არტავაზმა] შეკრიბა ატრპატაკანის მრავალრიცხოვანი ლაშქარი, იხმო კავკასიის მთების ძლიერი ხალხებიც, ასევე ალვანთა და ქართველთა ჯარები და გაემართა შუამდინარეთში. იქ ამათი ძალით განდევნა რომაელთა ლეგიონები\*\*.

ხოლო როცა არტაშესი თავს დაესხა ერვანდს, ის ალვანეთის საზღვრებში, უტის გავარში იმყოფებოდა. იქვე მიატოვა ჯარები და გაეშურა თავისი ქალაქისაკენ. არტაშესიც მივიდა იქ, ალვანთა ჯარი შეუერთა თავისას, გავიდა გელამის ტბის ნაპირას და მათი საშუალებით გადაძევა ერვანდი, სომხეთზე კი თვითონ გაბატონდა. იმავე ხანებში ალვანელებმა მთლიანად შეიერთეს მთიელები, ასევე ქართველთა ერთი ნაწილი და დიდი ლაშქრით მოედევნენ სომეხთა ქვეყანას. არტაშესმაც შეკრიბა ჯარი მათ წინააღმდეგ და დაბანაკდა მდინარე მტკვართან. გამძაფრდა ბრძოლა, ალვანთა მეფისწული არტაშესს ტყვედ ჩაუვარდა. არტაშესმა ცოლად შეირთო მეფის ასული სათენიაკი და მტკიცე მშვიდობა დაამყარა. სათენიაკის მამა გარდაიცვალა, ვიღაც სხვამ მიიტაცა მეფობა და მისი ძმაც განდევნა. მაშინ არტაშესის ლალა სმბატი წამოვიდა დიდი ჯარით, გადაძევა მოძალადე, მამისეულ ტახტზე აიყვანა [სათენიაკის] ძმა, ხოლო თვითონ დიდძალი ალაფითა და მრავალი ტყვეთ დაბრუნდა სომხეთში. შავარშანში<sup>20</sup> დაასახლა არტაშესის გავარიდან მოყვანილი ტყვეები, არაველიანის ტომის სანახარარო\*\*\* კი ებოძა სათენიაკის გვარს, რომელიც თრდატის მამის ხოსროვ დიდის დროს დაუმოყვრდა ბასლთავან<sup>21</sup> მოსულ მამაც კაცს.

## თ ა ზ ი IX

შრნაირი რწმინას იღებს და ინათლებს წმინდა გრიგორის მიერ. ალვანელები კი ერთიანად ნათლდებიან მიწა შრნაირისაგან.

ვინაიდან ნეტარმა ელიშამ სამოციქულო საქმიანობა დაიწყო ქვეყნის განაპირა მხარეებიდან, მან განათლა აღმოსავლეთის მხოლოდ

\* იგულისხმება მოვსეს ხორენაცი.

\*\*ამ ადგილთან დაკავშირებით იხ. მ. ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ს. აბდალაძის გამოც. თბ. 1984, გვ. 268, შწმკ. 99.

\*\*\* სანახარარო, ამ შემთხვევაში სამთავრო. „ნახარარო“ საერთოდ აღნიშნავს მმართველს, ხელისუფალს, მთავარს, დიდებულს.



ჩრდილო ნაწილი და არა მთლიანად. ის თვითონ გაისარჯა თავისი ხალხის გამო და წარმატებითაც დაასრულა ბრძოლა. ხოლო იმ დროს, როდესაც ღმერთი ესტუმრა ადამიანის მოდგმას, მთელი აღმოსავლეთის მხარე გააბრწყინა დიდი კეისრის კონსტანტინეს ხელით და დიდი სომხეთიც მათგან გაანათლა ნეტარმა თრდატმა...

ალვანეთს მეფე ურნაირი სპარსეთის მეფის შაპუჰის დის ქმარი იყო, ძაღოვანი კაცი, რომელმაც უდიდეს ომებში ღირსეული სახელი დაიმკვიდრა. ხოლო სომხეთში გამარჯვების დროშა აღმართა. ის მეორედ იშვა სომეხთა განმანათლებლის წმინდა გრიგორისაგან და სულიწმინდას მიერ სხივოსილი მოვიდა და ხელმეორედ გაანათლა ალვანელები.... მისი სიკვდილის შემდეგ ალვანელებმა კათალიკოსობა სთხოვეს ყრმა გრიგორისს, რადგანაც ჯერ კიდევ ჩვენი მეფე ურნაირი ევედრა გრიგორს, რომ ხელი დაესხა მისთვის ქვეყნის ეპისკოპოსად. ასეთი წესით იცხოვრეს დღემდე სომეხთა და ალვანთა ქვეყნებმა ერთსულოვანი ძმობითა და დაურღვეველი აღთქმით.

## თ ა ვ ი    x

ალვანთა მეფე ვაჩხს უმსახებ, თუ როგორ უარყო მან წარმართული ცდომილება და მაცხოვარი ირწოუნა. უმადებ ეომა სპარსელებს და განმარტოვდა უდაბნოში წმინდა ცხოვრებისათვის

იაზკერტი თავისი მეფობის მეცხრამეტე წელს აღესრულა. მისი ორი შვილი ერთმანეთს დაუპირისპირდა და ხელისუფლებისათვის დაიწყეს ბრძოლა. ვიდრე ესენი შფოთში იყვნენ, აჯანყდა მათი დისწული — ალვანთა მეფე, ვაჩე. თანახმად მათა გადმოცემისა, რაც დადასტურებულია ურნაირისაგანაც, ის აღრევე გამხდარიყო ქრისტიანი, მაგრამ ურჯულო იაზკერტს ძალით ისევ მოგვად ექცია. ახლა იბოვა შემთხვევა [ვაჩემ] თავის გამოხსნისა და უმჯობესად მიიჩნია ომში სიკვდილი, ვიდრე ურჯულოებით მეფობა.

არიელთა ჯარში ხანგრძლივი არეულობისას, იაზკერტის უმცროსი შვილის ლალა, სახელად რაჰატი მიჰრის ტომიდან, თავისი უთვალავი ლაშქრით გაემართა მეფის უფროსი შვილის წინააღმდეგ. გაანადგურა მისი ჯარი და ხელთ იგდო მეფის ძე, რომელიც იქვე, ადგილზე სიცოცხლეს გამოასალმა. გადარჩენილი ჯარის ნაწილი დაბორჩილდა. არიელები კი გაერთიანდნენ და რაჰატმა გაამეფა თავისი აღზრდილი, სახელად პეროზი, მაგრამ ალვანთა მეფემ არ ისურვა მას



დამორჩილებოდა, არამედ ჩახერგა ჩორის ციხესიმაგრე, გავიდა გაღმა მხარეს და გადაიყვანა მასქუთთა ლაშქარიც. შეიერთა თერთმეტი მთიელი მეფე, ბრძოლით წავიდა არიელთა ურდოს წინააღმდეგ და დიდი ზიანი მიაყენა სამეფო ჯარებს. ორ-სამჯერ გაუგზავნა ვედრების წიგნი პეროზმა, მაგრამ ვერ შეძლო მისი დარწმუნება. ვაჩე წერილით და შიკრიკის საშუალებით აყვედრიდა მას სომეხთა ქვეყნის ტყუილუბრალო აოხრებას, აგონებდა ნახარართა დახოცვას და შეპყრობილთა წამებას, — „იმის მაგივრად, რომ სიცოცხლე შეგვენარჩუნებინათ სიყვარულისა და ღვაწლის წილ, თქვენ დახოცეთ ისინი. ჩემთვის უმჯობესია ტანჯვით სიკვდილი, ვიდრე ღალატისანი ცხოვრება“. როდესაც პეროზი მიხვდა, რომ მისი დარწმუნება არც ძალას შეეძლო და არც სიყვარულს, მაშინ ურიცხვი ჯარი გაგზავნა ხაილანდრთა ქვეყანაში<sup>22</sup>. გააღეს ალანთა კარი, წამოიყვანეს ჰონთა დიდი ურდო და ერთი წელი ეომნენ ალვანთა მეფეს. თუმცა ვაჩეს ჯარი შემცირდა და გაიფანტა, მაგრამ მისი დამორჩილება, მაინც ვერ მოხერხდა. პირიქით, მათვე მიიღეს უდიდესი დარტყმები, თუ ბრძოლით და თუ მძიმე დაავადებით. ხანგრძლივი ალყის გამო ქვეყნის დიდი ნაწილი გავერანდა, მაგრამ არავინ განაპირებულა მისგან.

მაშინ გაგზავნა [კაცი] მეფე პეროზმა ვაჩესთან და შეუთვალა: „გამოუშვი ჩემი და და დისწული, ეგენი ხომ თავიდანვე მოგვები იყვნენ, შენ კი აქციე ქრისტიანებად, ქვეყანა კი შენ გქონდესო“. მაგრამ ნეტარი კაცი ხელისუფლებისათვის არ იბრძოდა, არამედ ღვთის სადიდებლად. მან მიატოვა დედა და ცოლი, ასევე ქვეყანა, წაიღო სახარება და ისურვა განმარტოება.

როდესაც ესმა ეს მეფე პეროზს, ინანა და მთელი ბოროტება თავის მამას გადააბრალა. ჭეშმარიტი ფიცი დაბეჭდა და გაუგზავნა: „ოღონდ ქვეყანას ნუ მიატოვებ, რასაც მეტყვი, შეგისრულებო“. [ვაჩემ] კი ისურვა მხოლოდ თავისი საკუთარი წილი, რაც მამისაგან ჰქონდა მიღებული — ათასი სახლი. დაიმკვიდრა ეს მეფისაგანაც და დასახლდა მასში ბერებთან ერთად. ამგვარად, მშვიდად ცხოვრობდა ღვთის წყალობით და არასოდეს არ იხსენებდა, რომ უწინ მეფე იყო. ასე გაიარა მისმა ცხოვრებამ.

თ ა ვ ი X I

ეპისკოპოსო ბიუტის ღვთიური მადლით სავსე ორი  
წერილი წმინდა ვაჩესადმი



თრდატის ომი მეფისთან ალვანთა ჰვეყანაში, სანატრუკის მეფობა ალვანელეზზე და სომეხთა წინააღმდეგობა. ხოსროვის მოსვლა ბერძენთა ჯარებით, ალვანეთის აღება და დახარკვა


სომეხთა დიდმა მეფე თრდატმა შეკრიბა ჯარი, ჩავიდა ვარგართა ველზე და დაუნდობელი ბრძოლა გამართა ჩრდილოელებთან. ბასლთა მეფემ ორთაბრძოლისას სტყორცნა ქამანდი მამაც თრდატს, მაგრამ ვერ შეძლო მის ძლევა, არამედ თვითონ იქნა შუაგაპობილი მისვან.

ხოცვა-ვლელით გააძევა ისინი თრდატმა ჰონებამდე<sup>23</sup>. სომეხთა ჯარიდანაც მრავალი დაეცა, მათ შორის სომეხთა სპარაპეტი\* არტავაზდ მანდაკუნიც<sup>24</sup> დაიღუპა. თრდატიოსმა დაიტოვა მძევლები, შეიერთა ჩრდილოელები და გაემართა სპარსთა მეფე შაპუჰის წინააღმდეგ. ხოლო თრდატის სიკვდილის შემდეგ ვინმე სანატრუკი [გაბატონდა] ალვანელებზე ქალაქ პაიტაკარანში<sup>25</sup> და დაუპირისპირდა სომეხებს. მაშინ თრდატის შვილმა ხოსროვმა მოიყვანა ანტიოქოსი ბერძენთა ჯარით, ბაგრატი აღმოსავლეთის ურდოთი, ქართველთა პიტიახში მიჰრანი<sup>26</sup> და ყველა ამათთან ერთად გაემართა ალვანელთა წინააღმდეგ. სანატრუკი კი ალვანეთის ჯარით სასწრაფოდ წავიდა სპარსეთის მეფე შაპუჰთან, ხოლო ქალაქ პაიტაკარანში დატოვა დიდი ლაშქარი. ანტიოქოსმა ხელთ იგდო უთვალავი ალაფი, სამეფო ხარკი და დაბრუნდა კეისართან.

შაპუჰის ბრძანებით სანატრუკმაც შეარჩია შესაფერისი დრო, შეაგროვა ალვანელთა ჯარი, რიცხვით ოცდაათ ათასამდე და დალაშქრა შუა სომხეთი. ერთმა მხედართმთავარმა გოლიათმა, მაგრამ, მხალმა შუბოსანმა, თექვით მოსილმა ამ ბრძოლაში იერიში მიიტანა ქვიან ოშაკანზე. იარაღით თუ ეკვეთებოდნენ მას არ მოქმედებდა, არამედ სსლტებოდა. მაშინ მამაცმა ვაჟან ამატუნიმ<sup>27</sup> შეხედა კათოლიკე ეკლესიას და თქვა: „შემეწიეო“, შემდეგ აძგერა შუბი ცხენს გავაში და ვერაგი მტერი მიწაზე დასცა.

\* სპარაპეტი, მხედართმთავარი.





ზაკუში ამეფავს ტირანს\* და იცავს ჩრდილოელებისაგან, შემდეგ აბრმავებს მას. ბრძოლა ჩრდილოელებთან, არშაკის\*\* სიკვდილი, კაკის\*\*\* გამეფება, მეჭრუშანის დაღუპვა და ურნაირის ომში დაჭრა

სომეხთა მეფემ ტირანმა ზავი დადო სპარსეთთან, დახმარება გაუწია შაპუჰს და გაათავისუფლა ის ჩრდილოელთა თავდასხმებისაგან, რომლებიც ოთხი წელი ბინადრობდნენ ალვანეთში და ავიწროვებდნენ სომეხთს. შემდეგ ბოროტი ზნეობის გამო შაპუჰმა დააბრმავა ტირანი, ხოლო მისმა შვილმა არშაკმა მიიღო მეფობა. ამავე დროს შაპუჰს აღუდგნენ ჩრდილოეთის ტომები. მაშინ გადავიდა ის ბიეთანიას და დაჰყო იქ რამდენიმე თვე, მაგრამ ვერ მოახერხა რაიმე გეგმეებინა. მხოლოდ აღმართა სვეტი ტბის პირას ზედ გამოსახული ხვადი ლომით, რომლის ფეხებთანაც ძუ ლომი მოათავსა. ხვადი გამოსატყვდა სპარსეთს, ძუ კი — რომს.

გარდაიცვალა არშაკი და გამეფდა პაპი. აჯანყდა მეჭრუჟან არწ. რუნი<sup>28</sup>. მიზნად დაისახა მოესპო აქიტოფელი<sup>29</sup>. მოხდა დიდი ბრძოლა პაპსა და მეჭრუჟანს შორის, მაშინ დაიღუპა ლეკების მეფე მამაცი შერგირი სპანდარატ კამსარაკანის<sup>30</sup> ხელით. იქვე დიდი ჭრილობა მიიღო ალვანთა მეფე ურნაირმა ვასაკის შვილის მუშედ მამიკონიანის<sup>31</sup> მიერ. წმინდა ნერსეს ლოცვებით სმბატ სპარაპეტმა ბაგრატუნიმ მეჭრუჟანს თავზე გავარვარებული რკინის გვირგვინი დაადგა და ისე მოკლა.

თ ა 3 0 X I V

მოკლე ცნობა სომეხთა განმანათლებლის წმინდა ბრიგორისა და მის ნებარ უვილთა შესახებ. ამასთანავე დიდი წმინდა ბრიგორის უვილიწვილისა და ვრთაენისის უვილის წმინდა ბრიგორისის ხელდასხმა ალვანთა და ქართველთა კათალიკოსად<sup>32</sup>. მისი მოსვლა ალვანეთს კვიჟენის განმანათლებლად, შემდეგ მოწამეობა და მის ნეშტთა მოკოვება

ერთ ვინმე უფლის მოწაფეთაგანს, სახელად თადეოსს, როგორც აღრეც ვთქვით, წილად ხვდა სომეხთა ქვეყნის ერთი ნაწილი. მან

\* ტირანი (338—345)

\*\* არშაკი (345—367)

\*\*\* პაპი (369—374)



განათლა აგრეთვე აღმოსავლეთის ზოგიერთი მხარე, ვიდრე მოვიდოდნენ სანაქებო მეზობლი და სამეზის ნეტარი გრიგორი სომეხთა მეფის ხოსროვის სიკვდილის შემდეგ. [ხოსროვი] მზაკერულად მოკლავდა გრიგორის მამამ ანაკ პართეველმა, თვითონ კი გაქცევისას დაიხრჩო მდინარე ერასხის წყალში. აი, ამ დროს ვინმე ლალებმა გააქციეს ნეტარი გრიგორი ბერძენთა ქვეყანაში და გადაარჩინეს. ეს მოხდა დიდი ღვთის განგებით, მსგავსად მოსე პირველი წინასწარმეტყველისა, რომელიც ლერწმის კალათით შევიდა წყალში და ამით გადაურჩა ფარაონის უღვთო ხელს\*, რათა შემდეგ ეხსნა ღვთიური ხალხი ეგვიპტელთა მტანჯველი მონობისაგან. ასევე ყოვლად წმინდა გრიგორი გადარჩენილი სომეხ ნახარართა მახვილისაგან, თავს აფარებდა რათა ეხსნა სომეხთა ქვეყანა და მთელი აღმოსავლეთის მხარეები. ის ისე იყო დამალული საბერძნეთში, როგორც კაპარჭში საგანგებო ისარი, რომლითაც კოდავდა და ხოცავდა უხილავ მტერს. გამორჩეული თავის დედის მუცლიდანვე და განწმენდილი საშოში, ძლევაშისილი მოწამე, ამასთანავე მოციქული და ღირსეული მღვდელმთავარი ებოძა თორგომთა ქვეყანასა და ასქანაზის შთამომავლებს.

იქ აღზრდილმა ნეტარმა გრიგორმა შეიმეცნა ქრისტიანული რწმენის ძალა, სამოციქულო და მხნე გაბედულებით წარდგა სომეხთა მეფის თრდატის წინაშე. გულწრფელობითა და სიტყბოებით ეწეოდა მის სამსახურს. დანდობილი იყო პავლეს სიტყვებზე: [როგორც] კრძალული სიმხნევით ემსახურებით ძალთა უფალს, ასევე [უნდა ემსახუროთ] ხორციელთა უფალთა და არა თვალისასახვევი სამსახურით და მორჩილებით.\*\* იქ შეეძინა მას ორი შვილი არისტაკესი და ვრთანესი.


ხოლო მეფემ, ცდუნებულმა კერპთა სხვადასხვა ბილწი მსახურებით, ხელყო ქრისტეს ყოვლადწმინდელ მოწამე და ბოროტი ვიშაპის დახმარებით მოისურვა დამლუპველ უფსკრულში დაემონებინა ის ღმერთების უწმინდური სამსახურისათვის. მრავალი ნაირნაირი სატანჯველით აწამა წმინდანი, მაგრამ ვერ შეძლო შეერყია ნეტარი [გრიგორის] მტკიცე რწმენა. პირიქით, დღითიდღე უფრო მხნედ იბრძოდა და გაიმარჯვა კიდევ ხილულ და უხილავ მტრებზე.

რადგანაც საშუალება ვერ გამოიხატა აეცდინა ეს თავდადებული კაცი ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის, მაშინ ეშმაკის შთაგონებით მისმა ბოროტმა ხელქვეითებმა წაიყვანეს ქალაქ არტაშატში და ჩაადგეს წმინდა გრიგორი ღრმა ხაროში, სადაც ცამეტი წელი გაატარა გველების სადგომ ადგილზე, ვიდრე სხვა ნეტარი ქალები — პრიფსიმე და

\* შდრ. მეორე გამოსვლათა 8. 20—21.

\*\* შდრ. ეფესელთა 6, 5—6.





გაიანე ოცდათხუთმეტ ამხანაგთან ერთად იმავე სომეხთა მეფისაგან არ აღესრულნენ და ამ ნეტართა გვამები ღია ადგილას არ დაყარეს.

ამის შემდეგ ყოვლად ძლიერმა ღმერთმა თვალი ჰკიდა ნეტარ გრიგორს და წმინდა ჰრიფსიმეს ნეტარ თანამოწამეებს, ხოლო სომეხთა ქვეყანას დიდი სასჯელი გაუგზავნა. თუმც ეს სასჯელი კი არ იყო, არამედ დიდი წყალობის ნიშანი. როგორც, მაგალითად, მამა დაარიგებს საყვარელ შვილს და თვალთაგან მოიცილებს გაუცხოებულ შვილობილს. იგივე ეშმაკები კი, რომლებსაც მსხვერპლთა და შეწირულებებით აღიღებდნენ, როგორც მტერზე მისეულებს, ისე აცოფებდნენ მათ, რომ თავიანთსავე ხორცს აჭმევინებდნენ. გარდა ამისა მათმა მეფემ ღორის სახე მიიღო, რის გამოც ლერწამში იმალებოდა. ამ დროს საშინელმა შიშმა და ძრწოლამ მოიცვა ყველა. იმდენად, რომ სიცოცხლის მოსპობას ელოდნენ ქვეყანაზე. ვიდრე დიდიდან პატარამდე ამ შიშსა და ძრწოლაში იყვნენ, ღვთის წყალობით მოველინა ანგელოზი ღამის სახით ერთ ქალს, სახელად ხოსროვდუხტს, რომელიც სომეხთა მეფის თრდატის და იყო და უთხრა: „შეუძლებელია თქვენი ხსნა ამ გვემათაგან, მხოლოდ წმინდა გრიგორი თუ გიხსნით. წადით, ამოიყვანეთ ის ხაროდან“. გაიღვიძა თუ არა მოუთხრო [ხალხს] ეს სიზმარი, მაგრამ ყველა აჩუმებდა ქალს, ჰკიცხავდა და ეუბნებოდა: „შენც ეშმაკეული ყოფილხარ, ახლა მისი ძვლების პოვნაც კი შეუძლებელია“. მაგრამ, როდესაც განმეორდა და გასამდა მოჩვენება, აღელვებულნი გვემათა შიშით, მივიდნენ ხაროს პირთან მორწმუნენი და ბორძიკით ჩასძახეს ღვთის სიტყვით: „გამოდი გარეთ, თუ ცოცხალი ხარ“. მან სწრაფად აცნობა, რომ ცოცხალი იყო. მაშინ სიხარულით ამოიყვანეს და წაიყვანეს სომხეთის მეფის სატახტო ქალაქ — ნორქალაქში. ამის შემდეგ ეშმაკები ძალით იჭერდნენ ხალხს და მიჰყავდათ დიდი გრიგორის წინაშე. ისინი გაცოფებულნი საკუთარ ხორცს იჭამდნენ. ეშმაკებმა აგრეთვე ამოიყვანეს ლერწმიდან და მიიყვანეს წმინდანის წინაშე მეფე [თრდატი]. მუხლებზე დაძხობილი დიდი გრიგორი ცრემლებით ევედრებოდა ყოვლად მოწყალე ღმერთს ეხსნა გაუბედურებული ხალხი. მაშინ წმინდანის ლოცვებით სასწრაფოდ მიიღეს განკურნება სხეულის ტანჯვათაგან და ამასთანავე განათლდნენ სულიერად.

არავის შეუტყობინებია [წმინდა გრიგორისათვის] ამბავი ნეტარ ქალთა, რომლებმაც მოწამეობის გვირგვინი მიიღეს, ვამბობ ჰრიფსიმესა და მის ამხანაგებზე, არამედ, თვითონ მან ხაროში წინასწარმეტყველური თვალით დაინახა ქრისტეს ნეტარ მოწამეთა მარტვილობა და იკითხა: „სად არის წმინდანთა ნეშტი?“, ხოლო ხალხი გაკვირებული ამბობდა, „ვინ წმინდანებზე ამბობსო“, მაგრამ, როდესაც გაიგონეს მისგან გვირგვინდებულთა სახელები, მაშინ გაახსენდათ და აჩვენეს



ღირსეული და ყოვლადწმინდა მათ ძვალთა ნაწილები. აიღო გრიგორ-  
მა და შეახვია ისინი მათსავე დაფლეთილ ტანსაცმელში. არაგის მის-  
ცა ნება ნეტართა ღირსეულ ნეშტს მიახლოვებოდა მანამ, ვიდრე გან-  
წმენდილი არ გამოვიდოდა ხსნის ემბაზიდან. დააწყო ნეშტი განსას-  
ვენებელზე, იმ ადგილას, სადაც გვირგვინით შეიმოსნენ წმინდანნი.

მთელ სომეხთა ქვეყანას მოძღვრავდა და არიგებდა, აღ-  
ბეჭდავდა მაცხოვრებელი ჯვრით, ანათლებდა ხსნის ემბაზში მო-  
ნათვლით და ღირსს ხდიდა მიელო გამოუთქმელი სულიერი მად-  
ლი უფლის ცხოველმყოფელი ხორცისა და სისხლის გემებით  
არ უნდოდა თვითონ ყოფილიყო მღვდელმთავრის ტახტის მფლობელი.  
მაშინ მივიდა დიდ გრიგორთან ღვთის ანგელოზი და უთხრა: არ გვმართებს  
თავმდაბლურა ურჩობა და სიჯიუტე. არამედ ამით უნდა გამხნევდე და  
ღვთის მადლით ხელმეორედ მიიღო გარდაუვალი პატივი. ამის შემ-  
დეგ გახდა ის მღვდელმთავარი, წავიდა და ანათლებდა ქართველთა  
და ალვანთა ქვეყნებს<sup>33</sup>. ხოლო მისული ჰაბანდის<sup>34</sup> გაეარში, ასწავ-  
ლიდა და არიგებდა მათ დაეცვათ ძე ღვთისას მცნებანი. ამასთანავე,  
საფუძველი ჩაუყარა ეკლესიას დაბა ამარასში და მოიყვანა მუშახელი  
და საქმის გამძღოლნი ეკლესიის ასაშენებლად. როდესაც სომეხთა ქვე-  
ყანაში დაბრუნდა, თავის ნაცვლად აკურთხა თავისივე შვილი ვრთა-  
ნესი მღვდელმთავრის ტახტზე და უბრძანა ეცხოვრა მამისებურად, რა-  
თა გამხდარიყო სარწმუნოების შემწე. ის მართლაც სწორსა და წრფელ  
ცხოვრებას ეწეოდა, სჯიდა და არიგებდა იმით, რომელნიც სიბილწის  
თაყვანისმცემელ „წვალებაში“\* აღმოჩნდებოდნენ. კიცხავდა მეფის  
ცოლს საშინელი სიძვისათვის. როდესაც შევიდა ტარონის გაეარის ეკლე-  
სიაში ღვთიურა წმინდა წესის შესასრულებლად, შეიკრიბა ბოროტი და  
სიბილწის მოთაყვანე დიდძალი ხალხი, რათა მოეკლათ ნეტარი [კაც] მ-  
მეფის ცოლის შთავგონებით. როცა ისინი ეკლესიის კარიბჭისაკენ გაი-  
ჭრნენ, კეთილისმყოფელი ღვთის ბრძანებით ეშმაკთაგან გათოკილი,  
კისერმოგრეხილი და გაშტერებული აღმოჩნდნენ. ამასთანავე, ყვე-  
ლანი დამუნჯდნენ მანამდე, ვიდრე ნეტარი [ვრთანესი] საღვთო საი-  
ღუმლოს ასრულებდა. როდესაც ის გარეთ გამოვიდა, გაოცდა და მი-  
ზეზი იკითხა, მაშინ აღიარეს მათ თავიანთი ბოროტი განზრახვა და  
მეფის ცოლის სურვალი. იმან გააგრძელა ლოცვანი, ხელის დადებით  
ყველა მათგანი განკურნა და დაარიგა არ ჩაედინათ რაიმე ბოროტება,  
არამედ მონანიებით მოეპოვებინათ შენდობა.

მას ჰყავდა ორი შვილი, ერთს ერქვა ჰუსიკი, რომელიც ეწეოდა  
სათნო და წმინდა ცხოვრებას და ამანაც დაიდგა მოწამეობრივი გვირ-

\* „წვალება“, ერესის მნიშვნელობითაა ნახმარი.



გვინი აღმსარებლური ცხოვრებით. როდესაც მიადწია მამის სამღვდელმთავრო ტახტს, დაუწყო კიცხვა მეფეს ცოდვებისა და ბოროტმოქმედებისათვის. ხოლო იმან ბრძანა იქვე, ეკლესიაში კეტით მოეკლათ მეორეს სახელად ერქვა პაპის სახელი გრიგორი და იყო სათნოებით მგავსი და თანასწორი მისი ცხოვრებისა. საერთო წესით არ დაქორწინებულა, არამედ უნდოდა და მიისწრაფოდა მიეღო მამისეული სულიერი მემკვიდრეობა. ყრმობის ასაკიდანვე ვარჯიშობდა საღვთო წიგნების შესწავლაში, ხორციელ გრძნობას თრგუნავდა მარხვითა და ლოცვებით, ხოლო სულს ინათლებდა რწმენის სიყვარულით. მან ჩქარა მიიღო თავისი პაპის, დიდი გრიგორის ზებუნებრივ სიმაღლეთა ორმაგი პატივი: ებოძა მღვდელმთავრის ტახტი და მოწამეობის უმაღლესი გვირგვინი. თხუთმეტი წლის ყრმა ხელდასხმული იყო ეპისკოპოსად ქართველთა და აღვანთა ქვეყნებში\*. დადიოდა და ანათლებდა ორივე ქვეყანას და მოძღვრავდა ქრისტეს სარწმუნოებით ეგლოთ. აშენებდა ეკლესიებს წესისამებრ ქალაქთა... აკურთხებდა მღვდლებს, ამხნეებდა მათ სიწმინდის სამსახურისათვის და წმინდანთა მოსახსენებლად. კეთილი შუროთ ინთებოდა სამოციქულო ჭეშმარიტების მიმართ და ასრულებდა ღმრთის განხორციელებული ძის ბრძანებას. დადიოდა წარმართებს შორის, ნათლავდა მათ მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით. ასწავლიდა დაეცვათ უფლის ყველა მცნება და არ დახარბებოდნენ ოქრო-ვერცხლსა და სპილენძს, არც ქისასა და კვერთხს. ყველა ამისაგან თავშეკავებით, ნეტარმა თავისთვის აიღო ღირსეული და საუცხოო ჯილდო — იოვანეს მამის, დიდი მღვდელმთავრისა და მოწამის ზაქარიას ძვირფასი სისხლის ნაწილი და ნეშტი წმინდა პანტალეონისა<sup>35</sup>, რომელიც აღიარებდა ქრისტეს ჭეშმარიტ აღსარებას და აღესრულა ქალაქ ნიკომედიაში<sup>36</sup>.

მან წაიღო ყოვლადწმინდა ნაწილები აღვანეთის სამფლობელოს დიდ ქალაქ კრიში<sup>37</sup>, ააშენა პატარა ეკლესია და შიგ დიდი სიფრთხილით მოათავსა ზაქარიას სისხლის მცირე ნაწილი და წმინდა პანტალეონის ნეშტი. დატოვა იქ ერთი ხუცესი, სახელად დანიელი მსახურად და ქრისტეს მოწამეთა სამეთვალყუროდ. თვითონ წაიყვანა თავისი კეთილმორწმუნე მოწაფეები, თან წაიღო ქრისტეს ბრძანებით წმინდა ზაქარიასა და ნეტარი პანტალეონის ნეშტთა მეორე ნახევარი და წავიდა მასქუთთა ქვეყანაში. წარდგა მასქუთთა მეფის სანესანის წინაშე, რომელიც იყო არშაკუნიანთავე გვარიდან. ქადაგებდა ენით უთქმელ სამების შესახებ, ერთ შემოქმედ ძალაზე, განხორციელებულ ღვთის სიტყვებზე, მის მიერ ქვეყნად ქმნილ მრავალ და ნაირნაირ სასწაულზე — ჯვარცმასა და სიკვდილზე, მესამე დღეს აღდგომასა და

\* იხ. შენიშვ. 32.



იმავე ხორცი თუ ცაში ამალღებაზე, აგრეთვე მეორედ მოსვლისას ცოცხალთა და მიცვალებულთა განსჯაზე. სიხარულით მიიღეს და პირველად ერწმუნენ სახარების სიტყვებს. მაგრამ უბოროტესი სატანა შევიდა მათ გულში და აქეზებდა ღვთის ცხოველმყოფელი მცნების წინააღმდეგ. დაიწყეს ცილისწამება ნეტარის ჭეშმარიტად მოძღვრული სიტყვების მიმართ, რადგანაც ის თავის ქადაგებაში გამოთქვამდა მწყალობელი ღმრთის ასეთ ნებას: არ მიიტაცო, არ იყაჩაღო, არ იქურდო, არამედ იზრომე ხელებით, დატკბი ადამიანურად და იყავ ნეტარი ღმრთის მიმართ. ისინი კი ამბობდნენ: „სომეხთა მეფის ცბიერებაა ეს, უნდა ხელი აგვადებინოს სომეხთა ქვეყნის ძარცვაზე, აბა, რით ვიცხოვროთ თუ არ ვძარცვეთ და მივიტაცეთ?“ შემდეგ მეფეც მიიმხრეს თავიანთ ბოროტ ცბიერებაში, შეიბყრეს ყრმა გრიგორისი, გამოაბეს გაუხედნავი ცხენის კუდს და გაუშვეს ვატნეას ველზე<sup>38</sup>. ასე დაგვირგინდა წმინდანი, რომელიც ასწიეს მისმა მოწაფეებმა და წაასვენეს ჰაბანდის გავარში მდებარე პატარა ქალაქ ამარასში. იქ დაასვენეს საკურთხევლის მახლობლად.

ზაქარიას წმინდა სისხლი მოთავსებული იყო მინის ჭურჭელში, ასევე, მეორე ჭურჭელში ნეტარი პანტალეონის ნაწილები დაასვენეს ყრმა გრიგორისის ყოვლადწმინდა ნაწილებთან ერთად. თვითონ გაიქცნენ სომხეთში, რადგანაც სანესანი დიდი და უთვალავი ჰონთა ჯარით მოისწრაფოდა სომეხთა ქვეყნისაკენ. ღვთის წყალობით სომეხ ნახარარებს ძალა მიეცათ, რათა შური ეძიათ ღირსეული ყრმის, წმინდა გრიგორისის გამო. უამრავი ჯარი მოისრა. არ დარჩენილა სამწუხარო ამბის მიმტანიც კი მასქუთთა ქვეყანაში, რადგანაც ყველამ სისხლი დაღვარა და თავიანთ თანატოლთა მახვილისაგან დაიღუპა.

ამ დროს ციხექალაქი ცრი აჯანყდა ალვანთა მეფის წინააღმდეგ და გადავიდა სპარსეთის მეფის მხარეზე. მოვიდნენ არგესელები<sup>39</sup>, დაიკავეს ქალაქი, იპოვეს ყრმა გრიგორისის მოწაფე ხუცესი დანიელი, [რომელიც დატოვებული იყო] სიწმინდეთა მსახურებისათვის და ერთი ჭილბი<sup>40</sup> ყრმა — ნაპოვნი ამ ხუცესისაგან, ქრისტიანულად ბეჭედდასმული. მან, როდესაც შეიტყო ქრისტეს სარწმუნოების შესახებ, ირწმუნა და მიიღო კიდევ ქრისტიანობის ბეჭედი. შემდეგ, იქვე დაემოწაფა ხუცესს, რომელსაც სურდა გაეწაფა ქრისტიანულ ცხოვრებაში. ისინი ორივე შებორკეს და აწამეს. აიძულებდნენ თაყვანი ეცათ უწმინდური ემმაკისათვის. როდესაც ვერ შეძლეს ძალდატანებით ჭილბელი ყრმის მოღრეკა, დაუწყეს ხვეწნა და ეუბნებოდნენ: „ჩვენი ქვეყნის კაცი ხარ, მოიქეცი ჩვენი სურვილისამებრ და ღირსეულს გაგხდით სამთავროში“. მაგრამ ნეტარმა უპასუხა: „უმჯობესია ქრისტეს სახელისათვის ხუცესზე უწინ მოკვდე, ვიდრე ვიცხოვრო ცოდვილთა ჭერქვეშო“. მაშინ სასწრაფოდ ხმლით თავი მოკვეთეს




ორივეს. მათ მიიღეს ნეტარების გვირგვინი და მოწამეობის უმშვენიერესი განძი — გამარჯვება, თავიანთ სულიერ ძაძა ყრმა გრიგორისთან ერთად. ვინმე ასურელმა ბერებმა ასწიეს, წაასვენეს ისინი სოფელ ჰაკუში და იქ დაკრძალეს. იმ აღგილას კი მონასტერი ააშენეს. ამბობენ, დღემდე ასვენია იქ წმინდანთა ნაწილები.

ეს ამბავი მოხდა ალვანეთის მეფის მამაცი ვაჩეს დროს. ნეტარ მოწამეთა ყოვლადწმინდა ნაწილები დაფლული იყო ალვანთა მესამე ღვთისმოსიში მეფის, იაზკერტის შვილის, წმინდა მეფე ვაჩეს ძმის ვაჩაგანის მეფობაშიც. მამაც ვაჩაგანიდან ვაჩემდე ალვანთა ცხრა მეფე იყო, ხოლო კეთილმსახური და ღვთისმოყვარე ვაჩაგანი ალვანთა მეთათე მეფეა.



ხელისუფალთა სახელეზის სია, რომელიც გვაცნობს მათ  
იაბეთიდან და არანიდან მისამი ვაჩაბანამდე



იაბეთი, გამერი, თირასი, თორგომი, ჰაიკი, არამანეაკი არამაისი, ამასია, გელამი, ჰარმა, არამი და მასთან ერთად აბრაჰამი, არა მშვენიერი, მასთან ერთად ისაჰაკი, ანუშვანი, პარეტი, არბაკი, ზავანი, ფარნაკ სური, მასთან ერთად იესუ, ჰენაკი, ვაშტაკი, ჰაიკაკი, ამბაკი, არნაკი, შავარში, ნორაირი, ესტამკარი, გორაკი, ჰრანტი, უნძაკი, დლაკი, ჰორო, ზარმაირი, პერჭი, მასთან ერთად დავითი, არბუნი, ბაზუკი, ჰოი, იუსაკი, კაიპაკი, სკაიორდი, ამან მიილო გვირგვინი ბაბილონელთა მეფისაგან, პარუირი, ჰრაჩია, ფარნავაზი, პაჭიჭი, კორნაკი, ფავოსი, მეორე ჰაიკაკი, ერვანდ დღემოკლე, ტიგრანი.

ამათი მოდგმიდან აღვანთა მმართველად განწესდა არანი. არანიდან მამაც ვაჩაგანამდე, რომელიც არშაკუნიანთა დიდ გვარს ეკუთვნოდა, რა დრო გავიდა, არავინ იცის. ხოლო აღვანთა სახლის მეფეები რიგის მიხედვით ესენი არიან: ვაჩაგან მამაცი, ვაჩე, ურნაირი, ვაჩაგანი, მერჰავანი, სატო, ასაი, ესვალენი, ვაჩე, შემდეგ ღვთისმოშიში ვაჩაგანი — აღვანთა მეფე. ამასთან ბევრი ქრისტეს მოყვარე იყო და კეთილი ცხოვრებით ცხოვრობდა. თითოეულმა თავის დროს მიიღო აღსასრული, მაგრამ არც ერთ მათგანს ისეთი ღვთიური და სულიერი დაფარული განძი არ გამოცხადებია და არ მიუღია, როგორც ერგო აღვანთა ღვთისმოსავ მეფეს — უკანასკნელ ვაჩაგანს. სპარსეთის მეფის პეროზის ბრძანებით ვაჩემ ააშენა დიდი ქალაქი პეროზაპატი, რომელსაც ახლა პარტავს ეძახიან.

აღვანელთა ცხოვრება, ყოფა და ფისწყობილება, რომელიც  
დაადგინა მეფე ვაჩაბანამ. წმინდანთა ნაწილების აღმოჩენა

ოცდაათი წელიწადი, ვაჩედან ღვთისმოშიშ ვაჩაგანამდე უმეფოდ ცხოვრობდა აღვანელთა ქვეყანა, რადგანაც უბოროტესი და ურჯულ სპარსეთის მეფე პეროზი გამძვინვარდა და გაშმაგდა როგორც ცოფიანი ძაღლი, უნდოდა აღმოეფხვრა მეფობა მთელს ქვეყანაზე, ერთიანად შეერყია ეკლესიები, მოესპო ქრისტიანული წესი და განემტკიცებინა თავის სამფლობელოში კერბთთაყვანისმცემლობა. ქრისტეს ყოვლად წმინდა მოწამეთა სისხლი უწმინდურ ხელთაგან მიწაზე ინთხეოდა. უთვალავი უცოდველი ადამიანი იღუპებოდა ბოროტი მა-



ხვილით. ბავშვიანი ქალებიც კი ცრემლებით და გოდებით ტყვეებად მიჰყავდათ უცხო ქვეყანაში.

სომეხთა, ქართველთა და აღვანელთა მრავალი ნახარარი კერბთაყვანისმცემელ მოგვად აქციეს, ზოგი ძალადობით, ზოგი საჩუქრებითა და მაღალი ხელისუფლების ბოძებით. სხვადასხვა ადგილებში ატრომანთა აღმართვით ძლიერდებოდა ცეცხლმსახურება ბილწ კერბთა [წინაშე]. მზაკვარი სატანის სხვადასხვა სექტები აცდუნებდნენ აღვანთა ქვეყნის გაუბედურებულ ხალხს. ყოვლად უწმიდური ზოგს ბრალს სდებდა აჯანყების მომიზეზებით, ბორკილებითა და საპყრობილეებით აშინებდა და უნებურად მოგვობაზე იყოლიებდა. მათთან ერთად ვაჩაგანიც ძლიერი და მზაკვარი მეფის ძალდატანებით უნებურად ერწმუნა მოგვობას, მაგრამ ფარულად მუდამ ლოცვებს, მარხვასა და ქრისტეს აღსარებას ესწრაფოდა. ყოვლადმოწყალე ღმრთის მოხედვამდე იღვრებოდა ქრისტეს წმინდა მოწამეთა სისხლი, ინგრეოდა წმინდა ეკლესიები, მახვილით იცელებოდნენ მოხუცები და ახალგაზრდები, ტყვევდებოდნენ ქალები და ბავშვები, იღუპებოდნენ უცოდველი სულელები, რომლებიც მოგვობით იყვნენ დაუძლურებულნი. ... მაგრამ ღვთიურ ძალთა ბრძანებით მოვიდა ძლიერი ტომი ჰეფთალთა<sup>41</sup>, რათა დაეცხრო საშინელი გულისწყრომა უფლისა. უპირველეს ყოვლისა ძირს დასცეს და ხმლის პირით მოსრეს მის თვალწინ მისი შვილები — ბოროტების ნაშაერნი, შემდეგ, — ქვეყნის მთელი ნახარარები და მხარეთა მმართველები, მათთან ერთად მდაბიონი და უთვალავი სიმრავლე ჯართა. ხოლო თვითონ მეფე, უბოროტეს პეროზზე ვლაპარაკობ, ხმლით მოცელეს, ჩაკარგეს ურიცხვ გვამებში და სახედარივით დამარხეს...

## თ ა ვ ი XVII

ვალარშაკის გამეფება, ვაჩაგანი მისგან ლეჟულოვს  
თავის [კუთხვინილ] ალვანელთა სამეფოს

მზაკვარი პეროზის ტანჯული სიკვდილით ქვეყნიდან აღმოფხვრის შემდეგ მის ნაცვლად გამეფდა მისი მამის ძმა — ვალარშაკი. აღსრულდა ვაჩაგანზე უფლის ნათქვამი სიტყვა: რომელმან ქმნას და ასწავლოს, განდიდდეს ღვთის სამეფოში. ასე იქცეოდა ღვთის მოყვარული მეფე ვაჩაგანიც. ის ადრევე თვითონვე შემობრუნდა ცოდვილი საქმიანობიდან და ბოროტი გზიდან. მან გააკეთა მრავალი სხვადასხვა სიკეთე და ბევრი მხარე ბილწი ეშმაკის მსახურებიდან მოაქცია წმინდა და სწორ ღვთისმსახურებაზე. კეთილი მონანიებით შეავსო ეს სათნოება. თავისი ქვეყნის ნახარარები კი, რომლებმაც ადრე მოგვობით შე-



უბლალეს სულს სიწმინდე და კერბთა ამაზრზენი მსახურების უკეთუ-  
რობით შეიბილწეს სხეული, გამამხნევებელი შეგონებით ისინი კვლავ  
ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე გადმოჰყავდა. ასწავლიდა, წმინდა  
და წერილთა მოწმობით, რათა ერწმუნათ მიცვალებულთა მეგობრით,  
აღდგომა ძე ღმრთისას იესოს მიერ, განდგომილებს, აღსარების უარ  
მყოფლებს და ურწმუნო ბოროტმოქმედებს კი დაუშრეტელი ცეცხ-  
ლით გარდაუვალი მკაცრი გასამართლება რომ ელოდათ უკუნიითი  
უკუნისამდე.

ამის შემდეგ უბრძანა თავის ხელისუფლებაში მყოფ არცახის  
კლდოვანი ქვეყნის მცხოვრებთ მიეტოვებინათ კერბთაყვანისცემის წე-  
სი, ბილწ კერბთა სამსახური მსხვერპლის შეწირვით. თვითონ ვაჩაგანი  
იყო მეტად კეთილგონიერი, კეთილმოქმედი, ქვეყნის მშენებელი და  
მშვიდობისმოყვარე მბრძანებელი თავისი სამეფოს ყოველი კუთხისა,  
რომელთაგან ზოგი ბოროტი პეროზის მეფობაში მოწყვეტილი იყო  
თავდაპირველი სამშობლოსაგან. ახლა კი მაშინვე დაუბრუნა თითოე-  
ულს ხელისუფლება. აღვანელებმაც გააერთიანეს თავიანთი მშობ-  
ლიური სამეფო. მეფის შთამომავალთაგან ამოარჩიეს სიმამაციო ქე-  
ბული, ბრძენი, საქმეში გაწაფული, ტანადი და რიგიანი გარეგნობის  
შვილი იაზკერტისა, აღვანთა მეფის ვაჩეს ძმა — ვაჩაგანი და გაამე-  
ფეს სპარსეთის ხელმწიფის ვალარშის მეშვეობით...

როდესაც [ვაჩაგანი] აღვანთა ქვეყანაში მოვიდა, ეძებდა საშუა-  
ლებას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოგვთა ღვთისსაგემობი-  
რელიგიის უარყოფა და ცხადად აღიარება იმისა, რომ ქრისტე არის  
ჭეშმარიტი ღმერთი. მაშინ ყოვლისშემძლე უფალმა განიზრახა შთაე-  
გონებინა სპარსეთის მეფე ვალარშაკისათვის ბრძანება გაეცა, რათა  
თითოეულს მტკიცედ შეენახა თავისი სარწმუნოება სურვილის მი-  
ხედვით და ძალადობით არავინ მოექციათ მოგვობაზე.

[ამის შემდეგ ვაჩაგანი ზოგს მუქარით, ბევრსაც დარიგებით იყო-  
ლიებდა ქრისტიანულ ნათლობაზე და ასწავლიდა ღვთის შემეცნების  
გზას]. სხვადასხვა ადგილებში ამწესებდა ეპისკოპოსებს, მღვდლებსა  
და მეთვალყურეებს. კამბეჩსა<sup>42</sup> და აღვანეთშიც იგივე ბრძანება გას-  
ცა და განამტკიცა. აქაც დააყენა ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკ-  
ნები. ეკლესიის მთელი ძმობა განდიდებული და მიჩნეული იყო კე-  
თილმორწმუნე ვაჩაგანის მეფობაში.

თ ა ვ ი XVIII

მეფე ვაჩაგანის მიერ ჯადოქრების ბოროტმოგვილი  
შვილგისათვის სკოლების დაარსება, თითისსაგვითელთა  
ბილწი სქების აღმოჩენა და განადგურება.



იოვანეს მამის წმინდა ზაქარიასა და ქალაქ ნიკომედიისი წამებული ნეტარი პანტალეონის ნეშტის მოკოვება, რომელიც ყრმა ბრიგორისის მიერ წაღებული იყო ჭილბთა ქვეყანაში

თ ა ვ ი XX

მასჭუთთა მფხე სანესანის მიერ წამებული ალვანთა კათალიკოსის ყრმა ბრიგორისის ნეშტის მოკოვება მასჭუთთა ქვეყანაში

თ ა ვ ი XXI

მფხე ვაჩაბანის წერილი ყველა ეპისკოპოსსა და მღვდელს, რათა მათ ლოცვა-ვედრებით ხელი უეუწყონ დაფარული ბანძის აღმოჩენას

თ ა ვ ი XXII

ნეტარი იოზ მაზგრალის საუშალებით სარწმუნოებას აღებულიოგს სპარსელთა დიდი ბავარი არცახი

მონასტრის ხუცესმა მოგვითხრო: „ვეკერტის ერთი ხუცესი სახელად იობი [კაცი] მაშვრალი, მეტად სათნო ცხოვრებით ცხოვრობდა ქვეყნად. სამოციქულო მადლიც ჰქონდა, რადგან მან მცდარი გზიდან მოაქცია არცახის ერთი დიდი ქვეყანა, სახელად პაზკანქი<sup>43</sup>, მან ფააცნო [ხალხს] ღმერთი და გამოუთქმელი სამების საიდუმლოებათა თანამზრახველად და მსახურად გახადა. [იობი] მოდიოდა და ხშირად აღასრულებდა წმინდა გრიგორისის მოსახსენებელს, ორჯერ-სამჯერ იმეორებდა მრავალთა წინაშე, რომ აღდგება აღვანთა ქვეყანაში მორწმუნე მეფე და მოძებნის წმინდა გრიგორისის ნაწილთა ადგილსამყოფელსო.

ერთხელ ვინმე მეუდაბნოე მოვიდა ჩვენთან სტუმრად. ჩვენ, როგორც ძმობის ჩვეულებაა, წინ მივეგებეთ და მივიღეთ. მან ფხტ დაიბანა და ცოტაოდენი წაიხეშა. შემდეგ ერთ ადგილას მივიდა და იქ ჩაეძინა. დაისვენა თუ არა, საჩქაროდ წამოდგა, თავისივე ხელით გააკეთა ჯვარი და აღმართა იმავე ადგილას. შემდეგ ბრძანებით გვითხრა: „არაეინ ამოაძროს ეს ჯვარი აქედან, პირიქით, დიდი ჯვარიც მოიტა-



ნეთ და აქვე დადგით. დილით და საღამოს ილოცეთ და საკმეველი აკ-  
მიეთ, რადგანაც დიდ სასწაულს ვხედავ აქო“.

ამასობაში ერთი სხვა ბერიც მოვიდა ჩვენთან სტუმრად. ეფებრძა-  
ნეთ საკმელი მიერთმიათ. ვიდრე პურს ჭამდა, ერთი ყრმა სასმისით  
ღვინოს აწვდიდა. [ამ ღროს] სოფელში რაღაც არეულობა მოხდა.  
ჩვენ, ყველამ, სტუმარი მარტო დავტოვეთ და ხმაურის გამო გავვით.  
სტუმარი ამდგარიყო, სასმისი აეღო და წასულიყო. მან გაყიდა ის  
და საფასურიც აიღო. შემდეგ სასწავლებელში შევიდა და ქირით მო-  
ძღვრებას შეუდგა.

[ერთხელ] სასმისის ქურდმა ჩვენება იხილა: ერთი კაცი, ეპისკო-  
პოსი, თეთრ ტანსაცმელში, შიშის მომგვრელი გარეგნობით, იჯდა  
ტახტზე მახლობლად იმ ჯვრისა, რომელიც მეუღაბნოემ აღმართა. მან  
შებორკა ქურდი და ბრძანა წმინდა საფლავზე ეწამებინათ. [როდესაც  
მპარავი] ადგა, ბევრს უჩვენა წამების ღროს საშინელი დარტყმებისა-  
გან დალურჯებული თავისი სხეული. დღიდან დღემდე იძლეოდა ბრძა-  
ნებას ის [ეპისკოპოსი] მისი წამების შესახებ.


[ქურდმა] ვერ გაუძლო ძლიერ სატანჯველს, თავი შეაფარა წმინ-  
და ქალაქ იერუსალიმს და ითხოვა ემკურნალათ მისთვის. მაგრამ იქაც  
იხილა იგივე ეპისკოპოსი, რომელმაც ბრძანა უფრო მეტად ეგვემათ  
და თან უთხრა: „არ არსებობს საშუალება, რომელიც შენ ამ სატანჯ-  
ველისაგან გიხსნის თუ არ წახვალ და არ აღიარებ [შენს ცოდვას] იმ  
ადგილას, საიდანაც სასმისი მოიპარეო“. მაშინ წამოდგა ბერი, აიღო  
სასმისის ფასი, წამოვიდა იერუსალიმიდან ამარასში<sup>44</sup> და შევიდა ეკ-  
ლესიაში. იხმო თავისთან მონასტრის ხუცესი და ტირილით დაუწყო  
მომხდარი ამბის მოყოლა. დიდი ვედრებით სთხოვა აეღო სასმისის  
ფასი, აჩვენა ის ადგილი, სადაც ჯვარი იდგა და უთხრა: „აქ ეპისკო-  
პოსი იჯდა ნათლითმოსილი და შიშის მომგვრელი სახითო“, უჩვენა  
საფლავის ადგილიც, — აქ კი ეპისკოპოსი ბრძანებდა ჩემს გვემასო,  
[ამის შემდეგ] განიკურნა სატანჯველთაგან და წავიდა მშვილობით.

სოფელში ბევრნი ამბობენ: თუ უშვილო ადამიანი მოვა ამ ადგი-  
ლას თაყვანისსაცემად და მიწას აიღებს, შვილის შობას ეღირსებაო.  
ყველა ციებიანი და უძღლური, რომელიც აქედან მიწას იღებდა, სწრა-  
ფად იკურნებოდა. აი, ამ სასწაულებს ყვებოდნენ ისინი მეფის წინაშე  
და ისიც უსმენდა.

### თ ა ვ ი XXIII

ალვანეთის მეფის ესვალენის უკანონო უვილის, მხარის  
უფროსის — ხოჩკორიკის სიზმარი, რომელიც მან მეფეს  
მოუთხრო





მეფე კითხულობს: „სულები სხეულისაგან განთავისუფლებას გრძნობენ თუ არა და ცოცხლებს როგორ შეუძლიათ გარდაცვლილებს შეეწიონ.

გადაწყვეტილება: ღვთის ვედრებით, მარხვის საშუალებით და წირვა-ლოცვით, ანდა კეთილი მოგონებით, რაც მათ სახელზე უნდა შესრულდეს. მაგალითად, როგორც კი დავითმა საფულის<sup>45</sup> ჯავშანი ჩაიცვა, კოჭლობა და ბორძიკი დაიწყო, ხოლო როდესაც მოიხსნა და გადაადგო მძიმე იარაღი, გამსუბუქდა და თავისი მდგომარეობა დაიბრუნა. ასევეა სულებიც, ვიდრე ისინი სხეულის ჯავშნით არიან შემოსილნი, სიმძიმეში იმყოფებიან, ხოლო როდესაც მოიხსნიან, როგორც ნათქვამი იყო, უფრო შორსმჭვრეტელნი, გაგებულნი და უფრო მგრძნობიარენი ხდებიან. ვინც იტყვის სხეულიდან გამოსული სული უგრძნობელიაო, ჩვენ მათ ვგმობთ მოწმობით წმინდა წერილისა, რომელიც ამბობს: მოსე, მონა ჩემი აღესრულა, ხოლო შემდეგ სხეულიდან გათავისუფლებული, უცხოდმოსილი, დიდებით წარდგა ღმრთის წინაშე. მაშინ პეტრეც შეევედრა ღმერთს იქვე დაბინავებულყო“\*.

თუ წინასწარმეტყველის სული უგრძნობელი იყო, როგორც სხეულიდან გამოსული, როგორღა მივიდა გრძნობით აღსავსე და ღირსეული სახით დაელაპარაკა ძე ღვთისას? ღმერთი ამბობს: „მე ცოცხალთა მეუფე ვარ და არა მიცვალებულთაო“. ამრიგად, როგორც მკვდარი სხეულია უგრძნობელი, ასევე უგრძნობელი სულიც, ცხადია, რომ მკვდარია“.,

და კვლავ ნათქვამია: „და შევეწიე ქალაქსა ამას, რათა დავმწყსა იგი ჩემთვის და დავითისათვის მონისა ჩემისა\*\*“. აბა, ახლა მითხარი, უგრძნობელი სულისათვის რა პატივისცემა იქნება ქალაქის ზედამხედველად ყოფნა და მისი მტრის მახვილისაგან დაცვა? პავლე მოციქული ამბობს: „უმჯობესად მივიჩნევ სხეულიდან გათავისუფლებას და ქრისტესთან ყოფნას“; იგივე ცხოველმყოფელი სიტყვა ეუბნება მამა ღმერთს: „ისინი, რომელნიც მიბოძე მე, მსურს იყვნენ ჩემთან და დიდება ჩემი იხილონ“. ახლა, თანახმად შენი სიტყვისა, შეიძლება უგრძნობელი სულები უფალთან იყვნენ, ანდა მისი გამოუთქმელი დიდება იხილონ? როგორ იყო, რომ გარდაცვლილი მდიდრის სულმა შორსმჭვრეტელი თვალებით შორიდან დაინახა და იცნო აბრაამი და ლაზა-

\* შდრ. ისუ-ნავე 1, 2.

\*\* მეოთხე მეფეთა, 19, 34.



რე. მაცხოვრის ხმა ჭეშმარიტ არაკზე უკეთ გვიხსნის ამას: როდესაც სული განთავისუფლდება სხეულისაგან, უფრო შორსმჭვრეტელი და გონიერი ხდება, ვიდრე სხეულში ყოფნისას. მაგრამ არა მარტო წმინდანთა და ღირსეულთა სულები, არამედ ცოდვილთა სულებიც გრძნობენ და ივსებიან სიბრძნით. როგორც, [მაგალითად] მდიდარმა, რომელმაც, მიუხედავად დიდი უფსკრულისა მათ შორის, მაინც შეძლო თავისი შორსმჭვრეტელობით აბრაამი ეცნო. შეგვაშეცნა ჩვენ ჭეშმარიტი კანონი ღმრთის შესვლისა ჯოჯოხეთში მათ სახსენლად, დიახ, სხეულისაგან განთავისუფლებული სულები უფრო მგრძნობიარენი და გონიერნი არიან. ისინი კი, რომლებიც ასრულებენ წმინდანთა ხსოვნას დიდებული მსხვერპლის გაღებით და ევედრებიან მათ სულებს, ამით მოწყალებას ევედრებიან უხვად მბოძებელ ღმერთს. მართალი ხალხის სულებს ჭეშმარიტად შეუძლიათ იყვნენ შუამავალნი, რადგანაც ღმერთი უფრო სწრაფად შეისმენს ხოლმე მათ ვედრებას და ცოდვათა მიტევებასაც მიანიჭებს.

#### თ ა ზ ი XXV

გამიკონიანთა ეპისკოპოსის, ნებარი აბრაამის ჯერილი ალვანთა მიჴვი ვაჩაგანისადმი მიცვალებულთა შესახებ

#### თ ა ზ ი XXVI

ალვანთა მიჴვის ვაჩაგანის მიერ ალვანეთის კრებაზე დაღებული კანონიკური დაღბენილება

ალვანთა მეფის ვაჩაგანის დროს დიდი უთანხმოება იყო საეროებსა და ეპისკოპოსებში, ქორეპისკოპოსებსა და მღვდლებში, აზატებსა\* და მდაბიოთა შორის. ამის გამო მეფემ მოიწადინა დიდი კრება მოეწვია ალუენის<sup>46</sup> სამსჯავროში, მარერის თვის 13—ში<sup>47</sup>.

მე, ვაჩაგანმა, ალვანეთის მეფემ, პარტავის არქიეპისკოპოსმა შეფჰალიშმა, კაპალაკის<sup>48</sup> ეპისკოპოსმა მანასემ, ჰაშუს<sup>49</sup> ეპისკოპოსმა ჰუნანმა, უტის ქორეპისკოპოსებმა ანანიამ და საჰაკმა, კალანკატუქის<sup>50</sup> ხუცესმა ჰოვსეფმა, პარტავის ხუცესმა მათემ, სამეფო კარის ხუცესმა თომამ, გაიეგუქის<sup>51</sup> ხუცესმა პოლოსმა, ცრის ქორეპისკოპოსმა შმავონმა, დარაჰოქის ხუცესმა მათემ, ბედის<sup>52</sup> ხუცესმა აბიკაზმმა, მანუშის ხუცესმა ურბათაირმა, ხუცესებმა იოველმა, პარმიდემ და იაკობმა, არცახის აზატებმა და ნაჰაპეტებმა\*\*, კალანკატუის

\* აზატი — თავისუფალი, დიდებული.

\*\* ნაჰაპეტი — გვარის უფროსი, წინაპარი.



ნაპაპეტმა ბაკურმა და სხვა მრავალმა, რომლებიც ერთსულოვნად მოვიდნენ ჩემს წინაშე კრებაზე, ალვანეთის ერთ გრილ ადგილზე, ამგვარად დავადგინეთ:

ა. ხუცესებმა, რომლებიც დაბებში ცხოვრობენ, წელიწადში ორჯერ პატივი უნდა სცენ ეპისკოპოსს და წმინდა წერილების მიხედვით მისგან ისწავლონ სასულიერო წესები. ასევე, როგორც წესია, წელიწადში [ერთხელ] ძღვენი მიართვან ეპისკოპოსს.

ბ. ხუცესი და დიაკვანი, როდესაც ეკურთხებიან, ოთხი დრამა ხუცესს დაენიშნება, ორიც — დიაკვანს.

გ. აზატმა კაცმა ან მეფის შთამომავალმა, როგორც რაიმე სულის ნაწილი, სიცოცხლეში უნდა გაიღოს თავისი ხელით [ერთი] ცხენი უნაგირითა და აღვირით, ანდა რისი საშუალებაცა აქვს, მაგრამ, თუ სიცოცხლეში ვერ მოასწრებს, მაშინ სიკვდილის შემდეგ ოჯახის წევრებმა უნდა გაიღონ.

დ. მრევლისაგან ხუცესს მოსავალი ასეთი წესით უნდა მიეცეს: წელიწადში ოთხი გრივი<sup>53</sup> ხორბალი, ექვსი გრივი ქერი და თექვსმეტი კოკა<sup>54</sup> ტკბილი. მაგრამ, ვინც გაჭირვებულა, ის ამის ნახევარ პურს გაიღებს და რამდენსაც შეძლებს, იმდენ ღვინოს. ვისაც სახნავი და ვენახი არა აქვს, არ გამოერთვას. ხოლო, რომლებიც ამაზე მეტს გაიღებენ, თავისი სულისათვის სიკეთეს მოიპოვებენ, როგორც პავლე ამბობს: „ვინც უხვად დასთესს, უხვადვე მოიმკის“. ვისაც შინ ცხვარი ჰყავს [უნდა გაიღოს] ერთი ცხვარი, სამი მატყლი და ერთი [თავი] ყველი, ვისაც ცხენები ჰყავს სახლში, — ერთი კვიცი, ხოლო ვისაც საქონელი ჰყავს — ერთი ხბო.

ე. აზატმა, შინაკანმა\* ან ვინმე ერისკაცთაგანმა წელიწადში ერთხელ შესაწირავი არ უნდა დაიშუროს მიცვალებულის ხსოვნისათვის, იმის მიხედვით რისი შესაძლებლობაც ექნება, რათა განუყოფელი გახადოს მიცვალებული თავისი შრომისაგან. თუ გარდაცვლილ კაცს ცხენი ჰყავდა, — ერთი ცხენი, რომელიც სურდეს; თუ საქონელი ჰყავდა, — ერთი ხარი, რომელიც სურდეს ეკლესიას უნდა მისცეს.

ვ. მონასტრის წინამძღვარი, ან ბერი ვინმე, თუ მონასტერში საცთურს ჩაიდენს და გამჟღავნდება, უღირსად უნდა მიიჩნიონ და ადგილიდან დაითხოვონ, ხოლო ხვასტავი ეკლესიას გადასცენ.

ზ. თუ მონასტერში ხუცესი ბევრია, მრევლი — ნაკლები, ხოლო სხვა მონასტერში მრევლია ბევრი, ხუცესი კი ნაკლები, მაშინ უნდა აიღონ და მრევლის ნაწილი მისცენ იმ მონასტერს, სადაც ხუცესია ბევრი.

\* შინაკანი — გლეხი.



3. ქრისტიანი კაცი, რომელიც ჩხუბობს და სისხლს ღვრის, უნდა წარუდგინონ ეპისკოპოსს და წესისამებრ დასაჯონ.

თ. ხუცესმა, რომელიც დიდ სოფელს მწყემსავს, სხვა ადარ უნდა მწყემსოს. ხოლო, თუ ორი სოფელი ერთმანეთთან ახლოა, [შეიძლება] ერთმა მღვდელმა მწყემსოს. მღვდელმა [საერთოდ] იმდენი უნდა მწყემსოს, რამდენის წინამძღვრობასაც შეძლებს.

ი. კაცმა მესამე თაობიდან ცოლი არ უნდა მოიყვანოს და არც ძმის ცოლი შეირთოს.

ია. ვინც უმიზეზოდ ცოლს გაუშვებს, ან უგვირგვინოდ ქალს მოიყვანს, ის ურჯულო და კაცის მკვლელია. ხოლო, ვინც ჯადოქრებს [ჩრჩევას] ეკითხება, სამეფო კარზე შებორკილი უნდა მიიყვანონ და წამებით მოკლან.

იბ. ისინი, რომლებიც დასტირიან ფუძის ანგელოზს და მგალობლებს, უნდა გათოკონ, სამეფო კარზე მიიყვანონ და სასჯელი დაადონ, რათა შემდეგ იმათმა ოჯახის წევრებმა ველარ გაბედონ ცრემლის ღვრა.

იგ. ის, ვინც ლეშს შეჭამს, ან ორმოცდღიან მარხვაში — ხორცს, ანდა კვირა დღეს რაიმე საქმეს გააკეთებს და ეკლესიაში არ წავა, ხალხის თანდასწრებით ხუცესმა უნდა დასაჯოს.

იდ. ვინც დიდმარხვის წინ ოთხშაბათს და პარასკევს ხორცს შეჭამს, ერთი კვირა უნდა იმარხულოს. თუ ხუცესის წინაშე ვინმე მივა და იმ კაცს დაასმენს, ასე არ მოიქცაო, მაშინ სოფლის მამასახლისმა უნდა დაიჭიროს იმისი ერთი ხარი და ხუცესს მიუყვანოს.

იე. თუ ვინმე ერისკაცთაგანი ხუცესზე ან დიაკვანზე ბრალდებას წააყენებს და ისინიც აღიარებენ, რომ მართლაც ასეა, მაშინ მათ ეპისკოპოსი გაასამართლებს და უდაბნოში [გაგზავნის] ცოდვების მოსანანიებლად. მაგრამ თუ ისინი არ გამოტყდებიან, ხოლო რასაც ამბობენ, დადასტურდება, როგორც კანონშია დაწერილი, სასჯელი დაედებათ და სოფლიდან განიდევნებიან. იმ შემთხვევაში, თუ ცოდვები არ გამომჟღავნდა, ხუცესს უბრძანებენ შესაწირავი შესწიროს და ფიცი დადოს.

ივ. თუ ხუცესს ბრალს დებენ თავისი ამხანაგები და მოწაფეები, თვითონ კი სარწმუნონი არიან, მაშინ ხუცესი საკურთხევლის წინ უნდა დადგეს, ამბის მომტანი — ხალხის წინ, [ხუცესი] ამბიონიდან უნდა გადმოაგდონ და სოფლიდან გააძევეთ. მაგრამ თუ, მისი ამხანაგები და მოწაფეები შურისმაძიებლები არიან და ხალხმა იცოდა, რომ უწინ ნაჩხუბარნი იყვნენ, მაშინ ხუცესმა შესაწირავი შესწიროს და ის ხალხი წყველა-კრულვით დააძევეთ. შემდეგ თუ აღიარებენ ვიცრუეთო, მონანიების ნება მიეცეთ და მონასტრიდან ნუ განიდევნე-



ბიან. მაგრამ, ამის შემდეგაც თუ რაიმე ბოროტი ჩაიდინეს, კანონით უნდა გასამართლდნენ.

ზ. ეპისკოპოსებმა და ხუცეებმა მეფესთან აზატებს უჩივლეს: სოფლის ორი თუ სამი ეკლესია მონასტრებად აქციესო. ასევე მეფის წინაშე აზატებმაც [თავისი] პირობა წააყენეს. მაშინ მეფემ ეპისკოპოსები და აზატები ამგვარად მოარიგა: უკვე მოწყობილ ეკლესიებს ხელი არავინ ახლოს, ხოლო ეკლესიის ჭირნახული და შემოსავალი მთავარ ეკლესიას დარჩეს.

ით. აზატები, რომლებიც მეათედს იხდიან, ნახევარი დედა ეკლესიას უნდა გადაუხადონ, ნახევარი თავის ეკლესიას..

ით. კვირაობით ბატონმა და მსახურმა მთავარ ეკლესიაში უნდა იარონ სალოცავად და მიცვალებულთა მოსახსენიებლად. სხვა მხრიდან მოსულებმა ეკლესიას უნდა გადაუხადონ მიცვალებულის სულის სააღაპე.

კ. აზატებს თავიანთი მამულიდან ეპისკოპოსის გარეშე უფლება არა აქვთ ხუცესის გაძევებისა. ასევე, ეპისკოპოსებს არ შეუძლიათ მათ გარეშე გააძეონ ან მოიყვანონ იგი. თუნდაც ხუცესს აზატებისა ან მრევლისაგან საშიშროება ელოდეს, ეპისკოპოსის გარეშე მაინც ვერ წავა.

კა. თუ აზატი თავის ეკლესიაში ტრაპეზს დადგამს, ან რაიმე [წმინდა] ნაწილს იქონიებს, ანდა მსხვერპლს შესწირავს, ამის თაობაზე ეპისკოპოსის ბრძანება უნდა იქონიოს. ვისაც ამაზე ბრძანება ექნება და ისე შეასრულებს, კურთხეულ იქნება; ხოლო ვინც [ბრძანების] გარეშე იმოქმედებს, ეკლესიიდან განიდევნება, ხოლო შემდეგ შეძლებისამებრ საურავი უნდა გადაუხადოს ეპისკოპოსს. იმის მიხედვით, თუ რამდენ საურავს გაიღებს ის კაცი, როგორც კანონშია დაწერილი, კურთხეულ იქნება.

ეს შეთანხმება დადეს ეპისკოპოსებმა, მღვდლებმა და აზატებმა მეფის წინაშე. კურთხეულ იყოს მეფე-დედოფალი შთამომავლობითურთ და აქ შეკრებილი ყველა საერო კაციც კურთხეულ იყოს ჩვენი ეპისკოპოსებისა და ეკლესიის მიერ.

ამ ბრძანებას ამოწმებენ მეფის მრჩეველი მუწიკი, მირპორიკ ჰაზარაპეტი\*, მარუთ აზგაპეტი\*\*, ტირაზდი, სპარაკოსი, შამა, ბაკური, არატანი, არჩესი, ვარდან მამაცი — გარდმანის მფლობელი, ხურსი, გერმანოსანი, ხოსკენი, ფიროგ ნაჰაპეტი და ალვანეთის ყველა აზატი.

უფრო მეტი სიმტკიცისათვის ამ დაწერილს ალვანთა მეფე ვაჩიგანი ბეჭედს უსვამს.

\* ჰაზარაპეტი — ათასისთავი.

\*\* აზგაპეტი — გვარის, ტომის უფროსი.



წმინდა მესროპისა და მისი მოყვასების ისტორია



აღვანთა კათალიკოსის გრიგორისის მოწამეობის შემდეგ, აღმოსავლეთის მხარეთა ბარბაროსი ხალხები კვლავ წარმართულ კერპთაყვანისმცემლობაში წაწყმდნენ. აღმართეს მრავალი ატრომანი და სდევენს ქრისტიანები. ერთმა ვინმემ, უწინ ვარდაპეტად მყოფმა, სულიწმინდის მადლით შექმნა სამი ხალხის სომეხთა, აღვანთა და ქართველთა დამწერლობა<sup>55</sup>, ხოლო ამის შემდეგ წავიდა წმინდა იერუსალიმში მოსალოცად. იქიდან დაბრუნდა მოწაფეებითურთ და თან ჩამოიტანა მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი, რომელშიც უფლის ჯვრის ნაწილი იყო.

სომხეთში გადმოსულმა გზა განაგრძო და მიადწია უტის გაყვარის აღმოსავლეთის საზღვარს. იქ დაიბანაკა ჭაობიან ადგილას, ხავსიან საფლობებში, რომელსაც გისს უწოდებენ. განამტკიცა განახლებული ეკლესიის რწმენა და განავრცო სახარების ქადაგება უტიელთა, აღვანელთა, ლფინთა<sup>56</sup>, კასპიელთა ქვეყნებში ჩორის კარამდე, აგრეთვე სხვადასხვა ხალხებში, რომლებიც ტყვეებად იყვნენ მოყვანილი ალექსანდრე მაკედონელის მიერ და დასახლებული კავკასიის დიდ მთებში. გარგარები, კამჭები<sup>57</sup> და ჰეფთალები კვლავ მოაქცია [ქრისტიანულ] სარწმუნოებაზე და ასწავლა ღვთისმსახურების წესი, რაც უწინ იცოდნენ, მაგრამ შემდეგ დავიწყებული ჰქონდათ. გახდა სრული მქადაგებელი და მოციქული მთის ბარბაროსი ტომებისა, რომლებსაც აცნობდა [ყოველივეს] მათებური ენის დამწერლობით. იქიდან დაბრუნებული ჭაობებში დაბანაკდა, რადგანაც ემალებოდა მძვინვარე იშხანთა\* შურისძიებას და იქ ტყეში დამალული ღლითილდე განამტკიცებდა ღვთის ეკლესიას.

იქვე გზასაცდენილმა სულმა წააქეზა გამძვინვარებული მოძალადეები, გაშმაგებულებს სურდათ სასწრაფოდ შეეპყროთ ის მოსაკლავად. მაგრამ ნეტარმა მაშტოცმა, სულიწმინდისაგან შთავგონებულმა, საჩქაროდ ამოთხარა ერთი ორმო საჭიროების მიხედვით, აიღო ღვთაებრივი განძი, უფლის ჯვარი დაასვენა ლარნაკზე და დამალა მიწის ქვეშა სავანეში. ამის შემდეგ ერთგულ და თანამორწმუნე მოწაფეებთან ერთად დაიწყო ერთსულოვანი ლოცვა-ვედრებანი. თითოეულის სურვილით ორ გუნდად გაიყვნენ. ნახევარი ფიქრობდა გაყვარებში წასვლას, ხოლო მეორე ნახევარს სურდა მოეგლო მრავალი ქვეყანა რწმენის საქადაგებლად. მაგრამ [მაშტოცმა] ჯვრის სავანის ადგილზე

\* იშხანი იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით — მთავარი, დიდებული, მმართველი და სხვ.



დატოვა თავისი გუნდი, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო მოწამებრივი გვირგვინი. წამების ადგილას გამოჩნდა ბრწყინვალე ნიშნები და საოცარი სასწაულები, რასაც ხშირად ხედავდნენ ურწმუნონიც და მიხვდნენ, რომ დიდი ღმრთისა იყო ეს სასწაული. ერთხელ ღოვანად ირწმუნეს და საყოველთაოდ მოინათლნენ.

ერთმა ვინმე ახლადმოქცეულმა, რომელიც ხშირად ხედავდა სასწაულს ჯვრის მიწისქვეშა სავანის თავზე, ააშენა ოთხკუთხი ეკვდერი და ხის ლუსკუმა გააკეთა ეკვდერში. მოაგროვა მათი ნაწილები და აღთქმა დადო ყოველწლიურად აღენიშნა ხსოვნა. მრავალმა მიიღო განკურნება იმ ადგილას, რითაც უფრო განმტკიცდნენ და დაემორჩილნენ სარწმუნოებას.

შემდეგ ჯვრის სავანეზე საძირკველი ჩაუყარეს და ღვთის ეკლესია ააშენეს. მას ვისის „ძველ ეკლესიას“ უწოდებდნენ. დიდი ხნის შემდეგ დიდგვაროვანმა, ვინმე იშხანმა, სახელად ვარაზფეროუმ, არანშაპიკის ტომიდან, მოისურვა აღედგინა „ძველი ეკლესია“, მაგრამ ვერ შეძლო გუმბათის აგურით ნაგები თაღის დანგრევა, რადგანაც მის ქვეშ ესვენა უფლის ჯვარი და მოწამეთა ნეშტი.

## თ ა ვ ი XXVIII

### ჰვამოთ მოთხრობილია ამბავი ჴმინდა მაშტოცის მოწაფეების შესახებ

ჴმინდა მაშტოცის შემდეგ გავიდა მცირე ხანი. მისი მოწაფეები, რომელნიც სულიწმიდის შთაგონებით საიდუმლოთა შემცნობელნი გამხდარიყვნენ, ალვანთა გავარებში შეიკრიბნენ და ცდილობდნენ კეთილი საქმე ეკეთებინათ. როგორ მოვიქცეთო, ამბობდნენ ისინი, ჩვენი განმანათლებელი ქრისტეს მიერ აღესრულა, ჩვენ კი ობლად დავრჩით. მოდით, ძმებო, წავიდეთ ღვთიურ ქალაქ იერუსალიმში და იმათ ვთხოვოთ წინამძღვარი, რადგანაც აღმოსავლეთის ქვეყნების ნამდვილი განათლება ჴმინდა ელიშას საშუალებით ხომ იერუსალიმიდან დაიწყო.

მოემზადნენ სამგზავროდ, სამ ჯგუფად გაიყვნენ და გაემართნენ ალვანთა ქვეყნიდან. პირველად ასორესტანის საზღვრები გაიარეს, შემდეგ კი ქალაქ იერუსალიმს მიაღწიეს. შევიდნენ ღვთის სამყოფელ ეკლესიაში და თაყვანი სცეს ცხოველმყოფელ სიცოცხლის ხეს. შეხვდნენ ღვთიური სიკეთით დამშვენებულ გულითად პატრიარქს, მიესალმნენ საეკლესიო დასს და მშვიდი ამბორით მიღებულ იქნენ მათგან. შემდეგ ჴმინდა პატრიარქს მოუთხრეს ყველაფერი ჴმინდა მაშტოცის დაძაბულ შრომაზე, იმაზე, თუ როგორ სასწაულებს ახდენდა



ის ბარბაროსთა წინაშე. როდესაც მათ ეს მოისმინეს, დიდი სიხარულით მიიღეს და მთელი ამ ხნის მანძილზე უდიდეს მზრუნველობას იჩენდნენ [მოსულთა მიმართ]. შემდეგ მათვე შეუერთდა სამი ღვთისმოსავი მღვდელი, რომელთაგან პირველი იყო ათანასიოსი. [მაშტოცის] მოწაფეები ვედრებით არწმუნებდნენ იმათ თან გაპყოლოდნენ, რათა წინამძღვრებად აერჩიათ თავიანთ ქვეყანაში, როდესაც შეასრულეს თაყვანისცემის აღთქმა და ნეტარი ამბორით ფეხთ ემთხვივნენ წმინდა პატრიარქს, შემდეგ მისი ბრძანებით გამოაცილეს [ისინი] იქიდან ოქრო-ვერცხლის ჭურჭლით და ღვთის ყოველ სიწმინდეთა დიდი ნაწილით [დასაჩუქრებული]. საუკუნოდ გახარებულებმა მღვდლებთან ერთად დატოვეს [იერუსალიმი] და წამოვიდნენ ზატიკის<sup>58</sup> დღესასწაულის [მოახლოებისას]. ორმოცდღიანი წმინდა მარხვის მეშვიდე კვირას მიადწოეს მთაგორიან და ტყიან მშობლიურ ქვეყანა არცახს, მეწკუენის გავარს<sup>59</sup>. გზად, ხეობაში, ხალხი ორ გუნდად გაიყო. ერთნი იმ ადგილას დასხდნენ, რომელსაც ასტელის გორა\* ერქვა, ჩრდილოეთის მხარეს, ხოლო მეორე გუნდი მდინარე ტრტუს იქითა ნაპირზე, სამხრეთით, ტყის პირას დაბანაკდა. [ამ ადგილს] ჩლახი ეწოდებოდა. მათ აღთქმა დადეს ერთმანეთთან, რათა აქ აღენიშნათ ზატიკი.

### თ ა ვ ი XXIX

ჩრდილოელების სწრაფვა ალვანთა, სომეხთა და ქართველთა საზღვრებისაკენ, ჴმინდა მისროკის მოწაფეთა მოწამეობა

იმ დროს მეფე როსმოსოქეანმა თავის ჯარებთან და თობელთა<sup>60</sup> რაზმებთან ერთად შეკრიბა ჰონთა მთელი ლაშქარიც, გადავიდა მტკვრის იქითა ნაპირზე, გაიფანტა უტიელთა გავარში და თავისი ჯარი განალაგა ქალაქ ხალხალის მახლობლად. იქვე მან აირჩია სამი კაცი მხედართმთავრად და დიდი რაზმების ვოსტიკანებად\*\* დააყენა. მათ ხელისუფლებაში მთლიანად შეაგროვა თერთმეტი ნაწილი ჯარისა, უბრძანა სამ მეწინავედ გაყოფა და თავდასხმა ალვანთა, სომეხთა და ქართველთა ქვეყნებზე.

ჯარის მესამე ნაწილმა ზატიკის დასაწყისში მიადწია არცახის გავარს და თავს დაესხა მეწკუენქს. ამ შემოსევის ამბავი როდესაც შეიტყო იერუსალიმის ჩლახის გუნდმა, შეძრწუნდა, დიდი შიშით ერთ ადგილას მოაგროვა ნეშტთა ყველა ნაწილი, მოათავსა ორ ვერცხლის კოლოფში და მიწაში ჩამალა. მაგრამ მაშინვე მოადწია მათთან კოკის-

\* ასტელის გორა ვარსკვლავის გორა.

\*\* ვოსტიკანი, მეთვალყურე, უფროსი, ქალაქის თავი.



პირული წვიმის მსგავსად შემაძრწუნებელმა, მწუხარების მათწყებელ-  
მა განგაშმა და დიდი შეშფოთება გამოიწვია. ისინი უტყვედნენ რო-  
გორც ზღვის ტალღები და პირველად ასტელის გორას მიადგნენ. დაი-  
მედებულნი იმით, რომ მოულოდნელ დროს ესმოდნენ თავს, შეუბ-  
რალეზლად მახვილით ჩეზდნენ ერთიანად ყველას. ხელთ იგდეს ოქ-  
როს და ვერცხლის ჭურჭელი, წმინდანთა ნეშტი გაფანტეს და გააბნიეს  
გორაზე, მღვდელმთავარი ნეტარი ათანასი აწამეს, ხოლო გადაჩენი-  
ლნი ტყვედ იგდეს და იქვე გარემოიცივეს.

ერთი ქალი კი, სახელად თავუჰი, უტის გავარის სოფელ ბაგნა-  
ციდან, ძირეული აზატთავანი და მეტად მდიდარი, რომელიც მუდამ  
იერუსალიმელებთან იმყოფებოდა, ტყვეთა შორის დაინახა ჰონთა ზო-  
რავარმა და, რადგანაც მეტად ლამაზი იყო, ეშმაკეული თავშეუკავებე-  
ლი ვნებით ანთებულს შეუყვარდა ის. ბრძანა დიდად გაფრთხილე-  
ბოდნენ, რადგანაც სურდა თვითონ შეერთო ცოლად.

როდესაც თავიანთი ყოველდღიური თავდასხმები დაასრულეს,  
მოაგროვეს გავარის მთელი ნადავლი, მისმა თანარაზმელებმა  
ძმებმა ბევრი [ტყვე] დახოცეს, ხოლო გადაჩენილები წაიყვანეს ას-  
ტელის გორაზე. ტყვეთა შორის იმყოფებოდა ათანასე მოწამის მოყვა-  
სი ორი მღვდელიც.

იმ ღამეს ჰონთა დიდი ზორავარი იქვე დებანაკდა თავისი ჯარით.  
სადამო ხანს თობელთა რაზმის სპარაპეტმა ბრძანა ნეტარი თავუჰის  
მოყვანა, რათა აეხდინა თავისი ავხორცობის სურვილი. მაგრამ [ქალი],  
უფლის ძლიერებით აღჭურვილი, დასცინოდა მას, არ უსმენდა, არ  
ნებდებოდა და აბუჩად იგდებდა ურჩ ბარბაროსს. თან ეუბნებოდა:  
„არასოდეს დაფუშვებ, რომ ჩემი თავდაჭერილი კრძალულება შევწი-  
რო უთვისტომო გაღორებულ წარმართებს, ანდა წამების შიშით სიკე-  
დილამდე იმდენად განურჩეველი გავხდე, რომ წარმავალი ცხოვრება  
გავცვალო მარადიულზე“. შემდეგ აღმართა ხელები ღმრთისაკენ და  
შეჰლაღადა: უფალთა უფალო და მეუფეთა მეუფევ, ნუ შემარცხვენ  
მე შენზე დაიმედებულს, უბიწო და წრფელი მამყოფე დროებითი სა-  
შიშროების წინაშე და როგორც მომამდლე ვშობილიყავ სინათლის  
ემბაზში და შემეცნო შენი აღორძინება, ჰქმენი ახლაც, დავრჩე უცო-  
დველი რწმენასა და სიწმინდეში. აღმოაცენე შენი ჭეშმარიტების შუ-  
ქი უთვისტომო ბარბაროსის გულში, რათა მან შეგიცნოს შენ როგორც  
ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი“. როდესაც ეს გაიგონა ურწმუნოთა  
ბრბომ, წავიდა და უამბო თავის იშხანს, რამდენადაც მათ შორის იმ-  
ყოფებოდა თარჯიმანი, რომელსაც ესმოდა მისი თითოეული სიტყვა.  
მაშინ გაცოფებულმა, რისხვით საზღვარგადასულმა ტირანმა მხეცუ-  
რი კბილთა ღრჭილით და ღრიალით, განრისხებულმა ბრძანა: თუ დი-  
დებითა და პატივით არ მოვა, მაშინ აუტანელი ტანჯვა-წამებით მოკა-



ლითო. მსახურები მივიდნენ მასთან და აიძულებდნენ იშხანის სურვილის აღსრულებას. მაგრამ, რადგანაც ვერ შეძლეს დაერწმუნებინათ მოუსყიდველი თავუჭი, მაშინ ხელები უკან გაუკრეს და თმებით წაათრიეს. ტყის საშინელ ძეძვს ურტყამდნენ სახეში და ერთიანად დააუძლურეს წმინდანის სხეული. ამის შემდეგ ნეტარს თავი ხმლით მოკვეთეს. როგორც წმინდა დედოფალ რიფსიმეს, [ამასაც] გადახდა ბრძოლა, ღვთივგამარჯვებული გვირგვინით ქრისტესთან დაქორწინდა დიდებული თავუჭი.

ამის შემდეგ, იმავე ღამეს დაძინებამდე, როდესაც უცხო ტომის იშხანები მოლაშქრებთან ერთად ქეიფში დროს ატარებდნენ და მხიარულობდნენ, მოულოდნელად უფლისაგან საოცარი სასწაული მოევლინათ. ყველამ ცხადად დაინახა, რომ ძლიერმა სინათლემ განათა ის ადგილები, სადაც წმინდა თავუჭი ეწამა. ხოლო მისი ტანსაცმლის ნაფლეთები ტყის პირას მიმოფანტულნი ბრწყინავდნენ, როგორც ვარსკვლავები. ხანგრძლივი დროის მანძილზე ვარსკვლავისებური შუქი კიაფობდა იმ ადგილას და წმინდა მოწამეს ზემოდან ანათებდა. დაინახა ეს უამრავმა ხალხმა და იმ ადგილს სახელად ასტელაბლური\* უწოდა, დღემდეც [ასე ეძახიან]. რადგანაც მახარებლის სასწაულით ვაკვირვებული იყო იშხანი და დიდმა შიშმა მოიცვა, ბრძანა მასთან ეხმობთ უფლის მღვდლები. მათგან სწავლობდა ხსნის გზას და ირწმუნა ღმერთი მაცხოვარი. შემდეგ ბრძანება გასცა შეეგროვებინათ წმინდანთა ნაწილები, შეეხვიათ წმინდა ტილოში და გორაზე დაეკრძალათ. იქვე აღასრულეს მსხვერპლის შეწირვა ცხვრითა და თხით, შემდეგ შეიკრიბნენ საუფლო დღესასწაულზე მოწამეთა მოსახსენებლად.

### თ ა ვ ი    x x x

თიოხელთა ღიღი ზორავარი რფმუნდება, რომ ქრისტე არის ღმერთი. მისი მოწამეობა თავისი მეფის მიერ ჯარებთან ზვილებთან და მღვდელთა დასთან ერთად ალვანთა ძვეყანაში

როდესაც ჭეშმარიტების შუქმა შეაღწია ღვთისმოსავი იშხანის თეოფოლოსის გულში, ბრძანა ტყვეთა გათავისუფლება, ხოლო თვითონ ზატიკის დილას გაეშურა წმინდა მღვდლებთან და სხვა მრავალ მორწმუნესთან ერთად აგისტროსეანთა რაზმით<sup>91</sup> და მიადწია უტის გავარს. [იქ] დაბანაკდნენ მდინარე მტკვრის ნაპირას, ნავსაყუდელის მახლობლად ზომაქტაკის ხილთან.

\* „ასტელაბლური“ — ვარსკვლავის გორა.



თვითონ დიდი მეფე როსმოსოქეანი მთელი თავისი ჯარით დაბრუნდა ბრძოლის ველიდან მრავალრიცხოვანი ტყვეებითა და უხვი ნადავლით, გადავიდა მდინარე მტკვარზე აღმოსავლეთის მხრიდან და ისიც დაბანაკდა მათ პირდაპირ გაღმა მხარეს. იმ დროს ეშმაკისაგან ცდუნებულმა [მეფემ] ბრძანა თავისი ცრუ ღმერთებისათვის მსხვერპლი შეეწირათ წარმართული წესით მომზადებულ ნადიმზე. ეს დაინახეს ქრისტეს მიერ შემკობილმა თეოფილოსმა და აგისტროსიანთა რაზმმა. ამათაც წმინდა მღვდლების ხელით ნაკურთხი შესაწირავი შესწირეს ღმერთს ქრისტიანული სარწმუნოების წესისამებრ, ხოლო თავიანთი დროშები ჯვრით შეამკეს.

როდესაც ეს იხილა ეშმაკის მიერ ცდუნებულმა და გზაკვალაბნეულმა, გამხეცებულმა ბარბაროსთა ურჯულო მეფემ ბრძანა მასთან ეხმოდ წმინდა ზორავარი თეოფილოსი ოცდაათი კაციტურთ. ჯერ ალერსით, ხოლო შემდეგ რისხვით დაუწყო ლაპარაკი და უთხრა: „საყვარელი იყავი ჩვენი სამეფოსათვის, სიმამაცით გამოჩენილი, ჩვენი მფარველობით განდიდებული და ამრიგად, უფრო პატივცემული ჩემგან, ვიდრე დანარჩენნი. [შენ იყავი ლაშქრის] მესამე ნაწილის მხედართმთავრობით სახელმოხვეჭილი. რატომ მიატოვე შენი ხალხის განთქმული ღმერთები, რომლებსაც ჩვენთვის გამარჯვება მოუტანიათ თავდასხმების დროს? ამიჯანყდი შენი ჯარებითურთ და ემსახურები იმ ღმერთს, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ. მაგის გამო, თუ შენ არ შესწირავ მსხვერპლს ჩვენს ღმერთებს, სიკვდილით დაგსჯი შენც და ერთიანად შენს ჯარსაც“. პასუხი გასცა ქრისტეს წმინდა მოწამემ, მამაცმა თეოფილოსმა და უთხრა მეფეს: „შენი მუქარის შიშით, იქნებ გგონია, დროებით ცხოვრებას ავირჩევთ, დავთმობთ ღმერთს და კერპებს ვცემთ თაყვანს?“

მაშინ საშინელი რისხვით ანთებულმა და გამძვინვარებულმა მეფემ ბრძანა სასწრაფოდ ტანჯვით დაეხოცათ თობელთა წმინდა ზორავარი ოცდაათ ამხანაგთან და წმინდა მღვდელთან ერთად. მათ მხნედ აღსარულეს მოწამეობრივი ბრძოლა. ჰეშმარიტი მარტვილობით საზეიმოდ მიიღეს უფლისაგან ძლევის გვირგვინი. წმინდა აღმსარებელი თეოფილე მღვდელთა დასით და ოცდაათი მებრძოლით გადავიდა ზეცურ განსასვენებელში.

წმინდა ზორავარის შვილებმა ნეტარმა მოვსესმა და ანეროლოგოსმა, აგისტროსიანთა რაზმთან და სხვა მორწმუნეებთან ერთად, როდესაც ეს დაინახეს, თითოეული სასწრაფოდ ამხედრდა და გაიქცა ურჯულო მეფისაგან. უმჯობესად მიიჩნიეს ქრისტესათვის თავგანწირვა, ვიდრე წარმავალ ცხოვრებაში უღვთობით ყოფნა, ამჯობინეს ქრისტესათვის გალანძლიყვნენ ვიდრე მამაპაპური ქონებით მიეღოთ დიდება. მაშინ ისინი გაემართნენ ერთ მხარეს სამხრეთით და მიაღწიეს



დიდი მთის მწვერვალს. [ეს მთა] გარს ერტყმის ქვეყნის მრავალ ვა-  
გარს.

შემდეგ უღმობელი მეფის ბრძანებით ჰონთა ჯარები გუნდ-  
გუნდად გაიყვნენ და უკან დაედევნენ, დაეწივნენ მთის წვერზე, დი-  
დი თხოვნით შეეცადნენ დაებრუნებინათ ისინი კერპთაყვანისმცემლო-  
ბაზე და მეფის მორჩილებაზე, მაგრამ ვერ შეძლეს დაყოლიება, მა-  
შინ იმავე ადგილას ხმლით დახოცეს.

ასე დასრულდა იმათი ცხოვრების მდინარება. წმინდა მოვსეს-  
მა, მისმა ნეტარმა ძმამ და მთელმა აგისტროსენთა რაზმმა მიიღეს  
ქრისტესაგან მოწამებრივი გვირგვინი, რომელიც ბრწყინავს გაუქ-  
რობელი შუქით. [ამგვარად], ჩრდილოეთის საზღვრების მიმტაცებ-  
ლებმა უკვდავება მოიპოვეს ყოვლადწმიდას წინაშე, ამინ.

„ალვანეთის ისტორიის“ პირველი წიგნის დასასრული.

## წიგნი II

### თავი I


#### წინასწარი თხრობა ისტორიისა

როგორც ზეცა ბრწყინავს ვარსკვლავებით და დედამიწა [დამ-  
შვენებულია] მცენარეულობით, ასევე ისტორიის მთხრობელის შრო-  
მა ფასდება სხვადასხვა მასალით. მოიპოვება აღმოსავლეთის მხარეებ-  
ზე თქმულებები, რომლებიც არ მოხვდნენ ძველ მემკვიდრეთა წიგნებ-  
ში. საჭიროდ ვცანით შეგვეტანა ისინი ჩვენს ნაწარმოებში. აქ-  
გავიხსენებთ მეფე შაპუჰ ორმუზდეანს, რომელმაც თავის სამფლობე-  
ლოში სიუხვით გაამაყებულმა, მოისურვა გამოეკვლია, თუ რომელ  
ხალხსა და ენას ჰქონდა ღირსება და პატივი.

მოამზადა დიდებული სადილი სპარსეთის ორმოცდაათი  
აზატ ტომის ყველა ნახარარისათვის. ღირსებისამებრ თითო-  
ეულს ჯდომის პატივით ექცეოდა ფინჯნითა და ვაზის ტოტით. ხოლო  
მოზიდან მოზიდან\* სამეფო მაგიდაზე უმეტესი პატივი მიაგო. ეთათ-  
ბირა თავის დიდებულებს და უთხრა: „მე კარგად ვიცი ძირეულ  
პაპლავიანთა — სპარსელთა, პართელთა და მათი აზატი ხალხის წარ-

\* მოზიდან-მოზიანი, ზორასტრიული სარწმუნოების მიმდევართა სულიერი წინა-  
მძღოლი.





მომავლობის შესახებ, მაგრამ სომეხ აზატებსა და მათ ძველ ღირსე-  
ბაზე ვერ შეეძვლით გაგვეგო ვერც ჩვენი მამებისა და მეფეთაგან და  
ვერც მემამულეთაგან. ახლა სომეხთა ნახარებმა ორდანივერთი  
აირჩიეთ, ან გვიჩვენეთ ძველი წიგნი თითოეული სახლის ღირსებისა  
და პატივის [ალმნიშენელი] და ჩვენგან კვლავ გექნებათ უდიდესი და  
ბრწყინვალე პატივისცემა, ხოლო თუ ვერ შეძლებთ ჩვენ, არიელ  
ხალხს, ცხადად დაგვანახოთ თავდაპირველი ღირსება და პატივი, სახ-  
ლი, მიწა და წყალი, მთელი ქონება, მაშინ თქვენ თავს არიელ აზატებს  
ვუწყალობებთ.

მაშინვე დიდი სომხეთის იშხანებმა გადაწყვიტეს მეფისათვის  
მიერთმიათ აგათანგელის სასურველი ისტორია. შაპუჰმა ბრძანა წაე-  
კითხათ, სპარსულად ეთარგმნათ და დაეწერათ. შეიტყო, რომ [ის]  
დასაბამს ღებულობს მისი წინაპრის არტაშირისაგან, მეტად გაიხა-  
რა, წიგნს აქებდა და გულაჩუყებული დასცქეროდა. მასში იპოვა ცნო-  
ბა ჩვიდმეტი პატივის შესახებ. ამის მიხედვით დააწესა თითოეულის  
ადგილი სამეფო სუფრაზე. მეოთხემეტე პატივი ხვდა სიუნიქელთა ხე-  
ლისუფალ ანდოკს. მან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და არა-  
ფერი ჭამა. მეფემ თუმცა შეიტყო მიზეზი, მაგრამ არავითარი ზომები  
არ მიუღია.

იმ დროს სამეფო კარზე ცნობა მოვიდა, რომ ხაზარები მრავალ-  
რიცხოვანი რაზმებით გადმოვიდნენ ჩორის კარით ჩვენს ქვეყანაში.  
შაპუჰმა უამრავი [ხალხი] შეკრიბა ასურეთში, ხორასანში, ხვარაზმ-  
ში, განსაკუთრებით მამაცი სპარსელები ატრპატაკანში, სომ-  
ხები, ქართველები, ალვანელები და კავკასიის მთის თორმეტი [სხვა-  
დასხვა] ენის ბარბაროსი ტომი. ამ უთვალავი ჯარით გამოვიდა მათთან  
საბრძოლველად<sup>62</sup>.

ხოლო ანდოკმა ბოროტება განიზრახა თავისთვის და თავისი ქვე-  
ყნისათვისაც. ძირს უთხრიდა სამეფო სახლს. საკუთარი მოღალატე  
ჯარით — ათასშვიდასი კაცი, სწრაფი და მკვირცხლი ცხენებით მიად-  
წია ქალაქ ტიზბონს. ჯარი ქალაქის გარეთ დამალა, [თვითონ] მცირე  
რაზმით შევიდა ქალაქში და თავი რომ უდანაშაულოდ მოეჩვენებინ-  
ა, [ამბობდა], შაპუჰთან მოვედიო. მოქალაქეებმა დიდი პატივი მია-  
გეს. განთიადისას კი მისი ჯარები შეიჭრნენ შიგ და უთვალავი გან-  
ძეული, — ოქრო და ვერცხლი მიიტაცეს, ასევე ძვირფასი პატიოსა-  
ნი თვლები, ძვირად ღირებული ტანისამოსი და რისი წალღაც შეიძ-  
ლებოდა სამეფო სახლიდან. ყველა დიდებულის ოჯახი მთლიანად გა-  
ძარცვეს ყველაფერი ბადაბერდში<sup>63</sup> შეაგროვეს. [ამის შემდეგ] ბრძა-  
ნა მის ყველა გავარში დაეწვათ პირუტყვის საკვები, ხოლო ხალხის  
საზრდო ციხე-სიმაგრეში შეზიდეს, ასევე იარაღი, საჭურველი და  
მხედრის აღკაზმულობა. შემდეგ კვლავ ბრძანება გასცა ანდოკმა, რა-



თა ყველა სივნიელს გადაეწვა სახლი და ბედელი, თვითონ კი გაქცე-  
ულიყო. რაც ქვეყნის ეკლესიებში სამკაული იყო შეგროვილი, ყვე-  
ლაფერი აიღო და შალატის ეკლესიაში<sup>84</sup> მიიტანა, ასევე წმინდანთა  
ნაწილებიც, თითოეული ქვითინით ეამბორებოდა მათ. რვა დღე ას-  
რულებდნენ მწუხრის ლოცვებს, მერე აღმართეს ეკლესიაზე მიწის  
ბორცვი, ხოლო თვითონ გაიფანტნენ მთელს ქვეყანაზე. ვერავინ ბე-  
დავდა ეხსენებინა სიუნიქელთა სახელი. ოცდახუთი წლის მანძილზე  
უადამიანოდ გავერანდა მთელი მხარე.

ომის დამთავრების შემდეგ მეფე შაბუში დაბრუნდა, იხილა უბე-  
დურება, განრისხებულმა ბრძანა მთელი ჯარი წასულიყო სივნიეთში  
და დაეტყველებინა მეტყველი თუ უტყვე. მაგრამ მისულებმა ვერაფე-  
რი იპოვეს. ამ სიარულში მიაღწიეს შალატის ეკლესიაზე არსებულ  
ბორცვს, ზედ ავიდნენ, [ამ დროს] მოხდა ძლიერი მიწისძვრა. სპარ-  
სელების შეშინებული რაზმები თავის მხედარმთავარ ათაშხოდას-  
თან ერთად გაცალნენ [იმ ადგილებს]. იქიდან წასულებმა ბრძოლა  
დაიწყეს ციხესიმაგრესთან, საიდანაც ქვევით ქვა ცვიოდა და განურ-  
ჩევლად ყველას ადგილზევე კლავდა. ხელმეორედ და მესამედ მიიტანეს  
სასტიკი იერიში, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, [ხალხი] კი უამრავი დაი-  
ხოცა. გამძვინვარებულმა მეფემ მოისურვა ბრძოლა გაეძლიერებინათ.  
მაშინ მთელი დიდებულები დაემხვნენ მის წინ და დაუწყეს ვედ-  
რება შეეწყვიტა ომი და მხოლოდ ციხესიმაგრის სანახები გაენადგუ-  
რებინა.

შემდეგ, როგორც კი შესაფერისი დრო იხელთა [ანდოკმა], დატო-  
ვა ციხე და დიდი ქონებით გადავიდა ჰრომაელთა ქვეყანაში, სადაც  
უდიდესი პატივისცემით მიიღეს და იქვე გარდაიცვალა.

მისი შვილი ბაბიკი მშობლიურ მიწას ნატრობდა, როგორც  
ტკბილია მშობელი, ასევეა სამშობლოც. წავიდა ის სპარსეთის მეფის  
შაბუშის კარზე, სადაც შეხვდა ერთ ვინმე მებრძოლთაგანს და მასთან  
დაბინავდა. არაერთი სიმამაცე გამოიჩინა სპარსელთა ოლიმპიადაზე,  
თუმცა ვერავინ ცნობდა.

იმ დროს გამოვიდა ჰონთავან ჰონი, სახელად ჰონაგური, გაემარ-  
თა შაბუშისაკენ და უთხრა: „რატომ უნდა დაიღვაროს სისხლი, მოდი,  
მე და შენ შევებრძოლოთ ერთმანეთს“. თვითონ ჰონი შემოსილი იყო  
ორმოცდაათნაწილიანი აბჯრით, [რაც განკუთვნილი იყო] მაღალი და  
ფართო ტანადობისათვის, უზარმაზარი თავი [დაფარული ჰქონდა] და-  
ლურსმული მუზარადით, სამ მტკაველიან შუბლზე სპილენძის ფირ-  
ფიტა აეკრა, კედარის ხის უცნაური შუბით და ცეცხლოვანი მახვი-  
ლით მნახველს თავზარს სცემდა.

ამ დროს ბაბიკის სახელი უკვე ცნობილი იყო მეფისათვის. ეს  
საქმე მხოლოდ მისით უნდა გადაწყვეტილიყო. მეფეთა მეფემ თავის-






თან იხმო ბაბიკი და ვააცნო სამეფო გადაწყვეტალებს, დაბეჭდილი ტახის გამოსახულებიანი ბეჭდით და უთხრა: თუ ამ დიდი მტრების დასრულებას შეძლებ, უდიდეს საბოძვარს მიიღებო“. [ბაბიკმა] თავს იღო თხოვნის შესრულება და იმავე დროს დაიმედებული ღვთის დახმარებაზე, ამბობდა: „სიუნიქის ტაძრებო, შემეწიეთო მე“. შემდეგ აიღო თავისი საბრძოლო იარაღი, ბრწყინვალე მარგალიტებიანი მშვენიერი სამეფო ჯავშნით დაიმშვენა ტანი, ვეფხვისსახიანი მუზარადით [შეიმკო] ლამაზი თავი, წელზე მახვილი [დაიკიდა], მარცხენა მხარზე გადაიგდო მოოქროვილი ფარი, ხოლო მარჯვენა ხელში მაგარი შუბი დაიჭირა. მოახტა შავ ცხენს და გაქუსლა მტრის წინააღმდეგეკვეთნენ ერთმანეთს, როგორც ჭექა-ქუხილი ისე ისმოდა მახვილთა ცემა დილიდან საღამოს ცხრა საათამდე. უზარმაზარი გოლიათი დაისაჯა, გაიმარჯვა მამაცმა ბაბიკმა. საჩქაროდ [ხელში აიღო] ცალპირიანი მახვილი, რომლითაც იქვე მოსპო კაცისმკვლეელი მხეცი.

აიგსო შაპუჰი დიდი სიხარულით. იხმო ბაბიკი, რათა შეესრულებინა მისთვის დანაპირები. მაშინ [ბაბიკმა] სთხოვა, აიღონ სპილენძის ფილი შენი საჭურჭლიდანო. [ის] ფილი სავეს იყო ღუმელის ნაცრით, ვინც იმ ადგილას გაივლიდა აფურთხებდა მას და ამბობდა: „სივნიელთა სამფლობელო, [მისი ხალხის] სიცოცხლე და ზრახვა ასე დაიფერფლოსო“. დიდად გაოცებულმა მეფემ ბრძანა ფილი აეღოთ იმ ადგილიდან. ამის შემდეგ ბაბიკმა სთხოვა თავისი მშობლიური ქვეყანა დაებრუნებინა მისთვის. დაასაჩუქრა ის მეფემ, დიდი პატივით გაგზავნა თავის ქვეყანაში და უბოძა ბაგრატუნებისა და მამიკონიანების შესაფერისი პატივი.

[ბაბიკი] წავიდა, გადავიდა მდინარე ერასხზე და ააშენა ერთი სოფელი, სახელად აკორზი<sup>65</sup>, რაც ნიშნავს „პირველად აღორძინებულს სამშობლოში“.

ბაბიკის შემდეგ დიდი ჯარით მოვიდა ორი ძმა დიდებულთა სახლიდან გორი და გაზანი, ბაბიკმა მათ წილი უყარა, გორს შეხვდა სოფელი ხოტა<sup>66</sup>, ხოლო უმცროსს, გაზანს — სასურველი სოფელი შალატი. ეს მოხდა ოცი წლით ადრე, ვიდრე გამეფდებოდა ბოროტი იასკერტი, რომელსაც სურდა მოესპო ქრისტეს სარწმუნოება და ჩვენი დამორჩილება ცეცხლისათვის. იმავე იაზკერტისაგან განადგურდნენ წმინდა ვარდანიანნი — ათას სამოცდაექვსი რჩეული კაცი. აქედან სომხურ წელთაღრიცხვამდე ასოცი წელია. ასე დასრულდა ეს საქმე.





ურწმუნო იაზკერტი საშიშროებას უქმნის ალვანელეზს ისინი  
 ხსნას კოულობენ სომეხთა ზორავარ\* ვარდანის  
 საუშალებით

ურწმუნო იაზკერტის დროს ეშმაკი ცეცხლს უკიდებდა მის გონებას ქრისტიანული სარწმუნოების აღმოსაფხვრელად. ალვანთა ქვეყნამდე მკაცრმა ბრძანებამ მოაღწია: დაეტოვებინათ სარწმუნოება და მოგვთა ცეცხლთაყვანისმცემლობას დამორჩილებოდნენ. იმავე მეფემ იგივე უბედურება სომხეთშიც დაატრიალა. ალვანთა ჰაზარაპეტი და ქვეყნის წმინდა მთავარეპისკოპოსი წინ აღუდგნენ [ამ ბრძანებას]. მათ ერთად მიადწიეს სომხეთის თემამდე და უამბეს სამწუხარო ამბავი. დიდი შეშფოთებით აჩქარებდნენ ჯარის გაგზავნას და ეუბნებოდნენ: „სპარსელების რაზმი, რომელიც იმყოფებოდა ჰონთა მეფის მხარეებში, იქიდან დაბრუნდა და ჩვენს ქვეყანაში შემოვიდა. ბევრნი არიან მხედრებიც, რომლებიც სამეფო კარიდან მოვიდნენ. დე, ორი იყოს, მაგრამ სამასი ვარდაპეტი\*\* მოიყვანეს თან. ქვეყანა არიეს, ზოგი თავის მხარეს გადაიბირეს, მოისურვეს ეკლესიების დამორჩილება. მეფის ბრძანებით აიძულებენ ყველას და ეუბნებიან: „თუ ჩვენი სარწმუნოების მიღებას მოისურვებთ, საჩუქრებსა და პატივს მოიპოვებთ მისგან, ასევე მოგეხსნებათ სამეფო ხარკი, ხოლო თუ ნებით ამას არ გააკეთებთ, ბრძანება გვაქვს სოფლებსა და დაბებში ატროშანნი ავაგოთ და შიგ ვრამის ცეცხლი დავდგათ. ხოლო ქვეყნის კანონმდებლად მოგვები და მოგბეტები დავაყენოთ. ვინც იტრჩებს, სიკვდილით დაისჯება, ხოლო ასეთის ცოლი და შვილი ქვეყნიდან გაძევდება“. როდესაც ეს შეიტყვეს სომხებმა, უკან არ დაუხვეიათ, არამედ ერთად შეიკრიბნენ ამ შემთხვევის გამო, გაამხნევეს ისინი და უკან გაგზავნეს. აღუთქვეს, რომ დროებით მოტყუებით შეაჩერებდნენ [მოძალადეებს], რათა გამოსავლის პოვნამდე ხელი არ ეხლოთ ეკლესიის ძმობისათვის.

ამავე დროს სომეხთა რაზმმა მისწერა თეოდოს იმპერატორს — ეშველა მათთვის დიდი საშიშროების ჟამს. მაგრამ ის სწორედ მაშინ გარდაიცვალა. გამეფდა ურწმუნო მარკიანოსი, რომელმაც აღთქმა არ დაიცვა, რადგანაც თავისი ხასიათის მიხედვით წარმართებს უფრო ეთანხმებოდა. ვერსაიდან ვერ ჰპოვეს შველა მამაცმა სომხებმა და იმედი დაამყარეს ყოვლისმპყობელ უზენაეს ძალაზე. სომეხთა ჯარები სამად გაყვეს: პირველი მისცეს ნერშაპუჰ რმბოსეანს, ატრპატაკანის

\* ზორავარი — ჯარის უფროსი, სარდალი.  
 \*\* ვარდაპეტი, მოძღვარი, აქ — მოგვი.



მხარის დასაცავად. მეორე რაზმი სომეხთა ზორავარ ვარდანს ჩააბარეს, რათა ქართველთა საზღვართან შებრძოლებოდა ჩორის მარზპანს, რომელიც წამოსული იყო ალვანთა ეკლესიების დასარბევად. ნეტარმა ვარდანმა იმ დროს არაფერი იცოდა წყეული განდგომილი ვასაკის ვერავგობაზე. სომეხთა ჯარის ალვანეთში მოსვლამდე შეატყობინა ვასაკმა სპარსეთის მარზპან მერსუბუხტს, რომ მათი ლაშქარი გაყოფილი იყო და ვარდანი მცირე რაზმით მიდიოდა იმ მხარეს, — „ახლა მზად იყავი მათ დასახვედრად, რათა საბოლოოდ გაანადგურო ისინი“.

ასეთი იყო ურწმუნოს ზრახვები. ხოლო, როდესაც მერსუბუხტმა ეს ვასაკისაგან შეიტყო, გამხნედა და აღარ წავიდა ჩორის მხარეებში, არამედ მოაგროვა მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი და სასწრაფოდ გადავიდა დიდ მდინარე მტკვარზე\*. შეხვდა ვარდანს ქართველთა საზღვრებში მახლობლად ქალაქ ხალხალისა, რომელიც ალვანთა სამეფოს საზამთრო სადგომი იყო. დიდი მინდვრის მთელი ფართობი გარემოიცვა შეიარაღებულმა და საომრად ანთებულმა [მერსუბუხტმა] და ბრძოლა დაიწყო სომეხთა რაზმის წინააღმდეგ. ხოლო მამაცმა ვარდანმა და მასთან მყოფმა ჯარმა, როდესაც დაინახეს წარმართთა სიმრავლე, შეხედეს თავიანთ სიმცირესაც. თუმცა ესენი მათზე ბევრად სუსტნი იყვნენ, მაინც არ შეშინებულან მტრის მეტისმეტი ძლიერების გამო, არამედ შეკავშირდნენ, თავიანთი ხმა ზეცას მიაწვდინეს და თქვეს: „განსაჯე უფალო ისინი, რომელნიც ჩვენს განსჯას ლამობენ და შეებრძოლენ იმათ, ვინც ჩვენ გვებრძვის. ფართთა და შუბით შეგვეწიე ჩვენ და შეარყიე და შეაძრწუნე ურწმუნოთა რაზმი“\*\*. ამგვარად ილოცეს და შეკავშირებული მამაცი სომეხი მებრძოლები თავს დაესხნენ [მოწინააღმდეგეს]. შემუსვრილი მარჯვენა ფრთა მარცხენა მხრისაკენ გადაისროლეს, ყველანი ხმლის კერძად აქციეს და აიძულეს გაქცეულყვნენ მინდვრის პირისაგან სიმაგრისაკენ, ტყიან ადგილებსა და მდინარე ლუზნასის<sup>67</sup> ღრმა ხეებში, სადაც მათ წინააღმდეგ დაბრუნდნენ ბალასაკანის მეფის დიდებულები, იქ ცხენიდან ჩამოაგდეს ერთი სომეხი ნახარართაგანი, დიმაქსენთა რაზმიდან, მუშნი მოკლეს, ხოლო გაზრიკი დაჭრეს. მაშინ მზერა მიაპყრო ზეცისაკენ არშავინ არშარუნმა, ლომივით დასჭექა და ტახივით ეკვეთა, მოკლა მეფის მამაცი ძმა ვურკი და სხვა მრავალიც იქვე დახოცა. ამრიგად, ყოველი კაცი თავისი ამხანაგის მეტოქეს კლავდა. ამ მეტად გაბედული თავდასხმის დროს წყალში უფრო მეტი იხრჩობოდა, ვიდრე ხმელეთზე ეცემოდა. ჩაცვივნულთა სიმრავლისაგან მდინარის სუფთა წყალი სისხ-

\* ტექსტშია — „კურ“ (կուր).

\*\* შდრ. ფსალმუნი, 34, 1—3



ლად იქცა. მათგან ცოცხალი არავინ დარჩენილა, მხოლოდ ერთი მტრის  
ჯარიდან დამალულიყო იარაღითურთ დაბურული ტყის ტევრში. შეჯ-  
და ის ცხენზე, გადავიდა დიდ მდინარეზე და ძლივს გადაჩენილმა  
სამწუხარო ამბავი მიიტანა ძირითად ბანაკში, რომელიც შეფარებული  
იყო დიდ შავსტანში. ბრძოლაში ამ საქმეების შემდეგ, სომეხთა ჯარმა  
შეაგროვა ურიცხვი ალაფი: ბევრი ვერცხლი, ოქრო, იარაღი და მამაც  
კაცთა და ცხენთა აღკაზმულობა. შემდეგშიც უშიშრად თავს ესხ-  
მოდნენ ციხეებსა და ქალაქებს, რომლებიც სპარსელებს ეკავათ ალ-  
ვანთა ქვეყანაში. იბრძოდნენ ვაქეაცურად, სწვავდნენ მათ შეუვალ  
ციხეებს და სადაც იპოვიდნენ მაცდუნებელ მოგვთა ჯგუფებს, ხმლის  
კერძად აქცევდნენ. მძორით კი ცის ფრინველებსა და დედამიწის ნა-  
ღირს აძლებდნენ. გაწმინდეს ადგილები ყველა ბილწი მსხვერპლისაგან  
და გაათავისუფლეს ეკლესიები საშინელი შევიწროებისაგან. ალვანე-  
თის ბევრმა ნანარატთაგანმა და შინაყანმა, რომლებიც ღვთის გული-  
სათვის გაიფანტნენ და იმალებოდნენ კაპიკის<sup>68</sup> მიუვალ მთებში, რო-  
დესაც დაინახეს სომეხთა რაზმის დიდი გამარჯვება, ერთად წამოვიდ-  
ნენ ისინიც და შეუერთდნენ მათ ჯარებს. ერთსულოვანი მონაწილეობა  
მიიღეს იმათ წარმატებაში.

ამის შემდეგ გაემართნენ ჰონთა ციხე-სიმაგრეზე, რომელიც მო-  
ძალადობით ეკავათ სპარსელებს. აიღეს, დაანგრეს ციხესიმაგრე, ხო-  
ლო მისი კარი ხელთ მისცეს ვინმე ვარდანს, რომელიც ალვანთა მე-  
ფის ტომიდან იყო. ყველა ამ სიმახაცის ღროს ამათგან არავინ დაცე-  
მულა, მხოლოდ ერთი აღესრულა მოწამეობით.

მაშინვე ჰონთა ქვეყანაში დესპანად გავზავნეს ის კაცი, რომელ-  
საც [ციხის] კარი ჩააბარეს, რათა მოლაპარაკებოდა მათ, ზავი დაედო  
და ურღვევი შეთანხმება მოეპოვებინა. როდესაც ჰონებმა ეს ამბები  
შეიტყვეს, მძისვე მივიდნენ იმ ადგილას და თვითონვე იხილეს ეს წარ-  
მატება. ღვთიური წესით შეკრეს კავშირი და ქრისტეს სარწმუნოება  
დაიფიცეს, რომ მათთან ერთად მტკიცე თანხმობას შეინახავდნენ.  
ამგვარად, თავიანთი ყველა სურვილი აისრულეს.

ვიდრე იმ ადგილებში იმყოფებოდნენ, სომეხთა ქვეყნიდან სამ-  
წუხარო ცნობამ მოაღწია განდგომილი ვასაკის შესახებ. მას აეოხრე-  
ბინა სომეხთა ბევრი ადგილი. მაშინ გაემგზავრა ვარდანი დიდი ალა-  
ფით, ღვთის მიმართ დაუბინდავი სიხარულით და მისივე იმედით მიაღ-  
წია სომეხთა ქვეყანას ოცდამეათე ღღეს. ვასაკმა, როდესაც შეიტყო  
ვარდანის გამარჯვებით დაბრუნება ჰონებთან და ალვანელებთან კავ-  
შირში, სასწრაფოდ გაეცალა მას. ბოროტი ბუნების გამო ბოროტი  
ხვედრი ერგო, ღვთისგანაც კი ვერ მოიპოვა შეწყალება.

ეს ამბები ალვანთა და სომეხთა შორის მოხდა მეფე იახკერტის  
ღროს უზენაესის შემწეობით.





მესროზ ვარდაკეტიხის მოსვლა ალვანთა მეფე ესვალენთან, ი  
 წერილთა მოკოვება, სკოლეზის ხელახალი დაარსება და  
 რწმენის განმტკიცება. ალვანეთში დარჩენილი სმტების  
 აღმოფხვრა.

იმ დროს, როდესაც ბერძენთა იმპერატორი თეოდოს მცირე იყო, სომეხთა მეფე — ვრამშაპუჰი, სპარსთა მეფე — იაზკერტი, ხოლო ალვანთა მეფე — ესვალენი, მოვიდა ალვანეთში ნეტარი მესროზი — სულიწმინდას მრავალნაღვაწი რჩეული ჭურჭელი, ჩვენს პატრიარქ ერემიასთან და მეფე ესვალენთან, რომლებმაც თავისი სურვილით მიიღეს მისი მოძღვრება, რადგანაც მას მინიჭებული ჰქონდა ღვთიური მადლი და მისი ხელით სულიწმინდამ სომეხებსა და ქართველებს დამწერლობა მისცა\*. ამათ ინებეს მიებარებინათ სასწავლებლად რჩეული ყრმები. სიუნიქიდან იხმეს ბენიამინ მთარგმნელი, რომელიც ვასაკ ყრმამ ანანია ეპისკოპოსის საშუალებით გამოგზავნა. როდესაც ისინი მივიდნენ მესროზთან, მან მათთან ერთად შექმნა დამწერლობა გარგარების ხორხისმიერი, ხშული, მკაცრი და უხეში ენისათვის. აქ მეთვალყურედ დატოვა თავისი მოწაფე იოვანათანი, მეფის კარზე მღვდლები დააყენა, თვითონ კი სომეხეთში დაბრუნდა, შემდეგ გადავიდა ბიზანტიაში თეოდოს მეფესთან. იქიდან კვლავ მოსული დადიოდა მოწაფეებთან ერთად. შეიტყო, რომ გარდმანში დარჩენილიყო წარმართული სექტა. მიბრუნდა სივნიეთიდან და წავიდა გარდმანის იშხან ხურსთან. მისი საშუალებით მოაქცია ისინი, ხოლო თვითონ გაეშურა ქართველთა ბღეშის აშუშას<sup>69</sup> მოწოდების თანახმად მისივე საქმის გამო.

ამავე დროს გამოჩნდა წყეული ნესტორი, რომელიც დაიწყევლა ორას მამათაგან ეფესოში\*\*. იაზკურტ II-ის მეფობის პირველ წელს, ნავასარდის<sup>70</sup> თვის ბოლოს გარდაიცვალა წმინდა საჰაკი, ხოლო ექვსი თვის შემდეგ აღესრულა ნეტარი ვარდაპეტი მესროზი, რომელიც განისვენებს წმინდა ქალაქ ვალარშაპატში...

\* ამ საკითხზე იხ. შწმგ. 55.

\*\* ეფესოს კრება შედგა 431 წ.



#### თ ა ვ ი IV

აღვანეთის საპატრიარქო ტახტის გადატანა ჩორიდან და მმართველობის დაფუძნება დიდ ქალაქ პარტავაში მტაცებელი ხაზარების გამო, რომლებიც თავიანთი თავდასხმებით აოხრებდნენ [ქვეყანას]

ამის შემდეგ სპარსეთის ქვეყანა ხაზარებმა დაატყვევეს. ეკლესიები და სახარებანი ცეცხლს მისცეს. მაშინ მეფეთა მეფეს ხოსროვის მეორე წელს, როდესაც სომხური წელთაღრიცხვის დასაწყისი იყო\*, აღვანეთის საპატრიარქო ტახტი ქალაქ ჩორიდან დედაქალაქ პარტავაში გადაიტანეს ქრისტეს ჯვრის მტრების მტაცებლური თავდასხმების გამო. პატრიარქად დასვეს მეწირანქის გავარიდან უფალი აბასი, რომელსაც ტახტი ეპყრა ორმოცდაოთხი წლის განმავლობაში და წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდა. აღესრულა და უკვდავებას ეზიარა.

#### თ ა ვ ი V

ღიწაფაიტის მთაზე მოწამეთა გამოცხადება და ნიუბთა მოკოვება აბასის პატრიარქობის დროს

#### თ ა ვ ი VI

დავითის ჩვენება

#### თ ა ვ ი VII

სომეხთა კათალიკოსის იოვანეს ზეციური მაღლით აღვსებული რწმენის განმტკიცების წერილი აღვანთა კათალიკოს უფალ აბასისადმი

#### თ ა ვ ი VIII

აღვანთა კათალიკოსმა უფალმა აბასმა სომეხეთიდან წერილის მიღებისას აღვანეთიდან გააძევა ერეტიკოსები

\* სომხური წელთაღრიცხვის დასაწყისად მიღებულია 551 წ.





მოთხრობა ბარბაროს ხალხთა აზვირთებაზე და ზოგიერთი საყოველთაო უბედურებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა იერუსალიმში

ო, საოცარია ისტორია რომლის მოთხრობაც მე გადავწყვიტე მთელი ქვეყნის გასაგონად — როგორც მახლობლების, ასევე უცხოთათვის. ის არა ჰგავს უწინდელ აღწერილ ნაირნაირ ბრძოლებსა და მღელვარებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სხვადასხვა ადგილებსა და სხვადასხვა ხალხებში. ისინი წინასწარ იყვნენ განსაზღვრულნი სულიწმინდას მიერ თავისი მრავალრიცხოვანი ნაწილებით და მაგალითებით. მიწიერი და სულიერი ძალებით გაყდენილი ფილოსოფიური თხზულებანი, დახელოვნებული და სიტყვაწყლიანი უცხოელების მონათხრობი, არ შეიძლება შეედაროს ამ [ჩემს მიერ მოყოლილ] ამბებს.

აღსრულდა ის, რასაც ჩვენი მხსნელი [ქრისტე] ცხოველმყოფელ სახარებაში ბოროტებათა უამს ეუბნება თავის რჩეულ თორმეტ მოწაფეს. „თქვენ შეიტყობთ ომების შესახებ და ამ ომების ამბავი [სავსე] იქნება ხშირი შიმშილით, მახვილითა და ძრწოლით, იქნება ნიშანი მზისა, მთვარისა და ვარსკვლავების, მღელვარებანი ხალხთა, როგორც მშფოთვარე ზღვის ტალღებისა“\*. თვითონ უფალი გვაფრთხილებს, „იღვიძებით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა უამი\*\*\*“.

ამრიგად, დამძიმდა ჩემი გონება და გაიფანტნენ ჩემი ზრახვები საყოველთაო დარტყმებისაგან და [ამასობაში] დამავიწყდა თხრობის რიგი, რომლისათვისაც საძირკველი უნდა ჩამეყარა და მომეყოლა დრო-უამისა და ამბების შესახებ, იმ ამბებისა, რომლებიც ხდებოდა ალვანთა ქვეყანაში წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ, „დამავიწყდა მეჭამა პური ჩემი, ხმითა ვაებისაგან ჩემისა\*\*\*“.

მაგრამ დავივიწყოთ ახლა შიში და ძრწოლა, რომელიც ჯერ ისევ ჩვენთან არის და დავუბრუნდეთ საქმეს, რადგანაც ვხედავთ მრავალთ, რომლებსაც სურთ შეიტყონ თუ როგორი უთვალავი დარტყმები მოგვაყენეს ჩვენმა გარემომცველმა ბარბაროსმა მტრებმა. ამასთანავე [მოგითხრობთ] უდიდეს და საკვირველ ნიშნებზე, რითაც მოიცივა ძლიერმა და კაცთმოყვარე ღვთის მარჯვენამ ჩვენი მტრები, რომლებიც დაემხვნენ ჩვენს თვალწინ. რადგანაც უკვე გაიარა ხანმა, ჩვენი ვალიი თანდათანობით მოგიყვებ. მე თხრობას დავიწყებ ჩვენი უფლის იესო

\* შდრ. მარკოზ, 13, 7—8.

\*\* მათე, 25, 13.

\*\*\* შდრ. ფსალმუნი, 101, 5—6



ქრისტეს გამოჩენიდან მეფერამეტე ნაკიანის პირველი წლით, მეხუცის თვიდან, რაც სპარსეთის მეფეთა მეფის ხოსროვ ორმიზდეანის ოცდამეთხუთმეტე წელია.

ბერძნული  
ნიშნით

თ ა ვ ი X

## მეთვრამეტე ნაკიანის პირველი წელი<sup>1</sup>

ქრისტესმოყვარე კეისრის ჰერაკლე ფლავიუსის დროს დადგა ეამი იერუსალიმის ტყვეობისა, ისევე, როგორც ოდესღაც სპარსელი კიროსის მიერ დატყვევებისა სამოცდაათი წლის განმავლობაში. ახლა მოულოდნელად ეწვია ღმერთი სპარსეთის ამაყ მეფე დიდ ხოსროვს, რომელმაც დიდი ხანია გაიმარჯვა [კეისარზე], გააძევა და დაეუფლა მას უავგუსტოეს ოჯახთან ერთად, დიდი ქვეყნითა და პალესტინის შესანიშნავი ქალაქით.

უკვე დანახა, რომ ხელი მოემართა საბრძოლო საქმეში, რომელიც დაიწყო ბერძენთა მეფის წინააღმდეგ თავისი ზორაგარის ხელით. ის აღრევე დანიშნული ჰყავდა დასავლეთის წინააღმდეგ, მისი ნამდვილი სახელი იყო ხორენი. მაგრამ ჯარების მოწყობისა და ბრძოლაში მათი შემართების უნარის გამო, აგრეთვე მიღწეულ გამარჯვებათათვის, სპარსული ცბიერებით, სხვადასხვა სააღერსო სახელებს უწოდებდა, ხან როზმიოზანი დაარქვა, ხანაც შაჰვარაზი.

მან აიღო და ცეცხლს მისცა წმინდა ქალაქი იერუსალიმი, ასევე დაატყვევა ძელი ცხოველი — ქვეყნიერების განმანათლებელი და ჯოჯოხეთის დამამხობელი ჯვარი, აგრეთვე მთელი წმინდა ნივთები ამ ქვეყნებისა — ოქრო და ვერცხლი, პატიოსანი ქვები, წითელი სამოსი — შემკული ძვირფასი მარგალიტით, დიდებულ ქალაქთა საუცხოვო ავეჯეულობა, ალესტრის სვეტები და ლავგარდანები, ამასთანავე დიდრონი ოთხფეხნი და ფრინველნი, რომელთა სახელები არც კი იცოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში. მაგრამ მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგანაც რაც მან გააკეთა იმის აღწერა ჩემი საქმიანობის საზღვრებს სცილდება. ნაალაფევი განძთა ზვინები, ბრძანა სპარსეთის სამეფო კარზე წაეღოთ, მაგრამ მაინც ვერ გაძღა და ვერ დაკმაყოფილდა ურიცხვი განძეულით. მან აგრეთვე თან გაიყოლა სხვადასხვა მომღერლები დახლოვნებულნი დროსტარებაში. ფაქიზად ნაზარდი ქალიშვილები და ჭაბუკები. ერთი სიტყვით, მძვინვარებდა როგორც ზღვაზე, ასევე ხმელეთზე. კეთილად ნაშენი რომაული ქალაქები თავისი მცხოვრებლებითურთ გადაატანინა სპარსეთის მხარეებში საკუთარი სიამოვნებისათვის. უბრძანა ხუროთმოძღვრებს აეგოთ დარბეულ ქალაქთა მსგავსი, რომელთა შორის ერთს უწოდა დიდი ანტიო-



ქია, ხოლო დანარჩენებს თავთავის სახელები დაუტოვა, მხოლოდ დაუ-  
მატა სიტყვა „დიდი“.

როდესაც ხალხებზე და სამეფოებზე გამარჯვებით თავისი ყველა  
სურვილი აისრულა, უზომოდ გადიდგულდა, გაამაყდა და წარმოიდ-  
გინა, რომ საკუთარი სიმამაცით სპარსეთის სამეფოს საშინსა და საო-  
ცარს გახდიდა, მაგრამ აზრად არ მოსვლია, რომ უფალი ამძღვრებუ-  
ლია ადამიანთა სამეფოებზე და ვისაც სურს, იმას აძლევს მათ.

შემდეგ ხანებში იმანაც იწყო თანდათან დასუსტება და ბერძენთა  
მეფის წინაშე უძლურება [გამომამყლავნა]. თავს მალა ვერ სწევდა  
მისი ძლიერების გამო. ხოლო [ბერძენთა] იმპერატორმა მოულოდნე-  
ლად აცნობა თავის ჯარსა და მხედარმთავრებს ღვთივბოძებულ წარ-  
მატებებზე და ბრძანა სასწრაფოდ შეკრებილიყვნენ ერთ ადგილას  
მათ განკარგულებაში მყოფი ჯარებითურთ. არავის დაეცადა თავისი  
ამხანავისათვის, არამედ სასწრაფოდ შეეცვალათ თავიანთი გუთანი  
ხმლითა და ცელი მახვილით. სუსტნი და მშვიდნი ერთმანეთს ამხნე-  
ვებდნენ, ჩვენ ძლიერი მებრძოლები ვართო.

აღსდგა მთელი ძალით და თვითონ ითავა თავისი ჯარების მხე-  
დარმთავრობაც და წინამძღოლობაც. სასახლის კარი თავის შვილს  
ჩააბარა. დაავიროგვინა და თავის ნაცვლად სამეფო ტახტზე დასვა. მას  
არ დაურტყამს სპარსელთა ლაშქრისათვის, რომელმაც დაიპყრო და  
მორჩილებაში ჰყავდა მისი ქვეყნები და ქალაქები, არ მიახლოებია  
მას და არ გამოუწვევია ომში საბრძოლველად, არამედ დატოვა იქვე,  
თავის მიწაზე, თვითონ კი წავიდა საზღვაო გზით და გეზი აიღო ეგერ-  
თა ქვეყნისაკენ. მივიდა სომხეთში, გადავიდა მდინარე ერასხზე და ვა-  
რაუდობდა, რომ ჯერ მოუშნადებელი დახვდებოდა დიდი მეფე ხოს-  
როვი. როდესაც ხოსროვმა მისი [მოსვლა] შეიტყო, თავის გონებაში  
გაოცდა და თქვა: „განა ეს არ არის ის, რომელიც ჩემი შიშით უფსკ-  
რულისაკენ გარბოდა, ახლა კი რა ამბავია“? მიეფარა მას თვალთაგან  
და მართა საზაფხულო [სადგომის] საზღვრებიდან ასორესტანის ქვე-  
ყანაში წავიდა. საჩქაროდ გაგზავნა სწრაფმავალი შიკრიკნი და თავას  
დიდ ზორავარ შაჰვარაზს უდიდესი ფიცითა და მუქარით მისწერა:  
„შენ შეგიძლია თავიდან აიცილოო, — ეუბნებოდა, — ჩემი დიდი საყ-  
ველური და რისხვა თუ ახლავე სასწრაფოდ გამოეშურები და არავის  
დაანებებ კაციდან მხეცამდე ჩემზე თავდასხმასო“. ხელში აიღო ზო-  
რავარმა ეს ბრძანება და წაიკითხა საშინელი ამბავი. შემდეგ სასწრა-  
ფოდ დაათვალიერა სპარსეთის მთელი ლაშქარი. თავის მორჩილებაში  
მყოფი ჰრომაელთა და პალესტინელთა ქალაქები იქაურ რაზმებს ჩაა-  
ბარა და უბრძანა გაფრთხილებოდნენ მის დაბრუნებამდე. თვითონ კი  
დაიძრა საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარითა და რჩეული ბედაურე-  
ბით, რათა სწრაფად მისულიყო მეფის ბრძანებაზე.



დიდმა კეისარმა ჰერაკლემ როდესაც შეიტყო სპარსეთის მეფის წასვლა, უკან აღარ დადევნებია, არამედ თავს დაესხა ატრპატაკანის მხარეებიდან დაწყებული იმ კუთხემდე, რომელსაც ეწოდება გაიშავანი — ადგილი გამაგრებული, სიბბოს გამო სპარსეთის მეფეებისაგან საავარაკოდ მიჩნეული, მართა ქვეყნის საზღვარზე. დაარბია, დაანგრია, დაატყვევა მთელი ქვეყანა. იქიდან დაბრუნებულს სურდა გამოეხამთრა ალვანთა, ქართველთა და სომეხთა მხარეებში. ამის გამო წერილი გამოუგზავნა ამ ქვეყნების იშხანებსა და წინამძღოლებს, რათა თავიანთი სურვილით გამოსულიყვნენ მის შესახვედრად, მიეღოთ ის და გაეწიათ სამსახური ჯარებითურთ ზამთრის განმავლობაში. ხოლო თუ ამას არ [ისურვებდნენ], წარმართებად ჩათვლიდა, მაშინ მათ სიმაგრეებს აიღებდნენ და ამ ქვეყნების საზღვრებს დაიმორჩილებდნენ მისი ჯარები.

როდესაც ყველა ეს შეიტყვეს ალვანთა ქვეყნის მეთაურმა და იშხანებმა, ბევითონ ხოსროვის ბრძანებით დატოვეს დიდი ქალაქი პარტავი. [იქიდან] გამოსულები წავიდნენ და გამაგრდნენ სხვადასხვა ადგილებში. ხოლო ქრისტიან და წარმართ ხელოსანთაგან ქალაქის მრავალი მცხოვრები, რომლებმაც თავიანთი შეუძლებლობის გამო ვერ მოახერხეს თავის დაღწევა, იქვე, ქალაქში დარჩნენ.

ერთმა მღვდელმა, სახელად ზაქარიამ, წმინდა კაცმა, პარტავის ეკლესიის ბერმა, მშვიდმა და წყნარმა თავი დაღო [იქ დარჩენილებსათვის]. ფიცით და სხვადასხვა საშუალებებით დაიხსნა მრავალი ქრისტიანი. თავის ლოცვებით თავდებობდა მათ. ასევე ებრაელებსა და წარმართებს. ამის გამო მომდევნო ხანებში ყველა აქებდა მის საქმეებს და მოწმედ უდგებოდა. შემდეგ კი ალვანთა ტახტის ეპისკოპოსად დაადგინეს.

ხოლო, როდესაც მოადწია პრომეელთა ურიცხვმა და უთვალავმა ჯარმა, დაიბანაკა უტის გავარაში მახლობლად წყალვარდნილისა, რომელიც სოფელ კალანკატუქის საზღვრებშია. მათ გათელეს და გაანადგურეს ლამაზი მსხმოიარე ვენახები და ბაღები, რომლებზედაც გადიარეს. იქიდან წავიდნენ და დაბანაკდნენ ტრტუს წყალვარდნილთან, სოფელ დივტაკანის მახლობლად. მათ უკან დაედევნა სპარსელთა ლაშქარი, რომელსაც „ახალი ჯარი“ ეწოდებოდა. მისი მეთაური იყო შაპალაკანი. მათ წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე მეფის სარწმუნო ნახარართაგან ერთი კაცი, — გრანიკ სალარი, ხოლო სპარსელთა მეორე ზორავარი წამოვიდა პრომიდან. მან აიძულა ჰერაკლეს ხალხი გაქეულიყო. ისინი სიუნიქის ქვეყნისაკენ გაეშურნენ. თუმცა სპარსეთის ჯარებმა დიდი დარტყმები მიიღეს, მაინც გააძევეს თავდამსხმელი თავის ქვეყანაში და მაშინვე დაიკავეს ის ქალაქები, რომლებიც ძალით იყო წართმეული.





ხოსროვი მრავალი წლის განმავლობაში იბრძვის ბრძანება  
მეფის წინააღმდეგ, ხმლით ამარცხებს მას და იპყრობს  
ჰრომაელთა ძვეყანას

ჰარაკლეს ბრძანებით ხაზარების ძლიერი ურდო დაიძრა ჩვენს ქვეყანაში საღაშქროდ. სპარსეთის მეფე ხოსროვმა შიკრიკნი გაგზავნა მათთან და შეუთვალა: „ვისი ბრძანებით მოხვედით თქვენ ჩემს ქვეყანაში? იმისი, ვინც თავს არიდებდა ჩემს სახეს და დასავლეთის ზღვის კუნძულებზე დაეხეტებოდა? თუ თქვენ შეგეხარბათ მისი ოქრო და ვერცხლი, პატიოსანი თვლები, ანდა ოქროთი და მარგალიტებით მოოჭვილი ბისონისა და ძოწის სამოსელი, მე შემეძლო ორჯერ მეტად ვიდრე მას, თქვენი სურვილების დაკმაყოფილება. ამიტომაც გეუბნები შენ, ნულარ გაიმეორებ ამ საქმეს მისი თხოვნით, თუ არა და იყოს შენა შენი. მაგრამ აი, წინასწარ გეტყვი რასაც ჩავიდენ, რათა დაგატოვებინო ის ჩემი სიტყვით: მე მოვუხმობ მისი ქვეყნიდან ჩემს ძლევამოსილ ზორავარს — შაჰვარაზს ორ მამაც მებრძოლთან შაჰენთან და ქრტიკარინთან ერთად, ასევე ურიცხვსა და ათასობით სამაგალითოდ შეიარაღებულ ჩემს ჯარს, რომელიც დასავლეთის წინააღმდეგ გავგზავნე, ახლა პირს ვუხამ აღმოსავლეთისაკენ, მთელი ჩემი ძლიერებით აღვდგები შენზე, არ დაგეხსნები და არ მოგცემ მოსვენებასა და სიმშვიდეს, ვიდრე სამყაროს პირიდან არ ამოგავდებ. მაშინ გაიგებ და გულისხმასყოფ ჩემს განმარისებელ შენს შეუთვებელ მოქმედებას, რასაც სჩადიხარ. სად წავიყვანო დასასვენებლად ეს უთვალავი ლაშქარი, როდესაც მე მანდლან წამოვალ, რომელი ქვეყანაა, რომ საკმარისი იყოს მათთვის? [არ იფიქრო], რომ ამ სიტყვებისამებრ არ მოვიქცევი!“ როდესაც [ხაზარებმა] ამგვარი მუქარის ცნობა მიიღეს, იმ წელიწადს დაცხრნენ და იქიდან იმავე კარით დაბრუნდნენ.

შემდეგ, როცა მათმა უფალმა იშხანმა დაინახა მთელი სიუხვე დატყვევებული ნადავლის, — ადამიანისა თუ პირუტყვის, ოქროს ჭურჭლისა თუ ძვირფასი სამოსელის სახით, გადაწყვიტა თავის გონებაში იმ მხარეს თვითონ წასულიყო. ამის შემდეგ ყველას აცნობა, ვინც მის ხელქვეით იმყოფებოდნენ ტომიდან ტომს და ხალხიდან ხალხს, მთიელებსა და ბარელებს, ბინადრებს და მომთაბარეებს, ზღვასა თუ ხმელეთზე მცხოვრებთ, თმაგადაპარსულებსა და თმიანებს, რომ მის ნიშანზე მთლიანად გამზადებული ყოფილიყვნენ.

ამრიგად, ოცდამეოთვრამეტე წელს, რომელიც ხოსროვის დაღუპვის უბედური წელი იყო, მოვიდა თვითონ ის, ვისზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, — ჯებუ ხაქანი, თავის შვილთან ერთად. არავის შეეძლო



მისი ჯარის დათვლა. როდესაც ამ საშინელმა ამბავმა ალვანეთამდე მოაღწია, ხოსროვისაგან გამოგზავნილმა ქვეყნის მმართველმა და იმხანმა, სახელად გაიშაქმა, მოისურვა გამაგრებულიყო ჩვენი ქვეყნის დიდი დედაქალაქის პარტავის ციხეში. ამიტომ შიგ ჩაქცა ახლომდებარე ვავართა დიდძალი [მოსახლეობა] და სურდა ქვეყნის დიდებულებთან და ქალაქის მცხოვრებლებთან შეთანხმებით მტკიცედ მდგარიყო მათ წინააღმდეგ. მაგრამ მან დაინახა, თუ რა ვადახდათ დიდი ქალაქის ჩორის დამცველებს და მის საოცარ კედლებზე მყოფ ლაშქარს. ამ საკვირველი შენობისათვის სპარსეთის მეფეებმა დიდი ხარჯით დააუძღურეს ჩვენი ქვეყანა, აგროვებდნენ ხუროთმოძღვრებს, ეძებდნენ სხვადასხვა მასალას და გადაკეტეს გზა კავკასიის მთიდან აღმოსავლეთის დიდ ზღვამდე.

საყოველთაო უბედურების მოახლოებისას, რომელიც ყველა ჩვენთაგანს წინ ედგა, აბობოქრებულმა ზღვის ტალღებმა პირველად [ამ კედლებს] დაარტყეს და საძირკველიანად დაამხვეს. როდესაც [მოსახლეობამ] დაინახა საშინელი რისხვა ბოროტი, უტიფარი, ფართოსახიანი, უწამწამო, ქალივით თმაგაშვებული [ბრბოსაგან], რომელიც მათზე მოიწევდა, ცახცახმა შეიპყრო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იხილეს ზუსტი შორსმსროლელები, რომლებმაც ძლიერი სეტყვასავით დაუშინეს. როგორც ლეშისმჭამელი მგლები მოურიდებლად ეკვეთნენ და შეუბრალებლად დახოცეს [ხალხი] ქალაქის გასასვლელებსა და ქუჩებში.

მათი თვალი არ ინდობდა ლამაზსა და მშვენიერ ახალგაზრდა ქალებსა და ქაბუტებს, არც დაუძღურებულებსა და შეუძლოებს, არც ხეიბრებსა და მოხუცებს ტოვებდნენ [ხელუხლებლად]. არ ებრალებოდათ და გული თანაგრძნობით არ ეკუმშებოდათ, როდესაც ბავშვები დახოცილ დედებს ეხვეოდნენ და მათი მკერდიდან რძის ნაცვლად სისხლს სწოვდნენ. როგორც ცეცხლი ლერწამში, ისე შედიოდნენ ერთ კარში და მეორედან გამოდიოდნენ, შიგ კი მხეცებისა და [მტაცებელი] ფრინველების ნამოქმედარს ტოვებდნენ. ჯერ მხოლოდ ტალღები იძვროდნენ ჩვენს წინააღმდეგ.

როდესაც ყოველივე ეს შეიტყო ქალაქ პარტავის დამცველმა და მფლობელმა იმხანმა მოისურვა მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება ეხმარათ იმ გამაგრებულ მოსახლეობასთან, რომელიც ძლიერი საშიშროების გამო ციხესიმაგრეში იყო შეფარებული. ის იყო პირი გააღო, მაგრამ დიდი შიშისაგან ხმის ამოდება ვერ შეძლო, რადგანაც გული გაელია და თავიდან ფეხებამდე ცახცახმა აიტანა, მისი მუხლები ერთმანეთს ურტყამდნენ. როცა მოსახლეობამ გაიგო ამ კაცის ასეთი სულმოკლეობა, ყვირილი ატეხა და უთხრა: „რისთვის დაგებბრკოლე აქ ამ დროს, გინდა ჩვენი ცოლებითა და შვილებით



ხელთ მიგვცე სისხლისმსმელ მხეცებს? ახლა, როგორღა შეეძლოთ გასვლა და გაქცევა მათ თვალწინ, როდესაც ქალაქში ამდენი არჩული ბრბოა, გამანადგურებელი მტერი კი უკვე თითქმის სამი მილით მოგვიახლოვდა“. შემდეგ ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „მოუქნელობით რატომ უნდა ვაქციოთ ქალაქი ჩვენსავე საფლავად? მივატოვოთ ჩვენი ქონება და ქუთრქელი და წავიდეთ, იქნებ მოვახერხოთ თავის დაღწევა“. ისინი გაეშურნენ ერთიანად ქალაქის ოთხივე კარისაკენ. ჩქარობდნენ შეფარებოდნენ არცახის გავარის მთიან მხარეებს.

როდესაც მტრებმა ეს ამბავი გაიგეს, ლტოლვილებს უკან დაედევნენ. მათ ერთ ნაწილს დაეწივნენ მთის ძირას, რომელიც დიდი სოფლის კალანკატუქის პირდაპირ მდებარეობს, იმავე უტის გავარში, საიდანაც მე ვარ. გაბინდების გამო დიდი ზიანის მიყენება ვერ შეძლეს, ბევრიდან მცირე ხელთ იგდეს, ზოგი დახოცეს, ხოლო რომლებიც ფორნებსა და საქონელს შეეფარნენ, იქიდან თავიანთ ბანაკში დააბრუნეს. იმ ღამეს გადავიდა ყველა [ლტოლვილი], როგორც ოდესღაც ებრაელები მეწამულ ზღვაზე და არცახის გამაგრებულ გავარში მივიდა. ასევე ის იშხანიც, სახელად გაიშაქი, გადაარჩა მთელი თავისი ოჯახით და სპარსეთის მხარეებისაკენ გაეშურა. ამიერიდან მას თვითონ აღარ შეეძლო მმართველობა.

ყოველივე ამის შემდეგ, დაიძრა აზვირთებული ნიაღვარი და აბობოქრებული მდინარე ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ, გარემოიკცეს ნებიერი, სავაჭრო და სახელოვანი დიდი ქალაქი ტფილისი\*. როდესაც ამის შესახებ დიდმა კეისარმა ჰერაკლემ შეიტყო, შეკრება მთელი თავისი ძლევამოსილი ჯარი, სწრაფად წავიდა და თავის მოკავშირემდე მიადწია. მეფური საჩუქრებისა და საბოძვრების მირთმევასთან ერთად მეტად გაიხარეს ერთმანეთის ხილვით. ამის შემდეგ იქ სანახავი იყო საცოდაობა იმ ხალხისა, რომელიც ციხესიმაგრეში იყო გამოკეტილი. მათ უბედურება უბედურებაზე ემატებოდათ, მაგრამ, ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი ის [მძიმე] უამი, რომელიც წინ ელოდათ. გაიგო თუ არა ხოსროვმა ორივე დიდი მეფის შეთანხმება ქალაქთან შეხვედრაზე გარემოცვის [დაწყებამდე], დასახმარებლად და ქალაქის დასაცავად სწრაფად გაგზავნა მარჯვე და მამაცი მებრძოლი, თავისი მხედარმთავარი შარჰპალი. ასევე ათასამდე რჩეული მხედარი თავისი ქეშოკებიდან და კარისმცველებიდან. როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა გამოგზავნილი მამველი ძალა იხილეს ძლიერი და გამოცდილი მეომრებით, მეტად გამხნევდნენ და ორივე მეფის დაცინვა დაიწყეს. თუმცა კი ხედავდნენ ჩრდილოეთისა და დასავლეთის ჯარების უთვალავ სიმრავლეს, რომლებიც მთებივით შემოერთყნენ ქალაქს გარშემო. აგრეთ-

\* ტექსტში „ტფლისი“ (Տփլիս).



ვე მათ თან ჰქონდათ ოთხთვლიანი მანქანები და ჰრომაელ ოსტატთა ხელით გაკეთებული სხვა ნაირნაირი საშუალებანი, რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ და უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ. ასევე ჰქონდათ ლოდებით გატენილი რუმბები, რითაც ქალაქის მხარეს მიმდინარე დიდ მტკვარს უკან აბრუნებდნენ და მიმართავდნენ კედლისაკენ. მიუხედავად ამისა, მათ არაფრის არ შეშინებიათ, არც ერთი საქმისა, ერთმანეთს ამხნეებდნენ და იმათგან დანგრეულს იქვე აშენებდნენ და დგამდნენ.

შემდეგ, როდესაც ორივე მეფის ჯარები დასუსტდნენ, დაძაბუნდნენ და გადაიქანცნენ, როდესაც მათი ქვეითი ლაშქრის არცთუ მცირე ნაწილი ომში დაეცა, მეფეებმა ერთმანეთში ბჭობა გამართეს და თქვეს: „რისთვის დავღუპოთ ჩვენი ჯარები, უმჯობესია ძლიერი შევიპყროთ, ხოლო მისი სახლი, როგორც მოგვესურვება ისე დავარბოთ“.


მაშინ შურისმაძიებელი დიდი კეისარი ჰერაკლე მოემზადა შესაფერისი მოქმედებისათვის. მან უთხრა მის დასახმარებლად მოსულ კაცს; „შენ ამ წელიწადს ჯარითურთ მშვიდობიანად დაბრუნდი შენს ქვეყანაში, რადგანაც ჩვენ ვხედავთ თქვენს დაქანცვას, ამიტომ ახლა ზაფხულის სიცხეებში ველარ შესძლებთ მიღწევას ასორესტანის ქვეყნამდე, სადაც დიდ მდინარე ტიგროსთან სპარსეთის დედაქალაქია. მეორე წელს კი, ცხელი თვეების გავლის შემდეგ, სასწრაფოდ გამოეშურე აქეთ, რათა ჩვენი სურვილი ავისრულოთ. [ამასობაში] მე არ დავცხრები, შევებრძოლები სპარსეთის მეფეს, შევაშფოთებ და შევაფროვებ მის ქვეყნებსა და ქვეშევრდომებს. იმდენად მოვიხმარ ჩემს უნარს, რომ თავისიანებმა მოსპონ ის“.

როდესაც ქალაქის მცხოვრებლებმა მათი უკანდახევა გაიგეს, უფრო გამაყდნენ და დაიწყეს თავიანთი დაღუპვის ოინის გათამაშება. შოიტანეს ერთი უზარმაზარი გოგრა, ზედ დახატეს ერთი წყრთის სიგრძისა და ამდენივე სიგანის ჰონთა მეფის სახე, თვალ-წამწამის ადგილას დახაზეს მოტეხილი ტოტა, რომლის შექმნევა არც კი შეიძლებოდა. წვერების ადგილი უტიფრად მოაშიშვლეს, ცხვრის ნესტოები — მტკაველის სიგანე, ხოლო უღვაშებად მეჩხერი თმები [დაუხატეს], საექვოა, რომ მისი ცნობა ვინმეს შეძლებოდა.

აიღეს და დადგეს [ეს გოგრა] მათ მოპირდაპირე კედელზე. უყვიროდნენ მის ჯარს და ეუბნებოდნენ: „აი, თქვენი მეფე კეისარი, დაბრუნდით, თაყვანი ეცით მას, ეს ჯებუ ხაქანიაო“. აიღეს შუბები ხელში და მათ წინ ხერტდნენ მისი სახის მიმსგავსებულ გოგრას.

ასევე დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ მეორე მეფესაც, ბილწსა და მამათმავალს უწოდებდნენ. ამის მნახელი და გამგონე მეფეები მივინვარებდნენ, იფხორებოდნენ, გულში სიძულვილს იგროვებდ-





ნენ, თავებს აქნევდნენ და უდიდესი წყევლით იფიცებოდნენ, რომ არც ერთ სულიერს არ დატოვებდნენ მათ სამეფოში, ვიდრე შურს არ იძიებდნენ ამ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მათგან მიიღეს: შემდეგ კი პირი იბრუნეს და იმავე მუქარით წავიდნენ.

თ ა ვ ი XII

ჩრდილოეთის ჯარების მოსვლა ჰერაკლეს დასახმარებლად

ამის შემდეგ, ხოსროვის [მეფობის] ოცდამეექვსმეტე წელს, უაგვუსტოესი კეისარი თავის გონებაში საშუალებებს ეძებდა, თუ როგორ განკურნებულყო შეურაცხყოფის აუტანელი სენისაგან. ამ ხნის განმავლობაში დაიმორჩილა პრომეელთა მთელი ქვეყანა, მერე კი ჯარებს უხმობდა დასახმარებლად, რათა გამოეთხარა კავკასიის დიდი მთა, რომელიც კეტავს ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთის მხარეებს, გავლო ჩორის კარი, წამოეყვანა ბარბაროსთა სხვადასხვა ტომი და მათი საშუალებით გაეძევიზნა სპარსეთის ამაყი მეფე ხოსროვი. აღჭურვა და მოამზადა ერთი თავისი დიდებულითაგანი, ჭკვიანი და განსწავლული კაცი, სახელად ანდრე და გაგზავნა ის ჰონებთან, პირდებოდა, რომ ურიცხვსა და უთვალავ განძეულობას უბოძებდა მათ, თუ დაეხმარებოდნენ დიდ შურისძიებაში. თავის მხრივ ფიქრობდა ამით დააცხრობდა ველური, ოქროსმოყვარული და გრძელთმიანი ხალხის წყურვილს.

როდესაც შეიტყო ჩრდილოეთის მეფის ნაცვალმა, რომელიც მეორე კაცი იყო სამეფოში, სახელად ჯებუ ხაქანმა, დაპირება უდიდეს საბოძვარზე, ამასთანავე [გაითვალისწინა] მძარცველური თავდასხმები სპარსეთის მეფის მორჩილებაში მყოფ ყველა ქვეყანაზე, დიდი კმაყოფილებით გასცა პასუხი: „მე გამოვალ შურისმაძიებლად მის მტრებზე, მე თვითონ წამოვალ და მოვალწევ ჩემი მამაცი ჯარებით მის დასახმარებლად. საომარი მოქმედებებით, ჩემი მახვილითა და მშვილდით ვაამებ მის გულს ისე, როგორც მას სურს“. ამავე დროს იმ ნახარართან ერთად შეთანხმების განსამტკიცებლად გაუგზავნა ათასამდე მხედარი — რჩეულნი სიმამაცით და ძლიერნი მშვილდოსნობით. ისინი მოულოდნელად გაემართნენ ჩორის კარისაკენ, არაფრად ჩაადგეს სპარსეთის მეფის ქალაქის მცველი რაზმები, რომლებიც დიდი კარის დასაცავად იყვნენ დაყენებულნი და როგორც არწივები, ისე გაფრინდნენ დიდ მდინარე მტკვრისაკენ. არავის ინდობდნენ, ვინც მათ წინააღმდეგ გამოვიდოდა. გეზი აიღეს ქართველთა და ეგერთა ქვეყნებისაკენ<sup>72</sup>. გადალახეს დიდი ზღვის ნაპირები და მიიღწიეს სამეფო



კარს. წარუდგენენ დიდ კეისარ ჰერაკლეს. თითოეულის წესების მიხედ-  
ვით განამტკიცეს ფიცი ერთმანეთში და [ჩრდილოელებმა] მიიღეს  
ბრძანება მისგან [ბრძოლაში] გასვლის შესახებ, რათა არავინ დაეჭვ-  
ბულიყო მათში.

ხოსროვის ოცდამეჩვიდმეტე წლის დასაწყისში ჩრდილოეთის მეფემ  
შებირებული მეზობლი ჯარები გაგზავნა. მხედარმთავრად დააყენა თავი-  
სი ძმისწული, რომელსაც სამთავროს პატივსაცემად შათს\* უწოდებდ-  
ნენ. მოსულმა დალაშქრა ალვანეთის ქვეყნის ყველა საზღვარი და  
ატრპატაკანის ერთი ნაწილი, მახვილის პირით გაანადგურა მრავალი  
ქრისტიანი და წარმართი. ხოლო ვინ შეძლებს მათ მიერ დატყვევ-  
ბულთა რიცხვის გაგებასა და დათვლას. ისინი დაბანაკდნენ მდინარე  
ერასხთან. [შათმა] მაცნეთა საშუალებით გააგებინა დიდ მეფე ხოს-  
როვს კეისართან თავისი შეერთებისა და მის დასახმარებლად მოსვლის  
ამბავი. თან შეუთვალა, „თუ შენ პირს არ იბრუნებ ჰრომელთა მეფე-  
საგან, არ დაუტოვებ მას ყველა ქვეყანასა და ქალაქს, რომლებიც ძა-  
ლით აიღე, არ დააბრუნებ ამჟამად შენს ხელში მყოფ მისი ქვეყნის  
ყველა ტყვეს ხის ჯვართურთ, რომელსაც ყველა ქრისტიანი თაყვანსა  
სცემს და ადიდებს, თუ არ გაიხმობ მთელ შენს ჯარს მისი საზღვრე-  
ბიდან, — ასე ამბობს ჩრდილოეთის მეფე, მთელი ქვეყნის მფლობელი,  
შენი და ყველა მეფის მეუფე, — მაშინ მეც პირს შენგან ვიბრუნებ  
ასურეთის მმართველო, და ერთი ბოროტების მაგიერ, რაც მას გაუ-  
კეთე, ორმაგად მოგიზღავ. გამოვეშურები ყველა შენი საზღვრისაგან  
ჩემი მახვილით, როგორც შენ გაიარე მახვილით მის საზღვრებში. არ  
მოგეშვები და არ დავაყოვნებ იმის გაკეთებას, რასაც გპირდები.

მაშინ, როდესაც ყოველივე ეს დიდმა მეფე ხოსროვმა მოის-  
მინა, აზვირთდა როგორც საშინელი ნიაღვარი, ან როგორც მონადირე-  
ების პირისპირ [მდგარი] ლომი, ანდა როგორც ბელმოკლული დათვი, —  
ისიც ამგვარად. თუმცა ხელადდა, რომ მის წინააღმდეგ შეკავშირდნენ  
და გამრავლდნენ, მაგრამ თავისი ეშმაკობით არ გამოხატავდა სახეზე  
შიშსა და ძრწოლას, არამედ სიამაყითა და დიდი სიმკაცრით უპასუხა:  
„წადი უთხარი შენს მეფეს და ჩემს ძმა ხაქანს, რომ ძველთაგანვე  
მიჩნეული და პატივცემული იყო თქვენი სახლი, როგორც ჩვენი სა-  
ყვარელი ძმისა, ჩემი წინაპრებისაგან და ჩემგან. ამიტომ ვაჟიშვი-  
ლებისა და ქალიშვილების საშუალებით ერთმანეთს ვუმოყვრდებო-  
დით. ახლა კი არ იქნება რიგიანი და ღირსეული შენი [საქციელი],  
რომ მიატოვო შენი წევრები და გაგიტაცოს ჩემი მონის, ჰრომელთა  
მამაცის სიტყვებმა“. მაგრამ ჩრდილოეთის კეისარმა მაინც წაიყვანა

\* „შათი“ აქ საკუთარი სახელია, იყო ვარაუდი, თითქოს ეს სახელი მაღალი  
მდგომარეობის ტიტულსაც გამოხატავდა.



თავისი ჯარები და სპარსეთის მხარეებს ეკვეთა. შეუპოვრად ცდილობდა სპარსეთის მეფის კარამდე მიღწევას. როდესაც [ხოსროვმა] დაინახა, რომ საქმე ამით არ დამთავრდებოდა, რადგანაც [მტერი] გაბედულად მოეშურებოდა მის წინააღმდეგ, გაეჭკა მას და თავის ნამდვილ დედაქალაქში დიდ ტიზბონში ჩავიდა. მოაზნადა თავისთან შეკრებილი მცირე ჯარი და კეისრის წინააღმდეგ გაგზავნა. [ხოსროვმა] პატივისცემითა და საზოძვრებით დაიყოლია მის კარზე მიღებული ერთი კაცი, შეუცვალა სახელი და როკვეპი<sup>73</sup> უწოდა, მიიმხრო და უბრძვა მას ამ ტალღების წინააღმდეგ, — დანიშნა თავის მიერ წავგზავნილი ჯარის მხედარმთავრად. [როკვეპი] თავისდაუნებურად დაემორჩილა მის საშიშ ბრძანებას, თუმცა კი იცოდა, რომ ხოსროვის მიერ ნაჩქარევად შეკრებილი სუსტი ჯარი კეისრის წინაშე დამარცხდებოდა. მან ორჯერ და ოთხჯერაც კი გაუგზავნა გამაფრთხილებელი წერილი მეფე ხოსროვს და შეუთვალა: „წინასწარ გაცნობებ, რომ არა მარტო მე დავიღუპები, არამედ შენი ჯარიც მოისპობა, თუ სასწრაფოდ არ გააძლიერებ მას ზურგიდან. მე სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ შემდეგ [რაც მოხდება], შენ იცოდე“. მეფე ხოსროვმა იქვე ბრძანა პასუხი მიეწერათ. „ნუ შეუშინდები მათ სახეებს, იბრძოლე და გაიმარჯვებ!“ ბოლო ჯერზე კი დიდად განრისხებულმა მისწერა: — „თუ არ შევიძლია გამარჯვება, რატომ არ უნდა შევეძლოს სიკვდილი?“

დაინახა იმან ეს მკაცრი ბრძანება, თავის ჯართან ერთად ხელები აღაპყრო მზისა და მთვარისაკენ, ხმამაღლა შეჰლაღადა და თქვა: „ჩემო ღმერთებო, მეც განმსაჯეთ და ჩემი შეუბრალებელი მეფეც“. შემდეგ ვაიჭრა ბრძოლაში, მაგრამ თავის ჯართან ერთად დაეცა ჰონთა ჯარის წინაშე და იქცა მტერად, რომელიც ქარმა წაიღო.

როდესაც სპარსეთის დიდებულებმა დაინახეს ის დიდი მარცხი, რაც სპარსეთის ლაშქარმა განიცადა, დაიწყეს ერთმანეთში ბუზღუნა და თქვეს: „როდემდე უნდა იდინოს ჩვენმა სისხლმა ღვარად ომებში ჩვენი არიული ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში, როდემდე უნდა ვიყოთ შიშსა და ძრწოლაში ჩვენი სისხლისმსმელი მეფისაგან, როდემდე უნდა გროვდებოდეს ჩვენი ქონება დასიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი სამეფო საგანძურში, როდემდე უნდა იყოს გამაგრებელი და შეკრული გზათა გასასვლელები — დამაბრკოლებელი ქვეყნის მხარეთა შემოსავლისა, როდემდე უნდა იყვნენ ჩვენი სულები შიშსა და ძრწოლაში მისი საშინელი ბრძანებებისაგან? განა მაგან არ მოსპო ქვეყნის წინამძღოლი ჩვენი რჩეული ამხანაგები? განა მაგისი ბრძანებით არ დაიღუპნენ ჯგუფებად მრავალნი ჩვენი ძმანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სატანჯველით? ზოგიერთები დაახრჩო კიდევ. განა მაგან არ დაამორა ცოლი ქმარს და შვილი მამას? მონებად და მსახურებად გაყარა [ისინი] შორეულ ხალხებში, ზოგიც — ლაშქარში, მრისხანე მტრების პი-



რისპირ“. ამას და ბევრ ამის მსგავსს ჩურჩულებდნენ მასზე. მაგრამ ვერავინ ბედავდა ხმამაღლა ეთქვა რაიმე, ვიდრე არ მოახლოვდა მისი ცხოვრების აღსასრულის უამი. მაშინ კი აღიმართა [აღრე] მისი ერთგული ერთი შინაური დიდებულთაგანი ხოსროვის სიყრმის შვილის კავატის ლალა. მოეთათბირა ის [თავის აღზრდილს] და დაავალა მოესპო სახსენებელი მამამისის ხოსროვისა და მრავალრიცხოვანი ძმებისა და ლალას მოხერხებითა და წინამძღოლობით აეღო მეფობა. მან [ამასთანავე] მოისყიდა და აამბოხა ხოსროვის კარზე მყოფი მრავალი რაზმი და მოულოდნელად მიაბრუნა ყველას გული თავისი აღზრდილი კავატისაკენ, რათა გაემეფებინა ის მამის ნაცვლად.

### თ ა ვ ი XIII

#### ხოსროვის აღსასრული

### თ ა ვ ი XIV

ვიროს ალვანთა ჰმეყნის მკურთხეული კათალიკოსოვისა და უდიდეს მწუხარებათა და ღვთის წყალობათა უმსახეზ

ახლად გამეფებული კავატისაგან ყველამ მოიპოვა თავისი დანაშაულის მიტევება. [მისგან] სხვა წყალობაც მიიღეს, რაც მეტად სასურველად მიიჩნიეს იმ პატიმრებმა, რომლებიც დიდებული კარის სატუსალოში იყვნენ დატყვევებული და დაკარგული ჰქონდათ იმედი, რომ ოდესმე დაბრუნდებოდნენ თავიანთ სამშობლოში, იმ მიწაზე, სადაც დაიბადნენ. კავატის ბრძანებით სასწრაფოდ გაათავისუფლეს პატიმრები, რომლებიც დიდი სურვილით გაემართნენ მშობლიური სახლებისაკენ. მათთანვე იყო ალვანეთის დიდი სამთავროს კათალიკოსი, სახელად ვირო, კაცი გონიერი და განსწავლული, ძლიერი სიბრძნით. მისი ენა, როგორც მალიადმწერი კალამი [გაწაფული იყო] არაკთა თხრობაში, სამეფო და დიდ-დიდი [საქმეების] მოგვარებაში. მისი მშვიდი საუბარი სასიამოვნო მოსასმენი იყო მდაბიო და უბრალო ხალხისათვისაც, მისი გრძელი სიტყვა ემსგავსებოდა ბრძენთა თხრობას, მისი ზაგენი ისე თხზავდნენ და იგონებდნენ არაკებს, როგორც ოქროში ჩასმულ მარგალიტებს. განსაკუთრებით დახელოვნდა ოცდახუთი წლის მანძილზე სპარსულ ენაზე თარგმნის საქმეში. ხოსროვის კარზე პატიმრობის დროს მას ბრალად ედებოდა ალვანეთის დიდ იმხანთა აჯანყება სპარსეთის მეფის წინააღმდეგ, მრავალი მათგანი დაიღუპა: ზოგი მახვილისაგან, ზოგი სხეულის ნაწილთა დასახიჩრებით,



ზოგიც შორეულ ქვეყნებში გადასახლების გამო, [ვირომ] კი სამეფო კარს მიადწია და იქ მშვიდობა მოიპოვა, რადგანაც წმინდა სასწაულის მადლმა გზა გაუკვლია დედოფლის კარისაკენ. მან დიდი მცდელობით მოახერხა მისი სიცოცხლე საჩუქრად მოეპოვებინა მეფისაგან. თუმცა მეფე დიდი ფიცით ირწმუნებოდა, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე არ დააბრუნებდა სამშობლოში, არამედ ეყოლებოდა კარის სატუსალოში. [ხოსროვს] არ შეუწყვეტია მისთვის სასაყდრო შემოსაყალი, არც კათალიკოსის სახელი წაურთმევია, მხოლოდ მაღავდა მას როგორც რაიმე რჩეულ ჭურჭელს და უფროთხილდებოდა ისე, როგორც ბედაურ ცხენს ბრძოლისა და ომის დღისათვის. [ასე იყო], ვიდრე არ მოახლოვდა მისი გამგზავრების ჟამი და არ მოაწია აღვანეთზე მძიმე დარტყმამ და შეუბრალებელმა ტანჯვამ ბოროტი მტრის ხელიდან...

როდესაც [კათალიკოსი] სამეფო ქალაქიდან გამოვიდა და სამშობლოს საზღვრებს მიადწია, ყველაფერს ეხვეოდა, თავისი სამწყსოს ეკლესიების კარებსა და იატაკსაც კი, მუხლმოდრეკილს ღვარად სდიოდა ცრემლები და მიწას რწყავდა. შემდეგ წამოდგა, თავი გაიმხნევა, თანმხლებნიც დაამშვიდა. მადლობა გადაუხადა ღმერთს, რომელმაც იხსნა ლომის ბრძკვალებისაგან და საშუალება მისცა ერთხელ კიდევ დაენახა ეკლესიათა თაღები. ფიქრობდა ცოტა ხნით დაესვენა და შეეგსო ის დანაკლისი, რომელიც მოყვასთაგან ხანგრძლივმა სიშორემ გაუჩინა. მაგრამ მას წინ ელოდა უსაზღვრო მწუხარება და რუღუნება, იმ ნგრევათა ხილვა, რომელიც მალე უნდა დაწყებულიყო. ვიდრე ის სიყვარულით მოგზაურობდა თავისი სამწყსოს სხვადასხვა ადგილში, მოულოდნელად მეორედ დაუბერა ჩრდილოეთის ქარმა და აღმოსავლეთის დიდ ზღვას დაარტყა. გამოვიდა გამანადგურებელი მხეცი თავისი სისხლისმსმელი ლეკვით, რომელსაც შათი ეწოდებოდა. მან თავისი სახე ჯერ ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ — ქალაქ ტფილისისაკენ მიმართა. მაგრამ ვერაგინ იპოვა შიგ უწინდელ მამაც კაცთაგან. ახლა შემთხვევა მიეცა მათგან წინანდელი შეურაცხყოფის გამო დაგროვილი შერისიება გაეთანტა. ქალაქს ალყა შემოარტყა და ბრძოლა დაიწყო. ავიწროებდა მასში მყოფ მცხოვრებლებს, რომლებიც მის წინააღმდეგ დადგნენ და დიდად გაისარჯნენ ორი თვის მანძილზე. მაგრამ ამოდ დაშვრნენ თავიანთი სისხლის ღვრისა და სიცოცხლის მოსპობის ბრძანების წინააღმდეგ.

იმ დროს აბობოქრდა მათზე საშინელი მხეცი, რომელმაც საკმაოდ მოინადირა და [ბევრიც] თავის ლეკვებს დაახრჩობინა. ნანადირევით შლამები აავსო, თავისი ჯარი კი — ნადავლით. მამინ [ტფილისელებმა] ხმლები იშიშვლეს და ერთიანად გაემართნენ ვალავნისაკენ, სადაც ერთმანეთზე დაზვიანული [ხალხი] იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ კედლებს ასცდა. ქალაქის უბედურ მცხოვრებლებს ბნელი



ჩრდილი დაეცათ, დაუსუსტდათ სხეულის ნაწილები, ხელებში ღონე გამოეღიათ და დანებდნენ, გალაგნიდან უკან დაიხიეს, როგორც მონადირის მახეში გაბმულმა ბელურებმა, ვერავინ შეძლო თავის სახლამდე მიღწევა, რომ საშინელი და სამწუხარო ამბავი მიეტანა თავისი საყვარელი ცოლისათვის, შეებრალებინა მუცლით შობილი, ანდა ეგრძობინებინა მშობლისათვის მშობლიური მწუხარება. ამის ნაცვლად სიმხნევე დაკარგულნი იმალებოდნენ ზოგი სახლების სახურავებზე, ზოგი წყალსადენ მილებში, ბევრიც წმინდა ეკლესიების თაღებისაკენ გაეშურა. მათი გოდება ემსგავსებოდა ცხვრის დიდი ფარის ბლავილს კრავებისადმი, ანდა დედის მწუხარე კვნესას თავისი ყრმის მიმართ. მათ უკან კი [იდგნენ] შეუბრალებელი მოძკალნი, რომელთა ხელები სისხლის ნაკადებს აყენებდნენ, ფეხებით გვაშებს ქელავდნენ, ხოლო თვალებით სეტყვასავით უთვალავ დაცემულთ უყურებდნენ. როდესაც შეწყდა წუხილისა და გოდების ხმები და აღარც ერთი არ დარჩა ცოცხალი, მაშინ ისინიც მიხვდნენ, რომ გამძღარიყვნენ მათი ხმლები. [შემდეგ] იქ მოიყვანეს ორი იშხანი, ერთი მხარის მმართველი იყო სპარსეთიდან, მეორე კი — ქართველი, ქვეყნის ადგილობრივი მცხოვრები. შეპყრობილნი მეფის წინაშე დააყენეს. მან ბრძანა მათთვის თვალები დაეთხარათ, იმის სამაგიეროდ, რომ შეურაცხყოფის მიზნით მისი სახე სურათზე ბრმა დახატეს, [ბოლოს] კი მძიმე ტანჯვით დაახრჩო ისინი. ვაძრო ტყავი მათი სხეულის ნაწილებს, გაჭიმა, გაავსო თივით და გალაგნის ზემოთ ჩამოჰკიდა.

ამის შემდეგ ხელი გააწვდინეს ნაძარცვ განძეულთა სკივრებისაკენ, რომლებიც მრავალრიცხოვან მძიმედ დატვირთულ ჯარს მიჰქონდა და ალაგებდა თავისი მბრძანებლის წინაშე გროვებად და ზვინებად. მის წინ იმდენად ხშირად მოჰქონდათ, რომ დამქანცველი გახდა უთვალავი ოქროსა და ვერცხლის ტალანტების ყურება. ხოლო ვის შეუძლია ზედმიწევნით აღწეროს მარგალიტებით მოოჭილი საეკლესიო ჭურჭელი.

ახლა, როდესაც მან თავისი სურვილი შეისრულა, ბრძანა იქიდან გაეტანათ მთელი ნადავლი, თვითონაც განძითურთ თავის მხარეში დაბრუნდა. მეგრძოლი ჯარი თავის შვილს შათს დაუტოვა, დამრიგებლებად მამაცი კაცები [დაუყენა] და ალვანეთის საზღვრებისაკენ წასვლა უბრძანა, თან ასე დაუბარა: „თუ ქვეყნის დიდებულები და წინამძღოლნი ჩემი შვილის წინ გამოვლენ და მორჩილებით გადასცემენ თავიანთ ქვეყანას, დაუთმობენ ჩემს ჯარებს ქალაქებს, სიმაგრეებსა და ვაჭრობას, მაშინ თქვენც თავი ანებეთ მათ, იცხოვრონ და მე მემსახურონ, ხოლო თუ არა, თქვენი თვალი ნუ დაინდობს მათში ნებისმიერი ასაკის მამაკაცს, ხოლო ნორჩი ყრმები და ქალები დაიცავით ჩემსა და თქვენს მსახურებად და მოახლებებად“.



დაშორდნენ ერთმანეთს. ჯარებმა შეასრულეს მისი სიტყვები, მი-  
აღწიეს ნაბრძანებ ადგილს, მაშინ შათმა თავისი მამის დანაბარების მი-  
ხედვით ელჩები გაგზავნა სპარსეთის იშხანთან, რომელიც აღვანთა  
ქვეყნის მარჯპანი იყო, სახელად სემეშნასპი, და აღვანთა კათალი-  
კოსს ვიროსთან, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. სპარსელმა არ  
ითავა მოთათბირება, ამბობდა: „ვინ ხარ შენ და რა არის აღვანთა სა-  
ხლი. რომ მის სანაცვლოდ მე ჩემი თავი შენს მბრძანებელს დავუ-  
მორჩილო?“ მან აიღო თავისი ქონება, ბევრიც ამ ქვეყნიდან მიიტაცა  
და სპარსეთის მხარეებში გაქცევით გადარჩა. ხოლო, როდესაც აღვა-  
ნეთის მღვდელმთავარმა ვირომ შეიტყო, რომ მძიმე უღელი იდგებო-  
და მხოლოდ მის კისერზე, აღარ იცოდა რა ექნა, ექვიანობდა, ეშინო-  
და სპარსეთის მეფისა, რადგანაც სწორედ აჯანყების მოწყობის საბა-  
ბით იყო მოშორებული და განდევნილი დიდი ხნით. მაგრამ, რადგანაც  
სურდა ეხსნა ქვეყანა ნგრევისა და მოსპობისაგან, თავს იღო მოლაპა-  
რაკებოდა მტერს და მის წინაშე წარმდგაროყო.

შემდეგ თავისი შორსმჭვრეტელობით ფარული წერილი მისწერა  
სპარსეთის მეფეს მტრის მუქარათა შესახებ და სთხოვა, რომ ეპატიე-  
ბინა მისთვის, თუ ერთხელ აამებდა მტრის გულს მის წინაშე წარდგე-  
ნით. ხოლო თუ არ [შეუწოდებდა], ქვეყნის საზღვრებს გასცილდებო-  
და. ვიდრე თვალი ეჭირა მეფის პასუხისაჲ, სურდა ახლოს ჰყოლოდა  
მტრის მიერ გამოგზავნილი ელჩები. მოიგო მათი გული მცირეოდენი  
ვერცხლით და სხვადასხვა მიზეზით ალოდინებდა მათ. ხან ეუბნებო-  
და, „მოვუხმობ ჩემი ქვეყნის ყველა გავარის მოთავე წინამძღოლს,  
რათა შევეუთანხმდე მათ თქვენი მეფის ბრძანების საპასუხოდ“. ხან კი  
ამბობდა, „არაფერი საჭირო არ არის ყველასთან მოთათბირება, მე  
თვითონ შევადგენ სათანადო პასუხს საჩუქრებითურთ, ნიშნად თქვე-  
ნი მეფის პატივისცემისო“. მაშინ წარგზავნილებმა ძალდატანება და-  
უწყეს და უთხრეს, — „რადას უცდი და აგვიანებ, როცა უკვე მოაღწია  
იმ დღემ, როდესაც მთელ აღვანეთზე დაიწყება თავდასხმები. აი, გი-  
მყლავნებთ ჩვენი მბრძანებლის — შათის ფარულ ზრახვებს, მაგრამ,  
თუ არ გასურს მისი ბრძანებისამებრ მოიქცე, მაშინ აჩქარდი გასაქ-  
ცეად, რათა თავი დაიხსნა. რადგანაც ჩვენ პატივისცემა და საჩუქრები  
მივიღეთ შენგან, როგორც ღვთისმომწივებს არ გესურს ცბიერება და  
იმის დანახვა, თუ ჩვენი უთვალავი ჯარის ხელები როგორ გეკვეთებიან  
შენ, ახლომახლო მცხოვრებთ და შენს ხალხს“.

ვიდრე ისინი ამას ამბობდნენ, უეცრად ჩვენი ქვეყნის ყველა მი-  
დამო, მინდვრები და მთის მწვერვალები, ბორცვები და ღრმა ხეხვები  
სიბნელემ და ღრუბელმა დაფარა. მთელი ჩვენი მიწა-წყლის საზღვ-  
რებში, ყოველ ნაბიჯზე სოფლებსა და ყანებში, სახლებსა და გზაჯვა-  
რდინებზე ყველას პირიდან „ვაი, ვაი“ ისმოდა. ბარბაროსთა ხმაური



კი არ წყდებოდა. არავინ დარჩენილა, რომ ბოროტი მტრის გამანადგურებელი ხმა [არ სმენოდა]. ეს ხდებოდა ერთსა და იმავე დღეს და ერთსა და იმავე საათს. წინასწარ წილისყრით გაყოფილი ჰქონდათ ვაზრები და სოფლები, ნაკადები და მდინარეები, წყაროები და ტყეები, მთები და მინდვრები. ყველამ ერთდროულად განავრცო წამლეკავი თავდასხმა. კიდით კიდემდე ცახცახებდნენ ჩვენი საზღვრები...

როდესაც ზღვის ტალღებმა დაგვფარეს, შემდეგ უკან დაედევნენ ჩვენს კათალიკოსს, გააქციეს ის იმ ადგილიდან, სადაც ქვიან-მთიანი სოფელი, სახელად კოლთაგარაკი<sup>74</sup> იყო. მან მიატოვა თავისი ნივთები, საეკლესიო განძეულობა, შეჯდა ცხენზე და გაიქცა. მსახურებიდან ვერავინ შეძლო მასთან ერთად წასულიყო. მხოლოდ ერთმა, ჩვენს ქვეყანაში მოსულმა, სახელად გადვშნასხმა, კაცმა უძღვევლმა და ღონიერმა, თავისი ხალხის წინამძღოლი ტომიდან, მოასწრო მასთან ერთად გასვლა.

არცახის პიტალო მხარეების ქვიანი ხეხეები და კლდოვანი მთები ვერ აბრკოლებდნენ მტრის თავდასხმებს, რადგანაც ჩვენმა ცოდვებმა სამაჰიმო საქმენი შეამსუბუქეს მათ წინაშე. მათი ცხენები წაუბორძიკებლად მიდიოდნენ მთის მწვერვალებზე. დაეწივნენ კიდევ მტრები კათალიკოსს და მოჰიმეს მშვილდები მის წინააღმდეგ ბილწი საქმისათვის, მაგრამ იმ დროს საკვირველმა წმინდა ჯვრის მადლმა, რომელიც თან ჰქონდა, გამოიჩინა ის მტერთაგან. იმ დღეს არავის ხელი არ შეხებია მას. შებინდებისას გადარჩენილები ვედრებით შესთხოვდნენ [დმერთს] ბნელ ღამეს ნათელი დღის ნაცვლად. [მართლაც] დიდი მამამთავარისა და ყველა გადარჩენილისათვის ღამე გამოჩნდა ხსნის გზა ხელმეორედ მოაღწიეს იქიდან მტრის მოციქულებმა [და თქვეს] „თუ დაგვიჯერებ, გადარჩებით შენ, შენი სახლი და ყველა შენს ქვეყანაში დარჩენილი, ხოლო თუ არა, ნაბრძანები გვაქვს ნებით თუ უნებლიეთ მასთან მივიყვანოთ“.

კათალიკოსმა თავისთან შეკრიბა ყველა თავკაცი, მეფის შთამომავლები და ქვეყნის დიდებულნი, გავართა და სოფელთა თავები, ხუცესები, დიაკვნები და მკითხველნი, რომლებიც იმ დროს, იქ, ჩარაბერდის<sup>75</sup> სიმაგრეში იმყოფებოდნენ და უთხრა: „ძმებო, ხომ თქვენ თვითონ განიცადეთ უდიდესი დარტყმები, შიში და ძრწოლა გაუმაძღარი და შეუბრალებელი მახვილისაგან, რომელიც ჩვენი ცოდვების გამო მოგვევლინა და მოულოდნელად ჩაგვიძირა, ახლა ვართ საგონებელში ჩავარდნილნი და არ ვიცით, სად წავიდეთ და საით გავექცეთ მათ. მოვიქცეთ მათი ნებისამებრ თუ არა? თუმცა კი ჩვენი სიკვდილის დღე მათ ხელში ყოველ წუთს თვალწინ გვესახება, მე მაინც მოვისმენთ, ვნახოთ, იქნება სასარგებლო რჩევა მომცეთ. სწრაფად კი მიპასუხეთ, რადგანაც ჩემთან მოსული დესპანი ჩქარობს, ის მდაბიოთაგანი კი არ



არის, არამედ დიდებულია მტრის ჯარიდან, — მეფისწული შათის სარწმუნო აღმზრდელი და დამრიგებელი“. როდესაც ეს აუწყა, ერთიანად ხმა აიმაღლეს და უთხრეს: „რატომ გველაპარაკება ჩვენი უფალი ამგვარ რამეს და ჩვენ, უბედურებს, დაგვცინის, განა არის ჩვენს შორის ვინმე შენზე ბრძენი, რომ ჰკვიანური რჩევა მოგვცეს, ანდა გავბედავთ შენს წინაშე გონიერი სიტყვებით ლაპარაკს? ხოლო თუ კაცთმოყვარე ღმერთი შეგვიწყალებს, ნუ დააყოვნებ, როგორც მამაცი მოძღვარი, ჩვენთვის თავის დადებას, ასევე ჩვენც, შეძლებისამებრ თავს დავდებთ შენთვის“. მაშინ უთხრა მათ [ვირომ]: „თუ უფალი ინებებს მე მათი შიში არა მაქვს, მაგრამ თქვენ ისე მოიქეცი, როგორც მე გეტყვით: თითოეულმა თქვენთაგანმა თავისი შეძლებისამებრ მოიტანოს ვერცხლი, ოქრო და სამოსელი, მხოლოდ თქვენი გული ქონებას ნუ დაინანებს, რათა შევძლოთ მათი საჩუქრებით მოსყიდვა“. მართლაც ყველამ თანხმობით მოიტანა განძი მის წინაშე. მან ამ განძიდან ამოარჩია მრავალი რამ, რაც უფრო შესაფერისი იყო პატივსაცემად და ძღვნად. გამოჰკითხა მასთან მისულ მეფის ძის ლალას და მისგან შეიტყო დიდებულია და იშხანთა, ნახარართა და ზორავართა, მთელ ჯარში ტომის უფროსთა სახელები, მათი მალალი თუ დაბალი მდგომარეობის შესახებ, რათა სცოდნოდა რა ნივთებით ეცა პატივი [თითოეულისთვის]. ამგვარად დაანაწილა ქონება მათ ტომთა სახელების მიხედვით, ხელწერით აღნიშნა და დაბეჭდა. შემდეგ ბრძანა ფორნებზე დაეწყათ და იქ მყოფთ მიუბრუნდა: „მე მიმაჩნია, რომ მღაბიოთა გარდა ყველა ცნობილი პირი უნდა წამომყვეს უცხოელთა ბანაკში, რათა მორჩილების გამოცხადება თქვენთან ერთად უფრო სარწმუნო იყოს მათ თვალში“. როდესაც ეს მოისმინეს, ბევრი დაეთანხმა, მცირენი კი შეშინდნენ. [ვირომ] მათ დარჩენის ნება დართო და ძალა არავისათვის დაუტანებია. თან ასე მიმართა: „გამხნევდით შვილნო, ნუ შეგეშინდებთ, რადგანაც წინ მიგვიძღვის ჰემმარიტების სული, მოსეს კვერთხი და ქრისტეს წმინდა ჯვრის მადლი. უნდა დავაცხროთ აბოზოქრებული ზღვის ტალღები ჩვენს წინაშე“. გავიდა იქიდან და წინ გაემართა [მტრის ბანაკისაკენ].

როდესაც მთა და ხეები გადაიარეს და უტის გავარის ურთის ლამაზ და სწორ მინდვრებზე გაიშალნენ, იმ ადგილების ცნობა გაუჭირდათ შათის ჯარების სიმრავლის გამო. როგორც ოდესღაც მეწამულ ზღვაში, ასევე ახლაც, ვიდრე მიაღწევდნენ უფლისწულის კარს, მთელი საზღვრები გარშემორტყმული იყო ურიცხვი ბანაკებით მარჯვნიდან და მარცხნიდან. ის ნახეს დაბანაკებული იმავე გავარში, ჩრდილოეთის მხარეს, დიდი ქალაქის პარტავის მახლობლად. უხვად მომდინარე ტყის ნაკადულებს შორის. იქ დავინახეთ მრავალი მათგანი მუხლმოყრით მჯდომარე მსგავსად მძიმედ დატვირთულ აქლემთა ქარავნისა.



თითოეულს სინი ავსებული ჰქონდა უწმინდურ ცხოველთა ზორცით, ამასთანავე — თასები მარილწყლით, რომელშიც თავიანთ საჭმელს აწებდნენ. ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის ჭიქები და სასმისები წამოდებული ჰქონდათ ტფილისის აოხრებისას. მათვე ედგათ რქისა და ხის გოგრისებური დიდრონი ჯამები, რომლებითაც წვენს ხვრებდნენ. იმავე ქონიანი ბინძური ტუჩებით ერთი და იმავე ჭიქიდან ორორი, ან სამ-სამი მათგანი თავიანთ გაუმძღარ მუცლებში, როგორც გაბერილ ტიკებში, ისხამდნენ ნამდვილ ღვინოს, ხან კი აქლემისა და ცხენის რძეს.

მათ დაწესებული არ ჰყავდათ მერიჩიფენი, არც ზურგიდან მომსახურენი, უფლისწულსაც კი, — არა. მხოლოდ მებრძოლნი გარშემო სიფრხილით იცავდნენ მის კარს ფართთა და შუბით. როდესაც მოსულნი კარის მცველებს შუა გაატარეს, კათალიკოსის უკან ჩვენგან მირთმეული საჩუქრები შემოიტანეს. შემდეგ [შათის] წინაშე წარდგნენ და ყველას უბძანეს მუხლმოყრით სამჯერ თაყვანი ეცათ მისთვის. მხოლოდ კათალიკოსი წაიყვანეს შიგნითა სადგომში, სადაც მეფისწული იჯდა, ხოლო სხვები მეორე კართან შეაჩერეს და იქ ზურგიდან ძღვენი ჩამოხსნეს. [შათის] წინ მდგომმა კათალიკოსმა თაყვანი სცა და ძღვენი მიართვა მას, ასევე — ყველა დიდებულს. იმან მიიღო საბოძვარი და მეტად გაიხარა მისი ხილვით. ამალითურთ გაემართა მისკენ და უბრძანა თავის მახლობლად დამჯდარიყო კარავში. ერთხანს უყურა კათალიკოსის სახეს და უთხრა: „შენ მამა ხარ ჩემი და შენი სახე ღმრთის სახეს ჰგავს. რატომ აყოვნებდი ჩემთან მოსვლას. მაშინ ეს დიდი თავდასხმა აღარ მოხდებოდა შენს ქვეყანაზე ჩემი ჯარის მიერ. ხოლო ახლა, შენი მოსვლის გამო ჩემი სახელით გამოვა ბრძანებები მთელი ჩემი ძღვეამოსილი ლაშქრის მიმართ, რათა ისინი უკანვე გაბრუნდნენ თავიანთ ბანაკებში და მეტად აღარ გამოვიდნენ შენი ქვეყნის საზღვრების დასარბევად. მთელი ჩემი ძალები შენ დაგემორჩილებიან, ხოლო მე გპირდები მამაჩემის, ჯებუ ხაქანის მზის ფიცით, რომ შენს თხოვნას უსათუოდ შევასრულებ. შენ კი უბრძანე მთელს შენს სამთავროს დაუბრუნდნენ თავიანთ კერებსა და საქმიანობას. მე თავს დავატყდები იმ ქვეყნებს, რომლებიც შენს გარშემო მდებარეობენ, მოპოვებულ აღაფსა და ნადავლს შენს საზღვრებში მოვაგროვებ. ერთი დარბევის ნაცვლად ორმაგად დაგიბრუნებ ადამიანისა და პირუტყვის სიუხვეს. ეს სამი ქვეყანა — ალვანთა, ლფინთა და ჩორის, საუკუნო მემკვიდრეობით ერგო მამაჩემს“.

წამოდგა კათალიკოსი, თაყვანი სცა მას და უთხრა: „ჩვენ შენი და მამაშენის მონები ვართ, მეც და ჩემი ქვეყნის ყველა მცხოვრები. შეიბრალე შენი მონები და ამიერიდან მახვილი მიაბრუნე, რათა შენ და მამაშენს ისე გემსახუროთ, როგორც სასანიანებს ვემსახურებო-



დით“. როდესაც წმინდა ჯვრის მადლით ეს წარმოთქვა, დაცხრა მხეცისებური იშხანის, ყველა ნახარარისა და ჯარების რისხვა. დამშვიდნენ როგორც ცხვრები, როგორც ღვთის მოშიში ლაშქარი — მოყვარული ძმათა და თანამოაზრე მოქალაქეთა და მეზობელთა. კათალიკოსის სახელს თავიანთი უფლისწულის სახელის თანასწორად აცხადებდნენ: „ღმერთი — შათი, ღმერთი — კათალიკოსი“. ხოლო მასთან ერთად მოსულებს საყვარელ ძმებს უწოდებდნენ.

შემდეგ ბრძანა სადილად ერთად დამსხდარიყვნენ. თავიანთი ჩვეულებისამებრ ესენიც მუხლმოყრით დასვეს. წინ დაუდეს ჭურჭელი უწმინდური ხორციით, მაგრამ ამით არ ისურვეს ჭამა, რადგანაც ორმოცდღიანი მარხვის დღეები იყო. [შათმა] ნება დართო ღვთის მონათა სურვილს. წაიღეს ხორცი და ტაფაზე მცირედ შემწვარი პურები მოიტანეს. ღმერთს მადლობა გადაუხადეს, ილოცეს, ჭამეს და ასიამოვნეს მათი გულები. ნაეახშმევს ბრძანა [შათმა] გაეცილებინათ კათალიკოსი თავის ხალხთან ერთად, წაეყვანათ ქალაქში, რათა იქ ბინაში მოესვენებინა.

იმ დღის შემდეგ [ვირო] მათთან იყო ბანაკში, როგორც სვლის, ისე დგომის დროს. როდესაც მათი გულები მთლიანად ერწმუნენ მას, მაშინ [კათალიკოსმა] გაბედა ეთხოვა უფლისწულისათვის: „რადგანაც ჩვენ შენი მონები ვართ, ვილაპარაკებ შენსავე სასარგებლოდ ჩემო მეუფევ, ქვეყანა რომ არ განადგურდეს და გაუდაბურდეს, გაგზავნე შენი მხრიდან სარწმუნო თავკაცები ყველა ადგილას სოფლებსა და დაბებში, ციხეებსა და ქალაქებში, რათა დაბრუნდნენ ქვეყნის მცხოვრებნი და უშიშრად იზრომონ, დაცულნი იყვნენ შენი ჯარების ყოველგვარი ძალმომრეობისაგან. რადგანაც გულწრფელად გეყმო ჩემი ქვეყანა შენ და მამაშენს, შეიწყნარეთ ჩემი ვედრება შენ და შენმა დიდებულებმა და უბრძანე გაათავისუფლონ შენი ჯარების მიერ ყველა დატყვევებული — კაცი და ქალი, ქალიშვილი და ყრმა, რომლებიც შეპყრობილი ჰყავთ თავიანთ კარვებში, რათა არ დაშორდნენ და არ გაეყარონ მამები თავიანთ შვილებს და დედები — ქალიშვილებს. გაუცხოებულებმა არ მიატოვონ თავისი ქვეყანა, მსგავსად ალერსიანი შვილებისა, რომლებიც მონადირეებს უტოვებენ თავიანთ ნუკრებს“. ამგვარი მშვიდი და საალერსო სიტყვებით, სულიერი სიბრძნის წყალობით, მოაქცია მისი გული თავისი თხოვნისაკენ. მეფისწულის სახელით გამოვიდა ბრძანება მთელი ჯარის მიმართ, რათა გაეთავისუფლებინათ ყველა დატყვევებული და არავის გაებედა მათი შეფერხება ან დამალვა, წინააღმდეგ შემთხვევაში უდიდესი სასჯელი მოელოდათ. ამასთანავე, გაგზავნა მათთან ცნობილი კაცები, სახელად თანდევანი<sup>76</sup>, კათალიკოსის მსახურებითურთ, რომლებიც გადავიდნენ მათ ბანაკებში, კარვებსა და სადგომებში და [დაიწყეს ტყვეების] ძებნა და პოვნა.



ქვევრებსა და პირუტყვთა შორის დამალულ ნორჩ ყრმებს ეწეოდნენ და გარეთ გამოჰყავდათ. ვერავინ ბედავდა მათ წინააღმდეგ გამოსვლას. შეაგროვეს ისინი ჯგუფ-ჯგუფად და კათალიკოსის კართან მიიყვანეს. ხოლო ის, როგორც ბარტყების შემბრალები დედაჩიტი, შიშვლებს აცმევდა, უქონელთ აჭმევდა და სათითაოდ თავიანთ სახლებში აგზავნიდა. ღვთიური მადლი იყო მასთან და კეთილად აწყობდა თავის გზაზე ყოველივე განზრახულს. განდიდდა მისი სახელი მრავალრიცხოვან მტერთა შორის. ხოლო, როდესაც გვეწვია ღმერთი, იხსნა მათი ხელიდან თავისი ხალხი.

## თ ა ვ ი x v

### შიშვილის, მახვილისა და ტყვეობის ბაძლიერება

საჭიროა და უნდა გავიხსენოთ შიშვილობის ის აუტანელი დრო, როდესაც მოვიდნენ და ჩვენს ფეხით დაძვრებოდნენ გამანადგურებელი ვირთხები. მათ შეჭამეს მთელი მიწნარეულობა და ჩვენი მინდვრების ნაყოფი ერთიანად გაანადგურეს. შემდეგ ერთ ადგილას შეიკრიბა სამი შემადარწუნებელი მხედართმთავარი: შიშვილი, მახვილი და მათი მსახური — სიკვდილი. ერთად მომავალნი ერთმანეთს აჩქარებდნენ, შეუბრალებლად კოდავდნენ და ძირს დაგდებულ გვამებს ამრავლებდნენ. არავის არ ღირსებია ზიარება და ცოდვებისაგან განწმენდის უკანასკნელი კმაყოფილება, რადგანაც წინ ელობებოდა მახვილი, ასუსტებდა შიშვილი და ახრჩობდა სიკვდილი. ოჰ, ეს მძიმე დრო! საბრალონი იყვნენ იმათი თვალები, რომლებიც ამ დიდ უფსკრულს უყურებდნენ. უბედური გადარჩენილები მთებს ევედრებოდნენ თავზე დამხობას, შეშინებულნი ფოთლებივით ცახცახებდნენ.

ამ მძიმე დროს, ორმოცდღიანი მარხვის დღეებში, მოურიდებლად და განურჩევლად მიდიოდნენ მიცვალებულთა უწმინდურ გვამებთან, ბლახთა ძირებთან, ხეებს კანს აკლიდნენ და ტოტებს — წვერებს, ღეჭავდნენ, მაგრამ ამგვარი საკვები ძალას ვერ მატებდათ. ხანაც უბედურნი ვაზის ხმელ ტოტებს ფეჭავდნენ და ჭამდნენ. ერთ ადგილას შეგროვილი მშიერთა სხვა გროვა მისცივიდებოდა ამისთანებს და ძარცვავდა. სჯიდა მათ და ამრიგად იხოცებოდნენ გაჭირვებასთან ერთად. მუდამ დახარბებული ეძებდნენ მათი თვალები გასაძლომს და [მზად იყვნენ] ამხანაგის მოსაშორებლად. მე მოვისმინე სარწმუნო კაცთაგან, რომ ჩვენ ვნახეთო ზოგიერთები, რომლებიც მიცვალებულთა ნაწილებს ჭამდნენ, ასევე საქონლის მრავალხნიან ტყავეებსა და შებოლილ რუმბებს. აგრეთვე ხარშავდნენ და ჭამდნენ ძველი წაღების ყელებს. სხვა მაგალითი ჩვენი განსაცდელისა ველარაფერი ვიპოვეთ გარდა იერუსალიმის დაქცევისა ვესპასიანესა და ტიტოსის მიერ.



ჩვენ ვქელავდით მინდვრის პირებზე შიმშილით დახოცილთა გაშავებულ და გასიებულ გვამებს, როგორც ნიაღვრის ქვეშ. მათზე აღსრულდა წინასწარმეტყველის სიტყვები: — სახედარებით დაიშრებენ და არ მოიძებნება შენს სახლში მწუხარების პური\*.

სიმწვანის გამოჩენის დროს დახოცილთა რიცხვი უმეტესი გახდა, ვიდრე მთელი ზამთრის მანძილზე. განსაკუთრებით საყურადღებო და საგულისხმოა ის, რომ, როდესაც მოახლოვდა შიმშილობის დასასრული, სხვა სახის დაავადება გავრცელდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. ის არ იყო სხვა სატკივართა ბუნებისა. ამ ავადმყოფობით შეპყრობილნი ერთი ან ორი თვის განმავლობაში უგრძობელნი ხდებოდნენ, კბილებს აკაწკაწებდნენ, თვალები ეკარკლებოდათ, ავადმყოფობის ნიშნებს ვერ გრძობდნენ, არ იცოდნენ წყლის მოთხოვნა. ზოგიერთები, როგორც შმაგი მთვარეულები საწოლიდან დგებოდნენ, შიშველნი და სირცხვილეულნი კედლებს ელაპარაკებოდნენ და ქარებს შესტიროდნენ. სხვები ავადმყოფთა მომვლელებს მუშტებს ურტყამდნენ. თუმცა დაავადება ვერაგი იყო, მაგრამ სიკვდილს არ იწვევდა. მას სიგიჟის სენი უწოდეს. მათი გაშავებული სხეული ხმებოდა და დნებოდა, უსუსტდებოდათ სახსრები, სცვიოდათ თმები და წვერები. მათ სავალალო მდგომარეობას მრავალი დღე დავტიროდი, შევთხოვდი ყოველადმოწყალე ღმერთს დაესრულებინა აუტანელი ტანჯვა.

მე, ალვანთა, ლფინთა და ჩორის კათალიკოსი ვირო, აღარ ვილაპარაკებ ყველა სხვა ნაირნაირ სიბილწეზე — სხეულის სიშავესა და თავების გამელოტებაზე. ამაზე აცხადდა წინასწარმეტყველება: „...და აღვილო ყოველსა წელსა ზედა ძაძა და ყოველსა თავსა ზედა სიმცირე და დავდვა მე იგი ვითარცა გლოვა საყვარელისა“\*\*.

შემდეგ, როდესაც ღმერთმა ყოველი თავისი სურვილი აისრულა, გაახსენდა ისინი, როგორც ნოე კიდობანში წარღვნის დროს და შეიწყალა. მიანიჭა სათხოვარი, გამოუგზავნა მათ სიუხვე, გააძღო მშვიგრები და სიკეთით აავსო უქონელნი, რათა დამტკბარიყვნენ და ღვთის დიდება განეგრძოთ.

თ ა ვ ი XVI.

უდიდესი სასწაულნი, რომლითაც მტრებზე უშრისძიება გამოიძიებანა

სპარსეთის მეფის კავატის შვილის არტაშირის [მეფობის] მეორე წელს, ვიდრე ის ჯერ კიდევ თავისი სურვილით განაგებ-

\* შდრ. იერემია, 22, 19.

\*\* ამოს. 8, 10.



და, ჩრდილოეთის იმხანი\* მოძალადეობით ძლიერდებოდა მთელს თავის საბრძანებელში. ძრწოლასა და შიშსა ჰგვრიდა ქვეყანას.

მან მოხელეები დაგზავნა სხვადასხვა სახის ხელოსნებთან, რომლებსაც ოქროს მოპოვების, ვერცხლის გამოღობის, რკინის საბადოებისა და სპილენძის წარმოების ცოდნა ჰქონდათ. აგრეთვე ვაჭრებსა და დიდ მდინარეებზე, მტკვარსა და ერასხზე, თევზმჭერებს გზებზე მებაჟენი დაუყენა. ყველაფერს მოითხოვდა მათგან ზუსტად, დიდრაქმასაც<sup>77</sup>, სპარსეთის სამეფოს ჩვეულებრივი აღწერის შესაბამისად. როდესაც გაეცნო ქვეყნის ყოველგვარ სიკეთეს და თავის გულში დარწმუნდა, რომ მისგან დაფარული არაფერი იყო, მაშინ გადაწყვიტა, ზაფხულში სომეხთა ქვეყანას დასხმოდა თავს და მასთან ერთად დაემორჩილებინა მისი მოსაზღვრენიც. თავისი ჯარიდან ამოარჩია სამი ათასი ძლიერი კაცი, მათ მოთავედ დაუყენა ჩორბან თარხანად წოდებული სისხლისმსმელი და გაბედული [მებრძოლი]. გაგზავნა ის თავისზე ადრე, რათა უსაფრთხო გზა დაეხვედრებინა მისთვის და ცნობებიც მოეგროვებინა სპარსეთის გაყოყოჩებულ მხედართმთავარზე, რომელსაც ჯერ კიდევ ეპყრა პალესტინის ქვეყანა. მერე თვითონაც აღჭურვა მრავალრიცხოვანი ლაშქარი სამგზავრო მოთხოვნილებით და ნელ-ნელა გაჰყვა უკან.

როდესაც [ჩორბან თარხანამა] თავისი მოწინავე ჯარით სომეხთა ქვეყანას მიაღწია, შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ სპარსეთის ზორავარი მოდიოდა. აიძვრათა როგორც გველი და ჩაუსაფრდა, რათა დაეცვა მისგან გზა. [სპარსეთის ჯარის სარდალმა] შაჰვარაზმაც შეიტყო, თუ რა განიზრახა მათ წინააღმდეგ მტერმა და სადამდე მიაღწია მისი ჯარის უშიშარმა მოწინავე ნაწილმა. მაშინ მან საქვეყნოდ მიმართა თავის ლაშქარს, შთააგონა მოესპოთ სასანიანთა გვარეულობა, ხოლო მეფედ თვითონ ის დაესვათ, ეუბნებოდა: „შეხედეთ და დაფიქრდით სპარსეთის ხალხო, რომ თქვენ არარაობა ხართ ჩემს გარეშე. მე გავაძიევი ჰრომაელის ძე, ახლა კი აღმოსავლეთის წინააღმდეგ დავბრუნდი. ვუბრძანებ ჩემს მამაც ჯარებს ცხენის ფეხებით გათელონ გოდესტანელები — ჩრდილოეთის მხრიდან მოსულნი, ვერ იხსნა ისინი თავიანთმა ჩვილმა, რომლითაც დაიმედებულნი იყვნენ, ხელში ათამაშებდნენ და კალთაში ისვამდნენ როგორც საკუთარ ოჯახში დაბადებულ ყრმას. მაგრამ მაინც დაეცნენ და ქელი მოიხარეს მცირერიცხოვანთა წინაშე. თქვენ კი უგუზურებად ჩავთვალეს. გულში გაამაყდნენ და ჩვენი არიული ქვეყნების დიდებას ემემკვიდრნენ“. თქვა ეს და ამყად დაუწყო ლაპარაკი თავისი ჯარის ერთ მამაც კაცს, სახელად ჰონაპნს, რომელიც ცხენოსანთა რაზმის მეთაური იყო, „მოდიო, — ეუბნებოდა, —

\* ჩრდილოეთის იმხანში ხაზართა ხაკანი იგულისხმება.



ამოარჩიე შენთვის ათი ათას კაციანი რაზმი და გაეშურე მათ წინა-  
აღმდეგ. ნუ შეარჩევ მათთან საომარ ადგილს, ნუ შეებრძოლები მათ  
ისე და ნუ გააშიშვლებ ხმალს ქარქაშიდან როგორც მტრებზე შურის-  
მაძიებელი, რათა თავის ხალხში არ იტრახახონ, რომ ხმლით მოიცილ-  
ნენ, არამედ თქვენი ცხენების ფლოკვებითა და მკერდით გათელეთ  
და გაფანტეთ როგორც ფერფლი ქარისაგან. როდესაც ასე მოექცევი  
მათ და მოსპობ, წინ გაეშურე მეფისა და მისი ბანაკის [გასანადგუ-  
რებლად]. ამით დასრულდება შენგან საომარი მოქმედება მათთან. რო-  
დესაც ყველა ერთიანად მოისპობა, ბრძოლის ადგილს „მტრის სასაფ-  
ლაო“ უწოდე. აი, რაც უნდა მეთქვა შენთვის“.

როდესაც ეს მოისმინა უამაყესმა ამაყთაგან, თავისი თავით გაყო-  
ყოჩებული და კმაყოფილი დაბრუნდა მისგან. დაათვალიერა ჯარები  
და მტრის წინააღმდეგ გაეშურა. მოწინააღმდეგემ შეიტყო ეს და მის  
მოსვლამდე გზაში ჩასაფხრა. [ჰონაპნის ლაშქრის] ნახევარმა ბრძოლა  
დაიწყო, მაგრამ ხელჩართული კვეთებისას, მაშინვე სირბილით უკუ-  
იქცა, შემდეგ აქეთ-იქიდანაც წამოიშალნენ, უყვიროდნენ მათ და გარს-  
შემოერთყნენ როგორც ცეცხლი ლერწამს. ველამის ტბის ნაპირას არც  
ერთი არ გადარჩენილა მათგან და არავინ იყო, რომელიც ესოდენ სამ-  
წუხარო ამბავს უკან წაიღებდა. მათი ტრახახი საწინააღმდეგოდ შე-  
მობრუნდა, რადგანაც კაცი საკუთარი ძალით არ არის ძლიერი, არა-  
მედ უფალი ასუსტებს თავის მოწინააღმდეგეს.

როდესაც გაძარცვეს გვამები, შეაგროვეს ცხენთა აღკაზმულობა-  
ნი, შუბები და მოოქროვილი ხმლები, ფარები და ჰრომაელთა ხელოვ-  
ნებით შესრულებული საუკეთესო ტანსაცმელი, მთელი შეგროვილი  
[ნადავლი] ერთმანეთში გაინაწილეს. [შემდეგ] თავიანთი ჩვეულების  
მიხედვით ყველა ლამაზ ცხენს გაუჭრეს მკერდი და ნესტოები, შეაჭ-  
რეს ფაფარი და შუბლის [ბალანი], აგრეთვე კუდი ტყავიანად და ერ-  
თი ადლის [სიგრძის] ძვლიანად. ამით ამახინჯებდნენ მათ შესახედაობას  
მუშა სახედრის მსგავსად.

ახლა, როდესა ეს სიამაყე დაძლეულ იქნა, მაშინ ყოველმა ჩრდი-  
ლოეთელმა მებრძოლმა და იმან, ვინც ხმალს ატარებდა, შეიგნო, რომ  
მათთვის არაფერს წარმოადგენდა მეფეთა უფლება და მხედართმა-  
ვართა ძლიერება, რადგანაც ჩრდილოეთის რკინის ქვაბმა პირი იბრუ-  
ნა თავისი შვილების წინააღმდეგ. დაიწყო მძვინვარება, მისი რისხვა  
მისსავე ბარტყებს დაატყდა. ერთის წილ საურავად ათასი მიჰქონდა,  
ორის წილ — ურიცხვი. დაიწყო ლაპარაკი საშინელ და საზარელ შუ-  
რისძიებაზე, რაც უნდა მიზღვოდათ ჩვენს მტრებს. ჩემი გონება მრავალ  
ამბავში მავალითს ეძებს, ნუთუ ამაზე უარესი იყო ფარაონის ჩა-



ძირვა\* ან მოსეს ხელთა აპყრობა ჯგირის სახით და ამაღეკის დამარცხება\*\*, ანდა გედონის მიერ ხოცვა-ჟლეტა\*\*\* და იესეს შვილის გოდინათური სიმამაცე,\*\*\*\* ასევე ღამის საშინელი შიში, რომელიც განიცადეს ასორესტანელებმა\*\*\*\*\* და ამათი მსგავსი [სხვა შემთხვევები].

დავუბრუნდეთ კვლავ ჩვენი თხრობის რიგს, უფალმა უდიდესი რამ გააკეთა ჩვენთვის, მაგრამ ვერ დავაფასეთ. [ხაზარები] გაეშურნენ სამივე ქვეყნის — სომეხთა, ქართველთა და ალვანელთა გასასვლელებისაკენ, მაგრამ ძლეულ იქნენ. [ამ დროს] მოაღწია საშინელმა ცნობამ ჩრდილოეთის ზღვის დამშრობისაგან, რომელიც იგივე ჯებუ ხაქანია, თავისი ლეშისმკამელ ლეკვ შათამდე; „თავს დამესხნენო ყაჩაღები და მეტად ველარ იხილავ ჩემ სახეს. ნაცვლად იმისა, რომ თავი დამეცვა, მივისწრაფოდი უცხო სამეფოსაკენ, რაც წესი არ იყო ჩემთვის. ამპარტავნობის გამო მალლიდან დავეცი. ახლა ნუ დაავგიანებ შენთან მყოფი ხალხის განადგურებას. ეცადე თავი დააღწიო მათ იმაზე ადრე, ვიდრე ეგენი გაიგებდნენ მომხდარი ამბების შესახებ და დააჩქარებდნენ შენს მოსაპობას. მე კი დავიღუპე და მოვწყდი ჩემს შვილებს“.

## თ ა ზ ი XVII

მიჰრის ტომის შესახებ, რომელიც იყო ხოსროვის სასანური გვარიდან და ალვანეთის მფლობელი გახდა

ჩვენ გავიგეთ უტყუარ და ჭეშმარიტ მემატიანეთაგან, რომ ძმები ბენდო და ვსტამი სპარსეთის მეფის ნათესავები, აღსდგნენ ხოსროვის მამის, მეფე ორმიზდის წინააღმდეგ და მოკლეს ის. თვითონ კი გაეშურნენ თავისი ძმისწულის, ორმიზდის შვილის ხოსროვის კვალდაკვალ, რათა გაქცეოდნენ ვაპრამს, ჩობინად წოდებულს. ჩავიდნენ საბერძნეთში, ბერძენთა მეფე მავრიკესთან, რომელმაც ადრევე დაიხიდა ხოსროვი და მისცა მას დიდი ჯარი. მაშინ წამოვიდა იქიდან ის და თავის სამეფოს დაეუფლა.

მრავალი წლის შემდეგ მან გადაწყვიტა შური ეძია თავისი მამის ორმიზდის სისხლის გამო. დახოცა ორივე ბიძა ბენდო და ვსტამი და სამოცამდე კაცი იმავე ტომიდან. ამის გამო ხოსროვის ნათესავი მიჰრანი გაიქცა, თან გაიყოლა ხალხის ნაწილი — ოცდაათი ათასამდე ოჯახი, გადავიდა ალვანთა ქვეყანაში, მიაღწია უტის გავარს ქალაქ დიდი

\* გამოსლვათა 14, 28;

\*\* გამოსლვათა 17, 8—13;

\*\*\* მსაჯულთა 7, 19.

\*\*\*\* I მეფეთა, 17, 49-50;

\*\*\*\*\* IV მეფეთა, 7, 7.



პარტავის მახლობლად და მოისურვა წასულიყო ხაზარებთან, რათა შემატებოდა [ხოსროვის] მტრებს.

მეფე ხოსროვს კი დაუწყეს საყვედური თავისმა დიდებულებმა, რატომ არ ზრუნავო შენს ნათესავ მიჰრანზე, რომელიც შიშის გამო შენს მტრებს მიეკელა და ახლა შენსავე წინააღმდეგ წამოვა. მან მაშინვე მისწერა მიჰრანს: „ჩემო ღვიძლო ძმაო, მტრულად ნუ მშობრდები, თუ არ გასურს ჩემთან ერთად ცხოვრება, სადამდეც ჩემი ხელისუფლება ვრცელდება და რამდენის გავლასაც ფეხით შესძლებ, იმდენი მიწა აიღე შენს საცხოვრებლადო“. წარგზავნილი შეხვდა მას გარდმანის მთიან გავარში. მან აიღო [წერილი], წაიკითხა და სიხარულით აივსო. რადგანაც ხედავდა იმ ქვეყნის კეთილნაყოფიერებას, გადაწყვიტა იქვე დაბინავებულიყო. მან თავის სახელზე ააშენა ერთი ქალაქი და მიჰრანის<sup>78</sup> უწოდა. გაზაფხულის დადგომისას წავიდა გარდმანის გავარის ზემო მხარეში, მზაკვრული მიზნით იხმო თავისთან თორმეტი მამასახლისი, ხმლით დახოცა ისინი და დაეუფლა ქვეყანას. ამის შემდეგ კვლავ დიდხანს იცოცხლა და მშვიდობით დაასრულა თავისი ცხოვრება.

მას ჰყავდა შვილი არმაიელი, რომელმაც შვა ვარდი. ვარდმა შვა მამაცი ვარდანი, ამან ააშენა გარდმანის ციხე სამ წელიწადში. შემდეგ თავის გულში ვერაგობა განიზრახა ჰაიკის ძველი გვარის — ერანშაჰიკის მიმართ. ამ [გვარზე] ზემოთ გვეწერა ჩვენს წიგნში. მოიწვია სადილად, დაღუპვის პური მიართვა მათ საჭმელად და გაუმასპინძლდა თავიანთივე სისხლით — თავი მოჰკვეთა სამოც კაცს და მათგან მხოლოდ თავისი სიძე — არმიჰრან ერანშაჰიკი დატოვა ცოცხალი. ასე გაბოროტდა ალვანეთზე. მანვე დაიმორჩილა კავკასიის ველური ხალხები და მშვიდად გარდაიცვალა.

[მამაც ვარდანს] ჰყავდა შვილი ვარდი. ვარდმა შვა ვარაზმანი, ქალბატონი შუშიკი და ვარაზ გრიგორი, — ალვანეთის პირველი იშხანი, რომელიც მოინათლა ალვანეთის კათალიკოსის ვიროს მიერ. ვარაზ გრიგორს ჰყავდა ოთხი ვაჟი: ვარაზ ფეროჟი, ჯუანშერი, იეზუტ ხოსროვი და ვარაზმანი. ამჯერად ეს ვიკმართ.

### თ ა ვ ი XVIII

ვარაზ გრიგორის მეორე შვილის ჯუანშერის სპარსეთში გაწეული ღვაწლი და სიამაყე

სპარსეთის მეფის დიდებული ხოსროვის გარდაცვალების ოთხი წლის შემდეგ გაეფუდა მისი შვილი იაზკერტი. აგარის მოდგმა კი გაძლიერებული თორმეტი ტომის შემოერთებით, საშინელი და მრისხანე იერიშით სწრაფად წამოვიდა, როგორც გრიგალი უდაბნოში. გაიარეს



ასურეთი და გამოეშურნენ სპარსეთის მეფის წინააღმდეგ. მაშინ ერთიანად ყველამ, ვინც სპარსეთის სამეფოს ხელისუფლების ქვეშე იყოფებოდა, ზორავარებმა და იშხანებმა, დიდებულებმა და ქვეყნის აზატებმა ყველა მხარეში შეაგროვეს ჯარები უტხო მტრის წინააღმდეგ: ამ დროს ალვანეთის იშხანმა — ვარაზ გრიგორმა, რომელიც არტაშირის ტომიდან იყო, თვალი მიაპყრო თავის მეორე შვილს, ამაყს, გოროხსა და მშვენიერ ჯუანშირს, რომელსაც ჯერ წვერი არ აშლოდა სახეზე. მამის თვალისჩინი იყო. იარაღში ჩამჯდარი და მამაცი, როგორც არწივი, ყველაფერში მამის საყრდენი. ჯუანშირსაც განეზრახა დახმარებოდა მას საქვეყნო საქმეში, გატოლებოდა დიდებულებს და მდგარიყო მტერთა წინაშე.

ამის გამო ვარაზ გრიგორმა შვილებიდან თავის მაგიერ უფრო შესაფერისად მიიჩნია მისი გაგზავნა სამეფო კარზე. [ჯუანშირმა] გამოართვა მამას რაზმი და საერთო შესაკრებელ ადგილზე სიუნიქის იშხანსა და სომეხთა სპარაპატზე ადრე მივიდა. როდესაც დაინახა როსტომ ზორავარმა, ისე მიიჩნია, როგორც ძმა და შვილი, ასევე სასურველი იყო ყველასათვის.

ზორავარმა იხმო რამდენიმე ათასი მხედარი და გაეშურა ტიზბონს მეფე იაზკერთან, რათა წარედგინა ჭაბუკი ჯუანშირის მისთვის. მეფემ მაშინვე თავზე ხელი დაადო, შეაქო და ალვანეთის სპარაპეტი უწოდდა. ამის შემდეგ სპარსეთის ზორავარმა წაიყვანა მთელი ჯარი და ჩავიდა ასორესტანში, გადავიდა მდინარე დკლათაზე და მიაღწია ევტაკავატის გავარს. გაამაყებული თავისი დიდი ჯარით, ტრაბახობდა, რომ განადგურებდა და მტვრად აქცევდა ყველა სამხრეთელს. ჯუანშირი დაბანაკდა მერეალ ჯრის (მკვდარი წყლის) იქითა მხარეს, აგარიანთა პირდაპირ. როდესაც ისინი საბრძოლველად გამოვიდნენ, გაეშურა ალვანთა სპარაპეტიც და ვაჟკაცურად მოაბრუნა საქმე თავის სასარგებლოდ. თავიდანვე ბევრი განაცვიფრა, დაიმედებული იყო თავის მახვილზე, რადგანაც იცოდა, რომ უფალი მასთან იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ, მეჰეკის<sup>79</sup> თვეში ქრისტეს შობის დღეს, ოცდაათი ათასი მხედრით და ათი ათასი ქვეითით გამოემართნენ [სპარსელები] მათ წინააღმდეგ. აგარის შვილნი კი მოვიდნენ კატმანიდან ფარით აღჭურვილნი მრავალრიცხოვანი მხედრითა და ოცი ათასიანი ქვეითი ჯარით. წინ გაიჭრნენ, რათა გაენადგურებინათ სპარსეთის ლაშქარი.

ალვანეთის სპარაპეტი მხნე ვაჟკაცებით შეიჭრა [ბრძოლაში], ორი მოწინააღმდეგე ძირს დასცა და გამოვიდა სამი მძიმე ჭრილობით. მისი ცხენი კი ოთხ ადგილას იყო დაჭრილი. იქიდან მდინარე ევფრატამდე მოსდია მტერმა, [ჯუანშირმა] ბრძოლით გადაცურა მდინარე, ტანისამოსი და იარაღი სისხლით ჰქონდა შეღებილი. [შემდეგ], როდესაც



დაინახა, რომ დიდებულები და მთელი ლაშქარი თივასავით მოიცულ-  
ნენ, გაეშურა სამეფო კარისაკენ. უამბეს მეფეს მის მამაცურ საქმე-  
ებსა და მძიმე ჭრილობებზე, მაშინვე ბრძანა სასახლეში დარჩენილი  
ყო და სამეფო ექიმები მიუჩინა. ქვეყანამაც ასევე კარგად მიიღო. რო-  
დესაც გამოჯანმრთლება იგრძნო, შევიდა მეფესთან. მან თავზე ხელი  
დაადო და ყველას მოსასმენად საქებარი სიტყვები უთხრა. ზორავა-  
რის წოდებასთან ერთად წესისამებრ მისცა დროშა და მაღალხმიანი ბუ-  
კები, ორი ოქროს შუბი და ორიც ოქროთი მოვარაყებულნი ფარი,  
რომლებიც ყოველთვის მის წინ მიჰქონდათ. მაგრამ ყველაზე უმეტე-  
სი პატივი იმითაც მიაგო, რომ წელზე შემოარტყა მარგალიტებით  
მოოჭვილი ოქროს ქამარი და მოოქროვილტარიანი ხმალი, ხელებზე შეაბა  
სამაჯურები, ხოლო თავზე სასურველი გვირგვინი დაადგა. მისცა მას  
აგრეთვე მარგალიტის ხვეულები, ხოლო კისერზე ამგვარივე მანიაკი  
შემოახვია. ჩააცვეს შავი შარვალი და წმინდა აბრეშუმის ოქროთი მო-  
სირმული სამოსელი. [მეფის] ბრძანებით მის სარგებლობაში გადავიდა  
სოფლები მცხოვრებლებით და მდინარეები თევზით. აღსრულდა  
ამბავი დაწერილისამებრ: კეთილ შრომათა ნაყოფი არს დიდებუ-  
ლი. როდესაც მიიღო ესოდენ სამეფო პატივი, კიდევ უფრო დაწი-  
ნაურდა.

მარების ქვეყანასა და აჰმატანში ორი ზორავარი საშინელი მძვინ-  
ვარებით ეომებოდა ერთმანეთს. [ჯუანშირმა] ერთი მათგანი ყველას  
თვალწინ ძირს დასცა და ამრიგად, როგორც ვინმე ბრძენმა, ისე დაა-  
ზავა ისინი. ამის შემდეგ ზორავარმა ხორაზატმა უდიდესი პატივი მია-  
გო და თავისთან წაიყვანა.

იაზკერტის მეფობის მერვე წელს ხელმეორედ გამოვიდა მოწინაა-  
ღმდეგე და ექვსი თვის განმავლობაში ალყაშემორტყმული ჰყავდა მე-  
ფე ქალაქ ტიზბონში. მაშინ ზორავარი ხორაზატი და ალვანეთის სპა-  
რაპეტი დაეშურნენ იქით ჯარებითურთ. მამაცმა ჯუანშირმა თვალები  
ზეცას აღაპყრო და სამი ათასით გაემართა მათ წინააღმდეგ. შეუპო-  
ვარი თავდასხმებით აიძულა ისინი გადასულიყვნენ მდინარის იქით.  
ექვსი თვის განმავლობაში საშუალება არ მისცა გადაელახათ მდინარე  
დკლათი. მაშინ წაიყვანეს მეფე და შეიყვანეს დიდ დასტაკერტში.  
უზომოდ ბევრი მტერი გაიჭრა მის წინააღმდეგ, მაგრამ მეფე იქიდან  
ბეკლალში<sup>80</sup> გადაიყვანეს. სამხრეთის შვილნი კი შეუპოვრად, როგორც  
ზღვის ტალღები, რამდენიმე დღის განმავლობაში უკან მისდევდნენ.  
ალვანეთის სპარაპეტი განუწყვეტლივ ებრძოდა მათ და თავის სიმა-  
მაცეს ქვეყანას აჩვენებდა. მან მრავალჯერ მოიტანა მეფის წინაშე  
უცხო ტომის მტრის მოკვეთილი თავები.

შემდეგ ბრძოლა ბრძოლაზე შენეებდა, მძიმე მარცხი ხვდათ უფ-  
ლისაგან სპარსეთის ჯარებს მათი არსებობის ბოლოს. ზეციდან მოდიო-



და იმათი სამეფოს მოსპობის ბრძანება. შვიდი წლ.ს მანძილზე იბრძოდა მამაცი ჯუანშირი საშინელ ომებში. თერთმეტი ჭრილობა მიიღო, მერე დაშორდა მათ და მოვიდა ატრპატაკანის გავარში. როდესაც დაინახა სპარსეთის ზორაპეტმა, რომ [ჯუანშირმა] ასე გაითქვა სახელი, ძალდატანება დაუწყო, რათა მისი და შეერთო ცოლად. მაგრამ იმან არ ინდომა, ურწმუნოთაგან მოეყვანა ცოლი და თავისი ქვეყნისაკენ გაეშურა, რითაც დიდად გაახარა მზრუნველი მამა, რომელიც დაემსგავსა იაკობ პატრიარქს, როდესაც იხილა მან თავისი პირმო რაქელი. სახეზე თეთრწვერდამშვენებულმა, სულაღზუნებულმა ჩაიკრა შვილი.

## XIX

ჯუანშირის სპარაპეტობა ალვანეთში, მისგან სპარსელების დამარცხება, იაზკერტის სიკვდილი და ჯუანშირის კეისართან მისვლა

გაბრწყინებული ჯუანშირი დიდებული სახით დაბრუნდა სპარსეთის ომებიდან და მეფის ბრძანებით თავისთან ერთად განადიდა მთელი ალვანეთის ქვეყანა. წაიყვანა თავისი რაზმი მამის თანხლებით და გაილაშქრა ქალაქ პეროზაპატის<sup>81</sup> ზემოთ. ჯუანშირის ამბოხების გამო სპარსეთის ამაყი მეომრები დაიძრნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. როდესაც მტრის მოწინავე ჯარი სწრაფად შევიდა ჯუანშირის გავარის ქვედა მხარეში, მან იქვე, საჩქაროდ შეიარაღებულმა, განაცვიფრა ჯარის ერთი მეთაური გელამის ტომიდან<sup>82</sup>, რადგანაც თვითონ და მისმა ლაშქარმა ხელით ხელში ძირს დასცა მრავალი მათგანი. ხელთ იგდეს ტყვეები, ცხენები, ჯორები, დიდი ნადავლი და დაბრუნდნენ. მაგრამ სპარსეთის რაზმს არ შეუწყვეტია მათი დევნა. მთებში ხელმეორედ შეებრძოლენ ისინი ერთმანეთს და იმ დღესაც გამარჯვება ჯუანშირს ერგო უფლის მიერ. მაგრამ იმავე დროს მოაღწია ცნობამ, რომ სპარსეთის ჯარები შეჭრილიყვნენ პეროზის ქალაქში და ტყვედ წაეყვანათ მისი მამა ძმებითურთ. ჭეშმარიტად ვამბობ, ისე გააფთრდა, როგორც ბელებდახოცილი დათვი, სწრაფად გავიდა თავისი სამშობლოს საზღვრებიდან და გადავიდა მტკვრის იქითა მხარეს კაიჭანის გავარში\*. იქ დაუფიქრებლად კი არ მოქცეულა, არამედ გონივრულად დაიწყო ბრძოლა მათ წინააღმდეგ. უზომო სიმამაცისას თავში დაიჭრა, მაგრამ ქრისტეს მარჯვენის შემწეობით კვლავ დიდი გმირობა გამოიჩინა, ისე, რომ მტერთაგან არც ერთი არ დარჩენილა მოუცელავი. ამის გამო მეტად გაითქვა სახელი და კვლავ შეისვენა ქართველთა საზღვრებთან. იქ, ქვეყნის დიდად პატივცემული იშხანი ატრნერსე<sup>83</sup>,

\* იხ. შენიშვ. 42



რომელსაც ჰრომაელთა სამეფოსაგან სამმაგი პატივი ჰქონდა მიღებული, მოვიდა მასთან და თვითონ უხვევდა ჭრილობებს, რადგანაც უხაროდა მისი დიდი გულადობით მოპოვებული გამარჯვება. იმ დროს მათ მშვიდობის ურღვევი კავშირი შეკრეს ერთმანეთთან. [ჯუანშირმა] თან წაიყვანა საშველად ქართველთა ჯარი, სასწრაფოდ გაეშურა უტის გავარისაკენ და სადაც დაინახა სპარსეთის ლაშქარი, ერთიანად ხმლით მოსრა. ასევე შეუპოვრად მოქმედებდა ის თავის საზამთრო ქალაქშიც<sup>84</sup>, ვიდრე არ გაათავისუფლა თანატოლი და ერთი მუცლიდან ნაშობი ყრმები. მაშინ [სპარსელებმა] დაიწყეს ატრპატაკანელთა მრავალრიცხოვანი რაზმების იქ გაგზავნა, მაგრამ მას არ შეშინებია იმათი, რადგანაც ბუნებით მაშინ უფრო შეუპოვარი იყო, როდესაც მრავალს ეწინააღმდეგებოდა, ვიდრე მცირეს. შაკაშენის<sup>85</sup> გავარის ორ ბრძოლაში დიდი დამარცხება არგუნა ათასობით მტერს და შურისძიებით მოცულა ისინი. აქ აღარ ვილაპარაკებთ იმ უთვალავ და საშინელ დამარცხებებზე, რომელიც ჯუანშირმა ამის შემდეგ მიაყენა სპარსელებს სხვადასხვა ადგილებში, როდესაც ეს ყოველივე დაინახეს სომეხთა და ქართველთა ქვეყნების ნახარარებმა, გადაწყვიტეს ცოლად შეერთოთ მისთვის ვინმე თავისი ნაშიერთაგანი. მაგრამ მან ითხოვა [ქალი] არუიჭანის გვარიდან, სისაკანის ქვეყნის იშხანის ქალიშვილი სიუნიქელთა გულის გასახარად.

სპარსეთის ზორავარმა, როდესაც იხილა თავისი ჯარების დიდი მარცხი და განადგურება, სამეგობროდ შემობრუნდა და სამშვიდობო წერილი მისწერა. გაგზავნა მასთან სივნიეთის დიდი მთავარი უდიდესი ფიცით, რათა დაზავებოდა. უშამავალმა ძლივს მოახერხა მისი დათანხმება სამშვიდობო კავშირის დადებაზე. გადაწყვეტილების დამოწმებისთანავე უკან გაბრუნდა. ასევე ალვანეთის სპარაპეტიც დედითა და ძმებით გაეშურა თავისი ქვეყნისაკენ.

შემდეგ გაიხსენა სპარსეთის დიდი სამეფოს დასუსტება, აღმოსავლეთის უწინდელ მეფეთა თვითმპყრობელობა და შეადარა საკუთარ ბრწყინვალე სამეფოს. გადაწყვიტა არავისათვის დაექვემდებარებინა თავისი ძალაუფლება და ბედი. ამიტომაც თითოეული მხარის მფლობელ სპარსელ სპარაპეტისაგან თავი ამაყად იფანჯე დაიჭირა და ასე შევიდა ძმებითურთ მშობლიურ გავარაში.

ხოლო სპარსეთის სარდალმა ცბიერებით, მოღალატურად იხმო ჯუანშირის მამა, რათა დაემორჩილებინა ის, ასევე რაზმები დაგზავნა და ალვანეთის გავარებში მმართველნი დანიშნა. ახლა რა უნდა ექნათ მამაც ჯუანშირსა და უფროს ძმას, — უშიშარ ვაჟაკებს? შურის საძიებლად შეიარაღდნენ, შესხდნენ მკვირცხლ ცხენებზე და გრძელი სავალი შეიმოკლეს. გარშემოვლით მივიდნენ ქალაქ პეროზკავატში და პირველ ძილს დაბურულ ტყიან ადგილებში მიეცნენ. მზის ამოსვლის-



თანავე მიუშვეს ცხენები და როგორც ლომის ბოკვერებმა, ხელთ იგდეს ქალაქი. ვინც კი იპოვეს მასში, ან მის საზღვრებში სპარსეთის ზორავარის ბრძანების [მორჩილი], საშინლად დასაჯეს. თავიანთივე ქა-რებით გაძლიერებულებმა უდიდესი დარტყმები აგემეს სპარსელებს, ვიდრე მამა უნებლად არ დააბრუნეს იქიდან.

იაზკერტის მბრძანებლობის მეოცე წელს სპარსეთის სამეფომ შეწყვიტა არსებობა. ეს იყო აგარიანთა საყოველთაო ბრძოლების ოცდამეთერთმეტე, ხოლო ჯუანშირის მმართველობის მეთხუთმეტე წელი. აი, ამ დროს ტაჭიკები თავს დაესხნენ ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარეებს. ტომის უფროსებს აიძულებდნენ ხელთ მიეცათ მათთვის გამაგრებული ადგილები. მიძევლებად მიჰყავდათ ბავშვები და ქალები, რათა ისინი არ აჯანყებულაყვნენ მათ წინააღმდეგ. როდესაც იხილა ჯუანშირმა სამხრეთელთაგან [წამოსული] უბედურება, მცირე ხნის შემდეგ ფარულად გადავიდა მდინარის გაღმა. მისი უშიშარი გული იწვოდა კვლავ მათთან საბრძოლველად, რათა იმათგანაც ეხსნა თავისი მამა. მაგრამ მამა თვითონ აღუდგა წინ ამ განზრახვას და თავისი ნებით გაეშურა მტრისაკენ. ბრძენმა ჯუანშირმა კი კავშირი შეკრა სომეხთა ზორავართან და ავუღიანებდა კვლავ ბერძენთა კეისრის მორჩილებაში შესულიყვნენ. დაამყარა მასთან ძმური ერთობა და ასეთი წერილი მისწერა ბერძენთა მეფეს:

თ ა ვ ი X X

### ჯუანშირის წერილი ბერძენთა მეფე კონსტანტინეს

„ყოვლისმძლეო უფალო, ძლიერო და მოწყალე ჰორომთა მეფევე, უავგუსტოესო კონსტანტინე, ზღვისა და ხმელეთის ღვთისსადარო მპყრობელო, აღვანეთის სპარაპეტი და მთავარი ჯუანშირი აღმოსავლეთის მორჩილ ქვეყანასთან ერთად მდაბლად მოგესალმება და თაყვანს გცემს. დასტური მოგვეცეს შენმა ქრისტესმოყვარულმა მეუფებამ, რათა სიამტკბილობით მიიღოს ახალ ქვეშევრდომობაში შორეული ხალხი. ჩვენ კი ჩვენი მორჩილებისათვის მოგვეძღვნას ღვთიური კეთილმყოფელობა შენი დიდებისაგან“.

როდესაც ეს წერილი მიართვეს კეთილმორწმუნე კეისარს, გაიხარა, მოილხინა და ის დღე უდიდეს მხიარულებაში გაატარა. მაშინვე ბრძანა ფიცი შეედგინათ და ერთსულოვანი მშვიდობა დაამყარა. ძღვნად გაუგზავნა დიდებული საჩუქარი: ვერცხლის სავარძლები მოოქროვილი ზურგებით, ოქროქსოვილის ტანსაცმელი, მარგალიტებით მოოჭვილი ხმალი თავისი სარტყლით. უბოძა ასევე პროტონპატრიკობა, ხოლო ათას ორასი კაცისათვის გაგზავნა [სხვადასხვა] პატივი: პატრიკობისა და იპატოსობისა<sup>86</sup>, შემდეგ ეპარქოსობისა და სტრატილატობისა,



რათა მას ვისთვისაც უნდოდა, იმათთვის ებოძებინა. მან აგრეთვე თვითონ მოიხსნა და [ჯუანშირს] გაუგზავნა ცხოველმყოფელი ქრისტეს ჯვრის ნაწილი, რომელსაც მუდამ გულზე ატარებდა.

თ ა ვ ი XXI

## სიგელის პირი


„შენ უფალ ჯუანშირს, გარდმანის მფლობელსა და ალვანეთის იშხანს, სპარაპეტსა და პროტონ პატრიქს, აღმოსავლეთის მპყრობელს, მადლი და წყალობა ღვთის ძლიერებით მხსნელი ჯვრისაგან და ჩვენი უავგუსტოესი სამეფოსაგან მშვიდობა და დიდი სიყვარულით მოკითხვა!.

მივიღეთ შენი მოსაღმების ბარათი, რომელმაც გვიჩვენა შენი სიყვარული და კეთილმსახურება ღვთის მიმართ, გავგახარა იმან, რომ თავს იღე მთელი აღმოსავლეთის ქვეყანასთან ერთად ჩვენი მორჩილება. ამის გამო ჩვენ და ჩვენი შვილები შენსა და შენი შთამომავლების მიმართ გულწრფელი და ურღვევი სიყვარულით თაობიდან თაობამდე საუკუნოდ ლმობიერნი ვიქნებით“.

როდესაც ჯუანშირმა წერილის შინაარსი შეიტყო, საოცარმა სიხარულმა მოიცვა, განსაკუთრებით მადლიერი იყო ყოვლისშემძლე ჯვრის გამოგზავნისათვის. ამიტომაც პირქვე დაემხო მხსნელი ჯვრის წინაშე და აღიდებდა ღმერთს, რომელმაც სიკეთე მიანიჭა მას.

იმ დროს ალვანეთის კათალიკოსი ეპისკოპოსებთან და გამოჩენილ კაცებთან ერთად ყვავილებით წავიდა მის შესაგებებლად. ყველა ლოცავდა უდიდეს საჩუქარს. რადგანაც ამის შემდეგ იქ საქმე არაფერი ჰქონდათ, დაიწყეს ზომიერი დროსტარება, მაგრამ არა უწყსრიგო ლაპარაკი, ან ღვინის უზომო სმა და ხუმრობა. [ჯუანშირმა] კი ღამე უძილოდ გაატარა, ფიქრობდა თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე: ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლისთანავე მან ჩაიცვა თავისი მეფური სამოსელი და ტახტზე დაჯდა. გააღეს კარი, შემოვიდნენ შეიარაღებული მებრძოლნი და მის ორივე მხარეს დადგნენ. ამის შემდეგ პატივის მიხედვით მოკრძალებით შემოდიოდნენ დიდებულები. ჰემმარიტი სამართალი და პირუთენელი მსაჯულება მის კარზე ყველასათვის იყო ბოძებული. ის არ ეძლეოდა ხორციელ კმაყოფილებას, არამედ მთელი დღეები ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნავდა და კავკასიის მთების ველურ ტომებს აცნობიერებდა. ამრიგად, თვითმპყრობელური სიზვიადით მართავდა ქვეყანას ქართველთა საზღვრებიდან ჰონთა კარამდე და მდინარე ერასხამდე.





ბრძენთა მეფის მოსვლა სპარსეთში და ჯუანშირის ხმოვა

თავისი მეფობის მეცხრამეტე წელს ჰერაკლეს შვილიშვილი კონსტანტინე მრავალრიცხოვანი ჯარით, რჩეული მხედრებითა და ჰონთა თავკაცებით წავიდა სპარსეთისაკენ, წაართვა ტაჭიკებს\* ქვეყნის სხვადასხვა ადგილი. თან ჰქონდა მსოფლიოს მანათობელი შუქიც\*\*.

იმ დროს გაგზავნა ერთი ვინმე მეთაურთაგანი ჯუანშირთან და იხმო ის სანახავად. ჯუანშირი სწრაფად მივიდა მართა ქვეყანაში დიდ კეისართან. როდესაც იმისი მოსვლა შეიტყო კეისარმა, თვითონ გამოვიდა შესაგებებლად სოფელ ქუნგრთან<sup>87</sup> და მიესალმა. მაშინვე უბრძანა გამოეცვალა სამგლოვიარო ტანისამოსი, რომელსაც ცოლის გარდაცვალების გამო ატარებდა და ჩააცვა სამეფო სამოსელი. ამით გამხნეებულმა ჯუანშირმა სთხოვა კეისარს საუკუნო მეუფის ნიშნის ნაწილი. მან აიღო ხსნის მზე, თავის წინ გატეხა, მისცა მას ცოდვების დამწველი და უთხრა: „იყოს ეს მაგარ კოშკად მტრის წინააღმდეგ შენთვის და შენი შვილებისათვის“. როდესაც დაინახეს სომეხმა ნახარაზრებმა და ზორაგარმა ჰამაზასპმა რომ ასეთი ზეციური ძღვენი ერგო, დიდად შეშურდათ. მაგრამ ამისათვის მას ყურადღება არ მიუქცევია, არამედ სთხოვა განტეგება კეთილისყოფელ უფალს. ხოლო კეისარმა არა ისე, როგორც ქვეშევრდომი, არამედ როგორც სპარსეთის მოწინააღმდეგე და თავისი თანამოაზრე ძმა ისე გაისტუმრა აირარატის აზატების თანხლებით. გაოცებული ღვთის ამდენი წყალობით, გაეშურა ჯუანშირი თავისი ქვეყნისაკენ.

როდესაც მისი მოსვლა შეიტყო სულგანათლებულმა ალვანეთის ჰაირაპეტმა\*\*\* უხტანესმა, დიდძალი ხალხის თანდასწრებით დალოცა და ხმამაღლა თქვა: „აი, გამოგვიგზავნა უფალმა სიონიდან ძლიერების კვერთხი და მისი საშუალებით ჩვენს მტრებს დავამარცხებთო“. ბრძენი ჯუანშირი ფიქრობდა ებოვნა ადგილი უფლის ჯვრის დასასვენებლად. მან თავის მამულ გარდმან ბერდის გავარში დააფუძნა ღვთის სახლი და დიდებულად შეამკო ქრისტე ღმერთის გასახარად და სადიდებლად. გაზაფხულის დადგომისას ალვანეთის დიდად პატივცემული მთავარი მოემზადა კეისრის ხელმეორედ სანახავად. მას უნდა შეხვედროდა ქალაქ ვალარშაპატში. იმ დროს მეფისაგან ბრძანება გაიცა, რომ სსახლის დიდებულები და წარჩინებულები გამოსულიყვნენ

\* ტაჭიკები, ანუ არაბები.

\*\* იგულისხმება ქრისტიანული ჯვარი.

\*\*\* ჰაირაპეტი, — მამამთავარი.



შესაგებებლად და ამგვარად, როგორც მეფე ისე შეეყვანათ კეისრის სადგომში. როდესაც დაინახა კეისარმა, სიყვარულის ამბორით მიესალმა, იქვე წინ დაისვა და ყველა დიდებულზე უფრო მეტი პატივი მიაგო. ის დღე მისი კურთხევის დღედ იქცა. [დღესასწაული] დამშვენდა ნაირნაირი ოქრო-ვერცხლით. შემდეგ ბრძანა, რაც კი სამეფო [მაგიდას] განეკუთვნებოდა, ყველაფერი მოეტანათ, რითაც მეტრაპეზენიც კი გააკვირვა. ამის მერე წელზე შემოარტყა თავისი მამაცი პაპის ჰერაკლესი და თავისი წინაპრის ნიკიტას<sup>88</sup> ქამარი, მისცა მას საკუთარი ტანსაცმელი და ორი დროშა, ხოლო ყრმა შვილებს პატრიკობა უბოძა, ასევე უწყალობა წინანდელ ალვანთა მეფეების ყველა სოფელი და საზღვარი თაობიდან თაობამდე და მიანდო მთელი აღმოსავლეთის მეფურად ზედამხედველობა. კეისარი არც ერთ განზრახვას არ უმაღავდა მას, ისმენდა მისგან ბევრ ბრძნულ აზრს, უკვირდა და თავის დაკვრით ეუბნებოდა: „შენ როდესაც ჩემთან ხარ, ჩემი გული შენი გულივითაა, ახლა წადი მშვიდობით“. ასეთი უდიდესი სიხარულით დაბრუნდა ის თავის სამშობლოში და, რადგანაც ქვეყანა მისი იყო, კვლავ იძლეოდა ბრძანებებს შენების, დარგვის, დატკობისა და მშვიდობით ცხოვრებისათვის. თვითონ მან მრავალი სსახლე ააგო, ღვთის დიდებით უხვად ჰქონდა ძვირფასი ნივთებიც, რითაც აღამიანი ტკებდა. იმდენად [აღზევდა], რომ თურქესთანის მეფეც კი სთხოვდა სიყვარულსა და ზავს. ძღვნად გამოუგზავნა რჩეული ცხენები, მონები და მხეველები, აგრეთვე სხვადასხვა ქვეწარმავალთა ტყავეები. მის სასანახავად და მოსასმენად მოდიოდნენ ასორესტანიდან, ატრპატაკანის გავარიდან. ასევე აირარტის გავარიდან და ქართველთა ქვეყნიდან დაწყებული ინდოეთამდე. მის მეტად გონივრულ რჩევებსა და დიდსულოვან სიყვარულზე საერთოდ ყველა მოსულის მიმართ, საოცარ ამბებს ყვებოდნენ თითოეულ მხარეში.

მხოლოდ ძელი ცხოველის საშუალებით მოხდა ყოველივე ეს და სხვა არაფრისაგან, მან გახადა მისი სახელი საქვეყნოდ ცნობილი და აკურთხა როგორც მზრუნველმა მშობელმა.

## თ ა ვ ი    X X I I I

ხაზართა გამოსვლისა და ჯუანშირის მიერ მდინარის გაღმა მათი დამარცხების შესახებ

ამ ამბებიდან ორი წლის შემდეგ გადმოვიდნენ ხაზარები ალვანთა ქვეყანაში მოსახვეჭად და სალაფოდ. მაშინ ალვანთა შეიარაღებული მთავარი წარსდგა ძლევაშისილი ჯვრის წინ და მუხლებზე დამხო-



ბილი სიმღერას უმღერდა ისრაელის მეფეს; ჩემო უფალო, „აღიღე  
ჭური და ფარი და აღდეგ მწედ ჩემდა\*“.

შემდეგ წაიყვანა თავისი რაზმი, გადავიდა დიდ მდინარე მტკვარ  
ზე და დაიწყო მათთან ბრძოლა. მისი თხოვნა შეწყნარებულ იქნა,  
რადგანაც ბრძოლის ქარცეცხლში სწრაფმავალი ცხენი წაუბორძიკდა  
და გადმოაგდო, მაგრამ არ დაღუპულა, რადგან უფალმა გაუწოდა  
ხელი და წამოაყენა. მან განაცვიფრა მოწინააღმდეგენი, იმ დღეს  
უდიდესი გამარჯვება მოიპოვა და უთხრა იმ ბარბაროს ხალხს: „წა-  
დით შედით ჩორის კარში და მეტად ნულარ გამოხვალთ აქეთ, რად-  
განაც ღმერთმა თქვენ უკვე გძლიათ“.

#### თ ა ვ ი X X I V

გარდამანბრდნი უფლის ტაძრის დასრულება და კურთხევა.  
მასში ჭრისტეს ჯვრის აღმართვა და ჯუანშირის  
დღესასწაული

ხაზართა ჯარზე ჯუანშირის გამარჯვების ორი წლის შემდეგ და-  
სრულდა ღვთის სახელზე შესანიშნავი ტაძრის მშენებლობა. [დიდი  
მთავარი] დაემხო მუდმივი შუქის წინ და ასე ლოცულობდა: „ახლა  
მობრძანდი მეუფეო, შენს განსასვენებელში, რომელიც მე შენს სა-  
ხელზე ავაშენე სავანედ ძელი ცხოველისა“. შემდეგ წაიყვანა კათა-  
ლიკოსი ეპისკოპოსებისა და ყველა თავისი ნახარარის თანხლებით და  
ერთი დღის სავალზე წავიდა ქალაქ პეროქკავატიდან ზემო მხარეს.  
ჯერ მუხლმოყრილმა ილოცა ერთ მონასტერში, რომელიც აშენებუ-  
ლი იყო ორ გავარს შორის მდებარე უდაბურ ადგილას. [ილოცა] ყვე-  
ლა იქ მოსულთან ერთად. დაისვენა როგორც თავშესაფარში და ბრძანე-  
ბა გასცა, რომ არავისათვის ყოფილიყო მიუწვდომელი იქ გაჩერება.  
იქიდან წამოსული მრავალრიცხოვანი ჯგუფებით შევიდა გარდამანის  
გავარში<sup>89</sup>. ეს მოხდა არაჯის<sup>90</sup> თვის მეთერთმეტე დღეს. ნათელი ჯვა-  
რი დაასვენა იმ სავანეში, რომელიც ააშენა და იქვე დამხობილმა  
გულმხურვალე მონანიებით და ცრემლებით შეჰლაღადა ყოველის შე-  
მოქმედს:

#### თ ა ვ ი X X V

ჯუანშირის ლოცვა

\* ფსალმუნი, 34, 2.





როდესაც თავის ტახტზე მშვიდად იჯდა მამაცია ჯუანწორი, მეორე წელს ზამთრის ბუნიობისას გამოვიდა ჰონთა მეფე მრავალათასიანი მხედრობით. თუმცა მისი ბრძანებით წინასწარ გაფრთხილებული და გამაგრებული იყო ქვეყანა, მაგრამ ყაჩაღმა ჰონებმა მდინარე მტკვრიდან დაწყებული ერასხის ნაპირებამდე მაინც [ყველა] დაატყვევეს, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ასევე ისინიც, რომლებიც ზამთრის საქოვრებზე ცხვრის ფართთა და საქონლით იყვნენ მოსულნი აირარატის გავარსა და სიუნიქში და თავიანთ ბანაკში მოუყარეს თავი.

შემდეგ ჰონთა მეფემ მოისურვა ეხილა ჯუანწორის სახე. გაგზავნა მასთან თავისი ძმები და სთხოვა ენახათ ერთმანეთი და ურთიერთშორის ძმური მეგობრობა დაემყარებინათ. ხოლო მამაცსა და მხნე უფალს არც უფიქრია შეშფოთებულიყო, სპარსთა მეფეებიდან ჯერ არავის გაუბედავს ეხილა პირისპირ თურქესტანის მეფე. ის კი უშიშრად დაემხო მხსნელი ჯვრის წინაშე და შეჰლაღადა: „თუმცა მე უნდა გავიარო სიკვდილის ჩრდილში, მაგრამ მაინც არ მეშინია ბოროტისა, რადგანაც შენ, უფალო, ხარ ჩემთან“. აქედან წასული ჯუანწორი ეახლა მათ მეფური მოკაზმულობით. ჰონთა მეფე წამოვიდა მის შესახვედრად. ის მოდიოდა ნავით, გადმოცურა მდინარის აქეთა მხარეს და გაჩერდა ნაპირთან, მდორე ღრმა წყალში. მათ გამართეს ერთმანეთში სამშვიდობო თათბირი, რათა შეეწყვიტათ უთანხმოება და ერთსულოვანი ძმობა დაემყარებინათ. როდესაც შეთანხმდნენ, თითოეული თავის ადგილას დაბრუნდა.

მაგრამ რა სიყოჩაღე გამოიჩინა ჩემმა უფალმა მეორე დღეს? ის ჩვიდმეტი კაცით გადავიდა მდინარის იქით, ჰონთა ბანაკში და იქიდან ცოლად წამოიყვანა მეფის ასული. დაიბრუნა ალაფი — ასოცი ათასი სული ცხვარი, შვიდი ათასი ცხენი, უამრავი საქონელი და ტყვე არა ნაკლები ათას ორასი კაცისა. იქიდან დაბრუნებული სიხარულით მოდიოდა თავისი ბინისაკენ, კმაყოფილი გულით ღაღადებდა უფლის წინაშე, ლოცულობდა და ამბობდა: „მე ჩემი მშვილდით კი არ ვსასოებ, არამედ შენ მიხსენი უფალო და ჩემი დიდებაც შენშია უფალო!“.

შემდეგ უბრძანა სარწმუნო კაცებს, რათა უკან დაბრუნებული ალაფიდან თითოეულისათვის თავისი წილი მიეზღოთ. და ასე, ოცდარვა წლის განმავლობაში სპარაპეტის უფლებით მთავრობდა ჯუანწორი ყრმობიდან დაწყებული შუახნამდე. მისმა საქებურმა საქმეებმა სა-



ქვეყნო სახელი მოუპოვა ჯერ სპარსეთში, ხოლო შემდეგ ჰონებში, როგორც ვაჟკაცსა და შეუცდომელს. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე არილებიც და არაარიელებიც ყველა იცნობდა როგორც სიმამაცის განსახიერებას.

ახლა კი ვიწყებ იმის თხრობას, თუ როგორ და რა საშუალებით არგუნა მას კურთხეულმა ჯვარმა სიბნელეში ნათელი და ცეცხლიდან ყვავილები აკრფინა.

## თ ა ვ ი XXVII

აქ თქვენ წაიკითხავთ იმის შესახებ, თუ რა დიდი პატივი მივაგო სამხრეთის მიწამ აღმოსავლეთის მთავარს

მარადიული მთები და მშფოთვარე ღრმა ზღვებიც კი ემორჩილებიან ღვთის სიტყვას, რადგანაც უზენაესი ბრძანება, როდესაც დედამიწას ეხება, ისე აზანზარებს მას თითქოს მთები შეეჯახნენო. ასე იყო ახლაც, უფლის წინაშე შემადლებული ბორცვები გასწორდნენ და მშფოთვარე უფსკრულთა აღელვებული ტალღები თავისთავად დაცბრნენ, ჩაესვენა სპარსეთის სახელმწიფოს დიდება და მისი დაუქმყოფილებელი სიამაყეც უფსკრულმა დაფარა..... როდესაც დაინახა დასავლეთის ჯეირანმა, რომ უფალი აღარ შეეწეოდა მის მახვილს და გარეულმა ტახმა მხეცურად რქები დაუმსხვრია,... მაშინ ჰრომაელთა კეისარმა წაიყვანა გადარჩენილი ჯარი და იჩქარა ზღვითა და ხმელეთით დასავლეთის მხარეს შორეულ კუნძულებზე გადასულიყო. ეს იყო [ტატიკების] მიერ თავისი სამეფოს სამხრეთით, ასორეტანის ქვეყანაში გადატანის მეექვსე წელი. მათ დატოვეს მონების ქვეყანა და საუფლო ტახტი დამასკოში დააფუძნეს. იქ მჯდომმა დაიწყო თავის გარშემო, მარჯვნივ და მარცხნივ, მიწის ტენის წოვა. [ჯუანშირს] კი ბოძებული ჰქონდა წინააღმდეგობის დიდი ძალა, სახელმწიფოებრივი ჭკუა, მიწიერი სიტკბოება და ადამიანური თავაზიანობა. ამრიგად, ამ ოთხი თვისებით ის მთავრობდა საერთოდ ქვეყნის ოთხივე კუთხივ. როდესაც სამხრეთის სამეფომ დაინახა ბერძენთა კეისრის უიმედო სისუსტე, ცეცხლით გაანადგურა მისი ხალხმრავალი მოედნები და ქალაქები.

თავისი სამთავროს მიმართ მზრუნველი აღმოსავლეთის დიდი მთავარი ჯუანშირი მეტად ფრთხილობდა, რომ სამხრეთის ლაშქარს ფეხით არ გაეთელა მისი ქვეყანაც. თუმცა კი შეეძლო თურქესტანიდან წამოეყვანა უთვალავი ჯარი დასახმარებლად. მაგრამ [არ ინდომა] და თვითონვე დაემორჩილა სამხრეთის მეფის უღელს. როდესაც სამხრეთის მპყრობელმა შეიტყო ჩვენი მთავრის იმ უდიდესი პატივის შესა-



ხებ, რომელიც მას მიღებული ჰქონდა ბერძენთა კეისრისაგან, ანდა ის, რომ აღვირაკრული ჰყავდა თურქესტანის ხალხი, შეეძლო მათი გამოყვანა და უკანვე დაბრუნება, მათთან მოყვრული ნათესაობის გამო, მაშინ დაუოკებელი შური აინთო პატივმოყვარე დამპყრობლის გულში. მან დიდი ფიცით გაუგზავნა სარწმუნო მოციქული, აღუთქვა და შეპირდა დიდი საჩუქარი, თუკი ჯუანშირი მასთან მივიდოდა. ქრისტეს ჯვრის მადლზე დანდობილმა, მოამზადა უამრავი მისართმეველი და [შუამავალთან] ერთად გაეშურა დამპყრობლის მისასალმებლად, უწინარეს ყოვლისა ის მივიდა უფლის სახლში, რომელიც მან ააშენა გარდმანბერდში. იქ გულწრფელად შეჰლაღადა გულის მესაიდუმლეს, როგორც დიდმა დავითმა და შესთხოვა: „ქეშმარიტებისა და სიმართლის შემოქმედო, ნუ ჩამავდებ ჩემი შემაფიქროებლების ხელში“. ამგვარად გამოეთხოვა და გამარჯვების იმედით აღჭურვილი წავიდა შორეულ ქვეყანაში. სომეხთა მხედარმთავარი კი, მთელ ნახარაბებთან ერთად, სიხარულით გამოვიდა მის შესახვედრად, სიამოვნებით მიიღო და დიდი პატივით გააცილა. როდესაც მიადწია ასორესტანის ქვეყანას, დაინახა, რომ მეფის ბრძანებით მხარეთა მმართველები და ქალაქის შეძლებული [მოსახლეობა] თითოეული თავისი საზღვრების ფარგლებში პატივით იღებდა მას, ცხენებს უმზადებდა და თავშესაფარს აძლევდა. ასეთი პატივისცემით მიადწია სამეფო კარს. [მეფემ] უბრძანა მახლობელ დიდებულებს გასულიყვნენ მის შესახვედრად და ის ცხენები მიეგვარათ, რომლებზედაც ვითონ ჯდებოდა. ასეთი ბრწყინვალეობით შეიყვანეს მრავალრიცხოვან ხალხში. როდესაც გაიგეს მისი დიდების შესახებ, ყველა მდაბიო გზაზე შეგროვდა და მის ნახვას ეშურებოდა.

სამხრეთის მეფემ, მზის ამოსვლისას ჩვეულებრივზე უფრო ადრე გამოიღვიძა და მხიარული გუნებით და კეთილი სალაპით შეხვდა აღმოსავლეთის მთავარს. გახარებული იყო მისი მოსვლის გამო. ასეთი დიდებით და პატივით მას არავინ არ მიუღია, არც ერთი სახელმწიფოს მმართველთაგანი. მით უმეტეს, რომ გამოცდილი ჰქონდა მისი სიბრძნე. თუმცა მრავალი ხელისუფალი და სხვადასხვა ხალხის შემოქმედნი ემორჩილებოდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს ისე არ ენდობოდა, როგორც ჯუანშირს. უდიდესი საჩუქრები უბოძა მას და მის თანმხლებ პირებს. ამის შემდეგ აღმოსავლეთის მთავარი მშვიდად გამოეთხოვა და [შინ] გასტუმრება სთხოვა. სამხრეთის მეფემ ჩამოართვა წმინდა და მტკიცე მეგობრობის ფიცი, გაუწოდა თავისი მარჯვენა, რაც ამაყ დამპყრობელს ჩვეულებად არ ჰქონდა არც ერთი უცხოელის მიმართ, ვინც არ უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ უდიდესი პატივით გააცილეს ქვეყნის საზღვრებიდან.



როდესაც [ჯუანშირმა] აირარატის გავარს მიიღწია, მის შესაგებებლად გამოვიდა მამაცი გრიგორი მამიკონიანთა გვარიდან ანატოლითან ერთად და წაიყვანა ის თავის დაბაქალაქ არუქში<sup>91</sup>. იქ მოვიდა [აგრეთვე] წმინდა მტრედი და ეკლესიის დედაბოძი, სომეხთა დიდი პატრიარქი ანასტასი. როდესაც ის დაინახა მრავალმორწმუნე მთავარმა, აივსო სულიერი სიხარულით, მუხლი მოიყარა მის წინ და იკურთხა მისგან, როგორც წმინდა ანგელოზი. შემდეგ იმავე ზარზეიმით მივიდა გარდმანის გავარში, სადაც მაშინვე შევიდა თავის საიმედო თავშესაფარში და დაიწყო მისი შემკობა ძვირფასი მასალით... მოახატინა გუმბათიდან დაწყებული კარიბჭემდე... ამის შემდეგ ჩინებული მთავარი ჯუანშირი სამი წლის განმავლობაში სამხრეთის მეფის ერთგულებასა და მორჩილებაში იყო.


თ ა 3 0 X X V I I I

ჯუანშირის მიორედ წასვლა სამხრეთის მკაცრობელთან, ბრძნული დახმარების აღმოჩენა ბერძნებისათვის, გადასახადის განახევრება

სამხრეთის მეფემ კვლავ მიიწვია აღმოსავლეთის ცნობილი მთავარი ჯოანშირი, რათა უწინდელზე მეტი მიეგო მისთვის. ამავე დროს მოვიდნენ ბიზანტიის მდიდარი ქალაქის [წარმომადგენლები], რათა ნებაყოფლობით ეკისრათ აგარის შვილთა ქვეშევრდომობა. კონსტანტინეს მეფობის ოცდამეათე წელს გაძლიერდნენ საჭურისები და მისი მოკვლა მოიწადინეს. [სამხრეთის] მეფემ ბრძანა [ელჩების] შეყოვნება, ვიდრე აღმოსავლეთის მთავარი მოვიდოდა, დიდებული უფალი [ჯუანშირი], როგორც პირველად, ზეიმით მივიდა იმ ადგილამდე. ამჯერად მას უწინდელზე მეტი დიდებით და პატივით შეხვდა [მეფე]. უბრძანა მოემზადებინათ მისთვის დასასვენებლად თავისი ღვიძლი ძმის სასახლე. ვახშობისას მუდამ თავისთან ერთად სვამდა მაგიდასთან. შემდეგ ბრძანა, მისი თანხლებით დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკება პატიოსან კაცებთან, რომლებიც საიმპერიო ქალაქიდან მოვიდნენ. მეტად უკვირდა მეფეს მისი განსწავლულობა მსჯელობის დროს. არანაკლებ მადლიერნი იყვნენ ჰრომაელთა სამეფოდან მოსული ელჩები, რადგანაც ყოველნაირად ცდილობდა, მეფე მათ სასარგებლოდ დაერწმუნებინა.

ამის შემდეგ მისი დიდება უფრო განმტკიცდა. სამხრეთის მეფემ ბრძანა აღმოსავლეთის მთავრისათვის ისეთი პატივი მიეგოთ, როგორც გვირგვინოსანი მეფისათვის. მიართვა მას ინდოეთიდან ჩამოყვანილი ხელოვნურად გაწვრთნილი ამაყი სპილო, რომელიც ძლიერე-





ზით და საუცხოო [სანახაობით] ამეშენებდა სამეფო კარს. დასაბამი-  
 დან დღემდე არავის სმენია, რომ ასეთი პატივი მიეღოს უმცროსს  
 უფროსისაგან. ამის შემდეგ აჩუქა თუთიყუში, რომელიც იშვიათი იყო  
 ყველა ფრინველთა შორის. მას უძველესი დროიდან პრომეელთა სა-  
 შეფოს გარდა ვერც ერთ ადგილას ვერ შეხვდებოდით. უბოძა სხვა  
 მრავალიც: მარგალიტებით მოოჭვილი და ოქროთი მოვარაყებულ  
 ფოლადის ხმალი, ოქროქსოვილი ტანსაცმელი ღია წითელი და სხვა  
 ნაირნაირი ფერებისა, რაც ცნობილი იყო უწინაც და ახლაც. ორმოც-  
 დათორმეტი სწრაფლმავალი ცხენი, რომლებზედაც თვითონ მეფე ჯდე-  
 ბოდა. აგრეთვე თავის ცოლებს, — დედოფლებს უბრძანა აღმოსავლე-  
 თის ქალბატონისათვის გაეგზავნათ სადედოფლო მორთულობანი ოქ-  
 როქსოვილი და აბრეშუმის ტანსაცმელი. ყველა თანმხლები პირიც დაა-  
 საჩუქრეს ფარჩითა და ბეწვეულით — სულ ორმოცდაათი კაცი. [ჯუ-  
 ანშირმა] დაიმორჩილა სიუნიქის სამთავრო. ამასთანავე [მეფე] ურ-  
 ჩევდა დათანხმებულიყო მდინარის იქითა მხარეს ატრპატაკანის მმარ-  
 თველობაზეც, მაგრამ ის არ დათანხმდა გარშემო ქვეყნების თვითმ-  
 პყრობელურ და ამაყ მფლობელობაზე, არამედ უარყო ეს უმეტესი  
 დიდება. თავისი კეთილი ბუნების მიხედვით [მხროლდ] თავისი ქვე-  
 ნის მცხოვრებთა სიკეთეზე ზრუნავდა.

შემდეგ [ჯუანშირმა] თხოვნა დაიწყო თავისი ხვედრი მძიმე ხარ-  
 კის შემსუბუქებისათვის. სამხრეთის მეფემ შეიწყნარა სათხოვარი და  
 ბრძანა საგადასახადო უღელი სანახევროდ შეემციერებინათ. სამი ზო-  
 მიდან ერთი წილი [დატოვა]. ესოდენ დიდი შეღავათის შემდეგ, რო-  
 ძელიც მან მთელი სამთავროს პატივსაცემად გააკეთა, კვლავ ჩამო-  
 ართვა თავისი მარჯვენა [ჯუანშირს] და დიდად საკვირველი პატივით  
 გაისტუმრა. ის გაეშურა თავისი ქვეყნისაკენ, მაშინვე შევიდა ღვთის  
 სახლში, დაეცა პირქვე და მადლი უძღვნა ღმერთს ენით უთქმელი  
 წყალობისათვის. თან ამბობდა: „ღვთისგანაა ჩემი ძალა და ჩემი დი-  
 დება“. იქიდან წავიდა ვოსტანს, სადაც მისი საზამთრო სავანე იყო.  
 აქ შეიკრიბა საყოველთაო კრება. ჩვენ იქ ვიხილეთ ის ჩვეულებრივი  
 ღირსებით კი არა, არამედ უმეტესად პატივცემული და სამეფო შუ-  
 ქით გაბრწყინებული. ვნახეთ აგრეთვე სამეფო ფრინველიც, რომელიც  
 საუცხოო სანახავი იყო: ყვითელ ფრთებზე ცოტაოდენი მწვანე ფერი  
 გადაჰკრავდა, წითელი მკერდი გამოირჩეოდა ყელის გარშემო და  
 [ფერები] ერთმანეთში გადადიოდა, როგორც გაზაფხულის დილის ცვა-  
 რი მინდვრებზე. ოქროს ბოლო მარგალიტით ეშვებოდა, ხოლო მო-  
 მრგვალო ენის წვერით, რაც კბილს წააგავდა, წვრილი ხმით ჭიკჭი-  
 კებდა და ხშირად აღამიანის მსგავსადაც ლაპარაკობდა. ეს ჩიტი რო-  
 გორც უწინ იმპერატორ ნერონის პალატებში, ასევე აქაც, ქებას ას-  
 ხამდა ჩვენს მრავალჭირნახულ მთავარს. თუმცა ამით ყველანი გაკვირ-



ვებულნი იყვნენ, მაგრამ არა იმდენად, როგორც შემდეგ, რის სათქმელადაც ახლა ვემზადები: ჩვენ დავინახეთ მეფის საოცარი თავშესაქცევი, ის კედლებს გარეთ, გზის დასაწყისში გამოვიდა, თეთქოს მეფის თაყვანისსაცემად მოდისო. ჯაბანი და უკეთური ცხოველი — უზარმაზარი სპილო, რომელიც თავის მორებივით ფეხებს მთებივით სწევდა ზევით, ხოლო თავიდან, როგორც ბოროტი ქვეწარმევალი, ჩამოკიდებული ჰქონდა ხორთუმი, რომელსაც მდინარესთან სიარულის დროს ხშირად აქეთ-იქით აქნევდა, ხანაც შვეულად მალა სწევდა, ხან კი სუნთქვისას ძლიერი შხუილით ისრუტავდა ჰაერს, რასაც შემდეგ ხორხიდან გარეთ უშვებდა. ჭეშმარიტად მოგახსენებთ, რომ ამ ბეჭემოთის თავის ერთ მოძრაობაზე საშინელი შიში და ცახცახი იპყრობდა ადამიანთა მოდგმას. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე იქიდან წამოყვანილი მორთულ-მოკაზმული ამაყი ცხენები, ზოგი გასასვირნებელნი, ზოგი სამგზავრონი, ზოგიც სწრაფმავალნი, რომლებიც ნიაკვივით მსუბუქად მიქროდნენ ოქროს აღვირით, უნაგირით და იარაღით დამშვენებულნი.

ახლა რა მოვყევი და რაღაზე ვილაპარაკო კიდევ? ღვთის შეწევნით [ჯუანშირი] დაბადებიდანვე მხოლოდ დიდებისა და წარჩინებისათვის იყო შექმნილი. დღევანდლამდე უფალმა მას მიანიჭა ყველაფერში უებრო ყოფილიყო. ამიტომაც თავისი შეძლებით მეფეს არ ჩამოუვარდებოდა, — მეტად ბევრი ოქრო და ვერცხლი, შესანიშნავი ლალები და ბრწყინვალე ტანსაცმელი, პატოსანი თვლები და მარგალიტები, აგრეთვე ყოველგვარი სიუხვე იყო მასთან. ამ სამი ათეული და კიდევ სამი წლის განმავლობაში ღვთისმოშიში აღვანთა მთავარი უფალმა გახადა ძლევამოსილი. ის იყო მეტად პატივცემული ოთხი მებრძოლი სამეფოს მიერ და არაფრით დაბლა არ იდგა ამ თვითმპყრობელებზე, პირიქით, ყველაზე მაღალი და დიდებული იყო. ბავშვური ხასიათით და გულუბრყვილობით არავის მიუჩნევია მისი უფლება მცირედ. თუმცა თავზე გვირგვინი არ ედგა, — სამეფო პატივისა და უკიდურესი დიდების ეს უმაღლესი ნიშანი, მაგრამ ჩვენთვის, მისი უმორჩილესი მონებისათვის ის სრულყოფილი იყო, არა როგორც ვინმე ავგუსტოს ან ტიბერიუს იმპერატორი, არამედ [აღვსებული] ღვთითმომადლებული სიკეთით...

თ ა ვ ი    x x i x

ღვთის კაცის მიუღაზნოე ისრაელის სიზმარი წმინდა  
მუხტოცუე და მისი მოწაფეების მოწამოცაჲ. გისუი  
არსებული წმინდა ჯვრის მოკოვება



თავი XXX

იმ წერილის პირი, რომელიც დაწამეს დავით და იოვალ  
ეპისკოპოსებმა დიდ ტაძარში, აგრეთვე იმის შესახებ, თუ  
როგორ აჩვენა ღმერთმა უდიდესი საკვირველებანი

თავი XXXI

პასუხი ეპისკოპოსებს მღვდელმთავრისა და მთავრისაგან

თავი XXXII

ალვანეთის ნახარაგები უმოყვრლებიან წარმართებს და  
იკიცხებიან

თავი XXXIII

მოთხრობა წმინდა კაცის ისრაელის მღვდლად კურთხევისა  
და წმინდა ჯვრის მოკოვებაზე

თავი XXXIV

დიდი მთავრის ჯუანშირის ვერაგულად მოკვლა

იმ ხანებში დიდი მთავარი ჯუანშირი წასული იყო მთიან მხარე-  
ებში, რათა მხიარულად გაეტარებინა ზაფხულის დღეები. თან ახლდ-  
ნენ კარგად დახელოვნებული მომდერლები. სიბრძნის წყალობით მან  
ყველა დაუმორჩილა თავის მთავრულ ძალაუფლებას. გონიერებისა და  
სიმაჰაცის მეშვეობით კიდევ უფრო ამაღლდა. მაგრამ შემდეგ სახელ-  
განთქმული მთავარი ეშმაკმა აცდუნა და ღვთის მცნების საწინააღმ-  
დეგოდ ამოქმედა. მისი დიდება დაეცა და გაუქმდა, სწრაფად გაქრა  
მისი სიმშვენიერე და ყოველივე ობობას ქსელში მოექცა. [ზაფხუ-  
ლის] მცხუნვარე დღეებში ამ საოცარმა მხედარმთავარმა წაიყვანა დი-  
დებულები ნამესაკანის რაზმთან<sup>92</sup> ერთად მაღალი მთების ველებზე-  
ის ტკბებოდა სიმშვიდით, ყვავილების ხილით და ლამაზ იალაღებზე  
სასურველად ატარებდა დროს.

როდესაც ცხელმა დღეებმა გაიარეს, ჯვრის აღმართვის დღესას-  
წაულზე [ჯუანშირი] ამ მხარეებიდან წამოვიდა და უტის ოლქში ქა-  
ლაქ პარტავაში, თავის მიერ შემკობილ ტაძარში შევიდა, რათა თაყვა-  
ნი ეცა უფლისათვის და უდიდესი შესაწირავი მიერთმია დღესასწაუ-  
ლის ზეიმზე. ვიდრე სახელოვანი ჯუანშირი შვევით ისვენებდა, მას-  
თან მივიდა ერთი მხაკვარი და უსინდისო კაცი, დაავადებული ვერა-



გობის სენით, თავის თანამზრახველ ცბიერ ამხანაგებთან ერთად. მან დაივიწყა მისი სიყვარული, პატივისცემა მისი მამის სახლისაგან, საიდანაც მოიპოვა უდიდესი საბოძვარი და განიზრახა დაედუპა. ბოროტი აზრები ჩაუნერგა [ჯუანშირის], მოუწოდებდა ავხორცობისაკენ. ცრუ სიტყვებით არწმუნებდა, რომ ბილწ საიმოვნებას მისცემოდა. ერთხელ მთავარი სასახლიდან გამოვიდა იმ გზაზე, რომელიც ბაღებსა და ყვავილნარზე გადიოდა. იქნებოდა ღამის პირველი საათი. მას თან ჰქონდა ხმალი, ფარი კი არა. მის შეიარაღებულსა და სწრაფმავალ მცველ რაზმს უზრუნველად და მშვიდად ეძინა სასახლის კარიბჭესთან. ამასობაში ვარაზოს მოღალატე ენიბამ აიღო სამეფო მახვილი, — ფოლადის ხმალი, ოქროთი მოსავადებული ფარი და ცბიერებით წავიდა წინ, როგორც [ჩვეულებრივი] შეიარაღებული [მებრძოლი]. ვერაგმა ურჯულომ ტანისამოსის შიგნით ჩაიცვა ჯავშანი. ის და ჯუანშირი მივიდნენ ბაღის შუამდე, მახლობლად გალავნისა, რომელიც გაშლილ სამეფო პარკს ერტყა. რადგანაც ძღვევამოსილი ჯუანშირი ბრძენიც იყო, მაშინვე მიხვდა მკვლელის ვერაგულ და ცბიერ განზრახვას, ხოლო, როდესაც ჯავშნის ხმა მოესმა, შეძრწუნდა, რადგანაც ეკონა, რომ მისი მოკვლა განზრახული ჰქონდა მთელ ჯგუფს. გადაწყვიტა შეუშინე ღელად დაბრუნებულიყო სასახლეში. მაგრამ ურჯულო მკვლელმა, რომელიც არც თუ ისე მარჯვედ ფლობდა მახვილს, მოულოდნელად უკანიდან დასცხო მთავარს და, რადგანაც ჯავშანი არ ეცვა, მძიმედ დაჭრა. სწრაფად არ ძღვეულა [ჯუანშირი], მან, როგორც მშფოთვარე ლომმა, უმალ ჩარია საქმეში თავისი მახვილი. მაგრამ უზენაესმა ძალამ მიატოვა და ხელში ჩაუგდო მისსავე შინაურსა და საყვარელს. როდესაც [მთავარმა] პირველად აძგერა მახვილი, იმან ფარი შეაგება და მოწინააღმდეგეს გაუძლო, მახვილის [წვერი] კი გაერჭო ფარის ნახვრეტში, რომლის ამოღება და კვლავ ხმარება ვეღარ შესძლო. [მკვლელი] ამ დროს აივსო ველური სიმხეცით და გაშმაგებულმა მთელ მის სხეულს მრავალი ჭრილობა მიაყენა. როგორც შხამიან გველს შეუძლია დაგესლოს მრისხანების ჟამს, ისე [უმოწყალოდ] ურტყამდა ხმალსა და მახვილს ძირს დაცემულ თავის უფალს. იფიქრა, რომ მისი სული უკვე განშორებული იყო სხეულისაგან, ამიტომ თავისი უფლის მკვლელმა მიატოვა მომაკვდავი, მალულად გავიდა გარეთ და სახლისაკენ გაეშურა. თვალთმაქცობდა, რათა არავის ეაზრა მომხდარის შესახებ. თითქოს არაფერი იცისო, ისე [შევიდა და] დაიძინა სახლში.

ამასობაში ვილაცამ შეიტყო იქ დატრიალებული ამბის შესახებ. მან ტირილითა და გოდებით განგაში ატეხა და დიდძალი ხალხი შეყარა. მათ შორის დამნაშავეს ერთმა ღვიძლმა ძმათაგანმა შეატყობინა [მკვლელს] მისივე ბოროტმოქმედების შესახებ. ის სწრაფად მოახ-



ტა ცხენს და გაიქცა. მაშინ ერთმა დიდებულმა, მთავრის ბიძაშვილმა, წაიყვანა ამეჰაკანის ჯარიდან ორმოცდაათკაციანი რაზმი და უკან დაედევნა მკვლელს, მაგრამ გრძნობდნენ, რომ გაქცეულს ვერ დაეწვოდნენ. შურისძიებით აღესილნი გაეშურნენ არცახის გავარის მთიანი მხარეებისაკენ.

დაარბიეს მისი მამის სახლი, — დაანგრიეს და ცეცხლში დაწვეს. გაანადგურეს აბრეშუმისა და სხვა ნაირნაირი ქსოვილები, ფერად-ფერადი ტანისამოსი, ოქრო-ვერცხლისა და სხვა რჩეული ნივთები. ხოლო თვითონ ღრმა მწუხარებით დაბრუნდნენ იქიდან. დასტიროდნენ მთავარს და გოდებდნენ. ჯერ კიდევ სული ედგა [ჯუანშირს] და რამდენიმე დღეს იცოცხლა. დაურიგა თავის შვილებს სათითაოდ ქონება და პატივი, მიუჩინა თითოეულს თავისი წილი, ხოლო შემდეგ მძიმე ჭრილობებისაგან გარდაიცვალა.

იმ დროს მცირე არეულობანი როდი ხდებოდა ქვეყანაში, გროვდებოდნენ შეიარაღებული ადამიანები ჯგუფებად. მათთანვე იყვნენ დიდებული ნახარაზები. საერთოდ მთელი ქვეყანა კენესა-გოდებით და მწუხარების დაღადით დასტიროდა თავის მთავარს. ასეთი აუტანელი სატანჯველი და უნუგეშო ჭმუნვა მოუტანა [მისმა დაღუპვამ] მთელ ხალხს. მათ შორის იყო ერთი რიტორი, სახელად დავთაკი. ის იცნობდა ხელოვნებას, იყო გამოცდილი და [სხვადასხვა] თხზულებებით განსწავლული მოძღვარი. ლაპარაკობდა მჭევრმეტყველურად. მისი ენა მალაიდმწერ კალამს ემსგავსებოდა, დიდი ხნიდან იმყოფებოდა სამეფო კარზე. როდესაც საბედისწერო ამბავი დიდი მთავრის მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ, მთელ აღმოსავლეთის ქვეყანას მოეფინა, მაშინ მან შექმნა ჰიმნი ანბანური რიგის მიხედვით და დასტიროდა ღირსეულ ჯუანშირს.

თ ა ვ ი    x x x v

გოდება დიდი მთავრის ჯუანშირის სიკვდილის გამო

თ ა ვ ი    x x x v i

ვარაუ-თრღატი იკავებს ჯუანშირის ტახტს. ჰონება უური იძიებს მისი სიკვდილისათვის. ვარაუ-თრღატი მზვიდობას ამჟარებს მათთან

იმის შემდეგ, როდესაც გაიარა მწუხარებამ, გაიფანტა ნაღველი და თანდათან დაბრუნდა იმედი, მაშინ ტომის მეთაურები, მხარის გა-




მგებლები, დიდებულები, ნახარბები და ქვეყნის ყველა იშხანი შეიკრიბნენ დიდ არქიეპისკოპოს ელიაზართან და ბჭობა გამართეს სასურველ მშვიდობაზე, ალვანეთის სიკეთეზე, აგრეთვე იზრუნეს მომავალი მთავრის საკითხზე. ისინი ერთხმად შეთანხმდნენ აერჩიათ ქვისრის მიერ პატივცემული ერთი ნახარბთაგანი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა პატრიკის ტიტული. ეს იყო ჯუანშირის ძმის ვარაზ-პეროყის ძე ვარაზ-თრდატი. ქვეყნის იშხანებმა და კათალიკოსებმა გულთადი ერთსულოვნებით დააჩქარეს, რათა ეს საქმე სისრულეში მოეყვანათ. დიდებულებმა აქვე გაშალეს ცხოველმყოფელი ჯვრის ალამი, საყვირის ხმაზე დასვეს ის მოოქროვილ ფარზე, სამჯერ ასწიეს მალღა და მილოცვის სიტყვები შესძახეს.

ამგვარად, დიდი სიხარულით უბოძეს მას მშობლიურ ტახტზე უპირველესი პატივი. საჩუქრებით და ძღვენით ულოცავდნენ ახლად არჩეულს თავის სამფლობელოს. ჯერ კიდევ ადრე მამაცმა ვარაზ-თრდატმა თავისი მახვილი და სამაგალითო ჭკუით ყველას მიმართ გამოიჩინა სიკეთე და მეგობრული მზრუნველობა. მაგრამ, როდესაც მთავრის ტახტს მიაღწია, ზოგიერთი მოშურნე თვისტომი ბოროტი აზრით განიმსჭვალა მის მიმართ. მან კი, თავისი სიბრძნისა და ტკბილ-მოუბრობის წყალობით, დაიმორჩილა ისინი და ყველას გული თავისკენ მიიზიდა. სულგრძელი სიმშვიდით დაეუფლა ქვეყანას არსებულ საზღვრებში, ხოლო შემდეგ ისწრაფოდა დაპატრონებოდა სახელოვან დედაქალაქ პარტავს.

იმ დროს ჰონთა სარდალმა და დიდმა მთავარმა ალფ ილითუერმა შეკრიბა თავისი დიდი ჯარი, აგრეთვე ისინი, რომელნიც სხვადასხვა მხარეებიდან მოვიდნენ მასთან, გოგვის ქვეყნის<sup>93</sup> მამაცი იარაღასმული შვილებიც — თავიანთი მხედარმთავრებით, დროშებით, რაზმებით, აფთიანი მსროლელებით, შეიარაღებული მხედრებით, ჯავშნებითა და მუზარადებით და თავს დაესხა ჯუანშირის მკვლელობის შურისძიების საბაბით, ალვანთა ქვეყანას კავკასიის დიდი მთების მისადგომებთან — კაპალაკის გავარის<sup>94</sup> სოფლებს. ხოლო თვითონ თავისი რაზმითურთ ველ-მინდვრების გავლით გადავიდა მდინარე მტკვარზე და გაეშურა უტის ოლქისაკენ. დაატყვევა ადამიანთა და პირუტყვთა დიდი რაოდენობა, მოაგროვა ალაფი და იქიდან დაბრუნებული ლფინთა მხარის საზღვრებში დაბანაკდა.

როდესაც ალვანეთის მთავარმა ვარაზ-თრდატმა დაინახა ეს მრავალრიცხოვანი ურდოები, რომლებიც მძარცველურად თავს ესხმოდნენ, ატყვევებდნენ და ანგრევდნენ ყოველივეს, მეტად შეწუხდა და აღარ იცოდა რა ექნა. მან ჰონთა მთავარს მოციქულად გაუგზავნა დიდი მთავარეპისკოპოსი ელიაზარი, მისი საშუალებით განუცხადა იფულ-წრფელი ერთგულება და სიყვარული, როგორც სასურველ ძმას, თან





შეუთვალა: ჩვენ არ განგვიზრახავს ჯუანშირის მოკვლა, არამედ ეს უსაზღვრო ბოროტება ჩაიდინა უსინდისო და სულმდაბალმა ადამიანმა. ყოველივე ეს გადასცა ალვანეთის კათალიკოსმა ველურ ჰონებს, აგრეთვე დაუმატა სხვა ღვთისნიერი სიტყვებიც, რითაც ღვთის მოშიშარობა და სიყვარული გამოიწვია მათში და განაწყო [მთავრის] გული მშვიდობისა და ურღვევი მეგობრობისაკენ. იმის შემდეგ როდესაც შეჰპირდა ჰონთა მთავარი, რომ მისი სამთავროს მშველელი გახდებოდა, წამოვიდა [ელიზარი] იქიდან და თავის ქვეყანას მიაშურა.

თავი XXXVII

ვარაზ-თრდატის მმართველობა, მისი ტახტისა და პატივის აღიარება სხვადასხვა მხარეთაგან. მიწაშენცის ეპისკოპოსის ღვთისმშობლის ბარდაცვალება, ისრაელის ტახტზე ასვლა და მისი კეთილმოქმედება

ამის შემდეგ ღვთისმოსავი მთავარი ვარაზ-თრდატი დღითიდღე ძლიერდებოდა თავის სამფლობელოში. მან უდიდესი პატივი მიიღო, ტაჭიკთა ძლიერი და მეფის სადარი მთავრისაგან. გახდა აღმოსავლეთის ქვეყნების მეფის სადარი, განაგებდა ალვანეთის მთელ სამეფოს და უტის ოლქს. მან დაიმორჩილა ყოველივე და გამარჯვებითა და ძლიერებით მართავდა თავის ქვეყანას.

ამ დროს მეწკუენცის ნეტარი მღვდელმთავარი დავითი შეუერთდა თავის წინაპრებს. ამქვეყნიური სიკეთისათვის მებრძოლი კეთილი სახელი დაიმკვიდრა და ანგელოზებთან ჰპოვა სასუფეველი. რაკი მისი სამწყსო უმოძღვროდ დარჩა, ეკლესია დიდად შეწუხებული იყო. მაშინ ალვანეთის ღვთისმოსავი მთავარი მოეთათბირა თავის ზორავარს, კათალიკოსისა, ყველა ეპისკოპოსის და ნახარარის თანდასწრებით, რათა ღვთიური აზრი სასწრაფოდ მოეყვანათ სისრულეში. ის ამბობდა: „მოდით, ავირჩიოთ სათნო და უფლის კაცი ისრაელი მეწკოლმანქის გავარში ტახტის მწყემსად, რათა გაანათლოს მან ისინი ბრძნული წესებით შემოქმედის ბრძანებისამებრ“. თუმცა ისრაელი ჯერ არ ეთანხმებოდა, მაგრამ, როდესაც იშხანებმა სასტიკი ბრძანებით აიძულეს, ურჩობა აღარ გაუწევია. ამავე დროს გაახსენდა სამოციქულო სიტყვები: „ვისაც ეპისკოპოსობა სურს, მას კეთილი საქმე სურს\*“. გაახსენდა აგრეთვე დიდი ხნის წინათ, უმეცრების ასაკში ნანახი ზმანება ქალაქ ვალარშაბატის წმინდა ეკლესიაში და ხმამაღლა თქვა: „ღე“

\* ტიმოთე, 3, 1.



აღსრულდეს ნება ღვთისაო“. მაშინ მთავარმა სასწრაფოდ მასთან გა-  
ზავნა ნახარათა შორის ცნობილი იშხანები, რათა დროზე მოეყუ-  
ნათ. როდესაც ისინი შუა არცახის გავარში მივიდნენ, შეხვდნენ ის-  
რაელს გლხოვანქში, მისსავე მონასტერში, სადაც შეკრებილნი იყვნენ  
სამწყსოთა მღვდლებიც. ისინი გააგზავნეს იქიდან სათანადო სიგელე-  
ბით, თვითონ [იშხანებმა] კი მიაღწიეს კათალიკოსამდე და აღვანე-  
თის მთავრამდე, რომლებსაც წარუდგინეს წმინდად აღზრდილი ის-  
რაელი ბერის სამოსში. მას ებოძა საქებარი წიგნები დაბეჭდილი თი-  
თოეული მხარის ზორავარისა და ნახარებების მიერ. კათალიკოსმა  
პატივი მიაგო მას და მეწ კოლმანცის მხარის ეპისკოპოსად აკურთხა.  
შემდეგ კი დიდძალი ხალხით და კურთხევის წიგნით თავის გავარისა-  
კენ გაისტუმრა. მათ მიაშურეს უწინდელ ეპისკოპოსთა სამყოფელს,  
რომელსაც ტაღდანი<sup>95</sup> ეწოდებოდა. დიდის პატივით მიიღეს თანამო-  
საყდრეებმა, თავკაცებმა და ხალხმა, მან ქრისტიანული მოძღვრების  
სიკეთით ყველას გადააჭარბა. აიღო ჯვარცმა და შესთხოვა ღმერთს  
თავისი ქვეყნის შესახებ. რჯულიერი ცხოვრებით დიდად დაწინაურდა.  
მოგზაურობდა ეპარქიის ყოველ გავარში და განამტკიცებდა მათ მო-  
ძღვრების მაღლით მართლმადიდებლური რწმენისა და ჭეშმარიტი  
მცნების მიმართ.

ასე და ამგვარად, აუხსნა [ხალხს] თავისი მოძღვრება და გაასხი-  
ვოსნა ქრისტეს სიყვარულით.

### თ ა ვ ი X X X V I I I

დიდი მთავარი ვარაზ-თრდატი ეპისკოპოსს ისრაელს აგზავნის  
აღირაბატის გავარში სომეხთა დიდ მღვდელმთავარ საჰაკთან  
და ღვთისმოსავ მთავართან მებოზროვის განსამტკიცებლად

იმ დროს ღვთისმოსავ ვარაზ-თრდატს ბრძნული აზრი მოუვიდა.  
[გადაწყვიტა] გაეგზავნა ეპისკოპოსი ისრაელი სომეხთა დიდ კათალი-  
კოსთან და აირარატის გავარის ღვთისმოსაში მთავართან მეგობრობის  
დასამყარებლად. ისინი დიდის პატივისცემით გამოვიდნენ მის შესა-  
გებებლად, მოასვენეს და მაღლი მოიღეს დარჩენილიყო რამდენიმე  
ხანს მსოფლიო ქალაქში.

მაშინ სომხეთის მთავარმა და დიდმა ზორავარმა დარანაღის გა-  
ვარიდან — თორდანიდან გადმოიტანა სომხეთში, აირარატის გავარის  
ქალაქ ვალარშაპატში წმინდა გრიგორის პატიოსანი ნეშტი, მთლიანად  
ყველაფერი ძვლებითურთ და დასვენა ახლად აშენებული ეკლესიის  
თაღის ქვეშ. [ეკლესია] ააშენა დიდმა ნერსესმა წმინდა გრიგორის სა-  
ხელზე. ეპისკოპოსი ისრაელი დიდის ვედრებით დაეცა კათალიკოსისა



და სომეხთა ზორავარის წინაშე და შესთხოვა ნება მიეცათ, რათა დაეკმაყოფილებინა გულის წადილი, აესრულებინათ მისთვის სათხოვარი. „მომეცითო, — ეუბნებოდა, — წმინდა გრიგორის ერთი ნაწილი“, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ და უთხრეს: „ჯერ არავისთვის არ უბოძებიათ წმინდა გრიგორის ნაწილები და ჩვენც უფლება არა გვაქვს ავიღოთ და შენ გიბოძოთო“. მაშინ მან დამხმარედ გაიჩინა დედოფალი. ჰელინე — დიდი სომეხეთის ქალბატონი, რომელიც ალვანეთის ქვეყნიდან იყო. [დედოფალმა] ხელი გაუწოდა მას, თავისი ამალით გაეშურა კათალიკოსისაკენ და შესთხოვა შეესრულებინა მისი სათხოვარი, ნაწილთა შესახებ. ის ევედრებოდა აგრეთვე სომეხთა ზორავარს — თავის მძახნებელს: „მიეცით წმინდა გრიგორის ნაწილი ჩემს ქვეყანას და ჩემი მამის სახლს, აუსრულებთ თხოვნა ეპისკოპოსს, რომელიც გამოგზავნეს ჩემი ქვეყნიდან, რათა მან დაიცხროს თავისი სურვილი. ის სიხარულით დაგვემშვიდობება და წავა ჩვენგან“. კაცთმოყვარე ღმერთმა გულში ჩაუსახა მათ თანაგრძნობა, მიეცათ [ისრაელისათვის] წმინდა გრიგორის რჯულის მმოძღვრავი ყბის ნაწილი. ამრიგად, უბოძეს სასურველი განძი. დიდის პატივით მიღებული [ალვანთა] ეპისკოპოსი დაემშვიდობა მათ, მიენდო ღვთიურ მადლს და გაემგზავრა. ნათელი დიდებით მიაღწია თავის ქვეყანას. მოტანილი სიწმინდენი დაასვენა მონასტერ გლხოვანქში.

### თ ა ვ ი X X X I X

ვარაზ-თრდატი ეთათბირება თავის ნახარალებს ეპისკოპოსისრაელის ჰონთა კმეყანაში ბაზაზანის შესახებ მშვიდობის დასამყარებლად

სამხრეთის სამეფოში უზენაესი მაჰმადის მეფობიდან სამოცდამეორე წელს, ალვანეთის მთავარი ვარაზ-თრდატი სარწმუნოდ მოეთათბირა თავის თვისტომ ნახარალებს და კათალიკოს ელიაზარს. ის ეუბნებოდა მათ: „ხარკი, რომელიც ჩვენ დავაკისრა მძიმე ტვირთად ტაჭიკმა ხალხმა, მეტად გვავიწროვებს და გვაწუხებს. მეორე უბედურება ის არის ჩვენთვის, რომ ყოველწლიურად ჰონთა ჯარები თავს ესხმიან ჩვენს ქვეყანას. ამგვარად ორმაგად გვავიწროვებენ მტრები და გვიოხრებენ სამშობლოს. მოდიეთ. ჩემო მახლობლებო და საყვარელო, ავირჩიოთ ჩვენი ქვეყნიდან ერთი ეპისკოპოსი ჩვენდა სანუგეშოდ, წავიდეს და ღვთის შეწევნით ორივე ქვეყნის თვითმპყრობელის აზრი მშვიდობისა და ურყევი მეგობრობისაკენ წარმართოს. ამის შემდეგ ნულარ გავივლებთ გულში მათ მტრობას“.

როდესაც ასე განსაჯეს იზხანებმა და ნახარალებმა მაშინვე გავზავნეს არჩეული [კაცი] მეწ კოლმანცის მხარის სათნო და ბრძენ ეპის-



კობოს ისრაელთან დიდი ვედრებით, რადგანაც ის თავისი კეთილგონიერი ცხოვრებით ბრწყინავდა და ყველას ჭეშმარიტად ანცვიფრებდა. მან დაიმორჩილა თავისი სული და სიყვარულის მცნებას აღასრულებდა. ის მაშინვე დათანხმდა, რომ გზას დაადგებოდა ჰონთა შორეული ქვეყნისაკენ. გაამზადეს ძღვენი და მისართმეველი. აგრეთვე მოამარაგეს [ისრაელი] და მისი თანმხლები პირები შორეული მგზავრობისათვის და მშვიდობით გააცილეს. ისინი გავიდნენ ქალაქ პეროზ კავატიდან მეჰეკის თვის 18 რიცხვში. გადავიდნენ დიდ მდინარე მტკვარზე და გზას გაუდგნენ. გადაჭრეს ალვანეთის საზღვარი და მეთოთხმეტე დღეს მიადწიეს ლფინთა ქალაქს. მათ შესახვედრად ყველა მოქალაქე გამოვიდა. მიიღეს ისინი სიამოვნებით, ისე, როგორც ეპისკოპოსს ეკადრებოდა. მით უმეტეს, რომ ახლოვდებოდა დღესასწაული — უფლის გამოჩენა. შევიდნენ ქალაქში, ღამე გაათიეს და იქვე იდღესასწაულეს. იქიდან წამოსულნი მოვიდნენ ჭილბთა ქვეყანაში, დიდი მთების ძირას.

იმ დროს ჩრდილოეთიდან მონაბერმა ზამთრის ქარებმა ატეხეს საშინელი ქარაშხალი, რომელმაც მოიცვა კავკასიის მაღალი მთები. ისინი იძულებული გახდნენ სამ დღეს იქვე მდგარიყვნენ. ვერ შეძლეს თვალის გახელა და წასასვლელი გზის გაკვლევა, რადგანაც სატანური ბრძოლის გამო დიდად შეშფოთებულნი და გაოგნებულნი იყვნენ. [ამ ვითარებამ], თუმცა კი გამოიწვია მათში შიში და ძრწოლა, მაგრამ ვერ შეძლო ღვთის კაცის მოდრეკა, რადგანაც მან ხელში აიილო ჯვარი, ყველას უბრძანა მუხლი მოეყარათ და მათთან ერთად ავიდა მთაზე, რომელსაც ვარდედრუჟაკი ეწოდებოდა. ღვთიური ჯვრისა და დიდი ეპისკოპოსის ლოცვათა ძალით დამშვიდნენ ქარები და დაეცხრა ბრძოლა. ასე უშიშრად გადავიდნენ ისინი უზარმაზარ გოლიათ [მთებზე]. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში არ გამოჩენილა მზე და ვარსკვლავები, მკაცრი ყინვა კი არ ცხრებოდა. დასუსტებული და დაქანცული [მგზავრები] თავისდა უნებურად უცხო მხარისაკენ წავიდნენ. მრავალი დღის გასვლისას მივიდნენ მეფეთა ძველ სამყოფელში, იმ ადგილას, სადაც ეწამა ალვანეთის კათალიკოსი წმინდა გრიგორისი — დიდი გრიგორის შვილიშვილი.

ცოტა ხნის შემდეგ მიადწიეს ჩორის კარსაც, რომელიც დარუბანდთან ახლოს მდებარეობს. იქ მათ მიიღეს დახმარება და პატივისცემა ქალაქის მცხოვრებლებთაგან. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ კი, ორმოცდღიანი მარხვის წინ, შევიდნენ შესანიშნავ ქალაქ ვარაჩანში<sup>96</sup>. როდესაც ჰონთა დიდმა მთავარმა მათი მოსვლის ამბავი შეიტყო, გამოვიდა შესაგებებლად და მისასალმებლად, მიიღო დიდი სიხარულით, [ეპისკოპოსის] წინ თავი დახარა, რითაც მისი მღვდელმთავრული სიწმინდის პატივისცემა გამოხატა. როდესაც დიდებული



წმინდა მარხვის დღეები დადგა, ისინი დიდი სიყვარულით მიიღეს აგრეთვე მოქალაქეებმა. ყველა ილხენდა და პატივსა სცემდა მათ, განსაკუთრებით კი — კეთილმზრუნველი მთავარი და დიდებულები. როდესაც ეპისკოპოსმა დაინახა ეს ბრწყინვალე მიღება და წმინდა სიყვარულის ამბორი, მეტად გაიხარა და უდიდესი მადლი უძღვნა ქრისტეს გამოუთქმელი სიკეთისათვის. მრავალი დღე ისვენებდა დიდი შრომისაგან [დაქანცული]. ამავე დროს ესმოდა და ხედავდა უბედური ხალხის მაცთუნებელ სარწმუნოებას. ის ტიროდა და წუხდა მათ მძიმე ხვედრზე, იმათ საეჭვო რწმენაზე, თუმცა ისინი თავის თავს ღვთის მსახურებს უწოდებდნენ, მაგრამ უარყოფდნენ ჰის ძალას და შორდებოდნენ მას.

### თავი XL

ისრაელი თავისი მოძღვრებით ჰრისტიანულ სარწმუნოებას ამტკიცებს ჰონებაში. ისინი სასწაულთა მუხვეობით ერწმუნებიან მას

ეშმაკის ტყვეობაში მყოფი გზასაცდენილი ხალხი გაურკვევლობაში იმყოფებოდა. ისინი თავიანთი ჩრდილოური და ცივი უგუნურებით ცრუ და თვალთმაქცურ ბილწ წარმართულ სარწმუნოებას ეთაყვანებოდნენ და საუკეთესოდ მიიჩნევდნენ მას. თუ ადამიანი უცაბედად შეესწრებოდა ელვა-ქუხილის ნაპერწკლებს ან ეთერის ცეცხლს, ანდა სხვა მოვლენებს, ის მსხვერპლს სწირავდა მათ და თავიანთ მიერ მიჩნეულ ქუარ ღმერთის მოქმედებად თვლიდა. მსხვერპლად სწირავდნენ აგრეთვე შემწვარ ცხენებს, რომელიცაც უზარმაზარ გოლიათს, რომელსაც თანგრიხან ღმერთს არქმევდნენ, ხოლო სპარსელები მას ასპანდიატს უწოდებდნენ. სრულიად მოკლებულნი იყვნენ ჭეშმარიტ აზრებს და ყოველგვარ გზასაცდენილობას მისდევდნენ. ეშმაკეული დაფაზურნები, შუბით და დანით დაკოდლი ღაწვები და სხვა ნაწილები, სისხლიანი ჭრილობები, სასაფლაოზე შიშველთა სასტიკი ბრძოლები ხმლებით კაცისა კაცთან და ჯგუფისა ჯგუფთან, მრავალთა გარყვნილება ერთმანეთთან, მიშვეებული ცხენები და ჭენება სხვადასხვა მხარეს; ამგვარი ჩვეულებანი ზოგს ტირილსა და ურვას გვრიდა, ზოგსაც — სიხარულს. თამაშობდნენ და ცეკვავდნენ, — ჩაღლულნი ბილწ საქმიანობასა და წყვდიადში, მოკლებულნი იყვნენ შემოქმედის შუქს. მსხვერპლს სწირავდნენ [აგრეთვე] ცეცხლსა და წყალს, თაყვანს სცემდნენ გზის რომელიცაც ღმერთს, ასევე მთვარესა და ყველა ქმნილებას, რომელიც მათ თვალში საკვირველებად მიიჩნეოდა. ეძლეოდნენ აფროდიტესეულ გატაცებასაც, თავისი წარმართული ჩვეულების



მიხედვით ცოლად ირთავდნენ მამათა ცოლებს, ანდა ორ ძმას ერთი ცოლი ჰყავდა, ხან კი ნაირნაირი ცოლები მოჰყავდათ. მრავალი უსამართლო წესი ჰქონდათ და უკანონო ჩვეულებანი, მაგრამ ვერ მოხერხეს შეენიშნათ და შეეცნოთ სიმართლის მზე.

როდესაც ესმოდა და ხედავდა ამგვარ ბილწ საქმიანობასა და კერპთთაყვანისმცემლურ ჩვეულებებს [ეპისკოპოსი] ღღე და ღამე ვევედრებოდა ღმერთს ქვეყნის ხსნისათვის, საშუალებას ეძებდა მათ მოსაქცევად. მისი ღვთიური ბრძანების თანახმად, ჰონთა ყველა დიდებული ნახარაჩი და მდაბიო მოვიდა წმინდა ეკლესიის თაყვანისსაცემად და ღვთის მცნებათა მოსასმენად. შემდეგ შეიკრბნენ უფლის სახლში. მთავარმა და ქვეყნის მთელმა ხალხმა ისურვეს გაეგონათ ეპისკოპოსის სიტყვები. ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „მოდიოთ, მოვისმინოთ მისგან ნუგეშსაცემი სიტყვები, ეგ ხომ ქრისტიანული წმინდა სარწმუნოების წინამძღოლია და ქვეყანას ამცნობს სულიწმინდის მცნებასო“.

შემდეგ, როდესაც დაინახა ეპისკოპოსმა, რომ ეთანხმებოდნენ და ყურს უგდებდნენ, დაუწყო თავის მოძღვრებათა სწავლება. ეუბნებოდა, შვილნო ჩემო, მოიქეციოთ და სცანით უფალი ღმერთი, რათა შეგიწყალოთ და გაცხონოთ, რადგანაც იგი თვითონ არის უფალი და შემოქმედი ყოველივესი. დაივიწყეთ ამიერიდან თქვენი ბილწი მახურება, თაყვანს ნუ სცემთ კერპებს, ეგ ეშმაკეულია და წარმწყმედი სულისა. არავის არ ძალუძს ორ უფალს ემსახუროს, არც არავის შეუძლია, რომ ღვთის სასმისიდანაც სვას და ეშმაკის სასმისიდანაც, ვერ შეძლებს უფლის ტრაპეზიდანაც იგემოს და ეშმაკის ტრაპეზიდანაც. აღარ გაისვენებს ღმერთი თქვენს ნებსითსა და უნებლიე ცოდვებს, არამედ გამოგატარებთ შემეცნების ბრძმედში და სიმართლეს შთაგაგონებთ. მან გაანათლა მთელი მსოფლიო ღვთიური ემბაზით და გააძევა სიბნელე და წყვდიადი უფიც წარმართულ ტომთაგან. გაავრცელა მათში ჭეშმარიტი სარწმუნოების შუქი, ასევე გაგანათლებთ თქვენ თავისი სხივმოსილი მადლით. მხოლოდ უნდა მიენდოთ მას მთელი გულით, [უნდა იყოთ] სიყვარულით ფესვგადგმულნი და განმტკიცებულნი ღვთის შვილის დიდებით. აღიარეთ და ირწმუნეთ წმინდა სამება. უსხეულო ლაშქარიც კი წმინდა სამებას შეჰლაღადებს და ეუბნება: „წმინდაო, წმინდაო, წმინდაო უფლის ძლიერებათა, შენის დიდებით სავსეა ქვეყანა!“

როგორც გადმოგვცემენ ღვთაებრივი ძველი მოციქულები და გრიგორ აღმასრულებელი, მამა [იშვა] თავისი თავისაგან, შვილი მამისაგან, ხოლო სულიწმიდა მათი არსებისაგან, — მთელი სამყარო სავსეა მისი დიდებით. ასე ქადაგებს სახარება მაცხოვრის სიტყვის თანახმად. ეს უნდა გახედეს სარწმუნო ყოველი წარმართისათვის. მთელს



ქვეყანაზე გავრცელდა ფსალმუნის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ყოველსა ქუეყანასა განვდა ჳმაჲ მათი და კიდეთა სოფლისათა — სიტყუანი მათნი“\*. მეორე წინასწარმეტყველი ამბობს: „აღიგნო თანა ყოველი ქუეყანა მეცნიერებითა უფლისათა, ვითარცა წყალმან მრავალმან დარაფარნის ზღვანი“.\*\*

აი, ჩვენ ვხედავთ დღეს, რომ ღვთიურ სიტყვათა მოძღვრება, რომელიც მოგეძღვნათ, ჩაიბეჭდება თქვენში, გავრცელდება და გამრავლდება თქვენი გულის ყანებში, იქ უხვად გამოიღებს ნაყოფს გამჭირაბი მომკალის საშუალებით ასობით, სამოცობით და ოცდაათობით.\*\*\* და თუ ასე განაყოფიერდება თქვენთვის ეს [მოძღვრება], მაშინ რატომ უშვებთ მომაკვდინებელ ფრინველს თქვენს უბიწი და აყვავებულ გონების ყანაში? განა არ იცით, რომ ჩვენი პირველი მამა ადამი ამისათვის გააძევეს სამოთხიდან და მან ეკლიანი და ძეძვიანი მიწა დაიმკვიდრა...

ნოემ, რომელიც განმანათლებელთა ტომიდან იყო. სიმართლე იბოვა სპეტაკი რწმენის გამო. ღვთის ბრძანებით დაცული იქნა თავისი ოჯახითურთ წარღვნის საშინელებისაგან. ასე დასაჩუქრდა და პატივი მიეგო რწმენისა და სიწმინდის გამო....

გოდოლის დანგრევისა და ენათა აღრევის შემდეგ, ჩვენ შევიტყვეთ ზოგიერთ იმდროინდელ მემატინეთაგან, რომ ნებროთი თავის თავს ღმერთებს აღარებდა და იქამდე გაამაყდა, რომ უბრძანა დახელოვნებულ მოქანდაკეებს, მისი სახის მოქროვილი ხატი გამოეძერწათ ვერცხლში ან სპილენძში. უამრავ გზასაცდენილ ხალხს შესაწირავი მოჰქონდა ამ კერპის წინაშე. ასეა ახლაც, რადგანაც ჩვენ ვხედავთ, რომ დანაშაულებრივი და უსაფუძვლო ბრძოლებით სიცრუით მიდიხართ გაუკვალავ გზაზე. მსხვერპლად სწირავთ შემწვარ ცხენებს ვილაც გოლიათს — ასპანდიატს, ხოლო ის კი არ იცით, რომ სიბილწის მოყვარული წმინდანი ვერ გახდება... თქვენ ეთერის ნაპერწკლებს, რომლებიც ქუხილის დროს ელავენ, ღმერთად მიიჩნევთ და მხსნელს ვუწოდებთ. როგორ არ გესმით უვიცნო, რომ ექვსი თვის განმავლობაში, როდესაც ზამთრის ძლიერი ქარები უბერავენ, სად უნდა მიდიოდეს ელვისა და ქუხილის ხმა? განა ჩვენი შემოქმედის ღმერთის ნიშნებით არ ბრწყინდება ელვა და განა მისი ბრძანებით არ ცხრება და ველარ ბედავს გამოჩენას ის ზამთრის განმავლობაში? აქედან ცხადია, რომ ესენი თვითონ კი არ არიან ღმერთები, არამედ ჩვენი შემოქმედის, — ღვთის ქმნილებანი არიან. თქვენ მეტად შემცდარნი

\* ფსალმუნი, 18,5

\*\* ესაია, 11, 9.

\*\*\* შდრ. მარკოზ, 4, 8, 20.



ხართ, როდესაც არ უსმენთ სიტყვებს: „ღმერთა, რომელთა ცაა და ქუენა არ შექმნეს წარწყმდედ ქუეყანისაგან“.\*

მაგრამ თქვენ იცით და ხედავთ, რომ უფალი ღმერთი ის არის, რომელიც მხოლოდ ერთია თავისთავად და მასზე ადრე არავინ ყოფილა. ის არის ყოვლის შემოქმედი, ხილულისა და უხილავის, მხოლოდშობილი ძეა ღვთისა, რომელიც იშვა მამისაგან, ხოლო სულიწმინდა მათი არსებისაგან, რისგანაც იშვა ქვეყანაც. უკუაგდეთ ამერიიდან ძველი ცთომილება, განაახლეთ თქვენი გულები და აიჩრით უკეთესი. იესო ქრისტე ხომ ცოდვილთა მხსნელად მოვიდა ქვეყნად. მოდით, მიმართეთ მას ცოდვათა მონანიებით, ნუ ეთაყვანებით მზესა და მთვარეს, არამედ ღმერთს, რომელმაც შექმნა მზე და მთვარე, ცა და დედამიწა, ზღვა და ყოველივე ის, რაც მასშია. იმათ, რომელნიც მზესა და მთვარეს ეთაყვანებიან, წილად ერგებათ გაუქრობელი ცეცხლი, ხოლო ისინი, ვინც მსხვერპლს სწირავენ წყალს, საქონელივით ჩაიძირებიან წყლის სიღრმეში. რომელნიც თაყვანს სცემენ გაფოთლილ ხეებს და მსხვერპლს სწირავენ მას, საღმრთო წერილი მათ შესახებ ამბობს: „...ყოველსა ზედა ხესა ველისასა და ყოველსა ზედა ნაშრომთა ქუეყანისათა და აღევზნას და არა დაშრტეს“.\*\*. ისინი კი, რომელნიც გულზე იკიდებენ ოქროსა და ვერცხლის გამოსახულებებს, მათზე ნათქვამია, რომ ოქრო და ვერცხლი ვერ იხსნის მათ უფლის მრისხანების ქამს. [ღმერთს] შეუძლია იხსნას ცოდვილნი წამების მიიმე უღლისაგან და მუდმივი ჯოჯოხეთისაგან. [ცოდვილნი] კი ისეთივე ბიწიერნი არიან, როგორც წარმართები. ამას და ამაზე უკეთესსაც ბევრს ლაპარაკობდა დიდი მღვდელმთავარი ისრაელი.

თავი XLI

ჰონებაჲ იფამეს ძრისტმს მოძღვრება ისრაელ ეპისკოპოსის საშუალებით, დაანბრის ბომონები და აღმართის ძრისტმს ჯვარი

კეთილგონიერი და დიდებული მთავარი აღფილითუერი, როდესაც დარწმუნდა დიდი ყურადღებით მოსმენილ ღვთის კაცის სიტყვებში, მაშინ თავისი ბანაკითურთ ნებაყოფლობით ერწმუნა მის შესანიშნავ მოძღვრებას და სასიკეთო რჩევას. აღიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: „ჩვენ ახლა ქვეშაირიტად გეწამს, რომ უფალმა გამოგვიგზავნა მისი საშუალებით მადლმოსილი ნუგეში, რათა გავთავისუფლე-

\* იერემია, 10, 11.

\*\* იერემია, 7, 20.



ბულიყავით ბნელი საქმიანობისა და ყველა ეშმაკეული მოქმედებისაგან“, ამის შემდეგ შვებით დამორჩილდნენ ქრისტიანული [სარწმუნოების] უღელს, მარხვითა და ლოცვებით, სიწმინდითა და სრმწმინდით ჩაატარეს ორმოცდღიანი მარხვა. დღედაღამ სულიერი გულისხმიერებით კაცი კაცს აჩქარებდა, რათა თაყვანი ეცა წმინდა ეკლესიისათვის და უკუეგდო უწინდელი დაბნეულობა. წმინდა ეპისკოპოსის ნათელ რჩევათა მადლით ღვთისმოყვარულმა მთავარმა დაახლოებული პირებითურთ გადაწყვიტა ყოველ წელიწადს წმინდად შეესრულებინა „შვიდი შვიდეული“ — [დიდმარხვა]. თავისი დიდი კეთილგონიერებით სულ მალე გახდა ღვთის მცნებათა შემსრულებელი. ის სდევნიდა ბნელეთის შვილებს, დარწმუნებული ნათელ მოძღვრებაში დღითიდღე ბრწყინდებოდა ქრისტეს სიყვარულით და წმინდა რწმენის სასურველი მასპინძელი გახდა.

ქვეყნადშობილმა სამშობლოს შვილმა მოიპოვა ღვთის მადლი. მან სახელი გაითქვა სიმტკიცით, სიმდიდრით, ომებში სიმამაცით, როგორც ბერძენმა ოლიმპიურმა ხალხმა. ყველას წინ გამოჩნდა მისი ძალა და უდიდესი ვაჟაკის სახელი დაიმკვიდრა. მრავალი მამაცური საქმე უჩვენა მან ხაზართა ხაქანს თურქესტანში<sup>97</sup>, რითაც სიყვარული დაიმსახურა, ხოლო მისი ქალიშვილი ცოლად ითხოვა. [ალფილითურმა] მოიპოვა ბატყვემული სიბერეც. განდიდა სამ ქვეყანაში, რადგანაც მან მიიღო ეპისკოპოსისაგან ნათელი მოძღვრება, როგორც დიდების გვირგვინი. ცდილობდა თანდათან დაევიწყებინა შმაგი გოდება მიცვალებულებზე, გამძვინვარებული ხოცვა-ჟლეტა, — თავისი სამშობლოს აუტანელი და ბილწი სარწმუნოება. ის ხელს უშლიდა თაყვანი ეცათ სხვა ღმერთებისათვის, თვითონ კი ემსახურებოდა მხოლოდ მაცხოვარს, — შემოქმედს ცისა და ქვეყნისასა, მხოლოდშობილ ძეს და თანაძალოვან სულს. მან ყოველი ბოროტება უკუეგდო თავისი გონებიდან და ახალშობილი ჩვილივით რძელა სწყუროდა. აშენებდა სხვადასხვა ადგილებში ეკლესიებს და აძლიერებდა ღვთის მღვდელთა პატრიარქების.

[ჰონები], როგორც ბილწ ასპანდიატს, ეთაყვანებოდნენ მაღალი მუხის ხეებსაც, რომლებსაც მსხვერპლად სწირავდნენ ცხენებს, მათ სისხლს თვითონ ხეებს ასხამდნენ, ხოლო თავსა და ტყავს ხეთა ტოტებზე ჰკიდებდნენ. ეპისკოპოსმა [ისტაელმა] ბრძანა მოეჭრათ ერთი მათგანი, რომელიც თავი და დედა იყო ყველა მაღალი ხისა. მას შესაწირავს სწირავდა და თაყვანს სცემდა ჰონთა ქვეყნის იშხანი და ყველა აზატი, რადგანაც მიაჩნდათ ღმერთების მსხნელად და მაცოცხლებლად, ასევე ყოველგვარი სიკეთის მომნიჭებლად. როდესაც ესმათ ბრძანება საოცარი გოლიათი ხის მოჭრის შესახებ, რომლითაც მოჯადოებულნი და გონდაკარგულნი იყვნენ, მაშინ მკითხავენმა, მისნებ-



მა, ჯადოქრებმა ქურუმთა მთავარმა მდაბიობთან ერთად ატეხეს გოდება, მალალი ხმით შეჰღალადეს ჰონთა მთავარსა და ქვეყნის დიდებულებს. [ისინი] ამბობდნენ: „როგორ შეგიძლიათ გაბედოთ და დაუჯეროთ ჩვენი ღმერთების მტერს და მოჭრათ ის ხე, როდესაც იცით, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ. რატომ უსმენთ მას და ანგრევთ, ახრებთ და სპობთ ჩვენს ბაგინებსა და კერპებს, რომელნიც აღმართეს ჩვენმა მამებმა, მეფეებმა და იზხანებმა. მთელი ჩვენი ქვეყანა ემსახურებოდა მათ დღემდე. კერპებისა და სათაყვანებელი ხეების საშუალებით სასურველ ძღვენს ვღებულობდით. ჩვენი ქვეყნის ხალხმრავლობა ძალსა და გამარჯვებას გაძლედათ მტრებთან ბრძოლაში. ახლა ვინ გგონიათ თქვენ ის, რომ მის სიტყვებს უსმენთ და ნებას აძლევთ დაარბიოს და დაანგრიოს ჩვენი ღმერთების ბომონები? როდესაც თქვენ ემსახურებოდით და მსხვერპლს სწირავდით ხეებს გოლიათი და მამაცი ასპანდიატის სახელით, განა არ ღებულობდით იმას, რასაც ითხოვდით? თქვენ ბევრჯერ მოიპოვეთ სიკეთე: ის აჯანმრთელებდა ავადმყოფებს, მცხუნვარე გვალვებსა და ძლიერ სიცხეებში მისი შემძლეობით მოდიოდა წვიმები, რომელიც პაპანაქებას აგრილებდა. აცოცხლებდა ბალახსა და მცენარეულობას, ამწიფებდა ნაყოფს თქვენს სასიამოვნოდ და საკვებად. ასევე გამწვივებდათ ის ძლიერი წვიმების, მოღრუბლულობისა და ეთერში ელვა-ქუხილის დროს. ახლა, თუმცა კი ეთაყვანებით სხვა ღმერთს და ერწმუნებით [ეპისკოპოსის] მცდარ სიტყვებს, რასაც გიქადაგებთ, მაგრამ მაინც არ არის საჭირო უკუაგდოთ და დათრგუნოთ ჭეშმარიტი ღმერთები, რომლებსაც სამსახურს უწევდით თქვენ და თქვენი წინაპრები და ხელთ მისცეთ მას ფეხით გასათელად. ნუ განვარისხებთ მათ, რათა არ მიაყენონ ძლიერი დარტყმები ჩვენს ქვეყანას. ვინ გაბედავს მიუახლოვდეს იმ ადგილს, სადაც გოლიათი ძალის ასპანდიატის ბომონები და სამსხვერპლოებია აშენებული და დაფუძნებული, ანდა — უმწვენიერეს ხეს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მფარველი და მაცოცხლებელია? ისინიც კი, რომლებსაც თავისი უვიცობით ამ ხისაგან დავარდნილი ტოტები შემად მიჰქონდათ საჭიროებისათვის, მძიმე სატანჯველით ისჯებოდნენ: ზოგი შმაგდებოდა, ზოგი კიდევ კვდებოდა. წყდებოდა მათი სახლი და გვარი. განა ახლა მაგან უნდა შეძლოს მასთან ახლო მისვლა და მოკვეთა, ან კიდევ ჩვენი ღმერთების ბაგინების დაქცევა? ჩვენ გვწამს, რომ, თუ გაჯიუტდება და მაინც მიუახლოვდება, მძიმე სატკივართ დაისჯება, შეიძლება სიცოცხლეც კი წაერთვას“. მაშინ ჰონთა მთავარმა უბასუხა მისნებს, მკითხავენს, ჯადოქრებს, ბაგინთა და ხეთა მსახურებს და უთხრა: „ჩვენ დავეთანხმეთ და ვერწმუნეთ ამ კაცს, ვემსახურებით და თაყვანსა ვცემთ იმ ღმერთს, რომელიც მან გვიქადაგა. ჩვენ არ ვწინააღმდეგებით მას დაარბიოს და დაანგრიოს ბომონები, ამოთხაროს



და მოკვეთოს ხეები და დაწვას ისინი ცეცხლზე. თუ თქვენ შეგიძლიათ ბაგინებით, ბომონებით, ანდა სათაყვანებელი ხეებით შეაშინოთ ის, — მძიმე სატკივარი გაუჩინოთ ან მოკლათ, მაშინ კვლავ გერწმუნებით და ისევ დავაფუძნებთ, ავაშენებთ და სამსახურს გავუწევთ ბონომებს, ბაგინებსა და გამოძერწილ სახეებს. თაყვანსა ვცემთ ხეებს, შევწირავთ მათ ძღვენსა და მსხვერპლს, როგორც აქამდე ვაკეთებდით. ხოლო, თუ ვერ შეძლებთ დასაჯოთ ან შეაშინოთ, ის კი დაარბევს და დაანგრევს ბაგინებსა და ბომონებს, მოჭრის და ცეცხლზე დაწვავს ხეებს, ხოლო მას არავითარი სატკივარი არ შეიპყრობს და რაც მოკვდება, მაშინ ჩვენც მტკიცედ ვირწმუნებთ, რომ ის ღმერთმა გამოგზავნა ჩვენთან. ვეთაყვანებით ერთადერთ ღმერთს, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები. თქვენ კი შეგიბოროკავთ ფეხებს და ხელებს და მიგცემთ მას ხელში, რათა დაიწვათ ხეებთან და ბომონებთან ერთად“.

მაშინ აფროდიტეს მისნებმა, მკითხავებმა ჯაღოქრებმა დაიწყეს გააფრთხილებით მკითხაობა, ეწეოდნენ მისნობას, ქვესკნელიდან ცრუ გამოძახებას, გაბერილ და სულელურ რამეებს თხზავდნენ, თუმცა ვერაფერს გახდნენ თავიანთი მცდარი ხელოვნებით. უწინ ისინი კრავდნენ ადამიანებს უხილავი ბორკილებით. ვისაც მოისურვებდნენ მძიმე სატკივარს შეყრიდნენ, ეშმაკს შეუჩენდნენ, შემდეგ კი ამაო სიტყვებით უქადაგებდნენ რომ საჭიროა ძღვენი და მსხვერპლი მიერთვით ბომონებსა და ხეებს, რადგანაც აქამდე არ მივირთმევიათ, ამის სანაცვლოდ მიიღეთ ეგ დიდი სასჯელი ჩვენი ღმერთებისაგან; თუ ახლა ძღვენსა და მსხვერპლს შესწირავთ ხეებსა და კერპებს, გათავისუფლდებით სატკივრისა და წუხილისაგანო. მათ სიტყვებს ეშმაკი ასრულებდა. ხანდახან ისინი თვალებს უხვევდნენ [ადამიანებს], ძლიერ წვიმებს მოიყვანდნენ, ხანაც მეტად აშრობდნენ [დედამიწას] ეშმაკისა და სატანის ძალით. ყოველივე ამით აცდუნებდნენ და ღუპავდნენ ქვეყანას. შეცდენილნი კი მერყევ ადამიანებს იბირებდნენ.

მაგრამ ამ დროს ვერ შეძლეს რაიმე გამოეყენებინათ და ღვთის კაცი შეეშინებინათ, რადგანაც მთელი მათი ძალები შეკრულ-შებოჭილი იყო წმინდა ჯვრის მადლით. რჯულის მოძღვარი წმინდა ეპისკოპოსი ელაპარაკა ჰონთა მთავარს და დიდებულებს, ასე ეუბნებოდა: „მე არ მეშინია და არ მაშფოთებს ბოროტი ლაპარაკი, რადგანაც ისინი უსასონი არიან, ღვთის ჭეშმარიტ ცხოვრებას რომ ეზიარონ. მათ სურთ წარმართული ჯაღოქრობით შემაშინონ, როგორც სხვა უგუნურებს აშინებენ, მაგრამ მე არ მაწუხებს თქვენი გოლიათი ხეები და ბომონები, რომლებიც ნაირნაირ სახეს იღებენ ჩემს წინაშე, არამედ მე ყველას დასანახად, აშკარად ვიმოქმედებ შეუკრთომლად, დაიმედებული ქრისტეს წმინდა ჯვრის მადლით. აღმოვფხვრი თქვენი გუ-



ლებიდან ექვსა და ხეთა მონობის ცდომილებას. მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, — არც ბოროტისა და არც კეთილისა, აგრეთვე არ ძალუძთ თავიანთი მტრების შერისხვა. თქვენ ახლა სავსებით თვალთ დაინახავთ, თუ როგორ დავამსხვრევ ჩემი ხელით გაქვავებულ კერპებს და გზაზე დავყრი მათ ფეხით გასათელად.

შემდეგ ებისკოპოსმა უბრძანა მღვდლებს ხელში აეღოთ ცულები, მუხლი მოედრიკათ, ელოცათ და ფსალმუნი წაეკითხათ ღვთის მიმართ: „ადღეგინ ღმერთი, და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი, და ივლტოდნენ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან“\*.

[ებისკოპოსმა] ჯვარი გადასწერა იმ მაღალ ხეს, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ბილწი ასპანდიანტის სახელით, შემდეგ მღვდლები წავიდნენ [ხეთა მიმართულებით] სიღრმეში და საერთოდ ყველა ხე მოჭრეს. მაშინვე ბრძანა ებისკოპოსმა წაეღოთ [ხეები] ქალაქ ვარაჩანში. იხმო თავისთან ქალაქის დახელოვნებული ხურონი და უბრძანა მათ საუკეთესო მრგლოვანი ჯვარი გამოეთალათ. მორთო ის სხვადასხვა გამოსახულებებით, შეამკო ლამაზი სურათებით და თავიდან ბოლომდე შედება დასამშვენებლად. ასევე მარჯვენა მხარეს მაგარი ლურსმნებით ზემოდან დააკრა ლამაზი და სხივმოსილი ჯვრები, ქვემოთ ღია ადგილი ოთხკუთხივ გამოაკვეთინა შროშანასებურად, რომელშიც მოთავსებული იყო ვერცხლის ჯვარი — უფლის ჯვრის ნაწილითურთ. ამგვარად, მოკაზმა და მორთო სხვადასხვა საკვირველი სამკაულით, აღმართა სალოცავად და სავედრებლად სამეფო კარზე აღმოსავლეთით, ზოლო მათ უთხრა: „ამ ცხოველმყოფელი ნიშნის წინ თაყვანი ეცით შემოქმედს, — უფალს, თუ თქვენი ჩვეულებისდაგვარად, მცდარი აზროვნებით ადრე ხეებს სცემდით თაყვანს, ახლა ამ ჯვარსა და ღვთაების უხილავ სახეს ეთაყვანეთ. თქვენ ჭამდით და სვამდით იმ ცხოველების ხორცსა და სისხლს, რომლებსაც ხეების წინ კერპებს სწირავდით. ნაცვლად სათაყვანებელი ხეებისა მან თავისი ჯვარი აღმართა ქვეყნად და ნაცვლად სამსხვერპლოთა სისხლისა, თავისი სისხლი მოგვცა ჩვენ ყველას განსაწმენდად. მე ვიცი, რომ თქვენ უცოდინრობით მოგდიოდით ის, რასაც აკეთებდით, ამის შემდეგ კი მიუახლოვდით ღვთის მოწყალების ტახტს, უკუაგდეთ ბოროტი სენი და ურჯულობა, მაშინ გელირსებათ ნათელი დიდების სამოსელი“.

როდესაც ჰონთა ღვთისმოშიშმა მთავარმა ილითუერმა თავის დიდებულებთან ერთად მოისმინა სიყვარულისა და შიშის შეგონება, აგრეთვე დაინახა, რომ არაფერი იმის მსგავსი არ მოსვლია [ებისკოპოსს], რასაც ჯადოქრები ამბობდნენ, არც უზარმაზარ ხეებს დაუსწავთ და არც სატკივარი და სიკვდილი მისწევია, მაშინ ის უფრო გა-

\* ფსალმუნი, 67,2



სხიგოსნდა და გამხნედა ქრისტეს მსახურების საქმეში. უფროდაუფრო უმტკიცდებოდათ რწმენა და თავიანთი მოძღვრის სიტყვებს იმენდნენ. მაშინ [მთავარმა] თავისი შეუვალი უფლებით ბრძანება გასცა შეეპყროთ ეშმაკეული და გრძნეული ტომი მისანთა და ჯადოქართა თავიანთ მოთავე ქურუმებთან ერთად, შეებოკათ მათთვის ხელფები, მიეყვანათ ღვთის კაცის წინ და მისთვის გადაეცათ. [ეპისკოპოსმა] კი ბრძანა ზოგი მათგანი გზაჯვარედინებზე, ქუჩის თავსა და ბოლოში ცეცხლში ჩაეყარათ. ამრიგად, იხსნა მან ქვეყანა ფუჭი რწმენის თაყვანისცემისაგან და დაუმორჩილა ის ქრისტეს სამსახურის უმსუბუქეს უფელს. რომლებსაც [გულზე] ეკიდათ ოქროთი ჩამოსხმული წარმართული ამულეტები, ბრძანა მოეხსნათ და გადაეყარათ. თვითონ თავისი ხელით ყველას თვალწინ ამსხვრევდა მათ და უფლის ჯვრის გამოსახულებას აკეთებდა. ასე და ამგვარად, ყველას უჩვენა თავისი ღვთისმოსაობა.

ეს წესები ერთიანად დააკანონეს წმინდა ორმოცდღიანი მარხვის დღეებში ჰონთა სამეფოს მრავალრიცხოვან ბანაკში. მოეწყო და მომზადდა [ყველაფერი] უფალი ღმერთის სურვილით ეპისკოპოსის მიერ სულიწმიდის შთაგონებით. ასე გავრცელდა ქრისტეს გამოუთქმელი დიდების მადლი. როდესაც დადგა წმინდა ზატიკის ბრწყინვალე და ნათელი ღვთისაწაული ბევრი მოთავე ქურუმი ჯადოქარი ჯერ კიდევ ბორკილადებული იმყოფებოდა. მთავრის ილითუერის თანხმობით და მისივე ბრძანებით შეიკრიბნენ მოქალაქენი და მოედანზე სამსჯავრო გამართეს. ერთმანეთთან პაექრობის შემდეგ, რაც მრავალრიცხოვანი საზოგადოების თანდასწრებით მიმდინარეობდა, ეპისკოპოსმა დაიწყო მოძღვრება საღვთო წერილის მიხედვით. ის მტკიცედ დაუბრისპირდა მათ, გაახსენა თუ როგორ შეარცხვინა საცოდავი წარმართი ქურუმები უფლის ჯვარმა, რომელიც მუდამ ხელთ ეპყრა ეპისკოპოსს. ისინი, შეშინებულნი და აღშფოთებულნი, თავიანთ თავებს აღანაშაულებდნენ. შემდეგ აღიარეს ცოდვები და ქვეშაობილი სარწმუნოება იწამეს. დამღუბველთა ჯადო, — სათამაშო ძვლები, ეპისკოპოსს გადასცეს და ცეცხლში მოსპეს. ამრიგად, ღირსეულად აღორძინდნენ ისინი წმინდა ემბაზის საშუალებით.

როდესაც ჰონთა მთავარმა და უამრავმა ხალხმა ეს დაინახეს კიდევ უფრო განამტკიცეს ქრისტეს სარწმუნოების სიყვარული და განშორდნენ ფუჭსა და ბილწ მსახურებას. ჯვრის ღვთისაწაულის ღვთის ეპისკოპოსმა სამეფო კარზე ახლადშეკრული ჯვარი აღმართა, მთავარმა და ყველა დიდებულმა მსხვერპლი შესწირეს მას. როდესაც მღვდლებმა მოისურვეს ლოცვა-კურთხევით ემღერათ ჯვართან, შესაწირავის წინ, მაშინ ეპისკოპოსმა უთხრა მთავარს: „აი, აღასრულე შენი აღთქმა, რომელიც ღმერთთან გქონდა, რათა შეგირიგდეს უფალი-



მან ხომ უკუაგლო თქვენი ურწმუნოება, ამიტომ ამიერიდან აღარ ვა-  
გიწვევთ წინააღმდეგობას. გარდა ამისა, სულიწმიდა გამოსცდის ქუ-  
რუმებს, რათა სრულყოფილნი გახდნენ, ისე, როგორც თქვენი ზეციუ-  
რი მამაა სრულყოფილი“...


როდესაც კეთილმსახურმა ჰონთა მთავარმა ეს მოისმინა, სასწრა-  
ფოდ გადასცა მას ბომონები დასანგრევად. მაშინ ეპისკოპოსმა გაგზავ-  
ნა ბრძენი ხელოვანი — მოვსესი სხვა მღვდლებთან ერთად, რათა და-  
ენგრიათ და დაეწვათ ბომონები. ქურუმთა დასის ეშმაკეული და ბილ-  
წი ნამოქმედარი მათ სავსებით გაანადგურეს ცეცხლით. თვითონ ეპის-  
კოპოსი ავიდა ამღლებულ ადგილას, კერპების გასწვრივ მუხლი  
მოიდრიკა და ილოცა უფლის ჯვრით. ამ დროს ამოვარდა ძლიერი ქარი,  
გაადვივა ხანძარი მაღალ სამსხვერპლოებზე და გაანადგურა შეწირუ-  
ლი ბილწი ტყავები. იქიდან დიდი სიხარულით დაბრუნდნენ ქალაქში  
და შეიმოსენ ნათლისღების შუქით. მთავარმა და დიდებულებმა ის  
დღე გამოაცხადეს დღესასწაულად და კრებათა კრებად.

## თავი XLII

ჰონთა დიდი მთავარი ილითვიერი ეთათბირება თავის  
ნახარამბს იმის შემსახებ, რომ ეპისკოპოსი ისრაელი ღარჩხს  
მათთან და დააწმისოს საპატრიარქო ტახტი

ჰონთა დიდმა მთავარმა დაიწყო სასიკეთო თათბირი თავის სამ-  
ფლობელოს ყველა დიდებულთან და ნახარართან. ის ამბობდა: „ჩვენი  
სულების დამჩრდილავი უმეცრების წყლიადი დიდი ხანია გარს გვერ-  
ტყა. ამიტომ ვერ შევძელით ქვეყნად სიმართლის შუქი შეგვენიშნა.  
ახლა ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ სიტკბოებით გამოგვიგზავნა  
ცხოვრების წინამძღოლად ეპისკოპოსი, რომელმაც სიტყვით და საქმით  
დაგმო ჩვენი ურწმუნოება, შეგვაცნობინა ყოვლის შემოქმედი ღმერთი  
და მისი საკვირველი ძალა. ამ ჭეშმარიტ სარწმუნოებას სავსებით ერ-  
წმუნა ჩემი გონება და, აი, ჩვენ ვიწამეთ ერთი ღმერთი — ცისა და  
მიწის შემოქმედი. მივბაძით იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ რწმენას აღი-  
არებენ, განსაკუთრებით კი, ჰრომაელთა დიდ სამეფოს. ამბობენ, რომ  
იქ იყო ერთი მეფე, სახელად კონსტანდინოსი, რომელმაც კონსტანდი-  
ნოპოლი ააშენა. ამბობენ აგრეთვე, რომ ის იყო უბირველესი ქრის-  
ტიანი სამეფოში და იმდენად მორწმუნე კაცი, რომ ღვთიური ანგე-  
ლოზი ემსახურებოდა მას. ამ რწმენის გამარჯვების ძალით მან ყვე-  
ლა თავისი მტერი მოსპო. თუ ქრისტიანული სარწმუნოების საშუალებ-  
ით შესაძლებელია ასე დიდებული და გამარჯვებული გამოხვიდე, მა-  
შინ ჩვენ რატომ უნდა დავაყოვნოთ ცხოველმყოფელი ღმრთის შეც-





ნობა? აი, ღვთის მცნებათა მასწავლებელი კაცი — ეპისკოპოსი ისრა-  
ელი, მოდით, ვთხოვთ მას დარჩეს ჩვენს ქვეყანაში და გაგვანათ-  
ლოს“.

მათ ერთსულოვნებით მოითათბირეს. შემდეგ გაგზავნეს ეპისკო-  
პოს ისრაელთან ერთი ვინმე უხუცესი იშხანი, სახელად ავჩი, კაცი  
ძლიერი, რომელსაც თარხნობის<sup>98</sup> პატივი ჰქონდა და მესაწოლეთუხუ-  
ცესი სახელად ჩათკასარი. როდესაც ისინი ეპისკოპოსთან მივიდ-  
ნენ, უამბეს თათბირის შესახებ და შეატყობინეს, რომ თქვეს ჰონთა  
დიდმა მთავარმა და ყველა დიდებულმა ასე: „ჩვენო მამავ, შენის სა-  
შუალებით შევიცანით შემოქმედი. ახლა უკვე მორწმუნენი, მუდამ  
თაყვანსა ვცემთ წმინდა სამებას. ვეგედრებით შენს სიწმინდეს, რათა  
დაგვეთანხმო და დარჩე ჩვენთან მეთვალყურედ და მოძღვრად, დაა-  
ფუძნო ჩვენს ქალაქ ვარაჩანში საპატრიარქო ტახტი. უფლის აღთქ-  
მას ვიძლევი მე, ილითუერი: აღმოვფხვრი და მოვსპობ ყოველგვარ  
წარმართულ მსახურებას ჰონთა ქვეყანაში, ცეცხლით დაწვევ ყველა  
მისანსა და ჯადოქარს, რომლებიც ახალ სარწმუნოებას არ აღიარებენ.  
აგრეთვე მახვილით გავანადგურებ, ვინც წარმართული წესით მოიქ-  
ცევა ჩემს ქვეყანაში, ანდა ფარულად მსხვერპლს შესწირავს კერ-  
პებს. დე, დაწინაურდეს ღვთისმსახურება და გავრცელდეს ქრისტეს  
აუწურელი მადლი“. [ეპისკოპოსმა] უბასუხა მათ: „მე არ შემიძლია და-  
გეთანხმით ალვანეთის დიდი პატრიარქის წმინდა ელიაზარის გარეშე,  
რადგანაც მხოლოდ მას აქვს ამის უფლება. მე კეთილმოწყობილი სა-  
მწყსო მაქვს, როგორ შემიძლია მივატოვო ჩემი სამწყსო, რომელიც  
უფალმა მიბოძა საპატრონოდ. უფალმა იესომ თავისი კაცთმოყვარეო-  
ბის გამო იზრუნა თქვენთვისაც, ავადობიანათ და დაგლოცათ. ახლა  
თქვენი რწმენის მიხედვით მოგცემთ მწყემსსაც, რომელიც გაგიძღვე-  
ბათ ქრისტეს სახარებით“. მეორედ და მესამედაც მივიდნენ მასთან  
მოციქულნი და იგივე გაუმეორეს. მაშინ ეპისკოპოსმა უთხრა: „ნება  
შომეცით ახლა შევიცადო, ხოლო როდესაც ინებებს ღმერთი ჩემს სა-  
მშობლოში წასვლას, ჩემს კეთილმსახურ შვილებთან — ალვანეთის მთა-  
ვარ ვარაზ-თრდატთან და წმინდა კათალიკოსთან, მაშინ, თუ ისინი  
ისურვებენ, უფალი შეასრულებს თქვენს სურვილსაც და ვინმე მიიღებს  
იმ პატივს, რომელსაც თქვენ მე მთავაზობთ. ხოლო, თუ მძიმე სა-  
ტანჯველს მომიხვით, ამასაც დიდებად და პატივად ჩავთვლი და დი-  
დად გავიხარებ უფალთან [მისვლით]. ახლა საჭიროა თქვენი გონივ-  
რული აზრი წერილობით გააცნოთ მთელს ალვანეთის ქვეყანას და  
პატრიარქ ელიაზარს, რომელმაც წმინდა ელიშას დროიდან დღემდე  
დაამკვიდრა ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთი სამოციქულო ტახტი  
ღვთის სამყოფელ ქალაქ იერუსალიმიდან და კურთხევა მიიღო უფლის



ქმის წმინდა იაკობისაგან. თქვენ ესაზღვრებით მის სამწყსოს, განა შესაძლებელია, რომ ეს ჩემი თანამოსაყდრე მამებისა და ძმების სურვილის გარეშე მოხდეს? ეს საქმე ხომ ახალია და საჭიროა მთავარი რეზოლუცია.

როდესაც მოისმინა [მთავარმა] ეპისკოპოსის [აზრი], აუსრულა მას სურვილი და პატივით გაისტუმრა თავის ქვეყანაში.

### თავი XLIII

მეფე კოლმანძის ეპისკოპოსის ისრაელის დაბრუნება ჰონთა ძველადან. მას გამოჰყვა ორი დიდებული, რომლებიც [კვლავ] სთხოვდნენ წინამძღვრობას

ღვთისმოსავემა ჰონთა დიდმა მთავარმა ილითუერმა მოამზადა თავისი ქვეყნის ორი დიდებული — ითგინ ხურსანცი და ჩათ-ხაზრი — და გაგზავნა მოციქულად წმინდა ისრაელის შემდეგ მეგობრობის [განსამტკიცებლად], თან გაატანა ასეთი სიგელი: „გონების თვალთ შევხედეთ და მივიღეთ თქვენგან გამოგზავნილი ღვთის კაცი ისრაელ ეპისკოპოსი. მისი საშუალებით მოგესალმებით ალვანეთის დიდ მღვდელმთავარს — უფალს წმინდა ელიაზარს და ჩვენს საყვარელ ძმას ქვეყნის მპყრობელ ალვანეთის მთავარს — ვარაზ-თრდატს!

თქვენ მოითხოვეთ მშვიდობა და ჩვენც სულიერი საღმრთო შევხედით მას, როგორც ღვთის სახეს. მისი წმინდა ცხოვრებისა და იმ საკვირველებათა საშუალებით, რომელიც უზენაესმა დაგვანახვა, შევიცანით ჩვენი შემოქმედი და სულიერი სიმშვიდე მოვიპოვეთ. ახლა გვედრებით, გვიბოძეთ მეთვალყურედ და წინამძღოლად იგივე ისრაელი, რომლის საშუალებითაც მოვიპოვეთ საუკუნო ხსნა. ჩვენსა და თქვენს შორის დე, დამყარდეს ურდვევი სიყვარული. იყავით მშვიდობით უფლისა მიერ“.

### თავი XLIV

ჰონთა მთავრის წერილი იმავამ საჰმეუმ სომეხთა ძველადან

„დიდი სომეხეთის წმინდა მთავარეპისკოპოსს საჰაკს და სომეხთა დიდებულ მთავარსა და ზორაპეტს გრიგორს დიდი მოკითხვა! ქვეყნიერების დასაბამიდან უმეცრებით დაბნელებული და ბურუსით ძო-



ცული ჩვენი მამები ჯოჯოხეთში ვარდებოდნენ. შეძლევ მოვიდა ხსნა ქვეყნად, გამოგვეცხადა დედამიწაზე ზეციური ღმერთი — ქრისტე, ჩვენ ეს ამბავი ბუნდოვნად აღვიქვით. თუმცა ყურში კი გვესმოდა სიტყვები, [გონებით] ვერ ვხვდებოდით. ჩვენი თავდასხმების დროს თქვენს ქვეყანაზე და ჩვენს მეზობელ ალვანეთზე, რომელსაც თქვენთან ერთი სარწმუნოება აქვს, კეთილი შური აღიძრა ჩვენს გულში და ჩვენი ღმერთის ქრისტეს სიტყვა აღესრულა. ჩრდილოეთის საზღვარზე [დაიწყო] მისი სახარების ქადაგება. ჩვენ მთლიანად შევიცანით ის საუკეთესო ადამიანის, მეწ კოლმანქის ეპისკოპოსის ისრაელის საშუალებით. ახლა, როდესაც თქვენ შეიტყვეთ ჩვენთან მომხდარ საკვირველებათა შესახებ, გთხოვთ შეგვისრულოთ თხოვნა და იგივე [ეპისკოპოსი] გამოგზავნოთ ჩვენს მწყემსად. ამასვე ვთხოვთ წმინდა მამამთავარ ელიოზარს, რადგანაც ვიცით, რომ თქვენ მისი თანამოსაქმე და თანამორწმუნე ხართ. ორივეს გვედრებით შეასრულოთ ჩვენი სულიერი სათხოვარი. როდესაც ის ჩვენთან იქნება, შეწყდება ჩვენი ველური ხალხის ჯარების თავდასხმები თქვენს ქვეყანაზე ერთმორწმუნეობის გამო. იყავით მშვიდობით“.


როდესაც [მოციქულებმა] ალვანებისა და სომეხების ქვეყნებს მიადწიეს, სალამი უძღვნეს და ყოველივე მოუთხრეს მათ, რაც ქმნა ღმერთმა ჰონთა ქვეყანაში [ეპისკოპოსის] საშუალებით და მიართვეს ჰონთა დიდი მთავრის წერილი. მთელმა ქვეყანამ დიდი სიხარულით მიიღო ისინი. [მთავარს] კი შემდეგი პასუხი გაუგზავნეს.

თ ა ვ ი XLV

პასუხი ჰონთა წერილზე

„სომეხთა კათალიკოს საპაკისაგან, მთლიანად სამღვდელოთა დასისაგან, სომეხთა მთავარ გრიგორისა და აგრეთვე ჩვენი ეკლესიების მრევლისაგან შვება თქვენ უფლისა მიერ, როგორც ჩვენ გვიაშბეს, ღმერთმა მოგანიჭათ ცხოველმყოფელი დიდება, ამიტომაც უსაზღვრო სიხარულით ვუმაღლით ქრისტეს დაუშურველი ძღვენის გამო. წერილი, რომელიც თქვენ ახალმორწმუნე ღვთის მონებმა მოგწერეთ, ვნახეთ. იქიდან გავიგეთ შემოქმედის კეთილსაქმიანობის შესახებ, რამაც თქვენს ქვეყანას, ისევე როგორც სხვა ქვეყნებს, ღვთის შემეცნების შუქი მოუვლინა. ჩვენ ვადიდებთ კაცთმოყვარე ღმერთს იმისათვის, რომ არ მიგატოვათ თქვენი მამებისა და წინაპრების ცრუ სამსახურში, არამედ გავაცნოთ თავისი წმინდა სახელი და გავხადათ შემოქმედის — ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისმცემელი. ჩვენ გავიგეთ, რომ მისი სახელი ყველგან გავრცელდა და აავსო თქვენი ქვეყანა-





წერილიდან და მოციქულებისაგან შევიტყვეთ ისიც, რომ მთელი გულით მიენდეთ ისრაელ ეპისკოპოსს. და, აი, ახლა ჩვენ და ჩვენი ქვეყანა, თუმცა კი სხეულით შორსა ვართ თქვენგან, მაგრამ მოციქულით გულით მიგვანია, რომ სულ ახლოს გხედავთ. თქვენ გთხოვთ ისრაელ ეპისკოპოსს, ეს დიდებული აზრია. მართლაც, სამწყსო ვერ იარსებებს მწყემსის გარეშე. ამიტომ ჩვენ უხერხულად და სამძიმოდ ვთვლით, რომ თქვენი თხოვნა არ შევასრულოთ. მაგრამ მიზეზიც გვაქვს: [ისრაელი] ეკუთვნის არა ჩვენს სამწყსოს, არამედ — ალვანეთისას თუმცა ჩვენი სურვილია, რომ ის სამუდამოდ თქვენთან იყოს, მაგრამ ამის უფლება მხოლოდ ჩვენს თანამოტახტრე ალვანეთის პატრიარქს ელიაზარს აქვს, ეს მისი საქმეა.

„დე, შეიცანით ცხოველმყოფელი ღმერთი, რომელიც აძლევს სიცოცხლეს კაცობრიობას, კლავს და აცოცხლებს მას. სულიწმიდის მადლი განამტკიცებს თქვენში ღვთის მოშიშობას და დაგაცვეინებთ მის მცნებას. ხოლო ჩვენ მოსურნე გულით არ დაგივიწყებთ და მუდამ გაგიხსენებთ ეკლესიებში, იყავით მშვიდობით“.

როდესაც დაბრუნდნენ სომხეთიდან ითვინ ხურსანცი და ჩათ ხაზრი, წარდგნენ კათალიკოს ელიაზარისა და მთავარ ვარაზ-თრდატის წინაშე დედაქალაქ პარტავაში და ითხოვეს ეპისკოპოსის დათმობა და მათთან გაგზავნა. მაგრამ იმ დროს [ალვანელებს] არ შეეძლოთ მიეცათ ისრაელი მწყემსად, ისინი ამბობდნენ: „წესი არ არის, ღვთისაგან მიწოდებული სამწყსო სრულიად მიატოვოს [ეპისკოპოსმა] და თქვენთან დარჩეს. თუმცა ჩვენ ნებას მივცემთ, შეძლებისამებრ წამოვიდეს ხოლმე თქვენთან და უკანვე დაბრუნდეს, რათა განამტკიცოს თქვენში ქრისტეს სარწმუნოება და სრულიად დაიცვას ჩვენი ურღვევი ურთიერთსიყვარული. ჩვენ გვსურს აგრეთვე, რომ ის იყოს შუამავალი, რათა შეწყდეს მტრობა ჩვენს შორის და დაინერგოს სიყვარული და მშვიდობა“.

როდესაც ყოველივე ეს მოისმინეს იშხანებმა, შეკრთნენ და ამგვარი საქმიანობისა შეეშინდათ. ისინი უხალისოდ დათანხმდნენ და თქვეს: „ნუ გადასდებს ჩვენთან დაბრუნებას [ეპისკოპოსი], რათა არ დაიშალოს სარწმუნოების საფუძველი და არ დავრჩეთ თბლად, რადგანაც სხვა მოძღვარს ჩვენ არც მოვუსმენთ და არც დავემორჩილებით. ნეტარმა ეპისკოპოსმა თავისი კეთილი ბუნების მიხედვით მოარიგა ორივე მხარე. ის დაპირდა, რომ ნებაყოფლობით წავიდოდა ჰონთა ქვეყანაში, იზრუნებდა ქრისტეს ახალმოქცეულ სამწყსოზე, მტკიცედ შეინახავდა აღთქმას და ხელშეკრულების პირობას, მათ ირწმუნეს მადლმოსილი ეპისკოპოსის სიტყვები, სიხარულით აივსნენ და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში. აღიდებდნენ ყოვლადწმიდა სამებას.





მეფე კოლმანჩის ეპისკოპოსის დავითი ეპიტოხება იტალიაში  
მაირაგომელს გამოსახულებებისა და ხატების შესახებ

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ალფანეთის მამამთავრად უფალი უხტანესი იყო, ხოლო მის შემდეგ — ელიაზარი, მრავალი უთანხმოება და განხეთქილება ხდებოდა სხვადასხვა მხარეში განსწავლულებსა და უფიცებს შორის. ასევე იყო ომი და ბრძოლა — ბერძნებსა და სომხებს შორის. ალფანეთის ქვეყანას ამ ამბებში მონაწილეობა არ მიუღია. მათ ყურამდე მოაღწია ამბავმა, რომ ზოგიერთები ხატებს არ სცნობდნენ, ზოგნი ინათლებოდნენ, მარილს არ აკურთხებდნენ და ქორწილის დროს გვირგვინს არ იდგამდნენ, იმ მიზეზით, თითქოს სამღვდელობა მოისპო ქვეყანაზეო. ამ ამბებთან დაკავშირებით მეწკოდმანქის ეპისკოპოსი დავითი წერილობით შეეკითხა იოვანე სომეხთა ეპარქიარქს, რომელიც საფუძვლიანად იყო განსწავლული ამ საქმეებში. მან ბრძნული და ჭეშმარიტი პასუხი გასცა: „ეს წვალება — ხატთმებრძოლობა მოციქულების შემდეგ პირველად რომში გაჩნდა. ერთხელ დიდი კრება იქნა მოწვეული კესარიაში. ნაბრძანები იყო დაეხატათ ხატები ღვთის სახლში. ამ დროს გაამყდნენ მხატვრები იმის გამო, თითქოს ისინი მალა იდგნენ ყველა სხვა საეკლესიო ხელოვანზე. ამბობდნენ, „ჩვენი ხელოვნება უშუქია, რადგანაც მისი დანახვა შეუძლია საერთოდ ყველას, — მოხუცსა და ახალგაზრდას. ხოლო წმინდა წიგნების წაკითხვას ცოტა თუ შესძლებსო“. აქ მოხდა უთანხმოება და ხელმოკრედ იქნა მოწვეული კრება. გაარჩიეს საქმე, გაამართლეს მწერლები, მკითხველნი და განმმართველნი და დააყენეს ისინი მხატვრებზე მალა. იმ დროიდან მოყოლებული სომეხთა კათალიკოს მოვსესამდე ეს წვალება აღარ გამოჩენილა. სომხეთის საპატრიარქო ტახტის გაყოფის დროს დიდი ბრძოლა მოხდა მოვსესსა და კარინის ეპისკოპოს თეოდოსს შორის, რომელსაც ფილოსოფოსთა თავს უწოდებდნენ. მართლმადიდებლები ლანძღავდნენ ბერძენთა ყოველგვარ წესს. მოვსესმა შეკრიბა თავისი მხარეების ვარდაპეტები და უბრძანა ამიერიდან ურთიერთობა გაეწყვიტათ ბერძნებთან, რომლებიც ქალკედონის კრებას ემორჩილებოდნენ; არც წიგნები, არც ხატები, არც ნაწილები არ მიეღოთ მათგან.

მაშინ თეოდოსმა ბრძანა შეკრებილიყვნენ მის ხელისუფლებაში არსებული მხარის სომეხი ეპისკოპოსები ქალაქ კარინში და უთხრა: საჭიროა კათალიკოსი ავირჩიოთ, მოიყვანეს ვინმე იოვანე სივნიელი, აკურთხეს და ქალკედონურ სარწმუნოებას დაემორჩილნენ. არავის მათში არ გამოუკვლევია მართლსარწმუნოება, გარდა ნეტარი ენთისისა, რომელიც წავიდა მათგან და ეახლა მოვსესს კათალიკოსს. ის სი-



ხარულით იქნა მიღებული. მოვესესი კათალიკოსად დვინში იჯდა. ჰრო-  
მის [სომხებმა] საჭიროდ მიიჩნიეს საკათალიკოსო ადგილიც მასთან  
ახლო ყოფილიყო, რადგანაც მათ შორის უთანხმოება ხდებოდა. მიზე-  
ზი ის იყო, რომ იოვანეს მიერ ხელდასმულებს [დვინში] არ იწყნა-  
რებდნენ.

იმ დროს მღვდლები იესუ, თადეოსი და გრიგორი რომლებიც მო-  
ვესესის მხრიდან იყვნენ, გავიდნენ დვინიდან და სოთის<sup>99</sup> გავარისავენ  
გაეშურნენ. ისინი უდაბნოში დაბანაკდნენ, რადგანაც მეუღაბნოები  
იყვნენ. მათ დაიწყეს მოძღვრება იმის შესახებ, რომ მოვესპოთ ეკლე-  
სიებში დახატული ხატები და არ ზიარებულ იყვნენ საერო მღვდლებ-  
თან. ყველგან უთანხმოება ხდებოდა. ამ ამბავმა მიაღწია მოვესეს პატ-  
რიარქამდეც, რომელმაც მაშინვე მისწერა მეუღაბნოეთ სასწრაფოდ  
მასთან მისულიყვნენ. მაგრამ ისინი ბრძანებას არ დამორჩილდნენ,  
არამედ იქიდან წავიდნენ და თქვენთან, არცახის გავარში დაბინავდ-  
ნენ. მაშინ შეეკითხა პატრიარქი თავის მეცნიერებს, რით უნდა აიხს-  
ნას ხალხის ასეთი მოქმედებაო, მათ ამის მიზეზად ჰრომაელთა ცთო-  
მილება დაასახელეს.

შემდეგ წერილი მისწერეს იმის შესახებ, რომ არავის გაეზედა  
ეკლესიებში ხატების შებილწვა. მოვესეს პატრიარქის გარდაცვალების  
შემდეგ და სომხეთში ხოსროვის გამეფებისას ქვეყანა გაერთიანდა.  
პატრიარქად დასვეს ჭემშარიტი და რჩეული კაცი აბრაამი<sup>100</sup>, რომელ-  
მაც ჯერ წყევლა-კრულოვით აღმოფხვრა ქალკედონის კრება, ხოლო  
შემდეგ ეკურთხა.

ხატთმებრძოლები კი წამოვიდნენ ალვანეთში და აღაშფოთეს  
თქვენი ქვეყანა. მაშინ გარდმანის მთავარმა შეიპყრო ის სამი კაცი,  
რომელთა სახელებიც შემოთ ვახსენეთ და ბორკილდადებულნი სომ-  
ხეთში მიიყვანა. როდესაც ისინი ჩვენს წინაშე დადგნენ, შევეკითხეთ,  
რა მიზეზით არ გინდათ განსხეულებული ღვთის სახე მიიჩნიოთ? მათ  
გვიპასუხეს: ეს ბრძანება გარედანაა მოსული და რომ ეს საქმეა კერპ-  
თაყვანისმცემლებისა, რომლებიც ყოველგვარ ქმნილებებს ეთაყვანე-  
ბოდნენ. ჩვენ კი თაყვანს არ ვცემთ ნახატებს, რადგანაც ამის შესახებ  
მითითებული არ არის წმინდა წერილშიო. მაშინ ჩვენ მათ გავახსენეთ  
მოსეს სენაკის მოხატულობისა და სოლომონის ტაძრის სხვადასხვა  
ქანდაკების შესახებ. ავუხსენით, რომ იგივე გამოხატულებანი გადავი-  
დეთ ჩვენს ეკლესიებში. ამით და ამის მსგავსი სხვა სიტყვებით მათი  
გზასაცდენილობა გამოვასწორეთ.





ლაპარაკი იმაზე თუ როდის იქნა შეჩვენებული ქალკელონური ტაძარი. ალვანეთს ამ ამბავში მოწაწილდითა არ მიუღია. ქართველთა და სომეხთა ბანყოფა. აბრაამ კათალიკოსი ალვანელის შესახებ

ბერძენთა წელთაღრიცხვის ორმოცდამესამე წელს სარწმუნოებით განათლდნენ სომეხები. მათზე ორასსამოცდაათი წლით აღრე განათლდნენ ალვანელები. სომეხთა მორწმუნეობიდან ასოთხმოცი წლის შემდეგ, სომეხთა კათალიკოსის ბაბქენის დროს, ქალდეკონის კრების გამო შედგა კრება. ბერძნებმა, მთელმა იტალიამ, სომეხებმა ალვანელებმა და ქართველებმა ჰრომაელთა კეთილმსახური მეფეების ზენონისა და ანასტასის ბრძანებით ერთსულოვნად შეაჩვენეს ქალკელონის კრება და „ლეონის ტომარი“. ორმოცდაშვიდი წლის შემდეგ, სომეხთა კათალიკოსის აბრაამის დროს ქართველები სომეხებს გამოეყვნენ კირიონის მიერ. მათთანვე იყვნენ ბერძნები და იტალიელები. ალვანელებს კი არ უარყვიათ მართლმადიდებლობა და სომეხებთან ერთობა შეინარჩუნეს. აბრაამმა ყველას გაუგზავნა კირიონის განდგომილების ცირკულარული სიგელი და განაძევა ის სულიერი ხმლით. მან ყველაზე უწინ ალვანელებს აცნობა, გაარკვია ისინი ამ ამბებში და შემდეგნაირი წერილი მისწერა: „უწინ, ვიდრე ალვანეთის საკათალიკოსო ტახტი ჩვენ გვეპყრა, ერთსულოვნად ვიყავით. ჩვენ და ალვანელებმა შეთანხმებით შევაჩვენეთ და განვდევნეთ კირიონი სამართლიანი ბრძანებით ჩვენი მამებისა, რომლებიც გაემიჯნენ ბერძნებს და დადგნენ ჩვენი და ალვანელების ძირითად [რწმენაზე]. ახლა იგივეს ვბრძანებ საერთოდ ქართველთა შესახებ, ამიერიდან გაწყდეს ურთიერთობა მათთან: ნურც ლოცვები, ნურც ჭამა, ნურც სმა, ნურც მეგობრობა, ნურც გაძიძავება, ნურც სალოცავად წასვლა მცხეთის განთქმულ ჯვარზე, ნურც მანგლისის ჯვარზე, ნურც ჩვენს ეკლესიებში მათი მიღება, ნურც ამიერიდან მათთან ქორწინება [ნუ გვექნება]. მხოლოდ ვიყიდოთ მათგან და ძიგვიდოთ, როგორც [ვაკეთებთ] ებრაელებთან.

ვინც მათ განუკითხავად დაუკავშირდება და იმათ ურწმუნოებას მოიწონებს, შეჩვენდეს სულით, ხორციით და მთელი თავისი სიცოცხლით. განიდევნოს ღვთის ეკლესიიდან, დარჩეს წყველიაღში და სამარადისო ცეცხლის კერძად იქცეს ყველა ის, ვინც ბრძანებას არად ჩააგდებს.





გერმანთა უთანხმოება სომხებთან იმის შესახებ თუ რატომ არა ავბთ მათ დაწესებული ცხრა საეკლესიო ხარისხის სომხთა მცდელობა ალვანეთის არქიეპისკოპოსის დაქვემდებარებისათვის. ალვანელი ამაჟი არ თანხმდებიან. სიუნიქელი [უზრგს ანცივენ] სომხებს და ალვანელებისაჲს იხრებიან, მათგან დეგულობენ ხელდასხმასა და ზეთს

მარკიანე ჰრომაელმა თავის მეფობაში, როდესაც ცდუნებული იყო თავისი ცოლის პოლქერიანესაგან და განდგომილ ნესტორიანთაგან დაარღვია მართლმადიდებლური რწმენის განსაზღვრება და ქალკედონურ კრებას შეუერთდა. ამის შემდეგ მისი მიმდევრები არა ერთხელ იბრძოდნენ იმისათვის, რომ სომხებიც მათ მიმხრობოდნენ: ხან წერილით, უფრო ხშირად კი პირდაპირი გამოსვლებით. მოიწვიეს კრება, ერთხელ კონსტანტინოპოლში, ხოლო ორჯერ თეოდოსიოპოლში. ამით ცდილობდნენ მიემხროთ ისინი, როგორც გზასაცდენილები. თუმცა სამეფოში ჰყავდათ გამოცდილი და დახლოვებული მჭევრმეტყველნი, რომელთა ენამხვილობა ელინურ ენაში სარწმუნოს ხდიდა მათ გამარჯვებას, მაგრამ ამავე დროს პასუხის მოსმენაც უხდებოდათ. სომხეთში, მართალია, ჯერ კიდევ ახალი იყო საეკლესიო მოძღვრებანი, მაგრამ მათ ჰყავდათ ბერძნული ენის მცოდნენი. სომხები ბრალს სდებდნენ იოანე მაირაგომელს, თითქოსდა ის ბერძნების მხარეს იჭერდა და მათ ეწინააღმდეგებოდა. მისი ბრალდების მიზეზი იყო ვინმე სოლომონ ბერი, რომელიც შემდეგში სომხეთის კათალიკოსი გახდა. ის შეეკითხა თავის მოძღვარს სოლომონს, მაქნელთა წინამძღვარს, იმან წერილობით აცნობა, რომ სომხები არ დამარცხებულან სარწმუნოების საქმეში, მაგრამ ბრალი კი დაედოთ. ბერძნებმა ხომ თქვეს, ღმერთმა დააწესა ცხრა ხარისხი ეკლესიაში, როგორც ზევით ზეცაშიო, ასევე [უნდა იყოს] აქაც დედამიწაზე და საყდრის შიგნით: პატრიარქი, რომელიც იგივე მამამთავარია, არქიეპისკოპოსი, რომელსაც ეპისკოპოსთა თავს უწოდებენ, მიტროპოლიტები, ეპისკოპოსები, მღვდლები, არქიდიაკვნები, დიაკვნები, წიგნის მკითხველები, მეფსალმუნენი, — ყველა ამათ შეერთებულად შეუძლიათ ხელი დაასხან მამამთავარს, ხოლო მამამთავარს შეუძლია — ყველას.

თუ გულწრფელად გწამთ, აღიარეთ ვინ არის თქვენი პატრიარქი? ისინი მხოლოდ ოთხნი იყვნენ ქვეყანაზე: ალექსანდრიისა — მარკოზის საყდარი, ანტიოქიისა — მათესი, რომისა — ლუკასი და ეფესოსი — იოანესი — ქვეყნის ოთხი კუთხის მიხედვით, ედემის ოთხნაკადიანი მდინარის მიხედვით, ოთხი მახარებლის მიხედვით, მოსეს ოთხი კანონის მიხედვით, რადგან მეორე კანონი ცალკე მიიჩნევა. ჩვენ



ყოველივე ამას ვემორჩილებით, დაემორჩილეთ თქვენც ერთ ამათ-  
განს, ანდა ყველას ერთად, რათა ერთი სარწმუნოება გვქონდეს. თქვენ-  
მა წმინდა გრიგორმა მთავარეპისკოპოსად ხელდასხმა კესარიაში მიი-  
ლო და მას შემდეგ ასევე ხდება ღღემდე. თუ თქვენ მისგან განსხვა-  
ვებულები სხვა ეკლესიის მართლმადიდებლები ხართ, მაშინ გვიჩვენეთ  
პატრიარქი, რომელსაც ემორჩილება თქვენი არქიეპისკოპოსი, ის, რო-  
მელიც ღღემდე ჩვენს ხელქვეით იყო. ხოლო თუ თქვენ პატრიარქი  
და სხვა სამღვდელონი არა გყავთ ეკლესიებში, მაშინ არიოზივით  
გზასაცდენილი მწვალებლები ყოფილხართ, სხვა ხუჯასტანელებთან და  
არამართლმადიდებლებთან ერთად. — ამაზე სომხებმა ვერაფერი ვერ  
უბასუხეს, რადგანაც მათი ეკლესია მართლაცდა ამგვარ ვითარებაში  
იმყოფებოდა.

იუსტინიანემ თავის გამეფებისთანავე წმინდა იოანე მახარებლის  
ნაწილები კონსტანტინოპოლში გადაიტანა და იქ სამამამთავრო ტახტი  
დააწესა. ძირითადი ტახტი კი ეფესოში დარჩა. აგრეთვე მათეს [ნა-  
წილები] ანტიოქიიდან იერუსალიმში იქნა გადატანილი, თან ამბობ-  
და „ეს ქალაქი დიდი მეფის ქალაქიაო“. ძირითადი ტახტი ისევ ან-  
ტიოქიაში დატოვა. მაშინ დაიძრნენ ერთიანად გულზვიადნი და სა-  
დაც კი აღსრულებულნი იყვნენ მოციქულნი, ყველა ტახტი საპატრი-  
არქოდ აღიარეს. როდესაც მათ ეს წესი დააწესეს, შემდეგ ჩვენს შე-  
სახებაც დაიწყეს ლაპარაკი. სომხეთი გაინაწილეს სპარსელებმა და  
ბერძნებმა. წმინდა გრიგორის ტახტი დვინში ეკავა უფალ მოვსესს.  
ბერძნების მომხრეებმა მის საწინააღმდეგოდ დასვეს ვინმე იოვანე  
მისსავე მახლობლად. როდესაც სამამამთავრო ორად გაიყო სივნიეთის  
ხელისუფლებმა უარყვეს ეს და არც ერთ მათგანს არ დაემორჩილნენ  
თავისი ეპისკოპოსის კეთილისმყოფელი პეტროსის ბრძანებით, რო-  
მელმაც აღსასრულის დროს სამწყსოს უანდერძა: ვიდრე არ გაერ-  
თიანდებოდა წმინდა გრიგორის ტახტი ხელდასხმა და კურთხევის ზე-  
თი მხოლოდ აღვანელებისაგან მიეღოთ. ამის გამო სივნიეთის ეპის-  
კოპოსად ვრთანესი ხელდასხმულ იქნა აღვანეთის მამამთავრის ზაქა-  
რიას მიერ. ამის შემდეგ სიუნიქელები წლიდან წლამდე კურთხევის  
ზეთს აღვანელებისაგან ღებულობდნენ, ვიდრე არ შეწყდა უთანხმო-  
ება და აბრაამმა არ იგაერთიანა სამამამთავრო ტახტი.

რაც შეეხება ცხრა ხარისხს, ეკლესიათა მესვეურებმა თვითნებუ-  
რად, სომეხთა ამპარტავანი ხასიითის გამო, პატრიარქად აბრაამი  
დაადგინეს, არქიეპისკოპოსად — აღვანელი, ხოლო მიტროპოლიტად —  
ქართველი. განაწყენდა ქართველი, რომელსაც კირონი ერქვა და  
განხეთქილებისათვის მიზეზს ეძებდა. მაშინ წმინდა მღვდელმთავარმა  
აბრაამმა თქვა: აღვანელებმა ქართველებზე ადრე მიიღეს ქრისტიან-  
ობა და ამიტომაც მათ უფრო შეეფერებათ მთავარეპისკოპოსობაო-



ამ მართლმადიდებლური რწმენის ძიებაში კამათის დროს ქართველებმა დატოვეს მართლმადიდებლობა და ქალკედონიტები გახდნენ. ბერძენი მხედართავერები აქეზებდნენ სომხებს მოეთხოვათ სასულიერო პირველობა ალვანელებზე, რასაც ალვანელები არ ემორჩილებოდნენ. ისინი უთითებდნენ ერთ პირვანდელ მოციქულზე, რომელიც ალვანეთში მივიდა. მას ელიშა ერქვა, უფლის მოწაფეთაგანი იყო და ხელდასხმული უფლის ძმის — იაკობისაგან. [ელიშას] იქ უქადაგია და აღუშენებია ეკლესია სომხებზე უფრო ადრე. ეს არის აღმოსავლეთში პირველი დედა ეკლესიაო, ამ გისის ეკლესიას ერწმუნენ ალვანელები და სომხებისაგან გაითიშნენ, რათა არ დარჩენილიყვნენ სხვისი ხელისუფლების ქვეშ. მაშინ სომხებმა, ამპარტავნების გამო ბერძენთა, რომლებიც ცდილობდნენ დაემცირებინათ თადეოზ მოციქულის განსასვენებელი და ამბობდნენ არა გყავთ მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტიო, გადაწყვიტეს სამარდპეტოს ეპისკოპოსი მიტროპოლიტად ექციათ. მისცეს მას ჯვარი და პატივი, მხოლოდ ეპისკოპოსად ხელდასხმის უფლება არ მიუნიჭებიათ. ეს მიტროპოლიტი ითხოვდა, ორი-სამი ეპისკოპოსი მაინც ჰყოლოდა თავისთან, მაგრამ უფროსები არ დაუბუღდნენ, რათა ერთიანი ტახტი რაიმე მიზეზით ისევ ორად არ გაყოფილიყო. ხოლო იმის გამო, რომ ხედავდნენ სიუნიქის ხელისუფალთა მუდმივ ღვთისმომშიშობას, ღვთის მცნებებისადმი მორჩილებას, საეკლესიო დასის დიდად განათლებას და მართლმადიდებლობას, ამიტომ მიაკუთვნეს მათ სომეხთა მიტროპოლიტის პატივი, აგრეთვე განადიდეს ჯვრის ნიშნით. იმ პირობით კი, რომ აღარ ეცადათ კიდევ რაიმე მოეპოვებინათ და მამამთავრისათვის მთავარეპისკოპოსი არ ეწოდებინათ.

სხვა ქვეყნებმა კი კვლავ უწინდელი ჩვეულება შეინარჩუნეს, რათა არ მომხდარიყო რაიმე უთანხმოება. ამიტომ არის, რომ სიუნიელები არ უწოდებენ მამამთავარს მთავარეპისკოპოსს და სომეხთა საპასუხო წერილებში არც წერენ — „მთავარეპისკოპოსიო“, რომ ეწოდებინათ, მაშინ ხომ დაწერდნენ კიდევც...

თ ა ზ ი X L I X

პასუხი აპარასის ეპისკოპოსის მხითარის მიერ სომეხებისადმი ბაგზავნილ წერილზე

თ ა ზ ი L

არცახუი მცხოვრებ მეუღაზნოე იოსების უმსახეზ, მისი წასვლა იერუსალიმში და წმინდანთა ნაწილების მოკოვება



რაოდენობა და ზომა იმ უნებობათა, რომლებიც დაფუძნებული არიან წმინდა იერუსალიმის ეკლესიასთან. აქ მოთხრობილია თვითმხილველის ჭეშმარიტი ცნობები

ცხოველყოფელი ქრისტეს ქვის სამარხი მდებარეობს შუა გუმბათიდან ნახევარი სამადლის<sup>102</sup> დაშორებით. გუმბათიანი ეკლესია სიმაღლით და სიგანით ასი წყრთაა. აქვს თორმეტი სვეტი ქვევით და თორმეტიც — ზევით. ყველაზე მაღლა ოქროთი მოსაყადებული ქრისტეს შუბი, ღრუბელი და თასია მოთავსებული. მთავარი ეკლესია, რომელსაც ჯვრის სამლოცველო ეწოდება, ოცი წყრითაა დაშორებული აღდგომის ეკლესიას. მასში სიგრძეზე ზემოთ და ქვემოთ სამოცდახუთი სვეტია.

წმინდა გოლგოთის ეკლესია ათი ნაბიჯით სცილდება „აღდგომას“, რომელსაც ადამის საფლავს უწოდებენ. შიგნით ტრაპეზია, სადაც კლდეზე ჯვარს აცვეს ქრისტე. წმინდა სიონის ეკლესია ერთი ასპარეზითაა<sup>103</sup> დაშორებული „აღდგომას“, სიგრძით ასი აღლია, ხოლო სიგანით — სამოცდაათი. კამარა მოიცავს ოთხმოც სვეტს. მასში არ არის ზედა განყოფილება, არამედ მხოლოდ ხის „თარბია“\*, რომელზედაც დაკიდებულია ეკლის გვირგვინა, რაც მაცხოვარს დაადგეს თავზე. ეკლესიის მარჯვნივ სამწირველოა და ხის გუმბათი, სადაც დახატულია „საიდუმლო სერობა“. აქვე სიონის ზედა ნაწილში სენაკია, სადაც სრულდება წირვა.

წმინდა სიონის მარჯვნივ პილატეს კარავია, რომელსაც „კაპაპათა“ ეწოდება. მთაზე, სადაც პილატეს წინ მაცხოვარი იდგა, შეინიშნება მისი ნაფეხურები. ქვევით ემბაზია, რაშიც თავის მოწაფეებს [ქრისტე] ფეხებს ბანდა. სიონის მარცხნივ ციხეა, აქ დააკავეს ქრისტე. აქვეა ტრაპეზი და სრულდება წირვა.

იმ ადგილას, სადაც ებრაელები დაეუფლნენ წმინდა ქალწულის კუბოს და ნება არ მისცეს ქალაქგარეთ დასაფლავებისა, აღმართულია გუმბათი ოთხ მარმარილოს სვეტზე. [სვეტები] შემკულია სპილენძის ჯვრებით. აქედან ორას ორმოცდაათი ქვის საფეხურია წმინდა ქალწულის განსასვენებლამდე. ეს არის გეთსიმანიის ხევი. აქედან ზეთის ხის მთამდე, სადაც ამაღლდა ქრისტე, რვაასი საფეხურია. ამაღლების ადგილას აშენებულია აღდგომის ეკლესიის მსგავსი მშვენიერი გუმბათიანი ეკლესია ასი წყრთა სიგრძისა და ასი წყრთა სიგანის. აქედან ჩანს იორდანეს მდინარე, ჰავრის მთა და მრავალი მხარე.

\* „თარბი“, ვ. არაქელიანის განმარტებით ბალისებური მოწყობილობა,



ბეთლემი დაშორებულია ადღგომის [ეკლესიის] დასავლეთის მიმართულებით ორასი ჰრასახით<sup>104</sup>. ეკლესიის ზომა სიგრძით ორასი წყრთაა, ხოლო სიგანით — ასი. მას ორმოცდაათი მარმარილოს სვეტი და ქვის კამარა აქვს. აქ ორი გამოქვაბულია: ერთი აბრაამმა იყიდა თავის სამარხად, ხოლო იმის ქვევით მდებარეობს წმინდა გამოქვაბული და ბაგა, სადაც ტრაპეზია და სრულდება წირვა. ეკლესიის მარჯვნივ სამლოცველოა, აქ დაცულია ჰეროდეს მიერ დახოცილ ყრმათა ნაწილები. აქედან აღმოსავლეთით, იორდანეს მხარეს ბეთლემიდან სამი ასპარეზის დაშორებით ტალავერია, სადაც ორი ეკლესიაა და წირვა სრულდება. მდინარე იორდანედან ხუთი ჰრასახის დაშორებით, იერუსალიმის აღმოსავლეთით, მაცხოვრის მონათვლის ადგილას, აშენებულია ჯვრისებური ეკლესია, რომელიც სიგრძით და სიგანით ოთხმოცი წყრთაა. იქ სამი ტრაპეზია და წირვაც სრულდება. ზეთის ხის მთა იერუსალიმიდან აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს.

## თ ა ზ ი LII

სახელწოდება იმ მონასტარტა, რომლებიც ააშენეს იერუსალიმში ალვანელებმა. ეს სახელები ჩვენ ამოვიკითხეთ ნეშარი ანასტასის მიერ ვაჰან მამიკონიანისადმი მიწერილ წერილში

პანდავანქი მდებარეობს ზეთის ხის მთის აღმოსავლეთით. ააშენა ერთმა მეუღაბნოემ — პანონმა, რომელიც ალვანეთიდან მოვიდა. ამჟამად მას ალვანელი მღვდელი პეტროსი ფლობს.

მრუვის მონასტერი აშენებულია წმინდა ორმოცი მოწამის სახელზე. მდებარეობს იმავე მხარეს, მის მახლობლად. ამჟამად ტაჭიკთა ხელშია.

პარტავის მონასტერი აგებულია წმინდა ღვთისმშობლის სახელზე, მდებარეობს დავითის გოდოლთან. ამჟამად მას ფლობს ერთი ქალი, სახელად მარიამი — შამქორიდან. მონასტრის მეორე ნახევარი ტაჭიკებს უპყრიათ.

კალანკატუიქის მონასტერიც იმავე მხარეზეა. ახლა ფლობს თეოდოროსი, ქრისტიანი ტაჭიკი, აბრაამელთა დიაკვანი. [მასთან ერთად ფლობს აგრეთვე] აბულკამი, — ალიოვიტის ზარიშატიდან<sup>105</sup>, — უსამართლო და ბოროტი ტაჭიკი.

არცახის მონასტერი წმინდა ღვთისმშობლისა და წმინდა სტეფანოსის სახელზეა აშენებული. ამჟამად მთლიანად ფლობენ ტაჭიკები.



ამარასის მონასტერს, რომელიც წმინდა გრიგორის სახელზეა აგებული, აშუამდ ფლობს ერთი ქალი, მეორე ნახევარი კი ტაჭიკებს უბყრიათ.

კიდევ სამი ალვანური მონასტერია, რომლებსაც მოძალადობით ფლობენ ტაჭიკები. მათი სახელები უცნობია.

ერთი ალვანური მონასტერიც მდებარეობს არავენის მონასტრის მახლობლად, შუა მოედანზე. ახლა მასაც ტაჭიკები ფლობენ. მოშურნეობის გამო იერუსალიმელი პატრიარქები აბრკოლებდნენ სომეხთა და ალვანელთა მონასტრების შემოსავალს. რადგანაც იქ ასზე მეტი მონასტერი იყო, სომხეთის მთავრებმა იზრუნეს მათზე, შვიდი კენდინარი<sup>106</sup> გადაუხადეს მეფე იუსტინიანეს და ყველა მონასტერი გაათავისუფლეს პატრიარქების მოძალადეობისაგან. მაგრამ შემდეგ ჩვენი უთაურობის გამო ისინი გადაგვარდნენ.

აქ სრულდება „ალვანეთის ისტორიის“ მეორე წიგნი.

### წიგნი III

#### თავი I

ისმავლთა ტომის თავდასხმა სამხრეთიდან და მთელი ქვეყნის დაპყრობა, რაც დანიშნო ცრუ წინასწარმეტყველის მაჰმადისაგან

ჩვენ ხელთ გვაქვს სულსმაღბინებელ მოძღვართა ცნობები მომავლის შესახებ. შევეცდებით გადმოვცეთ ისინი. აქვე გავიხსენებთ წინაპრისეულ სიტყვებს ისმავლის მიმართ, „რომ მისი ხელები ყველას გადასწვდება და [ისინი] დიდ ხალხად იქცევიან“\*.

როდესაც სპარსეთში სასანიანთა გვარის მეფობა დაეცა, გამოჩნდა ერთი კაცი სახელად მაჰმადი. [ეს იყო] მშვილდისრით შეიარაღებული ველური, რომელიც უდაბნოში ცხოვრობდა. ერთ დღეს შეხვდა ის ვინმე არიანელ ცრუმონაზონს, სახელად ბაპირას. მაჰმადმა დაუმიზნა მას მშვილდისარი, კაცმა დიდი ხმით შეჰყვირა და უთხრა: „ნუ სცოდავ შეილო ჩემო, რადგანაც მეც შენსავით ადამიანი ვარ“. მაჰმადმა ჰკითხა: „რა კაცი ხარ და რატომ იმყოფები გამოქვაბულში?“ მაშინ ბაპირამ იხმო ის თავისთან და დაიწყო ძველი და ახალი აღთქმის სწავლება არიოსის [მოძღვრების მიხედვით], რომელმაც, ძე ღვთისა შექმნილად გამოაცხადა. მან უბრძანა [მაჰმადს] მოეთხრო ველური

\* შდრ. დაბადება, 16,12; 17,20.



არაბებისათვის, რაც მისგან შეიტყო და სთხოვა არავისათვის არ ესწავლებინა მისი სამყოფელი. ხოლო ის უვიცი ხალხი გაკვირვებულნი დარჩნენ მისი საუცხოო მონათხრობით და ეკითხებოდნენ „საიდან იცი შენ უგენიო?“. მაჰმადმა იცრუა თავის უვიც ხალხთან და უთხრა: „ანგელოზი მელაპარაკა ისე, როგორც ერთ-ერთი პირველი წინასწარმეტყველი ღვთის პირით [ლაპარაკობდა]“. ხოლო მათ ფარულად მეთვალყურეები დაუყენეს, რათა შეეტყობთ თუ ვინ უყვებოდა და საიდან იცოდა ყოველივე ეს. შეიტყო მაჰმადმა ცბიერთა შესახებ, ფარულად მოკლა თავისი მოძღვარი და დაფლა ის ქვიშაში. თვითონ დაჯდა მის ადგილას და უთხრა მათ, ვინც თვალყურს ადევნებდა: „ამ ადგილას ანგელოზი მეცხადება და უდიდეს საკვირველებათა შესახებ მიყვება“. როდესაც მათ [მაჰმადი] მარტო დაინახეს, წამოვიდნენ და მოუთხრეს მოტყუებულ ტაჭიკებს. მაშინ ისინი დიდ ჯგუფებად შეგროვილნი გაეშურნენ უწყლო უდაბნოსაკენ. იქიდან დიდი პატივისცემით წამოიყვანეს თავიანთი მაჰმადი, რომელმაც წინასწარმეტყველობა დაიწყო და თქვა: „თუ თქვენ შეისმენთ ჩემს წინასწარ თქმას და ქადაგებას, უდიდეს უფლებას მოაპოვებთ ჩვენი ხალხი, როგორც ამას ბერძენთა წიგნი ამბობს, რადგანაც ჩვენმა ღმერთმა მოგვანიჭა უფლება ჩვენი სარწმუნოებისათვის“. თავიანთ სამსხვერპლოდ და ატროშანად მათ განსაზღვრეს ადგილები, რომლებსაც „აბრაამის გუმბათი“ უწოდეს. [მაჰმადმა] ბრძანა აქ მოეხდინათ მსხვერპლის შეწირვა. ხოლო თავის ჯარს აბრაამელნი უწოდა და განკარგულება გასცა ელოცათ ოთხკუთხედ სამსხვერპლოზე. აღმართა ქვის სვეტი და თავიანთ სცემდა აბრაამის სახელზე. მის შესახებ ნეტარმა წინასწარმეტყველმა იკითხა: „თუ კაცი თავის ცოლს დატოვებს, ის სხვა კაცზე გათხოვდება, შემდეგ კი ისევ თავის ქმარს დაუბრუნდება ხომ არ შეიბილწება ის ქალი?“\* ასეთი რამ ჩაიდინა მაჰმადმა.

ერთ ვინმე ტალბს ჰყავდა ლამაზი ცოლი, [მაჰმადმა] მასთან გაგზავნა შიკრიკი და [აცნობა], რომ ღვთის ბრძანებით ცოლი უნდა დაეტოვებინა. ტალბმა გაიყვანა ქალი მოედანზე, დააყენა ნაფიცი მოწმეები და გაუშვა. მაჰმადმა წაიყვანა ის ქალი და თავისი ავხორცობის თავშეუკავებელი სურვილი შეისრულა. შემდეგ დაუბრუნდა ტალბს და უთხრა: „ღმერთმა ბრძანა, ცოლი უკანვე მიიღო“. ეს უსიამოვნო კანონი დამკვიდრდა მათ ხალხში. ისინი დაქორწინდებიან, შემდეგ უშვებენ ცოლებს, სხვებთან აძინებენ და კვლავ თავისთან აბრუნებენ. ამგვარია მათი უწყესო ჩვეულება. ღვთის ძლიერი სახელით დადებულ ფიცს ტეხენ, მაგრამ, თუ შერცხვენილ ქალს დაიფიცებენ — უთუოდ

\* შღრ. იერემია, 3,1.



შეინახვენ. სხვა მრავალი უკეთურობანიც გადასცა მან ამ ხალხს. მათი უმეცრება ცხადად გამოჩნდება უდიდესი განსასჯელის დღეს.

სომხური წელთაღრიცხვის 65 წლის ბოლოს გამოჩნდა მაჰმადის შაჰასტანში. 70 წელს კი მივიდა აბრაამის გუმბათთან და იქიდან საფარის თვეში შევიდა იმავე შაჰასტანში, რომელსაც ახლა მის სახელს — მაჰმადის უწოდებენ. იქ მან დაჰყო ერთი წელი და მთელი ამ ხნის განმავლობაში შაჰასტანიდან თავდასხმებს აწყობდა. შაჰრაბის<sup>108</sup> თვეში დაიპყრო აბრაამის გუმბათი, რამაზანის თვის<sup>109</sup> 18 — მისი მმართველობის მერვე წელია. შავალის თვის<sup>110</sup> 15-დან ებრძოდა სპარსელ რევს. ჰაღკათის თვეში<sup>111</sup> დღისა და ღამის ბუნიობისას მივიდა მექაში, ხოლო იქიდან თავის შაჰასტანში დაბრუნდა. ფულკათის თვიდან<sup>112</sup> ექვსი თვის მანძილზე იქვე იმყოფებოდა. იმავე წელს მექაში ამირად დატოვა სედი აბუსიდის ძე. მისი ამხანაგები მექაში დაბრუნდნენ. აბუბექრი აბუჰაფის ძე ამხანაგთა შორის უფროსი იყო. ეს მაჰმადის მმართველობის მეცხრე წელია. მეათე წელს გარდაიცვალა, შაჰრაბის<sup>113</sup> თვის 2 რიცხვში, ორშაბათ დღეს, ფლობდა ათ წელიწადს, ხოლო სულ ცამეტი წლის განმავლობაში განამტკიცა თავისი ქადაგება. ორმოცი წლისა იყო. როდესაც გამოჩნდა, ხოლო სამოცდასამისა გარდაიცვალა.

## თ ა ვ ი II

### ივის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ავირ მუმიწებად მაჰმადის შემდეგ

არაბთა მეორე ხელისუფლად მაჰმადის შემდეგ დაჯდა აბუბექრი აბი კაფიანი და ცხრა წელი ეპყრა ქვეყანა. ომარ იბნ ხატაბი განაგებდა შვიდ წელს, იგი მოკლეს. უთმან იბნ აფანი — თერთმეტ წელს, შემდეგ შეწყდა უთმანის მმართველობა და მან ხელისუფლება გადასცა აბდალაჰს თმა-წვერის შაფრანით შეღებვის პატივით. მუავია იჯდა ცხრა წელს, ეზიდ იბნ მუავია — რვა წელს, აბდალმელიქ იბნ მრუანი — თერთმეტ წელს, მის დროს ცხოვრობდა ჰაჯიჯ იბნ უსუფივლით აბდალმელიქის ძე — ცხრა წელს, სულიემან იბნ აბდალმელიქი თერთმეტ წელს, ომარ აბდალ აზიზის ძე — ათ წელიწადს, იეზიდ იბნ აბდალ მელიქი — ექვს წელს, ჰეშიმ იბნ აბდალმელიქი — ოც წელს, ვლით იბნ იეზიდი — ერთ წელს, იგი მოკლეს და ტაჰიკთა შორის უთანხმოება მოხდა. მრუანი მაჰმადის ძე — ოთხ წელს. მან მოკლა კურნიშეკები — ტაჰიკთა სამოცი თავკაცი, ვლით ამირას მკვლევლები...

მოვიდა აბულ აბასი მართა ქვეყნიდან ხორასნის გამგებელის აბუ მუსლიმის დახმარებით და ჯარით. მოკლა მრუანი და ხელთ იგდო ხე-




ლისუფლება შვიდი წლის განმავლობაში. აბულ აბასი იყო აბდალაჰ მაჰმადის ძე, აღაის ძისა, [ეს აღაი] აბდულას ძეა აბასის ძისა, ხოლო [აბასი] აბდალ მუტალიბის ძე იყო. ამათ ტომს ახლა ჰეშამიკი ეწოდება. მან ფარულად მოკლა აბუ მუსლიმი, რითაც ხელისუფლებას მიიღწია. ამ მკვლელობის შემდეგ თვითონაც გარდაიცვალა. მის ძმას აბდალაჰს, აბუ ჯაფარსაც უწოდებდნენ, ის [განაგებდა] ოცდაორ წელს, შემდეგ გარდაიცვალა „აბრაამის გუმბათში“. მაჰადი, — ასე ეძახდნენ მაჰმად აბდალაჰის ძეს, [განაგებდა] ცხრა წელს, მუსე — ერთ წელს. ჰარუნ მაჰადის ძე, რომელსაც მადიუნსაც უწოდებდნენ, ოცდახუთ წელს, მან უზომოდ შეავიწროვა ჩვენი ქვეყანა, რის გამოც სომეხთა არაერთი გავარის მოსახლეობა ბერძნებთან წავიდა. მაჰმედ ჰარუნის ძე [განაგებდა] სამ წელს. ჰარუნმა თავის სიცოცხლეშივე გაუყო ხელისუფლება თავის ორ შვილს — მაჰმადსა და მამუნს. უფროსობის მიხედვით მაჰმადს ერგო ბაღდადისა და ხორასნის მმართველობა, მამუნი კი ებრძოდა მას. მაჰმადი როდესაც გარდაიცვალა, აბდალაჰი — ასედაც ეძახდნენ მამუნს, ყველაფერს დაეუფლა. იბრაჰიმი [განაგებდა] ათ წელს, ჰარუნი — ოცს. მაჰმადის შემდეგ მესამედ დაჯდა ამირად მუმინი. ეს მოხდა სომხური წელთაღრიცხვით 270 წელს.

### თ ა ზ ი III

## ბაკურ დიოფიზიტის შესახებ, რომელიც ნერსეს სახელით კათალიკოსი გახდა

ალვანეთის კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ, ვინმე ქალკედონიტი, სახელად ბაკური, რომელიც ოდესღაც გარდმანის ეპისკოპოსი იყო და ნერსესად იწოდებოდა, შეუთანხმდა ალვანეთის დედოფალს, ვარაზ-თრდატის მეუღლეს — სპარამს, იმავე რწმენის მიმდევარს. [ბაკურმა] მასთან კავშირი შეკრა და უთხრა: „თუ შენ მოისურვებ და ალვანეთის კათალიკოსად მიხმობ, მაშინ მე მთელს ალვანეთს ქალკედონიტური რწმენის მიმდევრად ვაქცევო“. ყურად იღო დედოფალმა ეს, ბჭობა გამართა ალვანეთის ეპისკოპოსებთან და დიდებულებთან, ვერავინ მიხვდა ღალატს და ამიტომ დაეთანხმნენ მის თხოვნას. ყოველისმპყრობელ სულიწმიდის შთაგონებით მეწირანცის ეპისკოპოსმა იოველმა მრავალრიცხოვან შეკრებილთა წინაშე სთხოვა ნერსესს ხელი მოეწერა ქალკედონ-ტთა დასისა და „ლეონის ტომარის“ შეჩვენებაზე. გამოართვეს ხელწერილი, როგორც კანონიკური განსაზღვრება, და [მხოლოდ ამის შემდეგ] იმავე ეპისკოპოსმა იოველმა სხვა ეპისკოპოსებთან ერთად უხმო მას ალვანეთის კათალიკოსად. იოველ ეპისკოპოსმა [ხსენებული] შეჩვენების წიგნი საიმედოდ შეინახა, კიდევ იცოცხლა თოთხმეტი წელი და აღესრულა ქრისტეს მიერ.





მაშინ ნერსესმა იპოვა შესაფერისი დრო თავისი სურვილის განსახორციელებლად, სასწრაფოდ გაეშურა მეწირანცის გავარისაკენ, იქ იპოვა თანამოსაქმე, — მონასტრის მამის ზაქარიას სახით, პირობა მისცა, რომ აკურთხებდა ეპისკოპოსად და ყოველწლიურ შემოსავალსაც უბოძებდა თუ იმ ხელწერილს მისცემდა დასაწვავად. მან [მართლაც] უბოძა ალთქმის სიგელი [კათალიკოსს], რომელმაც იქვე ცეცხლს მისცა. ზაქარია კი ხელდასხმულ იქნა მეწირანცის ეპისკოპოსად. [ნერსესი] დაუმეგობრდა მას და დაუბრუნდა ძველ რწმენას, რასაც დიდი ზანია ელოდა და დედოფალი სპარამიც აქეზებდა. მისი და სხვა ქალკედონიტ ნახარათა დახმარებით მან დაანგრია საკურთხეველი ბევრი ეკლესიისა, სადაც უკვე გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული. ეკლესიის ღირსეულ მემკვიდრე ყრმებს უცხო ქვეყნებში აძევებდა. უწინარეს ყოვლისა მან განდევნა მეწ კოლმანქის საკვირველმოქმედი ეპისკოპოსი ნეტარი ისრაელი, რომელმაც ხაზართა და მრავალი ქვეყანა ქრისტიანობის წესზე მოაქცია. მასთან ერთად განდევნა გარდმანის ეპისკოპოსი ელიაზარიც. ზოგიერთი ეპისკოპოსი კი თვითონ განუდგა მას. მაგალითად, კაპალაკის ეპისკოპოსი იოვანე, ამარასის ეპისკოპოსი — სააკი, ჰოშის ეპისკოპოსი — სიმეონი და ალვანეთის დიდი მთავარი შერო თავისი აზატებითურთ, რომლებმაც ეკლესიის მრავალრიცხოვან ძმობასთან ერთად მოიწვიეს კრება და შეაჩვენეს ნერსესი ყველა მწვალებელთან ერთად.

თ ა ვ ი IV

ალვანთა კრების წერილი სომეხთა კათალიკოს ელიას

„სომეხთა კათალიკოსს უფალს ელიას თაყვანისცემა ერთობით ალვანთა კრებისაგან!

ჩვენს მამებს თქვენს მამებთან ერთად საერთო მართალი რწმენა ჰქონდათ სულის სახსენებლად. ღვთის ნებით იმძლავრა ქალკედონურმა რწმენამ და აავსო ქვეყანა, თუმცა ჩვენი მხარეები მისგან არ ამღვრეულა. ახლა კი, ჩვენი აზრით, კეთილი მოძღვარი ნერსესი მგლად იქცა და დაიწყო ქრისტეს გონიერი სამწყსოს გადაბირება. ამის გამო მოვიწადინეთ შეგვეტყობინებინა ეს თქვენი უწმინდესობისათვის, რათა მოხვიდეთ ჩვენთან, როგორც თქვენს ნაწილთან და განკურნოთ ჩვენი ჭრილობები. იყავით მრთელად უფლისა მიერ“.





სომეხთა კათალიკოსის ელიას წერილი აბდალმელიქ ამირამუშინთან იმავამ განჯრახვით

ქვეყნის მპყრობელ აბდალ ამირამუშინის, სომეხთა მთავარებისკოპოს ელიასაგან.

ყოვლისმპყრობელი ღვთისაგან გვაქვს ჩვენს ქვეყანას თქვენი მორჩილება და სამსახური. ჩვენც და ალვანელებიც ერთ რწმენას ვემსახურებით — ქრისტეს ღვთაებრიობას. ხოლო ალვანეთის ახლანდელი კათალიკოსი, რომელიც პარტავში ზის, შეუთანხმდა ბერძენთა კეისარს, იხსენიებს მას ლოცვებში და ქვეყანას აიძულებს მის რწმენას დაეთანხმოს.

იცოდეთ თქვენ ეს და გულგრილად ნუ შეხედავთ, რადგანაც მას თანამოაზრედ ჰყავს ერთი დიდებული ქალი. თქვენი უდიდესი უფლებით უბრძანეთ დასაჯონ ისინი თანახმად თავიანთი მოქმედებისა, რომლითაც ღმერთის წინაშე სცოდავენ“.

თავი VI.

აბდალმელიქ ამირამუშინის პასუხი სომეხთა კათალიკოს ელიას

„სომეხი ხალხის კათალიკოსო, ღვთის კაცო ელია, მე წავიკითხე შენი გულწრფელი წერილი, შენს გამო გავგზავნე იქ ჩემი სარწმუნო მსახური დიდი ჯარით და ვუბრძანე: ჩვენი ხელისუფლებისაგან გამდგარი ალვანელები თქვენი სჯულის მიხედვით სიმართლეზე მოაქციონ. ჩვენი მსახური შენს წინაშე პარტავში სისრულეში მოიყვანს სასჯელს, ნერსესსა და მის თანამოაზრე ქალს რკინის ჯაჭვით გადააბამენ და შერცხვენილებს სამეფო კარზე მოიყვანენ, რათა ყველამ იხილოს მგამობხეთა შეურაცხყოფა“.

თავი VII

სომეხთა კათალიკოსის ელიას პარტავში მისვლა, ნერსისის დასჯა და მის აღგილას ალვანეთის კრების სურვილით სიმეონ არქიდიაკონის დასმა

სომეხთა დიდმა მღვდელმთავარმა ელიამ ალვანეთის დიდ ქალაქ პარტავს მიაღწია. დაჯდა დიდ ტაძარში და ბრძანა მიეგვარათ ნერსესი.



მაგრამ [ნერსესი] დაიძალა და ვერავინ შეძლო მისი პოვნა. მაშინ დიდად მორწმუნე ალვანეთის მთავარმა შერომ შეიპყრო მასთან დაახლოვებულნი და უბრძანა ნერსესის მოყვანა. მრავალრიცხოვან შეკრებილთა შორის ელიას წინაშე უპასუხოდ იდგა უბედური. მეფის ბრძანებით მიძიმე სასჯელი გამოუტანეს: გადააბეს ფეხით ფეხზე იმ ქალთან და შორეულ ქვეყანაში გასაგზავნად მოამზადეს. მაგრამ მან ვერ აიტანა ეს ტანჯვა და რვა დღის შემდეგ გარდაიცვალა. დაიბარა იმავე რკინის ჯაჭვით დაესაფლავებინათ. მან დასწყევლა შერო, რომელიც იყო მისი და სპარამის დაღუპვის უპირველესი მიზეზი. [შეროს] უთანხმოება ჰქონდა სპარამთან ხელისუფლების გამო. ნერსესს მართლმორწმუნეობით თოთხმეტ წელს ეპყრა [საკათალიკოსი] ტახტი, ხოლო ურწმუნეობით სამნახევარ წელიწადს.

ამის შემდეგ იმავე კრებამ აირჩია [კათალიკოსად] სიმეონი — კაცი მშვიდი და აკურთხა ალვანეთის მამამთავრად. მან აღკვეთა ქვეყნიდან ნერსესის უწესობანი და ბევრი მართებული წესი დაწერა გზასაცდენილ ეკლესიაში. უბედური ნერსესის „წვალებით“ საგსე წიგნები, რომლითაც ავსებული იყო ზანდუკი, წაიღეს და მთლიანად მდინარე ტრტუში ჩაყარეს, მის საზაფხულო სადგომთან, რომელსაც ბერდაკური<sup>14</sup> ეწოდებოდა. [სიმეონს] ტახტი ეპყრა წელიწადნახევარს.

## თ ა 3 0 VIII

ხელწერილი, რომელიც გამოართვა სომეხთა კათალიკოსმა ელიამ ალვანელთა კრებას სომეხებსა და ალვანელებს შორის თანხმობისა და მტკიცე კავშირის ნიშნად

რადგანაც უამრავი და ნაირნაირი ბოროტებით მუდამ ყამს ატყუებს წრფელი გულის ადამიანებს ჩვენი შეჩვეული ცბიერი მტერი და საერთო ხსნის უარყოფელი ეშმაკი, მის წინააღმდეგ იბრძვიან ეკლესიის ყრმები ბუნებითი სიკეთის გამო. ის კი სულ ცდილობს [ზემოქმედება მოახდინოს] რჩეულთა მიმართ ამ სიტყვებისამებრ: „ეშმაკი ვითარცა ლომი მყვრალი მიმოვალს და ეძებს ვინმეცა შთანთქას\*“. ეს ისევეა, როგორც ჩვენი უპირველესი მამის [ქვეყნად] ყოფნის დროს, როცა მისი ურჩობის გამო უზუნაესის მიმართ მოგვაკლდა სიცოცხლის ხე და სიამოვნება სამოთხეში. ეშმაკი დასაბამიდანვე განსაცდელში აგდებს განსაკუთრებით სუსტსა და მერყევი აზროვნების უგნურ ადამიანებს, რომელთა გონება დაბინდულია იმ დროიდან, რო-

\* I პეტრე, 5,8.



დესაც ისინი უწმინდურებაში შევიდნენ. დე, ნურც გაბრწყინებულა მათ მიმართ ქრისტეს შუქი. იმათ, თუმცა მოიშორეს ის ცდუნება, რითაც ძველთაგანვე მოტყუებულნი ეთაყვანებოდნენ კერპებს, მაგრამ ახლა [ეშმაკმა] მოინდომა მოეგო უგნურ ადამიანთა საშუალებით, რომლებიც უთანხმოებას თესენ ეკლესიაში ახლად შემოდებული უწმინდური წესებით. ამიტომაც ჩვენს შორის აღმოჩნდა ნესტორისა და მაქსიმეს ბოროტი „წვალების“ ახალი ფესვი უწმინდური ნერსესის სახით. ის სულიწმიდის მოწყალებით აღვანეთის სახლის წინამძღოლად დააყენეს, მაგრამ ცბიერებით რწმენის დამთრგუნველი და ჩვენი სულების მაცდუნებელი შეიქნა. მან თავისი ბილწი ხელებით მოსპო მაცხოვრებელი გარდამოცემანი ჩვენი მამების ქადაგებათა. რომელმა [მამებმაც] თავიანთი უცოდველი ხელით ის ჩვენს ეკლესიაში დააფუძნეს. მან გაანადგურა მართლმადიდებლური რწმენის ერთგული ეპისკოპოსები და მცნებათა დამცველები. ზოგიერთები ცილისწამებით გააძევა შორეულ ქვეყნებში, ხოლო ბევრიც მწუხარებით აავსო, რადგანაც დაანგრია ღირსეული ტახტი და შეაშფოთა მეუღაბნოეთა სავანეები. ასე გაფანტა მან ქრისტეს წმინდა სხეულის მოთაყვანე წევრები და სიონის შვილნი. ყველანი შეცდენილ იქნენ მოტყუებით. ჩვენი სიწმინდის ტაძარი შეიბილწა, როგორც იერემიას გოდებაშია: — შეწყდა ჩვენი სიწმინდის დიდება და ქვეყნის ოთხივე კუთხეში დაიფარფლა ჩვენი ქებათაქება\*. კურთხევას ვუთვლით ჩვენს მხსნელს — დემეტს, რომელმაც არ მისცა ძალა კაცობრიობის მტრებს საბოლოო წარმატებისათვის, არამედ შეგვიბრალა ჩვენ უძლურნი, შეიწყალა ჩვენი ხალხი და გამოგვიგზავნა ღვთის მადლით ღირსეული მამა ელია, — სომეხთა კათალიკოსი, კაცი წმინდა და მართალი, წმინდა გრიგორის ტახტის მფლობელი, ეპისკოპოსებთან და ვარდაპეტებთან ერთად, [აქ მოვიდნენ] სიმეონი — ხორხორუნთა ეპისკოპოსი, სარგისი — ამატუნთა ეპისკოპოსი, სარგისი — როსტაკთა ეპისკოპოსი, იოვანე ვარდაპეტისა და სხვა მრავალ მოწაფეთა თანხლებით. მოხვედით თქვენ ჩვენს დედაქალაქ პარტავში და ტკბილი მოძღვრებით აღკვეთეთ ბოროტი ჩვენს შორის. გავგახსენეთ ჩვენი წინაპრების ანდერძი, აღადგინეთ ჩვენი სამამამთავრო ტახტი წმინდა კაცის საშუალებით, რასაც ჩვენ ჭეშმარიტად ვამოწმებთ, ყველანი: სიმეონ აღვანეთის კათალიკოსი, იოვანე კაპალაკის ეპისკოპოსი, სიმეონ ჰოშის ეპისკოპოსი, საპაკ ამარასის ეპისკოპოსი, საპაკ მეწ კუენქის ეპისკოპოსი, სიწმინდის მოყვარული ქშიკი, ნერსიპრის მონასტრის წინამძღვარი მთელი თავისი ძმობით, რომლებიც გადაურჩნენ „წვალებას“. მონასტრის წინამძღვარი გიუტი, მონასტრის წინამძღვარი კატარი, მონასტრის წი-

\* შღრ. იერემია, 11,19.



ნამძღვარი ჰოვსეფი, დავით კალანკატუჯის ბერი, ტურაკერტის წინამძღვარი პეტროსი, ალაწობის წინამძღვარი პოლოსი, კიდევ ქრისტეს-მოყვარული ყველა აზატი, ალვანეთის ღვთისმშობლის მთავარი პეტრიკი შერო, ასევე ალვანეთის სპარაპეტი და იმხანი პატრიკი პატრიკი ვარდანი და მისი ძმა უფალი გაგიკი, ბაბი ჰრაპატეანთა ტომიდან, ვახტანგ ვარაზმანეანი, პატრიკი ქაროიანთა სამეფო ტომიდან, ვაჰანი — ვარაზ იოვანიანი, თეოდოროსი — ანასტასიანი, როსტომი — ვარაზ აქოიანი, ზარმირპი — ვარაზ ქურდაქეანის სამეფო ტომიდან, მაჰმატი — შეროიანი და სხვა მრავალი აზატი ჩვენი ქვეყნისა გაკურთხებთ და ერთობით ვღებულობთ სულით და ხორციით ჩვენს სამოციქულო რწმენას, რომელიც ადრე დაფუძნებული იყო წმინდა ელიშას მიერ, ხოლო შემდეგ განმტკიცებული წმინდა გრიგორისაგან და დღემდე არასოდეს არ შერყეულა.

როდესაც განსაცდელმა მოაღწია ჩვენამდე, ღმერთმა აღმოგვიჩინა შემწეობა წმინდა გრიგორის მონაცვლის საშუალებით, რომლის მართლმორწმუნეობის მოწაფენი ვართ და ვიქნებით. ელია სომეხთა კათალიკოსი გახდა სიმართლის მტრებზე შურისმაძიებელი და ახლა ჩვენ ყველანი ვწყველით ყველა „მწვალებელს“ — პირველებს, საშუალოებს და ბოლოდროინდლებს: ნომინოსსა და მის მოძღვარს არიოსს, ვალენტინოსს, აპოლინარს, მანის, მარკიონს, ეგტიქეს და ნესტორს, დიოდოროსს, თეოდორიტოსს, ქალკედონის კრებასა და ლეონის ტომარს მაქსიმოსსა და მის მოწაფეებს. მათთან ერთად შევაჩვენეთ ჩვენი საცოდავი ნერსესიც, რომელმაც სათნო ჰყო ორბუნიანთა „მწვალება“ და მისი მიმდევარნი. ჩვენ შევადგინეთ ეს საბუთი ღმერთისა და თქვენი სიწმინდის წინაშე, რათა ამის შემდეგ არავინ გაბედოს გადაუხვიოს ჩვენი მამების ნაანდერძევეს. ხოლო თუ გამოჩნდება ვინმე უტიფარი, რომელიც კვლავ შემოიტანს ჩვენში ახლ მოძღვრებას, ასევე შეჩვენებული იქნება წმინდა სამებისა და ჩვენი ძმობისაგან. ვერ მიიღებს ის სულიწმინდის მადლს და ვერ მიაღწევს აღთქმულ სასუფეველს. თუ ეპისკოპოსთაგანი იქნება ვინმე [შემბილწველი] — ღირსება ჩამოერთვას და ტახტიდან ჩამოგდებულ იქნას, თუ მღვდელი, — ასევე მოუვიდეს, თუ ვინმე ბერთაგანი, — შეჩვენდეს და განიდევნოს, ხოლო, თუ აზატთაგანი იყოს — ეკლესიიდან მოიკვეთოს და ამხანაგებში გარევა აეკრძალოს, ვიდრე მართლმადიდებლურ რწმენაზე არ შემობრუნდეს.

ჩვენ თავიდან დავაწესეთ აგრეთვე ალვანეთის კათალიკოსის ხელდასხმა, რადგანაც ბოლო ხანებში ჩვენმა კათალიკოსებმა დაარღვიეს ეპისკოპოსთა დადგენის წესი. გამოუტყდელიობით და უცოდინარობით ჩვენს ქვეყანაში განხეთქილებამ იჩინა თავი. ამიტომაც შევთანხმდით ღვთისა და თქვენი მამამთავრობის წინაშე, რომ ალვანეთის მღვდელმ-



თავრის კურთხევა წმინდა გრიგორის ტახტზე მოხდეს ჩვენი ქვეყნის თანხმობით, როგორც ეს ხდებოდა წმინდა გრიგორის დროს. რადგანაც ჩვენ თქვენიდან გავნათლდით, ჭეშმარიტად გვწამს, რომ ვისაც თქვენ აირჩევთ, ის სასურველი იქნება ღვთისათვისაც და ჩვენთვისაც. დე, ნუვინ გაბედავს ამ შეთანხმების დარღვევას და სხვანაირ მოქმედებას, ხოლო, თუ ვინმე დაარღვევს, — მისი ხელდასხმა გაუქმებულიად ჩაითვლება.

ისინი, რომლებიც ღვთის მოწიწობით შეასრულებენ ჩვენს დადგენილებას, კურთხეულ იქნებიან წმინდა სამებისა და ღვთის ყველა მართლმადიდებლურ მსახურთა მიერ, ხოლო, ვინც გადაუხვევს ამ ჭეშმარიტებას, ვინც არ უნდა იყოს, თვითონ აგოს პასუხი ღმრთის წინაშე.

ეს წიგნი დაწერილია უფლის შუამავლობით და თანხმობით, რათა რწმენა იყოს მტკიცე და შეურყეველი ჩვენს ორივე ხალხს შორის. დაიწერა 85 წელს ტაჭიკთა წელთაღრიცხვით, ხოლო სომხური 148 წელს ჰროტის<sup>115</sup> თვეში. ვამოწმებთ ჩვენის ნებით და იმათი ბეჭდით, რომელთა სახელებიც ზემოთაა მოხსენიებული“.

თ ა ვ ი IX

### სომეხთა კათალიკოსის ელიას შეთანხმების წიგნი ალვანელებთან

უთანხმობებანი, რომლებიც ალვანეთში მოხდა რწმენის გამო ურჯულო ნერსესიგან, მრავალთა სულელებში ქალკედონიტურ რწმენას აღვივებს და თავისი ცბიერი ბოროტებით საშიშროებას უქმნის ეპისკოპოსებს, მღვდლებსა და ბერებს. როდესაც ეს გავიგე მე, სომეხთა კათალიკოსმა ელიამ, ჩემს ეპისკოპოსებთან ერთად მოვედი ალვანეთში, დიდებულ ქალაქ პარტავში. ჩემთან შეიკრიბნენ სასულიერონი და საერონი და მაჩვენეს ის წიგნი, რომელიც უწინ ნერსესმა ალვანეთის საკათალიკოსოდან ჯერ ფიცით მიიღო, ხოლო შემდეგ მოიწორა. თუმცა მას ძალმომრეობით ეპყრა ტახტი, მაინც იმავე ეპისკოპოსებმა და ეკლესიის მთელმა დასმა ხელწერიტა და ბეჭდით ხელმოეორედ შეაჩვენეს ღვთისა და ჩვენი შუამავლობით და დაადგინეს: თავისი ნებით მტკიცედ დაიცავენ რწმენას და არ შეერევიან ქალკედონიტური რწმენისა და ბაკურის მოძღვრების მიმდევრებს. თუ ისინი შეასრულებენ ამ დაპირებას და წმინდა მამათა ანდერძს, მაშინ მიიღეთ თქვენს შორის და შეიყვარეთ, როგორც სულიერი მეთვალყურენი, ხოლო თუ ვინმე კათალიკოსი ან ეპისკოპოსი გადაუხვევს ამ შეთანხმებას, მაშინ მას აღარ უნდა ჰქონდეს უფლება მრევლზე. თქვენ კი დადებით თქვენს



ეკლესიაში და მუდამ დაუცხრომელი ლოცვა მიუძღვენით ღმერთს. უფალი იქნება თქვენი წინამძღოლი და [მასთან ერთად] მართლმადიდებელი ვარდაპეტები.

გაძლევთ ამ [წიგნს] თქვენი სიმშვიდისათვის სიწმინდის მოყვარულებს: ქმოკს — ნერსიმირპის მონასტრის წინამძღვარს და გრიგორს — ჰოვსეფის მონასტრის წინამძღვარს. მე, ელია სომეხთა კათალიკოსმა ჩემს ეპისკოპოსებთან ერთად მივიღე შემომტკიცების წიგნი ალვანელთა კრებულისაგან და მოგეცით თქვენ ეს შეთანხმების წერილი. დე, ნუვინ გაბედავს დადებული აღქმის დარღვევას. დაგბეჭდე ჩემი ბეჭდით ორივე წერილი და შესანახად გადავეცი სიწმინდის მოყვარულ ნერსიმირპის წინამძღვრის ქმოკს, როგორც სიმშვიდის პირობა.

თ ა ვ ი X

ალვანეთის ნახარამბის სია, რომელიც აბდალმელიქ ამირმუმინის საჭურისმა აიღო და სამეფო არქივში შეინახა

სულიწმიდის ეს აღსარება ვითხოვეთ წერილობით პარტავის კრებისაგან, რომელიც ქეშმარიტად გვამცნობს „წვალების“ საცთურის საშიშროებას და სულისმალხინებელ მოძღვართა უთანხმოებას. სიმაართლე შევიტყვეთ: მე, ალვანეთის მთავარმა შერომ, ალვანეთის სპარაპეტმა ჯუანქომ, ვარდენ პატრიკმა და მისმა ძმამ გავიკმა, ვახტანგ ვარაზმანეანმა, რომელთა წინაპარი იყო მამაცი ვარდანი მირჰაკანთა ტომიდან. [ეს ვარდანი] ალვანეთის მეფის ვაჩაგანის დროს დადგენილ იქნა ალუენის ტაძრის წინამძღოლად მეფის მიერ და გარდმანში დასახლდა, პატრიკმა ქაროიანთა სამეფო გვარიდან. ეს გვარი იმავე მეფის ვაჩაგანის ბრძანებით დასახლდა აღბერდის გავარში. მათი წინაპრები იყვნენ მამაცი ვაჩაგანი, ვაჩე და ისინი, რომელნიც რიგის მიხედვით მოხსენიებულნი არიან ჩვენს წიგნში, ბაბმა ჰრაპატანეანთაგან — ესენი ატრაპატაკანის იშხანები არიან და სახლობენ კაპალაკსა და კოლოთში; ვაჰანმა ვარაზ-იოვანიანმა — მალიანელთა გვარიდან, იაკობინელთა სარწმუნოებით. ესენი მოვიდნენ და კამბეჭანში დასახლდნენ; როსტომმა ვარაზ აქოიანმა, რომლებიც, სპარსეთიდან, სტაპრის გავარიდან მოსულნი უტის გავარში დასახლდნენ — დაბა კალანკატუიქში; ზარმირჰმა ვარაზ ქურდაკიანმა და მაჰმადმა შეროიანმა — ორივენი დღმანცის მფლობელთა შვილები არიან და სახლობენ მეფის ბოძებულ დღმაჰოლში — ალვანეთის ქვეყანაში.

ყველა ესენი ჩაწერილი იყვნენ აბდალმელიქ ამირმუმინის დივანში, იმისათვის, რომ თუ ვინმე მათგანი აღიარებდა ორბუნიანობას, სიკვდილით დაესაჯათ. ამგვარად, დამყარდა მშვიდობა ალვანეთის ყველა ეკლესიაში.



ალვანეთის კათალიკოსის უფალი სიმეონის კანონები  
მიღებული ნარსისის დამსოვის შემდეგ



ეს კანონმდებლობა მიიღო ალვანეთის კათალიკოსმა სიმეონმა მაშინ, როდესაც ტახტზე დაჯდა. იმ კრებაზე, რომელიც შედგა ნარსისის გამო, რათა მის მიერ შეცვლილი საეკლესიო წესები კვლავ აღედგინათ.

კეთილსმყოფელმა, კაცთმოყვარე და ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა თავისი მოწყალებითა და უდიდესი სიკეთით, აგრეთვე დიდი სიყვარულის გამო დაგვაყენა ჩვენ მწყემსად, მეთვალყურედ და წინამძღოლად თავის ბუნებით სამწყსოზე, რომელიც არის წმინდა და სამოციქულო ეკლესია. ქრისტემ გვიბოძა ჩვენ ეს ღვთიური პატივი არა კეთილმოქმედებისა და ღირსების გამო, არამედ თავისი დიდი გულმონწყალებით მოისურვა მადლი მოენიჭებინა ჩვენთვის. ქრისტე ლაპარაკობს ნეტარი მახარებლის სიტყვით: „ეკრძალენით უკუე თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოღუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა“\* აგრეთვე ამცნო უფალმა მოსეს მღვდელთა გამო და უთხრა, დაგაყენებ შენ ჩემი ხალხის მოთავედ და წინამძღოლად, რათა გაუფრთხილდე მათ და დაიცვა ჩვენი მცნებანი. იყავი მხნე, მამაცი და ნუ იმცონარებ\*\* მსგავსად ამისა, სხვადასხვა წინასწარმეტყველთა საშუალებით გვაფრთხილებს უფალი ჩვენ ადამის მოდგმას, „შენ, ძეო კაცისაო, ებგურად მიგეც შენ [სახლსა ისრაელისასა], და ისმინო პირისა ჩემისაგან სიტყუა, [და წინდაცვულ ჰყუნე იგინი ჩემ მიერ. თქუმასა შინა ჩემგან ცოდვილისასა, ცოდვილო სიკუდილით მოჰყუდე, და არა კრძალვა სცე ცოდვილსა], დაცვად უთნობა მოქცევად მისსა გზისაგან მისისა, ცხოვნებად ძიებად მისსა, უსჯულო იგი უსჯულოებითა მისითა მოკუდეს, ხოლო სისხლი მისი ჯელისაგან შენისა გამოვიძიო“\*\*\* ამგვარად, ჩვენის ნებით, ანდა ძალით კი არ ავიღეთ ეს უფლება, პატივი და სამოციქულო ტახტი, არამედ შემოქმედმა და ყოვლისა დამფუძნებელმა ღმერთმა გაგვამწყსა ამ ადგილას, რათა ვმწყემსოთ ხალხი მისივე სურვილით. ამისათვის ჩემო საყვარელო და ღირსეულო ძმებო, ქრისტეს რჩეულო მოწაფეებო და მის მცნებათა ჭეშმარიტო მსახურნო, ჯერ არს, რომ ღმერთს მივუზღოთ კეთილი და ტკბილი ნაყოფი მის საამებლად და

\* საქმე მოციქულთა, 20, 28.

\*\* შტრ. მსაჯულთა 11, 11.

\*\*\* ეზიკიელ 33,7



აღვაშენოთ სამოციქულო ფუძე, ანუ იესო ქრისტეზე ოქროს, ვერცხლის, პატიოსანი თვლების სხვადასხვაგვარი კეთილმოქმედება და ყოველივე სიკეთე, რათა ჩვენი მხსნელის — ღმრთის გამოჩენის დროს მივიღოთ მისგან უჭკნობი დიდების გვირგვინი.

ახლა სულნიშნის მადლით და მისი მცნებით, როგორც გვიბრძანა ჩვენ უფალმა წინასწარმეტყველთა, მოციქულთა და მოძღვართა საშუალებით, ვალდებული ვართ ჯერ გვიყვარდეს ღმერთი და მთელი გულით დავიცვათ მისი მცნება, ის, რაც მივიღეთ ჩვენ ჰეშმარიტ და ღვთიურ მამათაგან. შეურყევლად და მტკიცედ შეინახეთ ეკლესიათა წმინდა წესები უწმინდესი მღვდლებისა და მსახურთა საშუალებით. გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც საკუთარი თავი, ერთსულოვნებით იცხოვრეთ რწმენის კანონების თანახმად. ნუ დავუშვებთ და ნებას ნუ მისცემთ უღირსებს და სამხედრო პირთ უფლება იქონიონ ეკლესიის მიმართ, ნურც უკანონოდ შობილებს, ნურც მრუშებს, ნურც მკვლელებს, ნურც ქურდებს, ნურც მატყუარებს და ცრუ მოფიცრებს, ნურც მოძალადეებსა და შურიანებს, ნურც ძუნწებს და სრულიად არ დაუშვათ მოლაშქრე მხედრები და მეზვერენი; დე, ნუვინ გაბედავს მინიჭოს მათ საეკლესიო უფლებანი, ნუვინ მისცემს მათ პურსა და ნურც სხვა შემოსავალს, რადგანაც ღვთიური კანონების მიხედვით, ის, რაც ხალხს მიაქვს ღვთის სახლში თავისი ცოდვებისათვის, უნდა მოიხმარონ მხოლოდ წმინდა მღვდლებმა და ტრაპეზის მსახურებმა. ეს არის მათი შემოსავალი. ისინი დღედაღამ შესთხოვენ ღმერთს ქვეყნის სიმშვიდეს, ცოდვების მიტევებასა და სულისა და ხორცის სიმართელეს. ხოლო უღირსებსა და მეომრებს არ მართებთ ჰქონდეთ უფლება ეკლესიაზე, რათა არ მოიწიონ რისხვა ქვეყანაზე და თავიანთ მიმართ. როდესაც დიდებათა უფალი ამცნობდა მოსეს კარვის შესახებ, ეუბნებოდა: „ამოირჩიე წმინდა და უბიწო მღვდლები ნათესავნი ლევისნი და არა ისრაელთა სხვა ტომებიდან — სამხედროთაგან ან ვინმე გამვლელ უღირსთაგან“\*. როგორც კანონები ამბობენ: „დე, ნუ გაბედავს უღირსი დადგეს ჩემი ტრაპეზის წინ და მისი შემოსავალი ჭამოს“\*\*.

სამღვდლონი, რომელნიც უღირს ცხოვრებას ეწევიან, გაძევებულ იქნენ და მოიკვეთონ სამწყსოდან. უბრალო ხალხთაგან ნურავინ მიუახლოვდება ნურც მათ სამსახურს, ნურც მათ წესებს და ნურც ასეთ მღვდელთა სამყოფელს. ხოლო, თუ ვინმე წინააღმდეგობას გასწევს, სიკვდილით დაისაჯოს როგორც კორხი, დადანი და აბირონი<sup>116</sup>, რომელნიც ჩაიძირნენ; ანდა როგორც ოზია<sup>117</sup> და სხვანი მრავალნი,

\* შდრ. რიცხვათა, 3,6.

\*\* შდრ. რიცხვათა 18,7.



რომლებმაც თავიანთი წესის გარეშე შებედეს თავიანი ეცათ ღმრთისათვის. მაგალითისათვის გამოდგება კარავი და ახალი აღთქმის წმინდა ეკლესიის ძმობის მღვდლები, რომლებთანაც მისვლას ვერ გაბედავენ უღირსნი და მეომარნი. იგივე ბრძანება კიდევ უფრო განამტკიცეს მოციქულებმა თანახმად მაცხოვრისა, რომელიც ამბობს: „სულიწმინდამ და ჩვენ სათნო გყავით ასე დაგვედგინა, სამხედრონი და უღირსნი არ უნდა გაკადნიერდნენ ეკლესიაზე უფლების მოსაპოვებლად, ხოლო თუ გაკადნიერდებიან, — შეჩვენდნენ“. ასევე დაადასტურეს ჩვენმა ნეტარმა მამებმაც: — „ნურავინ გაბედავს ღვთის ეკლესია ხელთ მისცეს უღირსებსა და სამხედროებს, ანდა გაყიდოს როგორც საქონელი და გააჩუქოს დიდებულებსა და მათ ლალებზე. ასევე მღვდლებიც ნუ იკადრებენ შემოსავალი ან პური გაიღონ უღირსი ძმებისა და შეიღებისათვის და ნურც გაკადნიერდებიან გაყიდონ საეკლესიო მემკვიდრეობა. ხოლო თუ მღვდლები ან მათი ძმები და შეიღები უღირსად მიიჩნევიან, მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმევათ. ვინც წინააღმდეგობა გასწიოს, — შეჩვენდეს“.

ეს კანონები ჩვენ ღმრთისა და მის მცნებათაგან გვაქვს. ამიტომ მართებული არ იქნება ღმრთის საწინააღმდეგო მოქმედება. ეს კანონები, რაც ეკლესიათა მიმართ მივიღეთ, ჰქონდეს მთელ ქვეყანასაც, როდესაც ვინმე გაყიდის საკუთარ სოფელს, შეთანხმებაში დაწეროს, თუ რომელი მიწა რომელ ეკლესიას ეკუთვნის, რადგანაც ღვთის ეკლესიები თავისუფალნი არიან და არავის არ ექვემდებარებიან, გარდა მხოლოდ ეპისკოპოსებისა და პატიოსანი, ჭეშმარიტად წმინდა მღვდლებისა. უღირს მეომრებს კი [სრულიად] — არა.

ამის შემდეგ ნურავინ გაბედავს იმის გაკეთებას, რაც ღვთის მცნებებს ეწინააღმდეგება და დამღუპველია როგორც სულისათვის, ასევე ხორცისათვისაც, რათა ეკლესიის თავისუფლება უღირსთა ხელში არ მოხვდეს. მე ხშირად ვისმენ საყვედურს იმის შესახებ, რომ ბევრ ადგილას ღვთის ეკლესიაში ბერად ჰყავთ მეომრები, რომლებიც თავიანთი ბოროტი საქმეებით ღირსნი არ არიან შევიდნენ ეკლესიაში, არამცთუ საეკლესიო მოსავალი და პური ჭამონ.

ნერსისიძის მონასტრის წინამძღვარი წმინდად აღზრდილი მამა ქმიკი წერს, რომ აღვანეთის მთავარმა ვარაზ-თრდატმა მისცა წმინდა ჯვარს სამსახურისათვის პატარა სოფელი თავისი სულის საცხონებლად. ხოლო ახლა ვინმე ფუსან ვეჰმა, — მოხეტიალე მხედარმა, რომელიც ადვირახსნილ ცხოვრებას ეწევა, წარმოადგინა ხელწერილი იმის შესახებ, თითქოს აღვანეთის მთავარმა უბოძა მას ეს ეკლესია მონასტრითურთ მისი დამსახურების გამო. ამისათვის საყვარელნო, ეს წესები ძალაში შევლენ და იქნებიან შემდეგშიც. შესაბამისად ამისა



ეკლესია არ მიეკუთვნება ფუსან ვეჰს, არამედ სულიწმიდის ბრძანებით ეკლესიაზე უფლებას მოიპოვებენ უმწიკლო და წმინდა მღვდლები.


ამგვარად, მე სიმეონი, ღვთის წყალობით აღვანეთის კათალიკოსი, ღმრთის მითითებით და მისივე კანონებით ამგვარად ვბრძანებ: ღვთიური ეკლესიის საქმეები მღვდლებმა განაგონ. მეომრებსა და სამოქალაქო პირებს ნუ ექნებათ უფლება ეკლესიაზე. არ აიღონ შეწირულებანი მოძალადეობით. ხოლო, თუ ვინმე წინააღმდეგობას გასწევს, ღმრთისაგან და ჩვენგან დაისაჯოს. თუ ვინმე წარმოდგენს წიგნს ეკლესიისათვის საერთო წესების მიხედვით და არა ღმრთის მცნებებისა და კანონების საფუძველზე, ის უსამართლოდ მიიჩნევა და არ დამტკიცდება. ამიტომ არც არავინ უნდა მიიღოს ეს წესები. ღმერთმა უბრძანა ეპისკოპოსებსა და მღვდლებს წმინდა ეკლესიაზე ზრუნვა და არა უღირს ადამიანებს, — მეომრებსა და მხედრებს.

ახლა თქვენც საყვარელო ძმანო, ურთიერთთანამოსაყდრე ეპისკოპოსებო, თითოეულმა თავის სამწყსოში დაიცავით ღვთიურ კანონთა ეს რიგი, ნუ მისცემთ უფლებას შეაფიწროვონ ღვთის ეკლესია და დაიმონონ მღვდლები, რათა შევირიგოთ ღმერთი, რომ მოწყალებით გვიხსნას ყოველგვარი ვასაჭირისაგან. უფალი ამბობს: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძალთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღოროთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერჯითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“\*. ასე მოხდა კიდევ და ღმერთმა უწოდა „წმინდათა წმინდა“ იმავე უბიწო მღვდლებს. ამიტომ თქვენც ასე უნდა უწოდოთ მხოლოდ უმწიკლოებს და არა უღირს მოქალაქეებსა და სამხედროებს.

გამცნებთ ყველას, გახსოვდეთ ღმრთის მცნებანი და დაუსრულებელი მადლი შესწირეთ მოწყალე უფალს, რომელმაც პასუხი მოსთხოვა ორბუნებიან ნერსესს, მოსპო ჩვენში განხეთქილება და სიმშვიდის ფესვი დანერგა ჩვენს ეკლესიაში. ფხიზლად ადევნეთ თვალი ეკლესიათა საჭირო საქმეებს, რადგანაც ჩვენ ყველანი უნდა წარვდგეთ ქრისტეს საშინელი სამსჯავროს წინაშე და ანგარიში წარვუდგინოთ ხალხისა და ჩვენს შესახებ. კვლავ გვედრებით და გეუბნებით, იყავით ფრთხილად, სულიწმიდა იქნება თქვენთან, ამინ!

\* მათე 7,6





ალვანეთის მთავარს ვადაზ-თრდატს ხარკს სთხოვენ. ის კი ფრთხილად საბერძნეთში, იმ მძიმვლად ტოვებს თავის უფილვეს საფოტოლოში გრუნდვას. სიგომონ [კათალიკოსის] უმადვამ მიძაველი იკავებს ალვანეთის ტახტს

როდესაც სრულიად მოისპო მეფობა სპარსეთში და ტაჭიკები გაძლიერდნენ, უფრო მეტად გაიზარდა ქვეყნის გადასახადი, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის გავარებში. მთავარი ვარაზ-თრდატი ხარკს უხდიდა სამ ხალხს — ხაზარებს, ტაჭიკებსა და ბერძნებს. რადგანაც უმეტეს შევიწროვებას ბერძენთაგან განიცდიდა, ამიტომ ის თავისი შვილებითურთ მათ სატახტო ქალაქისაკენ გაემგზავრა. იქ დაყოვნებული იქნა კეისრის მიერ. მან დაუტოვა თავისი შვილები მძევლებად, თვითონაც დასნეულებული იქვე დარჩა. ამბობენ, რომ იმ ქვეყნის ჰაერი საზიანოა. თუ უცხოელი გაზაფხულის დღეებში იქ მივა, მაშინვე ავად გახდება და თმა და წვერი გასცვივა.

ვარაზ-თრდატის შემდგომ იქ ყოფნის პერიოდში, ერთ დღეს ბერძენთა მეფემ დაიწყო პატიოსან თვალთა გადარჩევა. მოუხმო ალვანეთის მთავარს და აჩვენა ისინი. [ვარაზ-თრდატმა] ეშმაკურად უთხრა: ჩემს სახლში უკეთესი თვლები მოიპოვება, ვიდრე ესენია. მე მოგართმევთ მათ თქვენ, ღვთივგვირგვინოსან უფალს, თუკი შესაფერისი იქნება. ეს იყო მთავრის საბერძნეთში ყოფნის მეხუთე წელი. ამ საქმით, ღვთის დახმარებით განთავისუფლდა და მოაღწია თავის ქვეყანას. ამის შემდეგ ჩვენი აღმოსავლეთის მხარე გადასცა ტაჭიკებს და მხოლოდ მათ უხდიდა ხარკს.

ვარაზ-თრდატის დროს ალვანეთის საზღვრებში დაიწყო აუტანელი შიმშილობა, რის შესახებაც ზოგიერთები არაკად ყვებიან: „მე, ფეტვი შაქაშენის გავარში დაფარული ვიყავი ადგილ კაკუში. ჩემს წინ მიმოდინდა მრავალი მყიდველი, მაგრამ ვერ მპოულობდნენ, ჩემი ძმა შიმშილი მბრძანებლობდა. ბოლოს დადგა კეთილი დრო-ყამი და აი, მიპოვეს მთავრის ვარაზ-თრდატისა და კათალიკოს ელიაზარის სუფრაზე. მაგრამ, რომლებმაც შემჭამეს, სისხლი ანთხიეს, ბრალს ნუ დამდებთ“.

ვარაზ-თრდატის შვილებმა გაგიკმა და ვარდანმა, რომლებიც საბერძნეთში მძევლებად იყვნენ, მეფის განრისხების გამო თორმეტი წელი საპყრობილეში გაატარეს. ამის მიზეზი გახდა მათი მამის მიერ აღმოსავლეთის ქვეყანაში ტაჭიკების გაბატონება. ბერძენთა მეფის იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ, ვამეფდა ვარდან ფილიპიკოსი, რომელიც სომეხთა დიდებულთაგანი იყო. მას გაახსენდა ბნელ სატუსალოში დატყვევებულნი და ბრძანა გაეთავისუფლებინათ ისინი აუ-



ტანელი ტანჯვისაგან. მათი თვალთა მზერა ბნელით იყო მოცული. ამის გამო ნელ-ნელა გამოიყვანეს შუქზე, მეფემ საბოძვარი მისცა და თავიანთი ქვეყნისაკენ გაისტუმრა. გაგიკს უწყალობა ცხოველყოფელი ჯვრის ნაწილი — ქვეყნიერების შუქი. როდესაც საშშობლოში შივიდა, გაგიკმა ეს უდიდესი საჩუქარი ალვანეთის კათალიკოსს მიქაელს უბოძა.

მათ აღმართეს უფლის ნიშანი, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა: „ქრისტე ღმერთო, გაიხსენე შენი ნებაყოფლობითი ტანჯვანი ამ ჯვარზე ჩვენი ხსნის გამო. მიიღე ეს ნიშანი, რომელიც შენ შენს მოშიშართ მოგვეცი. მიუტევე ცოდვანი ალვანეთის კათალიკოსს მიქაელს, შეიწყალე ჩვენი ქვეყანა, დაიხსენი ყველა უბედურებისაგან, რათა შენი მოსვლის დღეს ღირსეულად დაგიდგეთ მარჯვნივ. აგრეთვე გვედრები მონისა გაგიკისათვის, მისი და მარიამისა და დიდი ოქრომჭედლის ვარაზოსათვის“.

### თავი XIII

ალვანეთის კათალიკოსი მიქაელი კრებას იწვევს, რათა დაუშალოს ნათესავებს ერთმანეთში დაჰორწინება

ალვანეთის მღვდელმთავრის ტახტზე სიმეონს შეენაცვლა ნეტარი მიქაელი, რომელიც განაგებდა ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე. მის დროს დაქორწინდა ალვანეთის მთავარი ვარაზო, ეს იყო ვახტანგის ძე და ვარაზმანის შვილიშვილი. მან შეირთო ამავე [ვარაზმანის] შვილიშვილი ვარდანუჰი. უფალმა მიქაელმა მოინდომა მათი გაყრა და უთხრა, „როგორ გაბედეთ, თქვენ ხომ [ერთი კაცის] შვილიშვილები ხართო“. მაგრამ ვარაზომ დამლუპველი რამ განიზრახა, შეუთვალა ქართველთა კათალიკოს თალილეს ეკურთხებინა მისი უკანონო ქორწინება. მან კი, სხვა რწმენის კაცმა, ასე ბრძანა: „თუ თქვენ ჩემი აღთქმისა ხართ, კურთხეულ იყავით, ხოლო, თუ ალვანთა გარდამოცემისა ხართ, თქვენ იცით!“

მაშინ ალვანეთის მამამთავარმა მიქაელმა მოიწვია თავისი ეკლესიის კრება და მოუხმო სახელოვან კაცს სოლომონს, რომელიც მაქენელთა<sup>118</sup> წმინდა ძმობის წინამძღვარი იყო და იმ დროს სომხეთის სიამაყე. შეკრიბა ისინი შამქორს, — ბერდის მონასტერში და ერთმანდ შეაჩვენეს ვარაზოს სახლი, იმავე დროს დაეწივნენ მას ტაჭიკები, დედის მკლავებში მახვილით განუგმირეს ერთი შვილი, ხოლო მეორე, — ცხენმა ათრია და ისიც მოკვდა.

შეკრებილებმა წერილი გაუგზავნეს ქართველთა ეპისკოპოსს თალილეს: „როგორ გაკადნიერდი და ნება მიეცი დაერღვია ის, რაც და-



კანონებულისა წმინდა მოციქულთა მოწაფეთაგან, რომლებიც ანტიოქიაში შეიკრიბნენ და გააძევეს პავლე სამოსატელი წმინდა ეკლესიიდან. მათ განსაზღვრეს კანონიკური წესები, რათა არავის გაეზღაწათესავის ცოლად შერთვა. წმინდა ათანასეს კანონიკური ბრძანება ამბობს, რომ „ეს ქორწინება კი არ არის, — არამედ გარყვნილებაა“. ამასვე იმეორებს ნეტარი ბასილი ამ საქმის შესახებ.

ახლა, ჩვენ, მართლმადიდებელთა კრებამ, შეგაჩვენეთ შენ ყველა მწვალებლებთან ერთად. მრავალ დიდებას ვუძღვნით მართლმსაჯულ ქრისტეს.

#### თ ა ზ ი X I V

ალვანეთის კათალიკოსის, იმავი მიქაელის გამოძიება ზაქარიას ღაფუნჯაბის გამო. მაცხოვრის შობა და მისი განცხადება ორბუნევიანთა წინააღმდეგ

მოსემ დაწესა დღესასწაულები ისრაელთათვის: თშრინის<sup>119</sup>, ანუ მეშვიდე თვის პირველი დღე დაადგინა საყვირთა დღესასწაულად,\* ზოლო მეთხუთმეტე დღე კარავთა დღესასწაულად.\*\* მეჩვიდმეტე დღეს დამუნჯდა ზაქარია და იმავე თშრინის თვის 22-მდე ასე იყო. შემდეგ წავიდა თავის სახლში. მისმა ცოლმა ელისაბედმა მუცლად იღო, როგორც ლუკა მახარობელი ამბობს: „და იფარვიდა თავსა თვისა ხუთ თთუე... და თთუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ:“\*\*\*

ახლა ვნახოთ რომელი იქნება ეს მეექვსე თვე. ჩვენ ვიხილეთ კალენდარი და აღმოვაჩინეთ, რომ თშრინის თვის 22, ბერძენთათვის 9 ოქტომბერია. ამრიგად, თვლას დავიწყებთ 10 რიცხვიდან. ექვსი თვე შესრულდება 7 აპრილს. ეს იქნება ანგელოზის გამოჩენის დრო — მეექვსე თვე. ებრაელების ნისანის<sup>120</sup> 17 რიცხვი ქალწულის ხარების დღეა. აქედან დაწყებული 5 იანვრამდე ორას სამოცდაათი დღეა, ანუ — ცხრა თვე. ამ დროს დაიბადა ქრისტე. ამის შესახებ გვაქვს აგრეთვე მოძღვართა გადმოცემები: დაბადებას, განცხადებას და ხარებას ეკლესია ერთ დღეს დღესასწაულობს, რადგანაც ღვთის დაბადება და ჩვენი სულიერი ხსნა ერთ დღესასწაულად სრულდება. როგორც ერთმა ღვთისწიერმა მოძღვარმა თქვა, „ერთ სიტყვაში ჩვენ სამი დაბადება ვიციით, — პირველი შთაბერვით, მეორე — განხორციელებითა და ნათლისღებით, ხოლო მესამე — აღდგომით.

\* ლევიტ. 23, 23;

\*\* ლევიტ. 23, 32.

\*\*\* ლუკა, 1, 24, 26;



ასევე იერუსალიმის პატრიარქი მარკოზი, რომელიც ერთი ნიკეელი მამათაგანი იყო, თავის დამრიგებლურ წერილში სომეხთადმი, ნათლობის შესახებ წერდა, ჩვენ ერთ დღეს ვდღესასწაულობთ შობას და ნათლობასო. როგორც სიკვდილი და დაკრძალვა სრულყოფილი არ არის ადღგომის გარეშე და როგორც სახარება პირველად მიუთითებს ჯვარსა და დაკრძალვაზე, ხოლო შემდეგ — ადღგომაზე, ასევე ასრულებს ხსნასაც. შემდეგ ლაპარაკობს ღვთისმეტყველი: „ახლა ღვთის გამოჩენის დღესასწაულია, რამეთუ უფალი თავისი დაბადებით კაცად მოგვევლინა“. იერუსალიმის ორმოცდარი ეპისკოპოსი კირილემდე და მათ შემდეგ სხვებიც, შობისა და გამოჩენის დღესასწაულს ასრულებდნენ იანვრის 6-ში — იობნალიოსამდე, ხოლო ადღგომიდან იობნალიოსამდე ოთხასი წელია.

შემდეგ, დავითისა და იაკობის საკითხაეებში ნათქვამია, ზოგიერთ ქალაქში ქრისტეს შობას დღესასწაულობენ 25 დეკემბერსო. ამის შესახებ სხვა ქალაქებში ამბობენ, რომ ასე სწამთ იმათ, რომლებმაც რწმენა წარმართობის შემდეგ მიიღეს და არა წინდაცვეთის შემდეგო. წარმართებს ჩვეულებად ჰქონდათ ედღესასწაულათ მზის დაბადება ამ დღეს. ამიტომ არ მოისურვებს ამ დღესასწაულის გაუქმება. მოციქულები იძულებულნი იყვნენ დათანხმებოდნენ მათ და ქრისტეს შობის დღესასწაულიც ამ დღეს დააწესეს. ხოლო ისინი, რომლებიც მოიქცნენ წინდაცვეთიდან, ყველგან 6 იანვარს დღესასწაულობენ. ასე გადმოგვცემენ ჩვენი წინაპრები და ასევე არის ახლაც. როგორც ამბობენ: „სიონით გამოვიდეს შჯული და სიტყუა უფლისაჲ იერუსალმით“\*.

## თ ა ვ ი X V

იმის შესახებ, თუ რა მოვლენებს ჰქონდათ აღგილი ჰირაკლეს შვილისა და შვილიშვილის დროს

ძლევა მოსილმა ბერძენთა მეფე ჰერაკლემ არა ერთი ომი გადაიხადა და ქვეყნად მამაცი სხელი დაიმკვიდრა. მის შემდეგ ბერძენთა მეფედ დაჯდა მისი შვილი კონსტანტინე. [მეფობდა] სამ წელიწადს. მის დროს ტაჭიკებმა დაიპყრეს ასურეთი და წმინდა ქალაქ იერუსალიმის ეკლესიები მოხარკედ გაიხადეს. ეს მოხდა სომხური წელთაღრიცხვით 80 წელს. [კონსტანტინეს] შვილი კოსტასი მართავდა ოცდაცხრა წელს. მისი მეფობის მეხუთე წელს ტაჭიკეთში ომი იყო, ხოლო მეექვსე

\* ესაია, 2,3



წელს ტაჭიკები სომხეთში მოვიდნენ და დვინი აიღეს. ოცდაათხუთ-  
მეტი ათასი კაცი დაატყვევეს. მისივე მეფობის მეცხრამეტე წელს სომ-  
ხეთის კათალიკოსად დაჯდა უფალი ნერსესი. [მართავდა] ოცწელი-  
წადს. ამ დროს იყო სომხური წელთაღრიცხვის 111 წელი. [უფალი  
ნერსესი] კოსტასის მამობილი იყო. მან ქალაქელაშტში<sup>121</sup> სამწყსო-  
სათვისაც ააშენა ბრწყინვალე ეკლესია განძითურთ წმინდა გრიგორის  
სახელზე. ეკლესიის კურთხევის დღესასწაულზე მოიწვია ბერძენთა მე-  
ფე, რომელიც მეტად გააოცა შენობით. მან უბრძანა მშენებლებს თან  
გაჰყოლოდნენ, რათა ასეთივე აეშენებინათ სასახლესთანაც. მაგრამ  
[მეფე კოსტასს] აღარ დასცალდა შინ მისვლა, რადგანაც ვზაში ვარ-  
დაიცვალა.

## თავი XVI

მაჰმად II მიღის სომხეთში, იმორჩილებს მას, იძიდან  
მიიჩქარის ალვანეთში, შეღის ჩორის კარში, აქ გებულობს  
სომხეთს ამგონების შესახებ, კვლავ უკან ბრუნდება,  
იმორჩილებს სივანის ტბის კუნძულს, ანადგურებს სომხეთს  
და ბერძენთა ჯარებს, თან მიჰყავს ზოგიერთი იუზხანი, ჴვავს  
მათ ნახიჯავანში. იძიდან მიღის ასურეთში, სადაც მიიმი  
ტანჯვით ილჰავა. აქვია სხვა მნიშვნელოვანი ამბები

სომხური წელთაღრიცხვის 146 წელს სომხეთში მოვიდა მაჰმად  
II და სწრაფად გაეშურა ალვანთა ქვეყნისაკენ, შევიდა ჩორში. მაგ-  
რამ ამ დროს სომხები აჯანყდნენ, დაატყვევეს ტაჭიკები დვინში, მოი-  
ყვანეს დიდი ჯარი საბერძნეთიდან და სამოცდაორი ტაჭიკი მოკლეს.  
ამავე წელს არსებობა შეწყვიტა წმინდა გრიგორის საგვარეულომ.  
დაბრუნდა მაჰმადი ჩორიდან, ალყა შემოარტყა ციხეს სეგანის ტბის  
კუნძულზე [და ასე იდგა] სამი წლის განმავლობაში. შემდეგ ალო-  
ის და ხმლით მოსპო, ვინც მასში იბოვა. იქიდან წამოვიდა სომხეთ-  
ში, დაამარცხა სომეხთა და ბერძენთა ჯარები, ხოლო რომელთა შე-  
პყრობაც ვერ შეძლო, მათზე დიდი ფიცით იმოქმედა. ეშმაკობითა და  
ცბიერებით სომეხთა ყველა თავკაცი თავისთან შეკრიბა. შემდეგ წაიყ-  
ვანა ისინი ქალაქ ნახიჯევანში, რვაასი კაცი ეკლესიაში დაამწყვდია  
და ცოცხლად დაწვა. ასევე დაწვა ხრამში ოთხასი კაცი, ხოლო გადარ-  
ჩენილები ხმლით დახოცა. მათი დაღუპვის მიზეზი თვითონ მათივე  
იყო, რადგანაც საერთოდ ყველა მოიცვა მცდარმა სულმა — სიძულ-  
ვილით დასცინოდნენ მამამთავრებს, მღვდლებს და მორწმუნეებს,  
თავს აბეზრებდნენ და ავიწროვებდნენ მათ. სომხებმა, თუმცა კი გა-  
დაიტანეს ეს დიდი დარტყმები, მაგრამ მაჰმადსაც [უწია ცოდვამ]. რო-





დესაც მან ასურეთს მიადგინა, მძიმე უკურნებელმა დაავადებამ შეიპყრო, შვიდი თვე მომაკვდავი იყო. ბოლოს ძლივძლივობით ამოძვრასული და მოისპო. სამჯერ დასაფლავეს, მაგრამ მიწამ არ მიიღო მისი სხეული, ყოველთვის ზევით ვარდებოდა. მაშინ დაიჭირეს ძალი, შამფურზე შეწვეს მაჰმადთან ერთად და მხოლოდ ამის შემდეგ დაფარა მიწამ ბოროტი.

მერე ალვანთა მთავარი შერო დიდებულებთან ერთად წაიყვანეს ტარონში, იქიდან კი — ასურეთში. ეს მოხდა სომხური წელთაღრიცხვით 153 წელს. მეორე წელს ასურეთში წაიყვანეს შირაქის მმართველი, ხოლო ორი წლის შემდეგ ტატიკთა იშხანი მრუანი წავიდა ალანში, მაგრამ ვერ შეძლო შიგ შესვლა. [ამ დრო] გამოვიდა ხაზართა უფალი ოთხმოციასათასიანი ჯარით და დაიპყრო ალვანეთი. ეს მოხდა სომხური წელთაღრიცხვით 158 წელს.

თ ა ზ ი XVII

ტატიკთა მთავრის აბდალ აზიზის მოსვლა ალვანეთის დედამამუხში. ორი ძმის მანკიკისა და მირდაზატის საქმეების შესახებ

ორი წლის შემდეგ, სომხური წელთაღრიცხვით 160 წელს მოვიდა არაბთა მთავარი აბდალ-აზიზი ალვანეთში და დაჯდა პარტავში. მასთან მოიყვანეს ორი ძმა: მანკიკი და მირდაზატი, რომელნიც აზატთა ტომიდან იყვნენ. ისინი მიძმედ და მრავალნაირად აწამეს ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. ნეტარმა მანკინმა მოწამეობრივი სახელი დაიმკვიდრა. მისი ძვირფასი ნაწილები პარტავის წმინდა გრიგორის ეკლესიაში დაასვენეს.

მისმა ძმამ მირდაზატმა ვერ გაუძლო სატანჯველს და დიდძალ შეკრებილთა წინაშე უარყო ქრისტე ღმერთი. მაგრამ შემდეგ მოიწინა მწარე და უხვი ცრემლებით და შეიირიგა ის, ვინც განარისხა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე განწმენდის ემბაზში მონანიების ცრემლსა ღვრიდა და შებილწულს განიბანდა. გულის სიღრმიდან კვნესა-ვაებას აწვდენდა სულის მესაიდუმლეს, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე უნუგემო მდგომარეობაში დარჩა. მოწყალე ღმერთმა მაინც მიიღო ის მოწამეთა შორის, ხოლო მისი სიკვდილის დროს საკვირველი სასწაული მოახდინა. იმავე წელს აბდალ აზიზი გადავიდა მდინარე მტკვარზე.

სამი წლის შემდეგ მოვიდა მსლიმანი, ააოხრა დარუბანდი და შევიდა ხაზართში, მაგრამ ვეღარ შეძლო იქიდან გამოსვლა. მან დატოვა თავისი ბანაკი მთელი ქონებით, აგრეთვე მიატოვა უკანა რაზმ-



ში ჰარამხანაც. შემდეგ [წამოვიდა] და თან გამოიყოლა თავის ჯართან ერთად ალვანეთის მთავარი პატრიკი ერანშაჰიკ ვაჩაგანი, — მამაცი და ძლიერი კაცი, მარჯვედ მსროლელი. მათ დაედევნენ ხაზარები; მაგრამ დამარცხდნენ და უკანვე გაიქცნენ. ასე გადარჩა მსლიმანი და ქართველთა ქვეყანაში გადავიდა.

სომხური წელთაღრიცხვით 174 წელს ზაფხულში საქონლის სიკვდილიანობა იყო. ზამთარში კი ჩაატარეს აღწერა, რამაც გამოიწვია ადამიანის, პირუტყვისა და ქვეყნის საზღვრების მონობის უღელში მოქცევა. ამ დროს ამეთედულებმა მოკლეს ალვანეთის მთავარი ჯუანშირი. ამავე წელს გარდაიცვალა სომეხთა იშხანი სმბატი. სომხური წელთაღრიცხვით 175 წელს საშინელი შიმშილობა დაიწყო. სამი წლის შემდეგ ჯარაჰი მეორედ შევიდა აფხაზეთში, ხოლო იქიდან ხაზარეთში გადავიდა. მეორე წელს გამოვიდა ხაზართა უფლისწული, მოკლა ჯარაჰი და ტყვედ იგდო ძაგიკი.

სომხური წელთაღრიცხვით 180 წელს კვლავ ააშენა მსლიმანმა დარუბანდი ტაჭიკთა ხელით. მას არ დაუნგრევია ალვანეთის საპატრიარქო სასახლე, რომელიც დღემდე დგას იქ.

## თავი XVIII

სივნიეთის ეპისკოპოსი სტეფანოზი მიღის საბერძნეთში. მოაქვს წიგნები, რომლებიც არ მოიპოვება აღმოსავლეთში. მისი ბარდაცვალება და ღმრთის მიერ მოვლენილი სასჯალი

ამ დროს ცხოვრობდა სტეფანოს სიენეცი, რომელიც ჯერ კიდევ ყრმობიდანვე გამოცდილი და დახელოვნებული იყო ძველთაძველ წიგნებში. მას მოუხდა შეკამათება სომხეთის ასპეტი\* ორბუნებიან სუმბატთან, მაგრამ საბერძნეთში წასვლის გამო ვერ მოასწრო მისი [ერთბუნებიანობაზე] მოქცევა. იქ იბოვა ერთი მართლმადიდებელი მეუღაბნოე, დაბინავდა მასთან და დაიწყო სწავლა. ორბუნებიანმა სუმბატმა კი მისწერა საბერძნეთის მეფეს, მწვალებელი სტეფანოზი აქედან წამოვიდა და ამა და ამ მეუღაბნოესთან დაბინავდაო. დიდად განრისხებულმა მეფემ იხმო ის სამეფო კარზე. მაშინ მეუღაბნოემ ურჩია [სტეფანოზს], რომ კეისრის წინაშე ისე წარმდგარიყო, როგორც უსახლკარო და უთვისტომო მათხოვარი. როდესაც ეს შეიტყო, მბრძანებლის რისხვა დაცხრა. ერთხელ სტეფანოზმა შესაფერისი დრო იბოვა და კეისარს უთხრა: — უბრძანე, რათა გამიღონ წიგნთსაცავი. იქ მან იბოვა მოოქროვილი [ასოებით დაწერილი] წიგნი რწმენის შესახებ.

\* ასპეტი — მემომარი, რაინდი.



კეისარმა წაიკითხა და გაგზავნა სტეფანოზი ქალაქ რომში, რათა იქიდან კიდევ სამი წიგნი მოეტანა იმავე ენაზე დაწერილი ჰერმარტი სარწმუნოების შესახებ და ყველანი მოექცია იმ რწმენაზე, რომელსაც ის წიგნები აღიარებდნენ.

[სტეფანოზმა] წამოიღო წიგნები რომიდან, უგულვებელყო თვითმპყრობელის ბრძანება და ქალაქ დენისისაკენ გაეშურა, რათა ქვეყნისათვის ამ წიგნების მიხედვით ესწავლებინა. ბაბგენისა და ქურდის თხოვნით ხელდასხმულ იქნა სიუნიქის ეპისკოპოსად. ერთი წელი ჰქონდა ეპისკოპოსობა, შემდეგ მოკლეს მოზნის<sup>122</sup> გავარში. ამბობენ, რომ ბილწმა ქალებმა მოაკვლევინესო. მისი სხეული წაიღეს არკაზიანის სენაკში, ხოლო იქიდან გადაიტანეს თანჰატის მონასტერში და იქ დაკრძალეს.

იმ დროს, როდესაც ნეტარმა სტეფანოზმა წიგნები ჩამოიტანა რომიდან, სივნიეთის ეპისკოპოსი სომხური საეპისკოპოსოების მესამე რიგს განეკუთვნებოდა. ერთმა მეუღაბნოემ, სახელად ნოემ, იხილა ჩვენება, თითქოს სტეფანოზის წიაღი ავსებულ იყო სისხლით, იდგას ის მაცხოვრის წინ და ეუბნებოდა: „შეხედე უფალო ამას, რადგანაც შენა ხარ მართლმსაჯულიო\*“. ამით შეიტყო ბერმა, რომ განსაცდელი ელოდა ამ გავარს, მოუხმო ყველას ელოცათ. ამასთანავე უკუნმა სიბნელემ მოიცვა მოზანის საზღვარი და ორმოცი დღის განმავლობაში მიწა ირყეოდა. ათი ათასი კაცი მიგ ცოცხლად ჩაიპარხა. ამის გამო ამ ადგილს „ვაიოცქორი“ ეწოდა<sup>123</sup>.

## თ ა ვ ი XIX

სიუნიქის ეპისკოპოსის სტეფანოზის წიგნებში აღმოჩნდა ეს მოთხრობა ქალაქ ილიონის მანგრავისა და რომის ახმენის შესახებ

მოსამართლე აბდანის დროიდან ილიონის შესახებ ასეთი [ცნობებია]: ქალაქი მდებარეობდა აქველთა მიწაზე პელოპონესის მანგრაობლად, მაკედონელთა ქვეყნის დასავლეთით, ევროპაში. იმ დროს ბერძნებს მეფეები არ ჰყავდათ, მხოლოდ მთავრები განაგებდნენ ქვეყანას. ილიონი იყო დიდი ქალაქი, რომლის მსგავსი არსად მოიძებნებოდა მთელს დედამიწაზე. იმ ხანებში ქალაქის ერთი ახალგაზრდა მთავართაგანი გასეირნების მიზნით წავიდა თესალონიკეში, რომელიც მაკედონიიდან აღმოსავლეთით მდებარეობდა. ის მიიღეს ქალაქის დიდებულებმა. აქვე გაუმიჯნურდა ერთი დიდებულის ქალიშვილს, აცდუნა

\* შტრ. ფსალ, 110, 7



ის და წაიყვანა ქალაქ ილიონში. მშობლებმა ძებნეს [თავიანთი ასუ-  
ლი] და შეიტყვეს, რომ ყმაწვილ კაცს მოეტაცნა. მათ წერილი გაუგ-  
ზავნეს ილიონელებს, მაგრამ იქიდან მიიღეს უკმეხი პასუხი, რომე-  
ლიც ხმამაღლა წაიკითხეს მთელი ხალხის გასაგონად და მათში სი-  
ძულვილი აღძრეს [ილიონელთა მიმართ]. მოუხმეს დასახმარებლად  
ყველა გარშემო მყოფს, შეკრახეს ურიცხვი ჯარი. თხუთმეტი წლის  
განმავლობაში ებრძოდნენ ილიონს და მთელი ის მხარე ააოხრეს. შემ-  
დეგ სხვა გადაწყვეტილებას დაადგინეს და ქალაქის მცხოვრებლებთან  
მოლაპარაკება გამართეს: — ძლიერნი არიან ილიონის ღმერთები, ამი-  
ტომაც დასუსტდა ჩვენი ძალა. დავამყაროთ მშვიდობა და სიყვარული  
ერთმანეთში, ხოლო ილიონის მაგ ღმერთებს პატივი ვცეთ საჩუქრე-  
ბითო. ამათ დაიჯერეს ეს სიტყვები [ილიონის მტრებმა კი] მოამზადეს  
ორი ათასი ხის ცხენი ფუყე მუცლით, შიგ ჩასვეს ორმოცი ათასი მე-  
ბრძოლი, ცხენები მორთეს ოქრო-ვერცხლით, დააყენეს ფორნებზე და  
ეს დამღუპველი ძღვენი მიიტანეს ქალაქის კართან. ქადაგი გაჰყვირო-  
და „ეს არის საბოძვარი ილიონის ღმერთებისათვის!“ ცხენთა სიმად-  
ლე ოც წყრთას აღწევდა. ამის გამო არ მოხერხდა მათი ქალაქის კა-  
რებში შეყვანა. მაშინ დაანგრიეს კედლის ერთი ნაწილი და დანიშნულ  
დროს ხის ცხენებიდან გამოსული უამრავი ჯარი გარედან შეიჭრა შიგ.  
ქალაქში მცხოვრები მოხუცები და ბავშვები ხმლით დახოცეს, მათი  
ქალები დაატყვევეს. [შემდეგ] შევიდნენ ხომალდებში და აზიის ქვეყ-  
ნებისაკენ გაბრუნდნენ. მაგრამ აღმოსავლეთის ძლიერმა ქარმა მათი  
ხომალდები ორი ათას ხუთასი მილით ააცდინა გზას და შეაგდო უცხო  
ქვეყანაში, რომელსაც იტალიას უწოდებენ. მათ სურდათ იქიდან კვლავ  
გაეტურად თავიანთი ქვეყნებისაკენ, მაგრამ დატყვევებულმა ქალებმა  
ლამით ცეცხლი წაუკიდეს ხომალდებს, ისე რომ არც ერთი აღარ  
დაუტოვებიათ, რათა მონებად არ გაჰყოლოდნენ მათ. როდესაც კა-  
ცებმა დაინახეს რაც მოხდა, თავისი სურვილის წინააღმდეგ იმავე ქვე-  
ყანაში დარჩნენ, ხოლო ტყვე ქალები ცოლებად შეირთეს.

დიდი ხნის შემდეგ ერთი მათგანი მათი ჯგუფიდან წინამძღოლად  
აირჩიეს, მას პრომელოსი ერქვა. ზღვიდან ოცდახუთი მილის დაშორე-  
ბით მან ააშენა ქალაქი და თავისი სახელი რომი უწოდა. სწორედ ესე-  
ნი არიან პრომეელთა ტომის წინაპრები. ეს მოხდა ილიონის აღებო-  
დან 441 წლის შემდეგ. 44-ე წელს რომში მეფედ დაჯდა ფილიპოსი, რო-  
დესაც შესრულდა ათასი წელი რომის დაარსებიდან, მაშინ კონსტან-  
ტიანოსმა დეადქალაქი ბიზანტიაში გადაიტანა და ახლა მას კონსტან-  
ტინოპოლისი ეწოდება.



იგის შესახებ, თუ რა მოხდა ალვანეთში სომეხთა  
წელთაღრიცხვით 200 წელს.




ამ დროს ბევრ ქვეყანას მოედო სამხრეთის მოძალადე სასტიკი და მგესლავი ხალხი, რომელმაც ცეცხლის მსგავსად შთანთქა ყოველივე ლამაზი და დიდებული. ამ უბედურებაში [კაცს] გაახსენდებოდა მსგავსი წმინდა პავლეს სიტყვებისა, რომ კარზე სამართალი მოგვადგა, მოახლოვდა ყამი საშინელი, — პირუთენელი განკითხვის დღე.

ამგვარად, ისმაელიანმა აგარიანებმა ხელთ იგდეს მთელი ქვეყნის სიუხვე, ზღვა და ხმელეთი მათ ემორჩილებოდა. ეს დიდი უბედურება იყო ალვანეთის ქვეყნისათვის. თავიანთი ყაჩაღური ჩვეულების მიხედვით ტაჭიკებმა დედაქალაქი პარტავი წაართვეს ალვანეთის იშხანებს და, როგორც თავისი სამფლობელოს უწინდელ დედაქალაქ ასურეთის დამასკოში, ასევე აქაც, ალვანეთში, პარტავაში დასხდნენ და ქვეყნის დოვლათი შთანთქეს. ერთი ვიღაც მათი სამეფო გავარიდან მოვიდა და ისიც პარტავაში დაბინავდა. სომხეთის მცხოვრებლებმა ქვეყნის გადასარჩენად მასთან გაგზავნეს თავიანთი მამამთავარი ესაი, ეპისკოპოსების თანხლებით. როდესაც გაიგო ეს დედოფალმა ვარდანუჰმა, რომელსაც ბევრი ჰქონდა გადატანილი ღვთის სამსჯავროსაგან, მის შესაგებებლად გაეშურა. შეევედრა თანაეგრძნო მისი მწუხარებისათვის. მას უზენაესის განგებით, უფლის ხელით მწარე სასმისი ჰქონდა დაცლილი. სომეხთა ნეტარმა მამამთავარმა თანაუგრძნო ქალის ცრემლებს და დასასვენებლადაც მასთან გაჩერდა. ღვთისადმი მწუხრის ლოცვით და პარაკლისით უნდოდა შეესუსტებინა უწინდელ მამამთავართა წყევლაკრულვა ამ ქალის მიმართ. მასთან ერთად ალვანეთის კათალიკოსმა სოლომონმაც მოითათბირა თავის ეპისკოპოსებთან და გაათავისუფლა [დედოფალი] იმ ბორკილებისაგან, რომელიც მას [ადრინდელმა] ტახტის მპყრობლებმა დაადეს. თითოეული მათგანის ვედრების შედეგად ფესვიც კი არ დარჩენილა ქალის მწუხარებიდან.

ომერთმა უბოძა სიცოცხლე ვარაზ-თრდატს. ვარაზმანის ძეს, მისი შვილი სტეფანოზი კი [თავისი ცხოვრების] შუადღის ხანს გარდაიცვალა, მისი ძმა ვარაზ-მანი დაცურდა და მდინარე მტკვარში ჩავარდა, იქ იპოვა მან თავისი განსასვენებელი. მემკვიდრედ დარჩა მისივე ძმა ჭუანშერიკი. ასე იყო აქამდე.

სომხური წელთაღრიცხვით 270 წლის ბოლოს პარტავიდან ჩუმად გამოვიდნენ რჩეული ტაჭიკები და ამარასის გავარი ააოხრეს. ათას სულამდე ტყვედ ჩაიგდეს. გამაგრდნენ მეწირანქის საზღვრებში, იმ ადგილას, რომელსაც შიკაქარი ეწოდება. მაშინ მხნე და შესანიშნავი უფალი საპლი სმბატიან ერანშაჰიკი თავისი მამაცი ძმებითა და ჯარით





გათენებისას გაეშურა მათკენ. სძლია ისინი, გაფანტა და გააქცია და როგორც ლომის კლანჭებიდან, ისე გამოიტაცა ტყვეები.

იმავე წელს მოითარეშა ქვეყნის მნგრეველმა ტაჭიკმა სევაღამ, რომელსაც სომეხთა საზღვრებში ავარანშანის სახელით იცნობდნენ. მან ააოხრა მთელი ქვეყანა და სიუნიქში დაბრუნდა. გამაგრდა ბერდატელის დაბა შალატში<sup>124</sup>, რომელიც წლიკის გავარში მდებარეობს. სივნიეთის მფლობელმა ვასაკმა მოიყვანა ბაბანი, დაამარცხა ისინი და აიძულა გაქცეულიყვნენ. იმავე წელს გარდაიცვალა სიუნიქის მფლობელი, ხოლო ბაბანი მის ქალიშვილზე დაქორწინდა. იმავე წელსავე უფალმა ნერსეჰ ფილიპიანმა მოკლა ვარაზ-თრდატი სტეფანოსიანი. მისი შვილი დედის მუცელშივე განგმირა, ხოლო მთელი ქონება გაიტაცა. ეს ვარაზ-თრდატი მიჰრაყანის ტომიდან იყო. ისინი მამიდან შვილზე მემკვიდრეობით განაგებდნენ ალვანეთს, [ვარაზ-თრდატი] მერვე იყო ალვანეთის პირველი მთავრის ვარაზ გრიგორის შემდეგ.

ბალქთა გავარმა<sup>125</sup> არ შეასრულა ბრძანება ურჯულო ბაბანისა, რომელიც სპარსეთიდან მოვიდა, ააოხრა ქვეყანა და ხმლით დახოცა ბალქების ქალები და ბავშვები. მეორე წელს ბაბანი გელარქუნის გავარში გადავიდა, მოსპო იქაური მცხოვრებნი — თხუთმეტი ათასი სული. დაწვა მაქენელთა დიდი დედაქალაქი, სადაც მხოლოდ წყლის წისქვილი გადარჩა, სხვა არაფერი. ეს მოხდა სომხური წელთაღრიცხვით 276 წელს.

ორი წლის შემდეგ ბაბანმა გაანადგურა ტავუსინი და ას ორმოცდაათათასამდე ადამიანი დაიმონა, ხოლო მეორე წელს დაამარცხა ლეთის ძე იბრაჰიმი. იმავე წელს მეგობრობისა და მშვიდობის საბაბით პირი შეკრეს ვერაგმა კაცებმა, სახელად დავონმა და შაბუჰმა და მოღალატურად მოკლეს სტეფანოზი, აბულ ასადად წოდებული. [ამ აბულ ასადმა] მოიყვანა ბაბანი და დაამარცხა ბალაკანელები, მათ ხმლით გაანადგურეს ბერძორის გავარი<sup>126</sup> და ურქის დაბებიც — კარნაკაში, ჰაკარი და ტაფატი.

შემდეგ კვლავ აჯანყდნენ ბაბანის წინააღმდეგ. ბრძოლით გამაგრდნენ გოროზის ციხეში<sup>127</sup>. თორმეტი წლის განმავლობაში ხელთ ეპყრათ ის გავარები, რომლებსაც ეწოდებოდათ ვერინ ვაიკუნიქი, ბერძორი, სისაკანი, ჰაბანდი, ამარასი, პაზკანქი, მხანქი და ტრი. შემდეგ აბულ ასადის მკვლელები შეიპყრეს მისმა მახლობლებმა და წამებით დახოცეს. ხოლო აბულ ასადის ბიძაშვილმა ისაიმი მუსედ წოდებულმა, მშვიდობისმოყვარე კაცმა დაიმორჩილა ეს გავარები და ბრძანებლობდა მათზე.

იმავე წელს ბაბანი სპარსეთიდან გადმოვიდა მდინარე ერასხზე და ამარასის გავარში დაბანაკდა. მან დაიწყო ლაპარაკი მშვიდობაზე, ცდილობდა მიემხრო ხალხი, ზოგი მათგანი დროებით ენდო და დაე-



მორჩილა. მაგრამ, შემდეგ, მოტყუებულნი, კვლავ აიშალნენ. ბაბანი იქიდან თავის ქვეყანაში, სპარსეთის ატრაპატეანში დაბრუნდა. ზორავარად დატოვა ვინმე როსტომი ჯართან ერთად და უბრძანა ბრძოლით კი არ აეღო ციხე, არამედ მშვიდად ემოქმედა მათზე, რათა და-მორჩილებოდნენ. ხოლო როსტომმა არად ჩააგდო ბაბანის რჩევა და ბრძოლა დაუწყო ციხეში გამაგრებულთ. მაშინ შიგ მყოფნი დაიხედებულნი ქრისტეს ძლიერებაზე, ჯვრითა და წმინდანთა ნაწილებით ხელში გაემართნენ მათ წინააღმდეგ. საშინელი დარტყმებით გაანადგურეს სპარსელთა რაზმები. მათგან გათავისუფლებულნი აღიდებდნენ და მადლს უძღვნიდნენ ქრისტეს...

## თავი XXI

**ტაჭიკთა იზხანის მამუნის წასვლა საბერძნეთში და მისი დამარცხება. ასევე მოკლედ მოთხრობილი სხვადასხვა ამბები**

სომეხთა წელთაღრიცხვის 280 წელს ტაჭიკმა მამუნმა მოიწადინა ბერძნებთან ომი. მოამზადა ასი ხომალდი, ჩასვა შიგ ასი ათასი მებრძოლი და გაუშვა ისინი ზღვაში. სურდა გარემოეცვა დიდი ქალაქი კონსტანტინოპოლისი. როდესაც ეს ბერძნებმა გაიგეს, მაშინვე გაემართნენ ზღვის მეორე მხარეს, გარსშემოერტყნენ მტრებს ქრისტეს ჯვრით, ფეხით გათელეს და საბოლოოდ მოსპეს ისინი. თვითონ მამუნსაც სი-ცოცხლე მოუსწრაფეს. ასეთი გამარჯვებით გაეშურნენ ზღვისაკენ. ხომალდზე მყოფი უამრავი ხალხი ხმალსა და წყალს მისცეს, ისე რომ მათგან არავინ გადარჩენილა. ასე მოუტანა ქრისტეს ცხოველმყოფელმა ჯვრის დიდმა ძალამ უდიდესი დამარცხება ტაჭიკებს.

სამი წლის შემდეგ მოვიდა ვინმე ამირა ბადოლი ტაჭიკთა იზხანის ამირ მუმინის ბრძანებით და ქალაქ ნახიჯევანს მიაღწია. აქ მას ხელთ მოხვდა ერთი ყრმა, სახელად იოვანე, რომელიც თავისი რწმენის გამო ქრისტეს მიმართ, მძიმედ იტანჯებოდა და გარდაიცვალა წმინდა ორმოცდღიან მარხვაში წმინდა აღდგომის მოახლოებისას. მისმა ნეშტმა თავისი სხივმოსილებით გააოცა ისინი...

მეორე წელს ორმოცი დღის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა. ამის გამო ზღვა ნაპირამდე გაივსო და თავისი საზღვრებიდან გადმოვიდა. ისე, რომ თხუთმეტი ჰრასახის მანძილზე ზღვა ხმელეთში შეიჭრა. ამ დროს კასპიის ზღვიდან გამოჩნდა მთავრით უზარმაზარი ერთი თევზვეშაპი, რომელმაც თევზის ყლაპვით სტომაქი ამოივსო და მეთევზეები შემოსავლის გარეშე დატოვა. მაშინ ვინც ცურვა იცოდა რაღაც საუშალებს გამოიხატეს. შეგროვდნენ ისინი ერთ ადგილს [წყალში] და დაიწყეს ნაწილ-ნაწილ ხმლით ჩეხა კუდის მხრიდან, ვიდ-



რე სული არ ამოხადეს. მდინარე მტკვარმა წაიღო ის ისევ იქით, საი-  
დანაც იყო მოსული. ამის შემდეგ მეთევზეები ადვილად იჭერდნენ  
თევზს, რადგანაც თევზი ისე მოდიოდა, როგორც ტყვეობიდან გაათავი-  
სუფლებული.

ამავე წელს გარდაიცვალა სომეხთა კათალიკოსი უფალი დავითი.  
მან დაწყევლა წმინდა გრიგორის ეკლესიის მიწების მიმტაცებელი.  
თანმიმდევრობით ესენი არიან: ჯაჰაბის შვილი აბდალ მელიქი, რომე-  
ლიც ხმლით მოცელეს, ჰარჭის შვილი აბდალ ასური და აბუ ჯაფარი  
არაწაცი, ესენი კი წაიყვანეს პარტავში და ორივეს ცოცხლად ტყავი  
გააძვრეს.

ამირ მუმინის დარბაზის შესახებ ეს ვიცით, რომ შესასვლელის  
მარჯვენა მხარეს ზის შურტაიელთა უფროსი, რომელიც ყველა დანარ-  
ჩენ ჯალათთა მეთაურზე დიდია, ხოლო მარცხენა მხარეს [სხედან]  
მოსამართლე და განძის მცველი. ესენი სამართალს განაგებენ და  
მთელს ქვეყანაში ხარკს აგროვებენ. დილის ცხრა საათზე შედიან შიგ,  
[ამირასთან], ხოლო მეორე დილით აქვეყნებენ გადაწყვეტილებას და  
ხალხისათვის საჭირო საქმიანობას ეწევიან.

სომხური წელთაღრიცხვით 286 წელს მოულოდნელად წამოვიდა  
ზაღდადიდან ათასი მხედარი და გაეშურა ალვანეთზე. აქ მათ წინააღმ-  
დეგ დადგა საპლ სმბატიანი, რომელიც ზარმირჰეანთა სამეფო გვარი-  
დან იყო. მან შემწედ იხმო მოწამე გეორგიოსი და ისე ეკვეთა, რო-  
გორც სუსტ ფრინველებს — არწივი. გაფანტა ისინი სხვადასხვა მხა-  
რეს, ბევრიც დაბლობზე მოცელა. იმავე წელს იმავე იშხანმა — საპლ  
სმბატიანმა ხელთ იგდო ამბოხებული ბაბანი, — კაცის მკვლელი, ქვე-  
ყნის დამქცევი და სისხლის მსმელი მხეცი. გადასცა ის ხელთ ამირ-  
მუმინს. თავისი გარჯის სამაგიეროდ, სამეფოდან დიდი ჯილდო ერგო,  
მას უწყალობეს სომხეთის, იბერიისა და ალვანეთის მთლიანი გამგებ-  
ლობა მეფური უფლებით.

სომხური წელთაღრიცხვით 287 წელს აბრაამიანი ამირ მუმინი, იგი-  
ვე აბუ სააკი, წავიდა ბერძენთა წინააღმდეგ, მახვილითა და ტყვეე-  
ბით დაიმორჩილა დიდი ქალაქი ემორია. იქიდან დაბრუნდა თავის  
ადგილსამყოფელში. იმავე წელს უფალთუფალმა იოვანესმა<sup>128</sup>, რომე-  
ლიც სომეხთა, იბერთა და ალვანელთა ხელისუფალი იყო, სამეფოსა-  
გან კიდევ ითხოვა სამი ქვეყანა — ბულხარი, ზოიჭა და ფატგოსი.

ორი წლის შემდეგ ისეთი საშინელი და მკაცრი ზამთარი დადგა,  
რომ უამრავი საქონელი და მწყემსი მოიხსო. იმ დღეებში მოვიდნენ  
ბალაკანელები და დიდი ზიანი მიიყენეს სისანის, ტრისა და ამარასის  
გავარებს. ესაიდ წოდებული აბუ მუსე გამოვიდა მათ წინააღმდეგ და  
გაანადგურა ისინი.



ისევ ორი წლის შემდეგ მოვიდა ხაზარი ფატგოსი, კაცი სასტიკი და უღმობელი, მაგრამ იმავე წელსავე მოიშთო. ხოლო მისმა შვილმა ხმლით გადაიარა ჩვენი ქვეყანა. [ხალხი] დაატყვევა, მრავალი ეკლესია ცეცხლში დაწვა და ბაღდადისაკენ წავიდა. იქიდან კვლავ დაბრუნდა, მეფის ბრძანებით და გახდით. 245 წელს ააშენა ქალაქი განძაკი არშაკაშენის ვავარაში. შემდეგ თავს დაესხა სიუნუქის ქვეყანას, დაიმორჩილა ბაღქთა საზღვრები და ალაპეჯის ვავარაში<sup>129</sup> სოფელ არქუგეტში გაჩერდა. იქ მაშინვე ბრძანა დაეწავთ ეკლესია, რომელიც წმინდა გრიგორის სახელზე იყო აშენებული. აქ თავი იჩინა ღვთიურმა ძალამ: ყველას თვალწინ ეკლესიიდან სწრაფად გამოვიდა მხედარი და ბანაკისაკენ გაჰყენდა. შეაშფოთა ურწმუნო თავის ჯართან ერთად და აიძულა მთაში გახიზნულიყო. ამ მთას ელჯიურ ხოი ეწოდებოდა. იქ ატყდა საშინელი ქარიშხალი და გარემოიკვა ისინი. მაშინ ცხენებზე მსხდომებმა გაქცევით ძლივს უშველეს თავს. მაგრამ ბოლოს გაქცეულები მაინც დაიღუპნენ მთების ქვიან კლდეებში. ტყვეები კი მშვიდობით გადარჩნენ და ღმერთს მაღლი უძღვნეს.

სომხური წელთაღრიცხვით 300 წელს ჩვენი ცოდვების გამო აივსო სასჯელთა საზღვარი. სომეხთა და ალვანთა მორწმუნე იშხანები, რომლებიც შეპყრობილი და ბორკილადებული ჰყავდათ ტაჭიკებს, მოაშორეს თავიანთ სახლ-კარს და მათი ნების გარეშე ბაღდადში გაგზავნეს. იქ საშინლად აწამეს ისინი ურჯულოებმა და სარწმუნოების უარყოფა მოსთხოვეს. მათ შორის მრავალი დაიღუპა, თუმცა უკვდავება დაიმკვიდრა, რადგანაც არ დათმო წმინდა რწმენის განძი. ხოლო ნეტარმა შაპუჰ არწრუნმა და კიდევ ერთმა რჩეულმა კაცმა სომეხ ანატოვან მიიღეს მოწამეობრივი სიკვდილი, რადგანაც არ ისურვეს ანაო სიტოცხლე. მათ მიმართ ბრძანება გასცა ტაჭიკთა ხელისუფალმა რკინის ბორკილებით ცოცხლები გადაეგდოთ მდინარე ეფფრატში. მრავალი ღღის განმავლობაში სინათლის სხივები მოჩანდა მდინარეზე. შეშურდა ეს ამირა მუმინს და ბრძანა კაცები ჩასულიყვნენ მდინარეში, ამოეტანათ მათი ძვლები და ცეცხლზე დაეწავთ. როდესაც მყვინთავეები ჩაეშენენ, შუქი გაუჩინარდა, ხოლო როცა გამოვიდნენ წყლიდან, იმავე შუქმა კვლავ გადაიარა მდინარეზე. ამის შემდეგ მოიხმო ამირ მუმინმა ასურეთის ეპისკოპოსი და უბრძანა, მოეძებნათ მათი ნაწილები. მივიდა ეპისკოპოსი მდინარე ეფფრატის ნაპირას და ჩაუშვა მყვინთავეები, რომლებმაც იპოვეს ნეტართა ძვლები. წაიღო ისინი თავის ეკლესიაში და წერილობით დააწესა მათი ხსოვნა.

იმავე წელს მოულოდნელად დიდი წვიმა მოვიდა მეწირანცის ვავარში. ნიაღვარმა სოფელ დასტაკერტს მიაღწია და მდინარეს შეუერთდა. რვაასი კარავი წაუღრეკა მწყემსებს, რომლებიც აქ მოსულნი იყვნენ კავკასიიდან ზაფხულის საქოვრებზე. ამავე წელს ვაიოცძორში



გარდაიცვალა უფალი სუფანი. მეორე წელს მოვიდა ბუღა სომხეთში, მოკლა საჰაე ისმაელიანი ქალაქ ტფილისში. სამი წლის განმავლობაში ებყრა სომხეთი, ვიდრე იშხანები თავიანთ ცოლებითურთ არ გაეზავნა ბაღდადს. ხოლო მეოთხე წელს მოვიდა მამამად ხალთის ძე, [ამ დროს] გარდაიცვალა უფალი ვასაე გაბრინი. სომხური წელთაღრიცხვით 318 წელს დვინში მოხდა ძლიერი და საშინელი მიწისძვრა, რის გამოც წლის განმავლობაში მიწა ზანზარებდა. უფსკრულში ჩაიძირა ასოცი ათასი კაცი....

## თავი XXII

შეხის შვილი სომეხთა და ალვანელთა ჯარებით ალყას არტაშაშს პარტავს. საშუალო თვითნებურად დებულოვს საკათალიკოსო კატივის და დვინში მიდის

იმ მღელვარებებისათვის, რომელიც ხდებოდა შეხის ძის ისაისა და მისი მოხელის აბულვაჰდ ემემიკად წოდებულის შვილის მამედს შორის, შეხის ძემ შეკრიბა ჯარი ასურეთის მხარეებში აშოტ იშხანის თანადგომით. [აშოტმაც] თავის მხრივ მოაგროვა ლაშქარი სომხეთში ალვანელ იშხანებითურთ და გაემართნენ პარტაკის კართან მდებარე სიმაგრის წინააღმდეგ. ცამეტი წლის განმავლობაში იბრძოდნენ მამაცურად.

იმ დროს გარდაიცვალა ალვანეთის მამამთავარი იოსები. მაგრამ ალვანეთის იშხანებს არ ეცალათ, რომ ტახტზე სხვა მამამთავარი აეყენათ. მაშინ მეწკოლმანქის ეპისკოპოსმა სამუელმა მისაიელ მღვდელს, რომელსაც ფილოსოფოსსაც უწოდებდნენ, თვითნებურად საიდუმლოდ გადასცა თავისი ეპისკოპოსობის პატივი. ხოლო თვითონ სამუელმა ამ თავისი ეპისკოპოსისაგან [კათალიკოსობის] უკანონო ხელდასხმა მიიღო. ამ ამბავმა ბანაკამდე მიადწია და მეტად ააღელვა ალვანეთის იშხანები. მათ ერთმანდა აცნობეს ეს სომეხთა კათალიკოს უფალ გევორგს. ხოლო მან კანონიერი განჩინებით მისწერა სომეხთა იშხანებს და სთხოვა დახმარება, რათა ეს საქმე მშვიდობით მოეგვარებინა. [ამასობაში კათალიკოსი სამუელი] ბრძნულად მოურჩედა ალვანეთის თავკაცებსა და იშხანებს და მათ შორის მშვიდობა დამყარდა. ამის გამო სომეხებმა შეაჩვენეს [ალვანელები]. სომეხთა იშხანი აშოტი მოითხოვდა წმინდა გრიგორის მიერ გამწესებას და სომეხთაგან ხელდასხმას. [სომეხები] მხოლოდ დროებით შეეგუენ სამუელისა და მისაიელის თვითნებობას, შემდეგ კი სომეხთა დიდმა მთავარმა მისწერა გევორგ მღვდელმთავარს [ამის შესახებ], ამასთანავე დაარწმუნა სამუელი დათანხმებოდა მთელი ალვანეთის სურვილს და თუნდაც თავისი ნების გარეშე, წასუ-



ლიყო ღვინს და თვითმარქვიას ხელმეორედ მიეღო ხელდასხმა სომეხთა კათალიკოსის გევორგისაგან. [ეს ხდებოდა] სომეხთა მთავრის აშოტის მმართველობაში, სომხური წელთაღრიცხვის 326 წელს.

სომეხთა იმავე მთავარმა აშოტმა, როგორც ბრძენმა კაცმა, განაახლა მივიწყებული ქადაგება სიუნიქის ეპისკოპოსის სოლომონისა და მამამთავრის გევორგის მეშვეობით. ამავე დროს აშოტ ბაგრატუნმა თავისი სამეფო ტახტი დადგა სომხეთში, სადაც დიდი ხნის შეწყვეტილი იყო თორგომის სახლის სამეფო პატივი.

სომხური წელთაღრიცხვით 342 წელს სომხეთშივე მოვიდნენ ტაჭიკები, ქვეყანა დახარკეს და მონობის უღელი დაადგეს. შეიპყრეს მამამთავარი გევორგი, რკინის ბორკილები დაადეს, წაიყვანეს და პარტავში დაატყვევეს. ხოლო ღვთისმოსიშმა ჰამამმა აღადგინა ალვანეთის დაცემული სამეფო სახლი, ისევე როგორც აშოტ ბაგრატუნმა — სომეხთა სამეფო. ეს მოხდა ერთსა და იმავე დროს. თვითონ ჰამამს ღვთის წინაშე დიდი ცოდვა მიუძღოდა. ამით წუთისოფლისათვის მას ძმის სისხლი დაედო, [ცოდვის გამოსასყიდად] მრავალ სიკეთეს აკეთებდა ეკლესიისადმი, რომელიც მაშინ გაჭირვებული და უქონელი იყო. მან მუღმივი სარჩო გაუჩინა მას, აგრეთვე უდიდესი გამოსასყიდით გაათავისუფლა სომეხთა დიდი მამამთავარი გევორგი ურჯულო ტაჭიკებისაგან და ჯანმრთელი უხვი განძით გაგზავნა სომხეთში. ოთხი წლის შემდეგ, აღდგომის წინა დღეს, ალვანეთის ჰაიკიანი იშხანი აბუალი მოკლა თავისმა ღვიძლმა ძმამ სმბატმა. ამან დიდი მწუხარება გამოიწვია მთელ საგვარეულოში. იმავე წელს სომეხთა მეფე სმბატმა, აშოტ ბაგრატუნის ძემ, შეკრიბა ჯარი და თავდასხმებით გაიარა ასურეთის ქვეყანა. ბოლოს იქ შეხვდა ტაჭიკთა ჯარებს და უკან, სომხეთში, გამოიქცა. ფუჭად ჩაიარა ყოველივემ. აქვე გარდაიცვალა სომეხთა იშხანი აშოტი და მცირეოდენი ჯარიც დაიღუპა.

იმავე დროს ვასპურაკანის დიდი იშხანი აბუ მრუანი მოკლა თავისივე ჯარმა. ამ წელსავე სომეხთა ქვეყანაში მეორედ მოვიდა ტაჭიკი. მისი ბრძანებით გამოვიდა საჭურისი პარტავის კარიდან და სომხეთს წავიდა. ის იყო კაცი შეუპოვარი და უღეთო. სადაც არ უნდა დაედგა ფეხი, ყველგან აოხრებდა და ანგრევდა, ღვთის ეკლესიებს. ხოლო ქრისტეს ჯვარს რომ დაინახავდა, მტვრად აქცევდა. როდესაც მან სომეხთა ქვეყანას მიაღწია, მეფე სმბატმა მაშინვე თავს გაქცევით უშველა. ხოლო იმან სიმაგრეები აიღო, დედოფალი ქალბატონებითურთ და მათი შვილები ტყვედ იგდო; წიგნები, წმინდანოვთები, ჯვრები და მრავალი განძეული მიიტაცა. იმავე წელს თავს დაესხა ქართველთა ქვეყანას. მის წინააღმდეგ გამოვიდა ორი მამაცი ქართველი მხედარმთავარი გიორგი და მისი ძმა არავესი. ორივე წამებით დახოცა.



მაშინ გარდაიცვალა სომეხთა დიდი მამამთავარი გეგორგი და სიუნიქის იზნანი აშოტი. დამწუხრებული ქალები მოთქმით ტიროდნენ: „დე, ნულარ განმეორდება ამგვარი წელი დედამიწაზე, ვიდრე კაცობრიობა არსებობსო“. ეს მოხდა სომხური წელთაღრიცხვით 346 წელს. აქედან დაიწყო ყველა ის უბედურება და ტანჯვა, რომელსაც შემდეგ ადგილი ჰქონდა სომხეთში. იმავე დიდ მეფე სმბატს ცოტა ხნის შემდეგ უწია ღვთის რისხვამ, რაც აგრეთვე ქვეყანასაც მოევლინა. უმაღლესი ძალა გამოეცალა მას და თავისი თავისა და სომხეთის დაღუბვის გზით წავიდა. გამოეცხადა ტაჭიკთა მთავარს, რომელმაც შეიპყრო თავისი ნებით მისული მეფე და ძელზე გასვა. მაშინ გაისმა კენესის ხმა თორგომის სახლში და ქვეყნის საერთო ნგრევის [უამმაც] მოაღწია. ეს მოხდა სომხური წელთაღრიცხვით 363 წელს. მაგრამ ღმერთმა შური იძია მასზე სმბიტის მოკვლის გამო. უღმობელი ტაჭიკი სომხეთიდან გაქეუული გადავიდა ასურეთის ქვეყანაში. იქ ხელთ ჩაუვარდა არაბთა მმართველს, რომელმაც ცოცხლად დამარხა ის.

ამ ხნის განმავლობაში დასუსტდა ტაჭიკთა ტომი. გამოჩნდა სხვა ხალხი, რომელსაც დელემიკებს<sup>180</sup> უწოდებდნენ. მათმა მეთაურმა სალარმა ყოველმხრივ გააფართოვა თავისი ძალაუფლება: დაიპყრო ალვანეთი, სპარსეთი და სომხეთი. მოვიდა პარტავში, რომელიც აგრეთვე მიტაცებული ჰქონდა.

იმავე დროს ჩრდილოეთის მხრიდან დაიძრა უცხო და სხვაგვარი ხალხი, მათ რუზიკებს უწოდებდნენ. ისინი მხოლოდ სამჯერად გადმოვიდნენ, მაგრამ ქარიზხალივით გადაიარეს მთელი კასპიის ზღვის [სანაპიროები] და სწრაფად მიიღწიეს ალვანეთის დედაქალაქ პარტავს. არავის შესწევდა ძალა მათი წინააღმდეგობისათვის. [რუზიკებმა] მახვილით გაანადგურეს ქალაქი და იქაურ მცხოვრებთა მთელ ქონებას დაეუფლნენ. იმავე სალარმა ალყა შემოარტყა მათ, მაგრამ ვერ შეძლო რაიმე ზიანი მიეყენებინა, რადგანაც თავისი ძალით დაუმარცხებელნი იყვნენ. მაშინ ქალაქის ქალებმა ცბიერება მოიგონეს — მოწამლული ჭიქებით ასმევდნენ რუზებს. როდესაც მათ ამ ღალატის შესახებ შეიტყვეს, უმოწყალოდ დახოცეს ქალები და მათი ბავშვები. ისინი ექვს თვეს დარჩნენ იქ და სრულიად გაძარცვული ქალაქი დატოვეს. სასწაულებრივად გადარჩენილნი კი დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში უამრავი ალაფით.

### თ ა ვ ი X X I I I

### გვარტომოგის აღწერილობის მოკლე გახეობა

დანამდვილებით ასე ვიცით, რომ სომეხთა მამაკაცები დაუმოყვრდნენ მიპრაკანის ტომს და ამ პატივის წყალობით ხელთ იგდეს ალ-



ვანეთის აღმოსავლეთის მხარეების მმართველობა. მათში მამაცი ვა-  
ჩაგანიდან ღვთისმოსიშ ვაჩაგანამდე ათი მეფე იხსენიება. ამათგან  
ღვთისმოსიშმა ვაჩაგანმა აღმოსავლეთში იმდეს, ეკლესია ააშენა,  
რამდენი დღეც არის წელიწადში. ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ და-  
იწყო ამ გვარეულობის დასუსტება.

მიპრეანნი, რომლებიც სასაანური ტომიდან არიან, მოვიდნენ სპარ-  
სეთიდან და აქ განიმტკიცეს ნახარაობა. აი, მათი სახელები მამი-  
დან შვილამდე, მიპრი, არამაიელი, ვარდი, მამაცი ვარდანი, რომელ-  
მაც ირწმუნა ქრისტე, ხოლო გარდმანის ციხე მას არ აუშენებია, მი-  
სი შვილი ვარდი, ვარდმა შვა ვარაზ-გრიგორი — ალვანეთის პირ-  
ველი მთავარი, მან შვა ოთხი შვილი: ვარაზ-ფეროჟი, ჯუანშირი, იე-  
ზუტ-ხოსროვი და ვარაზმანი.

ამათგან აქ მოვიყვანთ რიგის მიხედვით უფროს შვილთა სახე-  
ლებს, რომელნიც ცნობილი არიან სომეხთა შორის, სხვებს კი გამოვ-  
ტოვებთ. ესენი არიან: ვარაზ-ფეროჟი, ვარაზ-თრდატი, ვარდანი, ნერ-  
სეჰ უმოწყალო, რომელიც თავებს აცლიდა მორწმუნეებს და რკი-  
ნის ბორკილებს ადებდა მოწამეებს. მათ შორის ბევრი დაიწვა და  
ბევრიც დაიხრჩო. ამავე [ბოროტი] აზრით წავიდა ნერსეჰი სოფელ  
ჰაცვში, რათა შემდეგ ასურეთში შესულიყო. ეს მოხდა კვირა დღეს.  
გამოეყო ის თავის ამხანაგებს და მარტო გაემართა სულიერ მამა სიმე-  
ონისაკენ, რომელიც წმინდა ჯვარს ემსახურებოდა. მან დაუმალა თა-  
ვისი სახელი და სხვებთან ერთად დაიწყო ლოცვა. ხოლო ნეტარმა  
სიმეონმა უთხრა: „გინა ხარ შენ? უფალმა ღმერთმა გამიმკლავა ქე-  
ყნის დამლუბველი შენი სიბილწე. შენი შვილებიც კი შენ გბაძვენ და  
აუბედურებენ საცოდაებს. განა შენ არა ხარ ნერსეჰი, რომელიც  
მიღიხარ ქრისტიანობის მოსასპობად და აღმოსავლეთის ეკლესიების  
შესამუსრაგად. ახლა კი მიეშურები [ასურეთში], მაგრამ თვალხი-  
ლულს არ გელირსება შენი მამების ქეყანა იხილო“. ნერსეჰი დაემხო  
მოხუცის ფეხებთან, მაგრამ მისგან პასუხს ვეღარ ეღიროსა. მაშინ თა-  
ვის გზას გაუდგა. მაგრამ, მამა სიმეონის სიტყვის თანახმად, იქვე  
ადესრულა. მხოლოდ მისი უსიცოცხლო სხეული მიაბარეს მიწას მშობ-  
ლიურ მხარეში.

ნერსეჰის შვილი იყო ვაგიკი, ვაგიკის შვილი — სტეფანოსი, მის  
დას ერქვა აპრასმინი. ვარაზ-თრდატი და მისი შვილი სტეფანოსი მოკ-  
ლა მათმევე ნათესავმა ნერსეჰ ფილიპეანმა ერთსა და იმავე დროს იმ  
ხევში, რომელსაც დაღუი ვანქს<sup>131</sup> უწოდებენ. ამ უბედურების შემ-  
დეგ მოკლულს ცოლი აღიჭურვა სიმხნევით, წაიყვანა თავისი გადარ-  
ჩენილი ქალიშვილი სპრამი და ღამის მძიმე მოგზაურობის შემდეგ  
ხაჩენის ციხეში შევიდა. მან გადაწყვიტა აღედგინა თავისი სახლის



ღირსება. [ამ მიზნით] სპრამი გაათხოვა ატრნერსეჰზე — საპლის შვი-  
ლზე, რომელიც იყო ჰაიკის ტომიდან, სიუნიქელების ხელისუფალი და  
მოძალადეობით ფლობდა გელამის გავარს. მის ძე ატრნერსეჰს შეხვდა  
გონიერი ცოლი. ისინი ღვთისმოშიშობით და კეთილმსახურებით ატრ-  
ნერბდნენ თავიანთ ცხოვრებას ამქვეყნიური წუთისოფლის სიამეში.  
ატრნერსეჰმა ააშენა ჰანდის ციხე<sup>132</sup>. თავისი სასახლე დააფუძნა იმ  
სოფელში, რომელსაც ვაიუნიქს<sup>133</sup> უწოდებდნენ, აქვე იყო სამეფო  
აბანოები. სხვა იშხანებთან ერთად [ატრნერსეჰი] სპარსეთში წაიყვა-  
ნეს, სადაც მან გაატარა მრავალი წელი. ქალბატონმა სპრამმა კეთილ-  
მოქმედებას უმატა. მან უდიდესი მონდომებით ააშენა ახალი მონასტე-  
რი სოლის გავარში<sup>134</sup> და საუცხოოდ მორთო ის. მოულოდნელად მო-  
ვიდა გადარჩენილი ატრნერსეჰი ტაჭიკთა ქვეყნიდან. მალე მან მშვი-  
დობით დაასრულა თავისი ცხოვრება. დარჩა შვილები გრიგორი და  
აბუსეთი. გრიგორმა ააშენა ჰავახალაციანის ციხე<sup>135</sup> და თავისი ძალ-  
უფლება განავრცო ამ მხარეში. გრიგორს ჰყავდა ხუთი შვილი, მათ  
შორის უფროსი — აბული მოკლა მისმა ნათესავმა სმბატმა. მეორე  
შვილი საჰაკი რომელსაც სევადასაც უწოდებდნენ, იყო კაცი მამაცი  
და მარჯვე. მან მთლიანად დაიმორჩილა გარდმანის, ქავსის და ფარნის  
გავარები<sup>136</sup>, აგრეთვე — ძორაგეტის ასოცდათორმეტ ავაზაკთა მეთაურე-  
ბი. სწყალობდა ლიტერატურას და თავის სახლში დააარსა სკოლები, მას  
დიდი მონდომებით ებრძოდა სომეხთა მეფე სმბატი, მაგრამ ვერ შეძ-  
ლო თავისი ნებისათვის დაემორჩილებინა. სევადამ შვა ორი შვილი  
გრიგორი და დავითი. გრიგორმა შვა სევადა, რომელსაც სახელად იშ-  
ხანანუნსაც უწოდებდნენ, აგრეთვე — ატრნერსეჰი. იშხანანუნმა შვა  
ოთხი შვილი იოვანესი, გრიგორი, ატრნერსეჰი და ფილიპე. იშხანანუ-  
ნის უფროსი შვილი იოვანესი, რომელსაც სენექერისაც ეძახდნენ,  
უზენაესის მარჯვენამ მეფედ გამოაცხადა. მისი საშუალებით აღდგა  
დიდი ხნის შეწყვეტილი მეფობა. სპარსეთის მეფემ დააჯილდოვა ის  
უდიდესი პატივით. მისცა თავისი მამის გვირგვინი და მისივე ცხენი.  
იმავე წელს ბერძენმა მაგისტროსმა, სახელად დავითმა, გაუგზავნა მას  
საუცხოო გვირგვინი და სამეფო პორფირი, ნიშნად პატივისა ღვთის  
მიერ არჩეული კაცისადმი, რომელიც კურთხეულ იქნა მეფედ მამამ-  
თავრის მარჯვენის მიერ ქრისტეს სადიდებლად.

#### თ ა ვ ი XXIV

ალმანეთის მამამთავართა სახელები, წლები და მათი  
მოღვაწეობა

მამამთავართა სახელების შესახებ საჭირო და აუცილებელი იყო  
ზინამდვილე დაგვეწერა, მაგრამ, რადგანაც ურწმუნოთა წყალობით



უწინდელ პატრიარქთა საქმენი, [მოღვაწეობის] დრო და სახელები და-  
კარგულან, ხოლო მათი სამყოფელი ადგილიც ჩვენთვის უცნობია,  
ამიტომ შეძლებისამებრ, შევეცადეთ შეგვედგინა ცნობარი იმათთვის,  
ვინც დაინტერესებულია ამ საკითხებით.

ჩვენი განათლების პირველი წყარო იყო წმინდა ელიზა, წმინდა  
მოციქულის თადეოსის მოწაფე, რომელიც ეკურთხა იერუსალიმში  
წმინდა იაკობის ხელით. ის მოვიდა სამი მხარის — ჩორის, ლფინთა  
და ალვანეთის განმანათლებლად. აქვე მოწამეობით დაასრულა თა-  
ვის ცხოვრება. შემდეგ იყო წმინდა ყრმა გრიგორისი, სომეხთა გან-  
მანათლებლის გრიგორის შვილიშვილი, რომელსაც ხანგრძლივი დიდე-  
ბით ეპყრა იგივე ტახტი. მერე წმინდა შუფჰალიში, მოსული იერუსა-  
ლიმიდან — აღმოსავლელთა კათალიკოსი; უფალი მათეოსი, უფალი  
საპაკი, უფალი მოგესეი, უფალი პანდი, უფალი ლაზარი, უფალი გრი-  
გორი, უფალი ზაქარია, უფალი დავითი, უფალი იოვანე — ჰონთა  
ეპისკოპოსი სამამამთაერო პატევით, როგორ, არ ვიცით. უფალი ერე-  
მია, რომლის დროსაც შექმნა ნეტარმა მესროპმა ალვანური დამწერ-  
ლობა. მანვე დიდი შრომის შედეგად ანბანი მისცა სომეხებსა და ქართ-  
ველებს\*. შემდეგ იყო უფალი აბასი, რომელმაც სომეხური წელთაღ-  
რიცხვის დასაწყისში საპატრიარქო ტახტი ჩორიდან პარტავში გადაი-  
ტანა და ორმოცდაოთხ წელს სათავეში ედგა მას. ის იყო მეწიარანქის  
ეპისკოპოსთაგანი. მისი დროიდან ჩვეულებად იქცა დაეწერათ ასეთი  
პატივი: „ალვანთა, ლფინთა და ჩორის კათალიკოსს“. დვინის კრები-  
დან მას მიუთითეს, რათა ელიარებინა მხოლოდ ერთბუნებიანობა  
[ქრისტესი] — ღვთიურიც და ადამიანურიც. „წმინდაო ღმერთოსათ-  
ვის“ კი დაემატებინა [სიტყვები] — „უკვდავო და ჯვარცმულო“...

უფალი ვირო [განაგებდა] ოცდაათოთხმეტ წელს. მან ხაზარი შა-  
თის ტყვეობიდან გაათავისუფლა სომეხები, ქართველები და ალვანე-  
ლები. სთხოვა სპარსეთის მეფე ხოსროვს, მიეცა ალვანეთის მთავრები-  
სათვის და გარდმანის ხელისუფალთათვის პატივი, რათა წერილში  
„ქვეყნის მპყრობელებად“ მოხსენიებულიყვნენ. ასევე წერენ ახლაც.

უფალი ზაქარია იყო კაცი წმინდა. ის თხუთმეტი წლის განმავ-  
ლობაში თავდებად დაუდგა დიდ ქალაქ პარტავს და თავისი ლოცვე-  
ბით ტყვეობიდან გაათავისუფლა არა ერთი ადამიანი. სიუნიქის ეპის-  
კოპოსად აკურთხა ვინმე ვრთანესი, რაც მოხდა სომეხთა ნების გა-  
რეშე.

უფალი იოვანი მართავდა ოცდახუთ წელს. ეს ტახტზე მოიწვიეს  
ამარასის ეპისკოპოსობიდან.

უფალი უხტანესი — თორმეტ წელს. მან შეაჩვენა ალვანეთის ნა-  
ხარარები სისხლის აღრევის გამო.

\* იხ. შნშგ. 55



უფალი ელიაზარი განაგებდა ექვს წელს, შაქის საეპისკოპოსოდან იყო. აღმოაჩინა წმინდა ჯვარი, რომელიც დამარხული იყო სოფელ გისში მესრობის მიერ. მან აიღო ამ ცხოველმყოფელი ძეგლის ნაწილი, დაასვენა ასოც ოქროს მონეტაზე და დააწერა: „ეს ელიაზარს ეკუთვნის“. მანვე დააწესა ჯვრის დღე სოფელ გისში დღესასწაულად.

უფალი ნერსესი, გარდმანის საეპისკოპოსოდან, [განაგებდა] ჩვიდმეტ წელს. მას გონება აერია, მოინდომა აღვანელთა კეთილშობილი სახლი აემბოხებინა და ქალკედონური რწმენისათვის დაემორჩილებინა...

უფალი სიმეონი [იჯდა] წელიწად-ნახევარი, ის ადრე იყო აღვანეთის ტახტის მთავარდიაკონი, რომელმაც ქვეყნიდან აღმოფხვრა ნერსესის ცდომილება. გამოსცა შვიდი ნაწილისაგან შედგენილი კანონი.

უფალი მიქაელი ოცდათხუთმეტ წელს განაგებდა. [ადრე] იყო შაქის დიაკონი. მან მოუხმო მაქენელთა წინამძღვარ სოლომონს და დასწყევლა ის აღვანელი მთავრები, რომელნიც დაქორწინდნენ მესამე თაობის ნათესავებზე. მათ სწრაფად მიეწიათ სასჯელი და დაიხოცნენ.

[უფალმა მიქაელმა] დასწყევლა აგრეთვე ქართველთა მწყემსი თალილე, რადგანაც მან ნება დართო უკანონო ქორწინებას.\*

უფალი ანასტასი [ტახტზე იჯდა] ოთხ წელს, უფალი იოსები — ჩვიდმეტ წელს. მის მეხუთე წელს შესრულდა სომხური წელთაღრიცხვის ორასი წელი. მოსული იყო ამარასის ეპისკოპოსობიდან.

უფალი დავითი — ოთხ წელს. ესეც ამარასის ეპისკოპოსობიდან ავიდა ტახტზე. მან გაათავისუფლა ტაძართა მიწები და ნივთები. მოწამლულ იქნა ცბიერთა მიერ.

უფალი დავითი — ცხრა წელს. ადრე იყო მეწკუენქის ეპისკოპოსი. მან ურწმუნოებს მიჰყიდა დასტაკერტი და სამანახაჩი.

უფალი მათეოსი განაგებდა წელიწად-ნახევარს, ადრე კაპალაკის ეპისკოპოსი იყო, შეთქმულებმა საწამლავეთ მოკლეს.

უფალი მოვსესი — ორ წელს.

უფალი აპარონი — ექვს წელს.

უფალი სოლომონი — ნახევარ წელიწადს.

უფალი თეოდოროსი — ოთხ წელს, ადრე გარდმანის ეპისკოპო-

\* გაუგებარია, რატომ დასწყევლეს თალილე, ამავე ტექსტის მიხედვით (იხ. გვ. 150) მას უკანონო ქორწინება არ უკურთხებია. როდესაც ამ საკითხზე მიმართეს, გაცა ორაზროვანი პასუხი: თუ ჩემი რწმენისა ხართ, გაკურთხებთო. ხომ იცოდნა, რომ აღვანელები მონოფიზიტები იყვნენ, მაგრამ, ეტყობა, მთავრის წყენას მოერიდა და ამით აიცილინა უხერხულობა.





სი იყო.

უფალი სოლომონი — თერთმეტ წელს.

უფალი იოვანესი — ოცდახუთ წელს, მან საკათალიკოსო ტახტი პარტავიდან, თავის საზაფხულო სადგომში — ბერდაკში გადაიტანა.

უფალი მოვსესი — ნახევარ წელიწადს.

უფალი დავითი — ოცდარვა წელს, ადრე კაპალაკის ეპისკოპოსი იყო. მან აკურთხა შაქის ხელისუფლის უკანონო ქორწინება. ამავ ხელისუფლის ძმამ, საერო კაცმა, ჰკითხა [მამამთავარ დავითს]: „უფალო, საიდან მობრძანდები?“, იმან უპასუხა: „შენი ძმის სახლიდან“. [ეს რომ გაიგო] იშხანმა, [დასწყევლა] დავითი: „დე, დამუხჯდეს შენი ენა, რომლითაც ისინი აკურთხე და გახმეს შენი მარჯვენაო“. დაუყოვნებლივ ასრულდა მისი სიტყვები და სიკვდილამდე აღარ განკურნებულა.

უფალი ჰოვსეფი [ტახტზე იჯდა] ოცდახუთ წელიწადს. ადრე მეწყუენქის ეპისკოპოსი იყო. მისი პატრიარქობის მესამე წელს შესრულდა სამასი წელი სომხური წელთაღრიცხვიდან.

უფალი სამუელი — ჩვიდმეტ წელს, ადრე ესეც მეწყუენქის ეპისკოპოსი იყო. მან თვითონ, ხელდასხმის გარეშე მიიღო [სამამამთავრო] პატრივი, რის გამოც განთავისუფლებულ იქნა. ხელმეორედ ხელდასხმა მიიღო სომეხთა კათალიკოს გეორგისაგან დეინში.

უფალი — იუნანი რვა წელს და ნახევარს. ეს ადრე დეინის სომეხთა ეპისკოპოსი იყო. კათალიკოსის გეორგის დაუკითხავად მოვიდა ალვანეთში და ხელდასხმაც მის გარეშე მიიღო. შემდეგ თვითონ გეორგმა ხელმეორედ აკურთხა ის.

უფალი სიმეონი ტახტზე იჯდა ოცდაერთ წელს. უწინ წმინდა ტახტის კარის ეპისკოპოსი იყო. მან დაიხსნა მოჭედილი წმინდა ჯვარი.

უფალი დავითი ექვს წელს [განაგებდა]. ადრე ფარისოსის<sup>138</sup> მონასტრის წინამძღვარი იყო.

უფალი საპაკი — თერამეტ წელს. ჯერ მეწყუენქის ეპისკოპოსი იყო.

უფალი გაგიკი — თორმეტ წელს, ადრე გარდმანის ეპისკოპოსი იყო. მისი პატრიარქობის მეოთხე წელს შესრულდა ოთხასი წელი სომხური წელთაღრიცხვიდან.

უფალი დავითი ტახტზე იჯდა შვიდ წელიწადს. ადრე კაპალაკის ეპისკოპოსი იყო.

ისევ უფალი დავითი, [ეს განაგებდა] ექვს წელიწადს. უწინ ფარისოსის მონასტრის წინამძღვარი იყო. ის ეკურთხა სომეხთა კათალიკოსის ანანიას მიერ.

უფალი პეტროსი [განაგებდა] თერამეტ წელს, უწინ გარდმანის ეპისკოპოსი იყო.

უფალი მოვსესი ექვს წელს [იჯდა ტახტზე], ადრე ფარისოსის მონასტრის წინამძღვარი იყო.



## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. აქ (II თავში) არსებულ ძველი ქვეყნებისა და ხალხების სახელებს ერთი ნომრის ქვეშ განვმარტავთ თანმიმდევრობით:

ა. **მარები**, იგულისხმებიან მიდიელები, ირანული წარმოშობის ხალხი (ძვ. წ. VII—VI სს.). შექმნეს ადრემონათმფლობელური სახელმწიფო მიდია, დედაქალაქი ექბატანი (თანამედროვე ჰამადანის მახლობლად), ძვ. წ-ის 550 წლიდან მიდია შევიდა აქემენიანთა სახელმწიფოში.

ადრეშუსაუკუნეების სომხურ წყაროებში „მარები“ ჩვეულებრივ მიდიელებს აღნიშნავენ, მოგვიანებით ამ სახელით ცნობილი არიან ქურთები.

ბ. **გადირონი**, თანამედროვე კადიქსი, ციხესიმაგრე ესპანეთში.

გ. **დელათი**, მდ. ტიგროსის სემიტური სახელწოდება.

დ. **გამირები**, ანტიკურ ხანაში კაპადოკიაში დამკვიდრებული კიმერიული ტომები. მთავარი ქალაქი მათი იყო კესარია.

ე. **კელტები**, დას. ევროპაში ალპების ჩრდ.-დასავლეთით მოსახლე ენითა და შატერიალური კულტურით ახლო მდგომ ტომთა ჯგუფები. ბრინჯაოდან რკინის ხანაში გადასვლის პერიოდში გავრცელდნენ თანამედროვე საფრანგეთსა და ბელგიაში, ასევე გადავიდნენ ბრიტანეთის კუნძულებსა და ესპანეთში, მათ წარმოშვეს ის ხალხები, რომლებსაც რომელები გალებს უწოდებდნენ.

ვ. **გალატელები**, კელტური ტომები. ძვ. წ-ის 278—277 წწ. შეიჭრნენ მც. აზიაში, დააარსეს გალათიის ოლქი. ახალი წ-ის V-ს-მდე შეინარჩუნეს ენა და წეს-ჩვეულებანი. ძვ. წ-ის 25 წ. გალატია რომის პროვინცია გახდა. ცენტრალური ქალაქი — ანკირა (თანამედროვე ანკარა).

ზ. **თეტალები**, ანუ ბაქტრიელები, შუა აზიის უძველესი ოლქის ბაქტრიის მცხოვრებნი. ცნობილი არიან ძვ. წ-ის XI ს-დან. ძვ. წ-ის IV ს-ში მათი ქვეყანა შევიდა ალ. მაკედონელის მონარქიის ფარგლებში. ძვ. წ-ის I ს-ში დაიპყრეს მომთაბარეებმა.

ჭ. **ლურაიელები** სახლობდნენ ბალკანეთის ნახ. კუნძულის ჩრდ.-დასავლეთ ნაწილში.

თ. **სარმატები**, ირანულენოვანი მომთაბარე ტომები. ძვ. წ-ის VI ს-დან ცხოვრობდნენ ვოლგა-ურალის სტეპებში. ძვ. წ-ის IV ს-დან ვრცელდებიან ყუბანისა და ჩრდ. კავკასიის ცენტრალურ ოლქებში შავი ზღვის სანაპიროებამდე. ავიწროვებენ სკვითებს.

ი. **სავრომატები**, სარმატების უძველესი სახელწოდება (ძვ. წ-ის V ს-მდე)

ია. **სიცილიელები**, კუნძულ სიცილიის მცხოვრებნი.

\*. გეოგრაფიული და სხვა სახელების განმარტებისას ძირითადად ვისარგებლეთ შემდეგი ლიტერატურით: II S ხეხსქიანი ჯაყასთან დამ „ქუთაისიანი“ ხ. ხეხსქიანი, 1963; ზ ს ჯიქიანი, „ჯაყასთან ადამიანის იქსტორიული სტრუქტურა“ ხ. ხეხსქიანი, 1968; ჩაქიანი ჯიქიანი და ჯიქიანი „ქუთაისიანი“ ხ. ხეხსქიანი, 1969 (შენიშვნები); დ. მუსხელიშვილი, სქრთველის ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980; თ. პაპუშვილი, ჰერაის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; შოგესე ლორენცი, სომხეთის ისტორია, ალ. აბდოლის გამოც. თბ., 1984.







ტური სახელმწიფო, რომელიც შემდეგ მიიტაცა რომმა და თავის პროვინციად აქცია. საბოლოოდ დაიპყრეს სელჩუკებმა XI საუკუნეში.

კვ. კოლქისში, ალბათ, კოლხეთი იგულისხმება.

კდ. ბოსფორია, მონათმფლობელური სახელმწიფო ჩრდილოეთ შავი ზღვის სანაპირო რეიონში (ძვ. წ-ის V ს. — ახ. წ-ის IV ს.) წარმოიშვა ბერძნული ქალაქ-კოლონიების ეკონომიკური გაძლიერებისა და პოლიტიკური გაერთიანების საფუძველზე. დედა-ქალაქი — პანტიკაეა, ძირითადი მოსახლეობა — ბერძნები, ელინიზირებული სკვითები, სინდები, სარმატები. დაემხო ჰუნთა შემოსევების შედეგად.

კე. მიავტია (მეოტიდი, მეოტისი), აზოვის ზღვა.

კვ. ტავრინოსი, აქ უნდა იგულისხმებოდეს ტავრია, ყირიმის ნახ. კუნძულის მთიანი ნაწილი და სანაპირო ზოლი.

კზ. სეიუთია (სტუთია), ძვ. წ-ის III—II სს-ში დას. ყირიმში აღმოცენდა სკვითთა ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო დედაქალაქ ნეაპოლით. ძველი ბერძენი ავტორები სკვითებად იხსენიებენ შავი ზღვისპირა სტეპებში მოსახლე სხვადასხვა ტომებს.

კტ. თრაკია, საბერძნეთის ჩრდ.-აღმოსავლეთით მდებარე ოლქი. თრაკიელები გამოირჩეოდნენ თვითმყოფადი კულტურით. ძვ. წ-ის V ს-ში ქვეყნის სამხრეთით წარმოიშვა მონათმფლობელური სახელმწიფო, ძვ. წ-ის I ს-ში საბოლოოდ დაიპყრეს რომაელებმა.

კთ. მაკედონია, მონათმფლობელური სახელმწიფო ბალკანეთის ნახ. კუნძულზე, დასახლებული ბერძენთა მონათესავე ტომებით. შედგებოდა რამდენიმე ოლქისაგან, მართავდნენ დამოუკიდებელი მეფეები, აქვე იყო არისტოკრატთა საბუკოები და სახალხო კრება. ქვეყანა გაძლიერდა ფილიპე II-სა და მისი შვილის ალექსანდრე მაკედონელის მეფობაში.

ლ. დალმატია, ბალკანეთის ნახ. კუნძულის ჩრდ.-დასავლეთით, ადრიატიკის ზღვის ნაპირას მდებარე ოლქი. ძვ. წ-ის III ს-ის დასაწყისში აქ წარმოიშვა ტომთა კავშირები. I ს-დან რომის პროვინციის ილირიის შემადგენლობაშია.

ლა. მოვლესი, მდინარე ბეოტიაში.

ლბ. თესალია, საბერძნეთის ჩრდ.-აღმოსავლეთით, ეგეოსის ზღვის ნაპირას მდებარე ოლქი. თავდაპირველად დასახლებულია პელაზგებით, შემდეგ მასში იჭრებიან აქეელები, დორიელები, ბოლოს თესალიელები, შექმნეს ტომთა კავშირი, მაკედონური ომების შემდეგ ძვ. წ-ის 200—197 თესალია შევიდა რომის პროვინციის — აქაიის შემადგენლობაში.

ლგ. ლოკრისი, მხარე საბერძნეთში.

ლდ. ბიოვტია (ბეოტია), შუა საბერძნეთის ყველაზე დიდი ოლქი. ათენისა და სპარტას დასუსტებასთან დაკავშირებით ძვ. წ-ის IV ს. გაერთიანდა. ძვ. წ-ის 362 წლამდე თამაზობდა მნიშვნელოვან როლს საბერძნეთის ცხოვრებაში. დაეცა რომის ბატონობის ხანაში.

ლე. ჰეტალია, ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ოლქი.

ლვ. ატიკა (ატიკა), შუა საბერძნეთის სამხ.-აღმოსავლეთით მდებარე ცენტრალური ოლქი, მთავარი ქალაქით, ათენით.

ლზ. აქაია, პელოპონესის ჩრდ.-ის ოლქი. ძვ. წ-ის 280 წლიდან ცნობილია აქაიის გაერთიანება — ბერძნული ქალაქების ფედერაცია. ძვ. წ-ის 146 წელს აქაიის კავშირი გაანადგურეს რომაელებმა.

ლტ. პელენისი, ალბათ, პელოპონესი იგულისხმება, მთიანი ნახ. კუნძული საბერძნეთის სამხრეთ ნაწილში.

ლთ. აკარნესი (აკარნანია), საბერძნეთის ერთ-ერთი ოლქი.

მ. ჰუპირისტიმი, საბერძნეთის ჩრდ.-დასავლეთის ოლქი.



მა. ილიურია (ილირია), ბალკანეთის ნახ. კუნძულის ჩრდ-დასავლეთით მდებარე ძველი ოლქი. სახელწოდება მიიღო იქ მოსახლე ილირიელი ტომებისაგან.

მბ. ლიქნითისი, ივარაუდება ოხრიდის ტბა, ალბანეთისა და იუგოსლავიის საზღვარზე.

მგ. ვალია, ქვეყანა, რომელიც ძველად ზოიციავდა იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, შვეიცარიისა და სხვა ტერიტორიების დიდ ნაწილს. მოსახლეობა ძირითადად შედგებოდა კელტებისაგან (იხ. შენიშვ. 1 ე) ძვ. წ-ის II ს-ის დასაწყისში ვალიის მიწები დაიპყრეს რომაელებმა.

მდ. იბერია, აქ იგულისხმება ესპანეთის სამხ. ნაწილი, დასახლებული იბერიული ტომებით. ცნობილი იყვნენ რკინის დამუშავების ხელოვნებით. ანტიკური მწერლობა ახსიათებს როგორც თავისუფლების მოყვარულ მებრძოლ ხალხს. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად დაიმორჩილეს რომაელებმა, მოხდა მათი რომანიზაცია, დარჩენილი არიან მხოლოდ მასკები.

2. პარგამიდონი, მდინარე, რომლის მდებარეობა გაურკვეველია.

3. მასტოხისი, ანუ ილიონი (იგივე ტროა), ასე უწოდებდნენ იმ დასახლებებს, რომლებიც ძველად თანმიმდევრულად წარმოიშვნენ მდინარეების სკამანდრასა და სიმოისის შორის პელესპონტის სამხრეთით (თანამედ. დარდანელი). ილიონის ალყის ცალკეული ეპიზოდები აქედლებმა შეიტანეს ჰომეროსის ეპოსში.

4. სიკილია, ევზია, ქიოხი, ლესბოსი, კითერა, — კუნძულები ეგეოსის ზღვაში.

5. ზავინთოსი, კეფალია, ითაკე, კორკირია, კიულადესი, — იონიის ზღვის კუნძულები.

6. ტრაპიზონტი, შემდეგში ქ. ტრაპიზონი, ამჟვე სახელწოდების იმპერიის ცენტრი. შეიქმნა მც. აზიის აღმ. ნაწილში ბიზანტიის დასუსტების შემდეგ (1204 წ.). 1461 წელს დაიპყრეს ოსმალებმა.

7. პართევენი, უძველესი ხალხი. ცხოვრობდნენ ირანის ზეგანის ჩრდ-აღმოსავლეთ ნაწილში. ძვ. წ-ის III—II სს-ში დაიპყრეს სპარსეთის უდიდესი ნაწილი და დააარსეს პართიის მონათმფლობელური სახელმწიფო, იარსება ახ. წ-ის 226 წლამდე.


8. ბაგრატიონიანთა გვარი (ქართული წყაროების ბაგრატიონი, ბაგრატიონიანი, თანამედ. ბაგრატიონი) მ. კალანკატუაცის წყარო ამ ადგილის წერისას მოგვს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ უნდა ყოფილიყო, სადაც ბაგრატიონიანთა წინაპრად ასევე ტყვე ებრაელი შამბათი იხსენიება. VII ს-ის სომეხი ავტორი სებეოსი კი ამ გვარს სომეხთა ეპონომის ჰაიკის შთამომავლებად მიიჩნევს.

ქართული ტრადიცია ბაგრატიონიანებს დავით წინაწარმეტყველს უკავშირებს. ამ თეორიას იცნობს X ს-ის სომეხი ისტორიკოსი იოანეს დრასხანაკერტეციც. ქართული ისტორიოგრაფია იმასაც ვარაუდობს, რომ ბაგრატიონიანნი ძველი ქართული სახელფო გვარიდან — ფარნავაზიანთაგან მოდიან, ხოლო სომხური ისტორიოგრაფია მათ ერვანდიანებს აკუთვნებს.

სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ მიხედვით ეს გვარი საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე VI ს-დან დაწინაურდა, ტახტს ფლობენ XIX ს-მდე. სომეხი ბაგრატიონები არშაკუნიანთა კარზე უკვე გავლენიან მთავრებად ითვლებოდნენ. თანდათან დაეუფლნენ სომხეთის უდიდეს ნაწილს და სათავეში ჩაუდგნენ განმათავისუფლებელ ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, ხელთ იგდეს სამეფო ტახტიც. დინასტიამ ძალაუფლების ზენიტს სომხეთში მიაღწია X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის დასაწყისში.

9. ჰნარაკერტი, ციხექალაქი მდ. ხრამის შესართავთან, იგივე ხუნანი არანისა და ქართლის საზღვარზე.





10. უტიელები ცხოვრობდნენ ალვანეთის ერთ-ერთ ცენტრალურ გავარ უტიში, რომელიც მდებარეობდა მტკვრის ჩრდ.-ით, შაქის რაიონში.

11. გარდამანელები, მცხოვრებნი გარდამანის გვარისა, რომელიც მდებარეობდა შამქორის ხეობის ერთ-ერთ შენაკადზე.

12. წავდელები (სუჯები, სოჯები) მ. ხორენაძის მიხედვით არანის შთამომავლები, ცხოვრობდნენ მდ. იორის მარცხენა ნაპირას, სოფ. ხაშმის ჩრდილოეთით, კაწარეთის რაიონში.

13. გარგარები, ესენიც არანის შთამომავლებია, სახლობდნენ უტის გავარში, ქ. პარტავის მიდამოებში, მდ. კარკარ-ჩაის აუზში.

14. არტაზი, ანუ შავარშანი, ვასპურაკანის ერთ-ერთი გვარი, ახლანდელი მდ. ზანგიმარის (დელის) შუა და ქვემო დინების გარშემო. ეკუთვნოდა ამატუნთა ფეოდალურ გვარს, შემდეგ არწრუნთა ხელში გადავიდა.

15. მასქუთები, ანუ მასაგეტები სამხრეთ დაღესტნის ცნობილი ტომები, ცხოვრობდნენ კასპიის ზღვის სანაპიროებზე. მათი მეფე სანესანი (IV ს.) მბძანებლობდა მრავალრიცხოვან ჰონთა ჯარებსაც.

16. ჩორი, იგივე ჩოლა, მასქუთთა არშაკუნიათა მეფეების დედაქალაქი. მდებარეობდა დერბენდის რ-ში, ახლანდელი რკინიგზის სადგურ ბილიჯის მახლობლად. ცნობილი იყო თავისი ციხესიმაგრით, რომელიც აშენდა ჩრდ. კავკასიიდან წამოსულ სხვადასხვა ტომთა თარეშის შესაჩერებლად. სიმაგრის მშენებლობის დაწყებას სომხური წყაროები უკავშირებენ იეზიდგერდ II-ის მეფობის ხანას (439—457). სასანიანები უფრო მტკიცედ მკვიდრდებიან ამ მხარეებში ხოსროვ I ანუ შირვანის დროს (531—569). მას სომხური და არაბული მწერლობა (სებეოსი, მასუდი) დერბენდის დიდი კედლის მშენებლობას მიაწერს.

17. სრაპარის ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია. არის ვარაუდი, თითქოს ამ სახელის ქვეშ ქ. კაბალა იგულისხმებოდეს.

18. გიხი, ქართული წყაროებით გიში, მდებარეობდა მტკვრის სამხრეთით, გიშის წყალზე. შუასაუკუნეებში წუქეთის საერისთაოს ცენტრი, გიშელთა ფეოდალური საგვარეულოს რეზიდენცია. აქვე იყო საეპისკოპოსო კათედრალი. XVI ს-ში გიში ელისეს სასულთნოში შევიდა. შემორჩენილია X—XI სს-ის ქართული ეკლესია.

19. ძერგუნის ველი მთიან ყარაბაღში ივარაუდება.

20. შავარშანი, არტაზის გვარის ძველი სახელწოდება.

21. ბახილები ანუ ბარსილები, მდ. იტილის (ვოლგას) ნაპირებზე მცხოვრები ჰუნთა ტომები. მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ხაზარებთან, მომთაბარეობდნენ კასპიის ზღვის სანაპიროზე კავკასიიდან ვოლგამდე.

22. ხაღანდართა ქვეყანაში, როგორც ტექსტიდან ჩანს, ცხოვრობდნენ ჰონები. მ. არტამონოვის აზრით (ასევე ფიქრობდა კ. ტრევერიც) ეს იყო ჩრდილო ალანების ტერიტორია, რომელიც ჰონებმა დაიპყრეს (M. И. Артаманов, История Хазар, М.—Л., 1962. с. 61).

23. ჰონები ანუ ჰუნები, თურქული მოდგმის ხალხი, წამოვიდნენ ჩინეთიდან, გადაინაცვლეს არალის ზღვის მიდამოებში. დარბეულებმა გეზი აიღეს კასპიის ზღვისაკენ, დამკვიდრდნენ ჩრდ. კავკასიაშიც. ჰონთა ერთმა ნაწილმა ევროპას მიიღწია. IV ს-ში ატილას მეთაურობით ილაშქრეს დასავლეთ გალიაში, მაგრამ დამარცხდნენ (451 წ.), მათი სამხედრო კავშირი მალე დაიშალა.

24. მანდაკუნები, სომეხ ნახარათა ერთ-ერთი. საგვარეულო. მ. ხორენაძის მიხედვით სომეხთა მეფე ვალარშაკმა შეუპოვარ მიანდაკს მიანდო მთის მცველისა და ვაცებზე მონადირე სლაქის საქმიანობის მსგავსი რამ. მიანდიკის შთამომავლები



მინდაყნებამ იწოდებოდნენ. ხორენაცისავე ცნობით, ეს საგვარეულო ამოწყვიტა სპარსეთის მეფე არტაშირმა (მ. ხორენაცი, წ. II, 8,78).

25. პიტაკარნი მღებარეობდა მდ. არაქსისა და მტკვარს შორის, კასპიის ზღვის ნაპირას, ცნობილია „კასპიანას“ სახელითაც.

26. მიპრანი, ქართველთა წინამძღოლი და გუგარელთა პიტიახში (ქართული წყაროებით მირიან მეფე), ასევე იხსენიება მ. ხორენაცისთანაც. ლ. ჯანაშიას დაკვირვებით, მ. ხორენაცის ქართლი სომხეთის ერთ-ერთ მხარედ მიაჩნია, ხოლო ქართლის მმართველი სომხეთის მეფის ქვეშევრდომად და, ამდენად, მის პიტიახშიად (ნ-ლ ჯანაშია, ლაზარ ფარაბეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ. 1962, გვ. 185). ალ. აბდალაძის მიხედვით, ხორენაცი ზოგჯერ ერთმანეთთან აიგივებს ქართლსა და გუგარქს, ამავე დროს სომხურ წყაროებში ერთნაირ ტიტულს მიაკუთვნებენ ქართლისა და გუგარქის ხელისუფალთ, — ორივე მათგანს უწოდებენ „ქართველთა წინამძღოლს“ (ალ. აბდალაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 281).

27. ამატუნები, სომეხ ნახარათა ერთ-ერთი საგვარეულო. მ. ხორენაცის ცნობით, მეფე არტაშესის დროს მოსულან არიელთა ქვეყნიდან. წარმოშობით ებრაელები ეინმე მანუს შთამომავალნი, ყოველმხრივ შემკულნი და წარმოსადგენი (II, 57). მათი სამკვიდრო იყო ვასპურაკანი, არტაზის გავარი. სამეფო კარზე ეკავათ პაზარაპეტის (ათასისთავის) თანამდებობა.

28. არწრუნნი, სომეხ ნახარათა ერთ-ერთი გვარი. მ. ხორენაცის გადმოცემით ასურეთის მეფე სენექერიმი, რომელმაც იერუსალიმი გარემოიკცა, მოკლეს მისმა ვაჟებმა ადრამელექმა და სანასარმა. ადრამელექი შემდეგ, სომეხთა წინაპრის სკაიორდის დროს, სომხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დასახლდა. მისი შთამომავლები არიან არწრუნები (II, 23). მათი სამკვიდრო მამული იყო ადამაკერტი, აღბაკის გავარში.

29. აქიტოფელი, ბიბლ., ეწადა იზრაელთა მეფის დავითის დაღუპვა, მაგრამ „განუქარდა ზრახვა იგი“ (მეორე მეფეთა, 17,1—21);

30. კამხარაკანი, სომეხ ნახარათა ერთ-ერთი გვარი. მ. ხორენაცი აღნიშნავს, რომ საგვარეულო წარმოიშვა სპარსეთის მეფის არტაშესის ძმის კარენ პაპლავისაგან. სომხეთის მეფე არშაკმა მუსრი ვაგლო კამხარაკანთა გვარს, რადგანაც თვალი დააღდა არტაგერსის ციხესიმაგრესა და ქალაქ ერვანდშატს — იმათ სამკვიდროს, გადარჩა მხოლოდ სპანდარატ არშავირის ძე (წ. III, 31).

31. მამიკონიანები, ნახარათა ერთ-ერთი ძველი საგვარეულო სომხეთში. მამიკონიანთა წინაპარი მამგონი, როგორც მ. ხორენაცი გადმოგვცემს, ჰენთა ქვეყნიდან (ჩინეთიდან) დევნილი მისულა სპარსეთის მეფის არტაშირის კარზე. მისმა შემკვიდრე შაპუჰმა არ გასცა დევნილი მამგონი, მაგრამ არც არიელთა ქვეყანაში გააჩერა, არამედ სომხეთში გაუშვა. სომხეთის მეფე თრდატმა შეიწყნარა ის და გამოუყო სადგომი (წ. II, 82). IV ს-ის ბოლოდან მამიკონიანებმა შემკვიდრეობით მიიღეს სომხეთის სპარაპეტის (სარდლის) პატივი. ატარებდნენ პრობოზანტიურ პოლიტიკას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ირანის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებში. არაბობის დროს მამიკონიანები აშკარად უპირისპირდებიან ბაგრატიონიანთა საგვარეულოს ქვეყანაში პირველობის მოსაპოვებლად. აბასიანების ბატონობისას მათი კავშირი ბიზანტიასთან აშკარა გახდა, განიცდიდნენ შევიწროებას. 774—775 წწ. აჯანყების შემდეგ განადგურებულ იქნენ. მათი მამულები ბაგრატიონებს გადაეცათ. IX ს-ის ბოლოს გადაჩენილნი საბოლოოდ ტოვებენ სამოქმედო ასპარეზს და ბიზანტიაში გადადიან.

32. წმინდა გრიგორისი ფავსტოს ბუზანდის ცნობითაც იყო გრიგორ განმანათლებელის ძის ძე, ერთანესის შვილი, დადგენილი ალვანთა და ქართველთა კათალიკოსად (წ. III, თ. 5). ამ ცნობის განმარტებისას მ. ბროსე აღნიშნავდა, აქ



მთელი საქართველო კი არ უნდა იგულისხმებოდეს, არამედ ის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი, რომელსაც სომხეთი და ნაწილობრივ კახეთი ეწოდებოდა და, რომლის ბედიც ცვალებადი იყო (საკითხი საკამათო გახდა, იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1979, გვ. 367—369; ქართული ეკლესიის ავტოკეფალობაზე „ეპისტოლეთა წიგნი“, ზ. ალექსიძის გამოც. თბ., 1968, გვ. 052—066).

33. გრიგორ განმანათლებლის მიერ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების ამბავი პირველად აღნიშნულია აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის“ ზოგიერთ ვერსიაში, რაც შემდეგ იქცა წყაროდ სხვა სომეხ ავტორთათვის. ქართულ-სომხური წყაროების ანალიზის საფუძველზე თავის დროზე ნ. მარი წერდა, რომ ქართველთა მოქცევას გრიგორ განმანათლებლის მოღვაწეობასთან თავდაპირველად საერთო არაფერი ჰქონდა. ეს მოსაზრება სამართლიანად და ერთადერთ შესაძლებელ დასკვნად მიიჩნდა ივ. ჯავახიშვილს (თხზ. I, გვ. 242, იხ. აგრეთვე „ეპისტოლეთა წიგნი“, დასახ. გამოც. გვ. 049—051).

34. ჰაბანდი, ასეთი გავარი ცნობილი იყო როგორც სიუნიქში, ასევე არცაზში (მეორე ჰაბანდი). აქ იგულისხმება არცაზის ცენტრ. გავარი.

35. ნეტარი პანტალონი, ალვანეთის მეფის ვაჩაგან III-ის შვილი, ეწამა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ქ. ნიკომედიაში.

36. ნიკომედია, ძველი ქალაქი მცირე აზიის ჩრდ. ნაწილში, ბითინიის დედაქალაქი.

37. ცრი, ამარასის, ანუ არცაზის სამხრეთით მდებარე ქალაქი.

38. ვატნეას ველი ეწოდებოდა დერბენდის სამხრეთით, კასპიის ზღვის სანაპირო ზოლს.

39. არგესცელებში ვ. არაქელიანი გულისხმობს „სახარებაში“ მოხსენიებულ გერგესცელებს (გერგესცელები), ქართული ფორმით „გადარინელინი“. ლუკასთან ნათქვამია: „და განვიდეს სოფელსა მის გადარინელთასა, რომელ არს წიად კერძო გალილიასა“ (8,26).

40. ჭიღებში, კავკასიური მოდგმის ტომები, ცხოვრობდნენ ლვინების ჩრდილოეთით, პირიქითა ალაზნის ხეობაში.

41. ჭეფთალები, შუა აზიის მომთაბარე ტომები. ამ სახელწოდების ხალხი ჩრდ. კავკასიაში ჩანს (იხ. I, თავი 27).

42. კამბეჩი, კამბიჯანი (კამბეჩოვანი) მოიცავდა ტერიტორიას მდ. ალაზნის ქვემო წელსა და მდ. მტკვარს შორის. ცენტრი იყო ხორნაბუჯი. არის ვარაუდი, ითქვას უძველეს ხანაში ის ალვანურ ტომთა გაერთიანებაში შედიოდა. V ს-ის ბოლოდან, როდესაც ვახტანგ გორგასალმა ხორნაბუჯის საეპისკოპოსო დააარსა, კამბეჩოვანი მოექცა ქართული კულტურისა და პოლიტიკის გავლენის სფეროში.

43. პაჰკანქი, გავარი მდ. არაქსის მარცხენა ნაპირზე.

44. ამარასი მდებარეობდა სევანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცნობილია მცირე სიუნიქის, ანუ არცაზის სახელწოდებითაც.

45. საფული, ისრაელთა პირველი მეფე, რომლის მემკვიდრეც გახდა მისი სიძე დავითი.

46. ალუენი, სააგარაკო ადგილი მრავის მთის სამხ. ფერდობზე, პარტავის მოპირდაპირედ.

47. მარერის თვე, ე. წ. „სომხური დიდი წლის“ მეათე თვე. 1 მარერი შეესაბამება 7 მაისს.

48. კაპალაკი, კაბალა — ალვანთა სამეფოს მთავარი ქალაქი, არშაკუნიანი მეფეების რეზიდენცია. შემდეგ ირანის სასანიანების მიერ დანიშნულ მარზპანთა სამყოფელად.

12. ალვანთა ქვეყნის ისტორია



ფელი, მდებარეობდა ახლანდელი ზვებრაიჯანის კუტკაშენის რაიონის სოფ. ჩუხურ-კაბალას მახლობლად.

49. **ჭაშუ**, ალვანეთის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი, მდებარეობა ვარკეულის არ არის.

50. **კალანკატუქი**, სოფ. უტის გავარში, მდ. ტრტუს (ტერტერი) ხეობაში, პარტავის მოპირდაპირედ, დასავლეთის მხარეს.

51. **გაიგუტი**, ეს გეოგრაფიული სახელი, როგორც ვ. არაქელიანი ვარაუდობს, დამახინჯებულად არის მოღწეული, ამდენად მისი ადგილმდებარეობა გაურკვეველია.

52. **ბეთი** (ახლანდელი სოფ. ფოთი), მდებარეობდა შამახიაში, გარდმანის გავარში.

53. **გრივი**, საწყაო, ძველ ქართულში პარალელურად იხმარებოდა „სათუელიც“, დაახლოებით შეესაბამება ათ კვ-ს.

54. **კოკა**, ძველი სომხური ტექსტის „ფასი“, რომლის მნიშვნელობაც გარკვეული არ არის, ვთარგმნეთ როგორც კოკა, — სითხის საზომი ერთეული. საბა ორბელიანის მიხედვით „არს ათი ახალი ლიტრა“ (ლიტრა დაახლ. უდრის რვა-ათ გრივანქას).

55. **მესრობ მაშტოცი**, V ს-ის დასაწყისის ცნობილი სომეხი მოღვაწე. სომხური ვერსიით მან სომხურთან ერთად შექმნა ქართული და ალვანური დამწერლობები. ქართული ტრადიცია ანბანის გაჩენას პირველ ქართველ მეფე ფარნავაზს უკავშირებს. მაშტოცის დამსახურება აღნიშნულ საკითხში პირველად ნახსენები აქვს მისი ცხოვრების აღმწერელს — კორიუნს. თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სომეხი მემკვიდრე ლაზარ ფარბეცი უხეად სარგებლობს კორიუნის თხზულებით, მაგრამ არაფერი იცის მაშტოცის მიერ ქართული და ალვანური ანბანების შექმნაზე. მოგვს ხორენაცი კითხვით ლაპარაკობს „სომხეთის ისტორიაში“ ამ ამბებზე, საგულისხმოა, რომ ხმარობს მაშტოცის სახელის მეორე ფორმას — „მესრობს“, რაც გვიანი ხანის წყაროზე მიუთითებს /ივ. ჯავახიშვილი, თხზ. I, გვ. 159/.

„ეპისტოლეთა წიგნი“, ერთ-ერთ წერილში საუბარია, სომხეთსა და საქართველოში ქრისტიანობაც და დამწერლობაც ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს, — „საერთო ღვთისმსახურება დაგვიტესეს ჯერ ნეტარმა წმინდა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა და წიგნის ცოდნა სარწმუნოების განსამტკიცებლად“. ალექსიძემ შენიშნა უკანასკნელი ფრაზის მექანიკურად ჩართვა წინადადებაში. ამ წერილის პასუხშიც არაფერია ნათქვამი მწიგნობრობაზე. ამასთანავე იგივე ეპისტოლე შეტანილი აქვს უხტანესს (X ს.) „სომეხთაგან ქართველთა განყოფის ისტორიაში“, მაგრამ ეს გაუმართავი ფრაზა მასში აღარ არის. ი. ი. „ეპისტოლეთა წიგნის“ ძველ რედაქციებში (X ს-მდე) მაშტოცის მიერ ქართული და სომხური დამწერლობის გამოგონების ცნობა არ ყოფილა და იგი გვიანდელი ინტერპოლაციაა. მკვლევარი თვლის ამ ლეგენდის გაჩენის დროისა და პირობების გასარკვევად აუცილებელია კრიტიკულად დადგენილი ყველა იმ ძველი სომხური ტექსტის გამოკვლევა, სადაც ლაპარაკია მაშტოცის მიერ ქართული და ალვანური ანბანების შექმნის შესახებ (ეპისტ. წ. გვ. 041—046). ნიშანდობლივია ისიც, რომ XIII ს-ის სომეხი ავტორი მხითარ აირივანეცი „ქრონოგრაფიულ ისტორიაში“ ქართული მწიგნობრობის დამწყებად მეფე ფარნავაზს ასახელებს (ქართულ-სომხური მწიგნობრობის საკითხებზე ძირითადი ლიტერატურიდან იხ. Г. Севак, Месроп Маштоц, Создание армянских письмен и словесности Ерев., 1962; ს. Արքայանյան, Նախամատուցյան հայ մատենագրութիւնը և Դանիելյան գրքը, ՊԲՀ, А. Г. Периханян,



К вопросу о происхождении армянской письменности, Преднеазиатский сборник, II, М. 1966; თ. ჩხენკელი, ასომთავრულის გეომეტრიული სტრუქტურა, ყურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1977, 8; რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980; ელ. მაჭავარიანი ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ. 1982; ს. რიყიაშვილი, შიქრიასან, შაჰთიე, სრქ. 1982)

56. ლფინები (ლზინები), ცხოვრობდნენ ალაზნის ზემო დინების მიდამოებში, იმ ადგილას, სადაც ამჟამად კახეთის სოფლები ალვანი, არანტი და შილდაა (С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов, [ВДИ, 1939, I, с. 85—86].

57. კაშიკები, ჩრდ. კავკასიის ერთ-ერთი მომთაბარე ტომი.

58. ზატიკი, აღრინდელმა ქრისტიანებმა „ღღესასწაული ჰურიათა“ — პასეკი თავიანთ მესიას — იესო ქრისტეს დაუკავშირეს (მის წამებას, სიკვდილსა და აღდგომას), ჩვენს ტექსტში ყველგან ნახმარია ქრისტიანული ღღესასწაულის „აღდგომის“ მნიშვნელობით.

59. მეწკუენქი, ძველი ალვანური პრეფიქსი, ეკავა მდ. ტრტუს (ტერტერი) ქვემო აუზი ახლანდელი მარდაკერტის რაიონის ჩრდ.-აღმოსავლეთი ნაწილი.

60. როსმოსოქენანი და თობედნი გვხვდება მხოლოდ მ. კალანკატუაცისთან. ქ. პატკანიანი ვარაუდობდა, რომ აქ ნახმარია ბიბლიური სახელწოდებანი იმ ხალხების აღსანიშნავად, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიის ჩრდილოეთით. ევგ. ბორემ ეი ის „რუსს“ დაუკავშირა (История Агван Моисея Каганкатваци, перевод с армянского К. Патканова, СПб. 1861, с. 311—312), რასაც შესაძლებლად თვალდაკ. ტრევერიც, იქნება როსმოსოქენათა ლაშქარში სლავური ტომებიც იღებდნენ მონაწილეობასო. თუმცა საკითხს ბოლომდე გადაწყვეტილად არ მიიჩნევდა და მათ უწოდებდა ნაკლებად ცნობად ხალხებს, რომლებიც შედიოდნენ ალანთა კავშირში (К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.—Л., 1959, ст. 228)

61. აგესტროხენათა რაზმის მნიშვნელობა მთლად გასაგები არ არის. არსებობს ვარაუდი, რომ ეს იყო სამეფო ჯარი.

62. როგორც მ. კალანკატუაცის ტექსტი გვაუწყებს მეფე შაბურის (309—379) დიდ ჯარში ხაზართა წინააღმდეგ 350 წლის ახლო ხანებში იბრძოდნენ იბერებიც. სომხურ საისტორიო მწერლობაში ქრონოლოგიური რიგის მიხედვით ხაზართა ხსენება აქ მეორედ ხდება მ. ზორენატის შემდეგ. რამდენადაც ხაზარები ფართო სამოქმედო ასპარეზზე VII ს-ში გამოდიან, მკვლევართა აზრით, მათი აღრეული ხსენება ანაქრონიზმია. მიუხედავად ამისა, ჩრდ. კავკასიიდან გადმოსულ სხვადასხვა ტომთა თავდასხმებს ამიერკავკასიაზე იმ დროს მაინც უნდა ჰქონოდა ადგილი. ხოლო, თუ ვინ იბრძოდა იბერიიდან შაბურის ჯარში ჩრდილოელების წინააღმდეგ, ამის დაზუსტების საშუალებას იძლევა ლეონტი მროველის ცნობა — „ოდეს მოვიდნენ ხაზარნი დარუბანდს, მაშინ წარვიდის მირიან შველად დარუბანდისა“ (ქ. ცხ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. გვ. 66). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მირიანის მეფობა IV ს-ის 60-იან წლებამდე გრძელდება, მაშინ ქართული და სომხური წყაროები ეთანხმებიან და ავსებენ ერთმანეთს. არ არის გამორიცხული, ჩრდ. კავკასიიდან წამოსულ ტომებში ხაზარების არსებობაც, რამდენადაც წყაროთა ანალიზი ამის საფუძველს იძლევა.

63. ბადაბერდი, სიუნიქის ყველაზე მიუვალე ციხესიმაგრე მდ. გელისა და ოღჯის შესართავთან.

64. შალატი, სიუნიქის ერთ-ერთი სოფელი.

65. აკორზი მდებარეობდა მდ. არაქსის ნაპირას, ახლანდელი ხუდაფერინის ხიდის მახლობლად.





66. ხოტა, სოფელი თანამედროვე გორისის რაიონში.

67. ლუბნასი, მდ. ლბინთა ქვეყანაში.

68. კაპიკის მთები, იგულისხმება კავკასიონის მთავარი ქედი.

69. ქართველთა ბღეშხი აშუშა ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის მიტოანში. წყაროების მიხედვით ჩანს მკიდრო ურთიერთობაში იყო სომეხ დიდებულებთან და იმდროინდელ მოღვაწეებთან. ჩანს ისიც, რომ თანაუგრძნობდა 450—451 წწ-ის სომეხთა აჯანყებას ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მის კარზე თავი შეაფარეს აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის ჰამიაკ მამიკონიანის ვაჟებმა.

70. ნავსარდის თვე, „სომხური დიდი წლის“ (დამტკიცდა 554 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე. ამ კალენდრის მიხედვით 551 წელი ითვლება სომხური წელთაღრიცხვის პირველ წლად) პირველი თვე, 1 ნავსარდი შეესაბამება 11 აგვისტოს.

71. მეთვრამეტე ნაკიანის პირველი წელი, 625 წელი უნდა იყოს (იხ. **II** **საფასიკაოქაყი** ვ. არაქელიანის ვაოც. 1969, შწვ. 141).

72. ეგერთა ქვეყანაში უნდა იგულისხმებოდეს ეგრისი.

73. როჭვეჭის, ანუ სებეოსის „როჭვეჭანის“ სპარსული ფორმაა „რუზბეჰი“, რაც სებებდნიერს ნიშნავს.

74. კოლთაგარაკი, არცახის ერთ-ერთი სოფელი.

75. ჩარაბერლი, ციხესიმაგრე ხაჩენის გავარში, ამჟამად ცნობილია ჯრაბერდის სახელით.

76. თანდენების ზუსტი მნიშვნელობა გარკვეული არ არის. იქნება, ეს სახელი რაიმე წოდებას, ან თანამდებობას გამოხატავს.

77. დიდრაქმა, ორი დრაქმა (ილ. აბულაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 141) დრაქმა ფულისა და წონის ერთეული ძველ საბერძნეთში, საბა ორბელიანის მიხედვით „დრაქმა არს ცამეტი დანგი და მესამედი დანგისა“ დანგი სამი კერატის წონაა, ხოლო კერატი ოთხი ქრთილის მარცვალია).

78. მიჭრავანი მდებარეობდა შამახის დასავლეთით, ახლანდელ სოფელ ამირვანის ადგილას.

79. მეჭეკის თვე ანუ მეჭეკანი, „სომხური დიდი წლის“ მეშვიდე თვე, პირველი რიცხვი შეესაბამება 7 თებერვალს.

80. დასტაკარტი და ბეკლალი, ქალაქები მდ. ტიგროსის ნაპირას. ცნობილი იყვნენ მდიდრული სასახლეებით, სადაც ხშირად იმყოფებოდა ირანის შაჰი ხოსროვ ფარვიზი. 627 წელს აიღო ჰერაკლე კეისარმა. ორივე ქალაქს არაბები მაღანის უწოდებდნენ.

81. პეროზპატი, ქალაქი უტის გავარში, აშენებული ალვანეთის მეფის ვაჩეს მიერ ირანის შაჰის პეროზის ბრძანებით. შემდეგში ცნობილი გახდა პარტავის სახელწოდებით.

82. გელამის ტომის შესახებ არის ვარაუდი, რომ გილანის მთებში მცხოვრები გელემიკების ტომია.

83. ატრნერსე, იგივე ადარნასე ქართლის ერისთავი (VII ს-ის პირველი ნახევარი), პრობიზანტიური ორიენტაციის მოღვაწე, ბიზანტიის სამეფოდან სამშაგი პატივით დაჯილდოებული. მის ერისმთავრობაში მოხდა ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილება. აქტიურად მონაწილეობდა მცხეთის ჯვრის მშენებლობაში.

84. აღვანთა მეფეების საზამთრო ქალაქებად მიჩნეული იყო ხალხალი და პარტავი.

85. შაკაშენი ლოკალიზდება ახლანდელ განძაკის რაიონში.



86. **პატრიკი, იპატოსი**, საკარისკაცო პატივები ბიზანტიაში. მათ დარიგებასთან ერთად ბიზანტიის კეისრები პატივმიღებულ პირს ყოველწლიურ სარგოსაც უნიშნავდნენ, რომელსაც „როგა“, ანუ ქართული გამოთქმით „როქი“ ეწოდებოდა. ზოგჯერ ერთსა და იმავე პირს რამდენიმე პატივსაც აძლევდნენ, რათა ამ საშუალებით უფრო მეტი როქი აეღო ბიზანტიის სახელმწიფო ხაზინიდან. მაგ. აღარანსე ერისმთავარი მცხეთის ჯვრის წარწერაში ჯერ მხოლოდ იპატოსად იხსენიება, რაც თავდაპირველად დიდ ხელისუფლებად ითვლებოდა. XI ს-ის ავტორის მიხედვით, ამ პატივს ბიზანტიის სამსახურში მყოფ უცხოელებს არც აძლევდნენ (В. Василевский, Советы и рассказы Византийского боярина XI в. ЖМНП, 1881, 8, с. 319). ამავე წყაროს ცნობით პატრიკოსობაც მნიშვნელოვან პატივად ყოფილა მიჩნეული და იბტოსობაზე მიღწევა მდგარა ერთი საფეხურით ( ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1947, გვ. 157).

87. **ქუნგრი**, ანუ ქანგრი დასახლებული ადგილი ჰამდანის მახლობლად.

88. **აქ ლაპარაკია** ბიზანტიის კეისარ კონსტანტინე III-ზე (იგივე კონსტანტი II, 642—668), რომლის პაპაც იყო ჰერაკლე (610—641), რაც შეეხება ნიკიტას, ის იმპერატორი არ ყოფილა.

89. **გარდმანის გავარი**, ალვანეთის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ტერიტორიულად მოიცავდა უმთავრესად მდ. შამქორჩაის ხეობას. ქართული წერილობითი წყაროებით — გარდამანი.

90. **პარაკი**, „სომხური დიდი წლის“ მეექვსე თვე, პირველი რიცხვი შეესაბამება 8 იანვარს.

91. **არუჭი**, ახლანდელი თალიში თალინის რაიონში, ცნობილია VII ს-ის ეკლესიით.

92. **მეჭეანის რაზმში**, შესაძლებელია, ქეშოკთა რაზმი იგულისხმებოდეს.

93. **გოვგის ქვეყანა**, გეოგრაფიული სახელი წარმოქმნილი უნდა იყოს მითიური გოგის მიხედვით (გოგი და მაგოგი მითოლოგიაში ორი ველური ხალხი, რომელიც დედამიწის უკიდურეს ნაწილში ცხოვრობდა). აქ ჰონთა ერთ-ერთი მხარე ივარაუდება.

94. **კაპალაკის გავარი** მტკვრის მარცხენა სანაპიროს ქვეყანაა, იხ. შენიშვნ. 48.

95. **ტადმანი**, მდებარეობდა არცაზში, მეწყუანქის გავარში, თანამედროვე სოფელ დედქუტის ადგილას.

96. **ვარაჩანი** ჰონთა დედაქალაქი, ახლანდელი ბუინჯანის ტერიტორიაზე. VI ს-ის მეორე ნახევრიდან მასზე გადიოდა ახალი სავაჭრო მაგისტრალი — სლავური ტომებიდან, ამიერკავკასიაზე გავლით, ირანამდე.

